

მისილ კაკაბაძე

ჩემს კლდეებიდან უიჟა-ს თასედა

სამოგზაურო ბლოკნოტიდან ● ცნობარი

საქართველოს კვ ცკ-ის გამომცემლობა
თბილისი — 1981

შარშან შესრულდა 50 წელი მსოფლიოს I საფეხბურთო ჩემპიონატის ჩატარებიდან. ეს წიგნი ამ ღირსშესანიშნავ თარიღს ეძღვნება და ამიტომ მკითხველს ნუ გააკვირვებს წიგნის ყდაზე აღბეჭდილი ციფრები „1930 — 1980“ (1980 წელს ხომ მსოფლიო ჩემპიონატის წელიწადი არ არის).

წიგნში მოთხრობილია ბოლო ოთხი მსოფლიო ჩემპიონატის შეხატებზე, რომელთაც ავტორი დაესწრო. სტატისტიკურ, საცნობარო ნაწილში გვეყენდება თერაპეტიკულ მსოფლიო ჩემპიონატისადმი მიძღვნილი მრავალფეროვანი მასალები.

პროლოგის მავიჰრად

ინგლისის საფეხბურთო მსოფლიო ჩემპიონატიდან 14 წელზე მეტი გავიდა. მას შემდეგ ჩატარდა IX (მექსიკა), X (გერ) და XI (არგენტინა) მსოფლიო ჩემპიონატები. ყოველი მათგანი თავისებურად საინტერესო და მიმზიდველი იყო, მაგრამ ამჯერად ჩემი ინტერესის საგანს წარმოადგენს „ნისლიანი ალბიონის“ ქვეყნის სტადიონებზე გამართული ასპარეზობა, ვინაიდან თავის დროზე მას გაუმართლებლად მცირე ადგილი დაუთმე შთაბეჭდილებების წიგნში. ამას წინათ, ძველი სამოგზაურო ბლოკნოტების თვალყურებისას, წავანყდი „ინგლისურ ჩანაწერებს“ და თვალწინ დამიდგა ჰაიდ-პარკი და პიკადილი, „უემბლის“ სტადიონი და სანდერლენდის პოლიტექნიკური კოლეჯის სტუდენტთა საერთო საცხოვრებელი — ჩვენი ბი.ს., მწვანეში ჩაფლული დორემი — საბჭოთა კავშირის ნაკრების ადგილსამყოფელი, დრამატული ფინალური მატჩის პერიპეტეიები, იტალიელი „ტიფოზების“ ხმაურიანი დემონსტრაცია და ინგლისელთა კაპიტანი ბობი მური უმაღლესი ჯილდოთი — ოქროს ქალღმერთ ნიკეს თასით ხელში... გონებაში ამ „ინგლისური კალეიდოსკოპის“ გაღვებამ დიდი სურვილი აღმიძრა გამეხსენებინა მსოფლიოს VIII ჩემპიონატის ამბები, შემევსო ძველი ხარვეზი. მაშ ასე, ამდენი ხნის შემდეგ საოცარი მღელვარებით ვუბრუნდები ინგლისის სტადიონებზე გაჩაღებულ ბრძოლებს. საოცარი მღელვარებით იმიტომ, რომ ყოველივე ეს დაკავშირებულია უეხბურთთან, ამ ჭეშმარიტად ზღაპრულ, ფანტასტიკურ, გენიალურ თამაშთან, ხასიათთა და უნართა ჭიდილთან, მიზანსწრაფვასა და პატრიოტიზმში შეჯიბრებას-

თან, ფანტაზიის აღმაფრენასა და სიჩაუქესთან, ადამიანის სულიერ და ფიზიკურ შესაძლებლობათა აღზევებასთან, წინსვლასთან, სისწრაფესთან, მოქნილობასთან, სიზუსტესთან, სიძლიერესთან...

სენსაცია ჩემპიონატის სტარტაგდე

„ჩვენს დროში — XX საუკუნეში ქაღლის მოტაცება ანაქრონიზმად უნდა ჩაითვალოს. ახლა კაცი ვერ მიხვდება, ვინ ვის იტაცებს და თუ ასეთი რამ ხდება, ყველაზე სწორია ვივარაუდოთ, რომ „გაუჩინარებულებმა“ ერთმანეთი მოიტაცეს. ინგლისის საფეხბურთო მსოფლიო ჩემპიონატის პირველი სენსაცია, თანაც საქვეყნოდ გახმაურებული სენსაცია, სწორედ მოტაცებასთან იყო დაკავშირებული. მაგრამ ამჯერად საქმე ეხებოდა, ასე ვთქვათ, ნამდვილ მოტაცებას.

ინგლისის დედოფალი ელისაბედ II რომ მოეტაცებინათ, ალბათ, ასეთი წარმოუდგენელი აურზაური არ ატყდებოდა. ქვეყანა შეძრა ცნობამ, რომ ბოროტმოქმედმა (თუ ბოროტმოქმედებმა?) 1966 წლის 20 მარტს, ერთ წყნარ, უშფოთველ კვირადღეს გაიტაცა ნიკეს თასი — ოქროს ქალღმერთის ქანდაკება. დაუჯერებელი ამბავი ნაშუადღევს მოხდა და ინგლისის ყველა საინფორმაციო წყარომ — დეპეშათა სააგენტოებმა, რადიომ, ტელევიზიამ, გაზეთების რედაქციებმა ელვის სისწრაფით მოსდეს მთელს სამყაროს ამ სენსაციის ამბავი. აი, ეს ლაკონური ცნობაც: „დღეს, ნაშუადღევს, ლონდონის ვესტმინსტერის სასახლის ცენტრალური დარბაზიდან, სადაც ძვირფასი საფოსტო მარკების გამოფენაა მოწყობილი, მოიპარეს საიმედოდ დაცული, სასიგნალო მოწყობილობით აღჭურვილ ვიტრინაში მოთავსებული ჟიულ რიმეს თასი — ოქროს ქალღმერთი, რომელიც 4 კილოგრამს იწონის და სიმძლავრით 30 სანტიმეტრია“.

ინგლისის საინფორმაციო არხებს თავისი მძლავრი ნაკადი შეუერთა მთელი მსოფლიოს პრესამ და ატყდა ერთი ვაიუშველებელი. თვით „ნისლიანი ალბიონის“ მინაზუკი

უკანასკნელ ათწლეულში ასეთი მძლავრი აჟიოტაჟი, ამგვარი გამოხმაურება არც ერთ გატაცებას და ექორდობას არ გამოუწვევია. ნიკეს მოტაცებასთან დაკავშირებული აჟიოტაჟი, ჟურნალისტთა აზრით, მხოლოდ ამ ამბამდე რამდენიმე წლით ადრე საფოსტო მატარებლის გაქურდვით გამოწვეული სენსაციისთვის თუ შეიძლება შეედარებინა კაცს. „საუკუნის გაძარცვა“ უნოდეს მაშინ იმ საფოსტო ვაგონის „განწმენდას“ და ახლაც მსგავსი ეპითეტებით შეამკეს ნიკეს მოტაცება (ინგლისში ფილმიც კი დაიდგა საფოსტო მატარებლის გაძარცვის ამბავზე).

ოქროს ეს პატარა ქანდაკება 1929 წელს ფიფა-ს მანდელი პრეზიდენტის ჟიულ რიმეს (საფრანგეთი) შეკვეთით გააკეთა ცნობილმა ფრანგმა ოქრომჭედელმა აბელ ლაფლერმა. ამიტომ დაერქვა ამ ჯილდოს ჟიულ რიმეს სახელი (როგორც ცნობილია, იგი 1970 წელს სამუდამო მფლობელობაში გადაეცა ბრაზილიის ეროვნულ გუნდს, რომელმაც მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატში გამარჯვებით მესამედ მოიხვეჭა დედამიწის უძლიერესი ნაკრების სახელი).

ნიკეს გატაცების ამბავი საიდუმლოებით იყო მოცული. მანამდე ყველაფერი, რაც კი ოქროს ქალღმერთთან იყო დაკავშირებული, საყოველთაოდ ცნობილი გახლდათ. ჟიულ რიმეს თასი ფიფა-ს იმჟამინდელ პრეზიდენტს, ინგლისელ სტენლი როუზს გადაეცა ლონდონის „როიალ გარდენ პოტელში“ მსოფლიოს VIII ჩემპიონატის ფინალისტთა კენჭისყრის შემდეგ. როუზს თასი გადასცა ბრაზილიის სპორტის კონფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა ს. პაჩეკომ. ერთი საინტერესო დეტალი: ბრაზილიიდან „გამოპარულმა“ პაჩეკომ ოქროს ქალღმერთი ნახმარი, გაცვეთილი ფუტლიარით ჩამოიტანა, რათა ვინმეს ყურადღება არ მიექცია, თანაც დიდი საიდუმლოებით იყო მოცული ამ ძვირფასი განძის მიღება-ჩაბარება ლონდონში (მერე ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაცია ინგლისელებს ასეთ საყვედურს ეტყვის: „მ წელიწადს სათუთად ვინახავდით თასს და ვერავინ გაბედავდა თითი დაეკარებინა მისთვის“). კენჭისყრის შემდეგ ფიფა-ს გენერალურმა მდივანმა პელმუტ

კაიზერმა (შვეიცარია) თასი დილამდე სასტუმროს ერთ-ერთი ნომრის სეიფში შეინახა, თანაც რამდენიმეჯერ უთხრა ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის მდივანს დენის ფოლოუზს, რომ ოქროს ქალღმერთი ჯფრო საიმედო ადგილზე გადაეტანათ.

შემდეგ თასი ვესტმინსტერის სასახლის ცენტრალურ დარბაზში, მინის დახშულ ვიტრინაში დადგეს, ვინაიდან საფოსტო მარკების საერთაშორისო გამოფენის მომწყობებმა ს. როუზს სთხოვეს, საშუალება პოგეეციით ნიკე საზოგადოებას ვაჩვენოთო. როუზის კატეგორიული მოთხოვნით ამ შემინულ, ყოველი მხრიდან დახშულ ვიტრინას დღე-ღამის განმავლობაში ედგა ყარაული და, გარდა ამისა, სადაზღვევო სასიგნალო მოწყობილობაც უქონდა (ფიფა-ს პრეზიდენტი საგანგებოდ მივიდა საფოსტო მარკების გამოფენაზე, რათა თავისი თვალთ ენახა, შეასრულეს თუ არა მისი ულტიმატუმი). და მან საკუთარი თვალთ ნახა, რომ ქანდაკებას ექვსი დეტექტივი წამით არ აშორებდა თვალს...

ყოველივე ეს გრძელდებოდა მანამ, სანამ საკვირაო შესვენებისთვის გამოფენის ჭიშკარი დაიკეტებოდა.

მერე მოხდა საოცრება: ქურდმა ისე გატეხა მინის ვიტრინის საკეტი, რომ მინა არც კი გაუზზარაეს. ამიტომ არ იმოქმედა სიგნალიზაციამ და არც... ხმაურს იმორდა: ბოროტმოქმედმა ისეთი დრო შეარჩია, როცა მეზობელ დარბაზში მომღერალთა სამასკაციან გუნდს რეპერტიცია დაეწყო...

ასეთი თავხედობა ყოვლად წარმოუდგენელი იყო, მით უმეტეს, რომ ბოროტმოქმედების ადგილიდან სულ რაღაც ორასიოდე მეტრის დაშორებით წამოჭიშულა სკოტლანდიარდის ცენტრალური შენობა. ამ საყოველთაოდ ცნობილი სამძებრო დაწესებულების მუშაკები და წესდევურები კინალამ გადაირივნენ, ხოლო ამ ორგანიზაციის ერთ-ერთმა საუკეთესო კრიმინალისტმა უილიამ ლითლმა პრესის წარმომადგენლებს ვანუცხადა: „მცველებმა ვერაფერი შენიშნეს. გაოცებული ვარ, რომ ქურდმა ზედაც არ მესედა მარკებს, რომელთა საერთო ღირებულება სამ მილიონ გირ-

ვანქა სტერლინგს აღემატება“ (სასონარკვეოილმა ჰ. კაი-ზერმა კი თქვა: „ვერ წარმოვიდგენდი, თუ ასეთი რამ სწორედ ფეხბურთის საწმობლოში მოხდებოდა“).

ერთობ შეშფოთდნენ ინგლისის პრესა, რადიო და ტელევიზიაც. ჟურნალისტები და კომენტატორები იხსენებდნენ იტალიის ფეხბურთის ასოციაციის პრეზიდენტის დოქტორ ოტორინო ბარასის გამჭრიახობას, თავგანწირვასა და გმირობას. მეორე მსოფლიო ომის წინა წლებში, როგორც ცნობილია, თასს იტალიელები. ფლობდნენ და იგი პარასისთან ინახებოდა. ხელისუფლების სათავეში ჩამდგარი ფაშისტები ოქროს ქალღმერთის კოორდინატებით მეტისმეტად დაინტერესდნენ და აქ ფეხბურთის ასოციაციის პრეზიდენტმა დიდი მახვილგონიერება და რისკი გამოიჩინა: თავისი საწოლის ქვეშ დაყრილ ქველმანი ფეხსაცმელების გროვაში დამალა ნიკე, რომელიც სალ-სალამათი შეხვდა ფაშიზმის დამხობას აპენინის ნახევარკუნძულზე.

თავიანთ მრავალრიცხოვან წერილებში კორესპონდენტები იხსენებდნენ, რომ ინგლისში აქამდე უკვე ორჯერ მოხდა დიდი „სპორტული გატაცება“: 1895 წელს ბირმინგემის ერთ-ერთი სპორტული მაღაზიის ვიჭრინიდან მოიტაცეს ინგლისის საფეხბურთო თასი, ხოლო ცოტა მოგვიანებით გაქრა ასკოტის ოქროს თასი (ცხენოსნობაში), რომელიც ქურდმა, არც მეტი არც ნაკლები, სამეფო ლოყიდან გაიტაცა. კრიმინალისტების ენით რომ ვთქვათ, ორივე საქმე გაუხსნელი დარჩა, ესე იგი, ვერც ერთი თასი ვერ იპოვეს.

20-დან 27 მარტამდე, — ოქროს ქალღმერთის დაკარგვის პერიოდში, — ბევრმა გამომძაღველმა, აფერისტმა, თუ, უბრალოდ, ტლანქი ხუმრობის მოყვარულმა წამოყო თავი. ხშირად რეკავდა ტელეფონის ზარი ფეხბურთის ასოციაციის პრეზიდენტის ჯო მიერსის კაბინეტში: პრეზიდენტს ეუბნებოდნენ, ამა და ამ ადგილზე მოიტანეთ ამდენი და ამდენი გირვანქა სტერლინგი და თასს მოგართმევთ. როცა ერთხელ, ერთმა ასეთმა ანონიმმა 15 ათასი გირვანქა სტერლინგი მოითხოვა, მიერსმა უპასუხა, თასის დაბლიკატის გაკეთება უფრო იაფი დაგვიჯდებაო. პოდა, ნამ-

დვილმა ქურდმა, როგორც ჩანს, იფიქრა ჩიტი ბდღვნად არ ღირსო (მთელი ეს ანონიმური სატელეფონო დიალოგები პრესაში ქვეყნდებოდა და, ამდენად, იგი, ასე ვთქვათ, ყოველდღიურად საქმის კურსში იყო) და... თუმცა, ამაზე ცოტა ქვევით.

ბოროტმოქმედზე (ან ბოროტმოქმედებზე) არ იმოქმედა არც ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის პატრიოტულმა მოწოდებამ (მთელს ერს თავი გკატრებაო) და არც პრემიალურმა თანხამ — 5600 გირვანქა სტერლინგმა (თანაც, ცხადია, არ დაგიჭერთო!).

შესაძლოა, ბოროტმოქმედი იატაკვეშეთშიც კი წავიდა, ვინაიდან პირველ დღეს, სალამოს, ლონდონის რადიომ და ტელევიზიამ ბევრჯერ გადმოსცეს ასეთი ცნობა: პოლიცია ეძებს დაახლოებით 31 წლის, მეტრი და 78 სანტიმეტრი სიმაღლის გამხდარ, თხელტუჩა, შავგვრემან კაცს, რომელსაც მოზრდილი ნაიარევი აქვს და რომელიც, როგორც ჩანს, პროფესიული ბოროტმოქმედია“.

ასეა თუ ისე, დრო გადიოდა, ოქროს ქალღმერთი კი არ ჩანდა.

და აი, ვესტმინსტერის სასახლის ცენტრალურ დარბაზში მომხდარი ბოროტმოქმედებიდან ერთი კვირის შემდეგ ოქროს ქალღმერთი იპოვა 26 წლის დევიდ კორბეტის ძაღლმა პიკლზმა, რაც ქართულად ცუდლუტს ნიშნავს და რაც, ჩემი ღრმა რწმენით, ამ ოთხფეხა დეტექტივს არავითარ შემთხვევაში აღარ ეკადრება და შეურაცხმყოფელიც კია. ახლა კი მოვუსმინოთ თვით დევიდ კორბეტს, რომელიც პროფესიით შოფერი გახლავთ: „ეზოში ვიყავი, როცა შევამჩნიე, რომ პიკლზი ბუჩქებისკენ გაიქცა. ძაღლს მივყევი და დავინახე მინაში სანახევროდ ჩაფლული, გაზეთებში გახვეული რაღაც საგანი. როცა გაზეთი შემოვახიე, თვალში მეცა შავი ფირფიტა წარწერით: ბრაზილია, 1962. უმაღლვე ყველაფერს მივხვდი და თასი ცოლს ვაჩვენე. მერე ჩემს მანქანაში ჩავჯექი და პოლიციის უახლოეს უბანში გავქანდი“.

პოლიციაში დ. კორბეტი თავდაპირველად ბოროტმოქმედების ერთ-ერთ მიწანილედ მიიჩნიეს, მაგრამ მალე

დარწმუნდნენ, რომ ასე არ იყო. ნამდვილი ქურდი ედვარდ ბეჩლი, როგორც შემდგომ გამოიჩინა, თურმე იქვე ახლოს ცხოვრობდა — ლონდონის გარეუბან ნორვუდში.

...ინგლისის VIII მსოფლიო ჩემპიონატის გახსნისადმი მიძღვნილი ცერემონიალი. „უემბლს“ სახელმწიფოებრივი სტადიონი. მწვანე მინდორს ჯერჯერობით ოთხი სასულე ორკესტრი დაპატრონებია და მათს საზეიმო „მუსიკალურ“ სელას აღტაცებაში მოჰყავს ხალხით გაჭედული ტრიბუნები. მთავრობის ლოჟის გვერდით, ფრიად საპატიო ადგილზე ნამომჯდარა 1966 წლის ყველაზე ცნობილი ოთხფეხი სულიერთა შორის — ძალღი, პიკლზი. მსოფლიოს VIII საფეხბურთო ჩემპიონატის თილისმასთან — ლომის ბოკვერ ვილისთან ერთად იგი საზეიმო ცერემონიის ერთ-ერთი მთავარი „პერსონაა“. სანამ გათამაშების მონაწილე გუნდების სვლა დაიწყებოდა, პიკლზი მშვიდად შეჰყურებდა ორკესტრთა სვლასაც და ამ დიდი ზარზეიმის სხვა მომენტებსაც, მაგრამ, როგორც კი მინდორზე გამოჩნდა ინგლისის ნაკრები, იგი უმაღლეს ნამოხტა, აწკმუტუნდა და კუდის გამალებული ქიცინით თავისი სიხარული გამოხატა. მის გვერდით მჯდომმა დევიდ კორბეტმა იხუმრა: პიკლზმა თითქოს ნიკეს ახალი პატრონები დაინახაო (კორბეტს ენამ უყვილა: ინგლისელები ზომ მართლაც დაეპატრონენ ოქროს ქალღმერთს!).

როგორც ხედავთ, პიკლზმა ბევრი სიხარული მოუტანა დევიდს, მაგრამ მთავარი მაინც ის იყო, რომ ამ ცუულუტმა ძალღმა ლამის მილიონერად აქცია თავისი პატრონი.

პელეუტ კაიზერის წინადადებით...

VIII მსოფლიო ჩემპიონატის ფინალისტთა კენჭისყრა 1966 წლის 6 იანვარს გაიმართა „როიალ გარდენ პოტელში“. ამგვარ შეჯიბრებათა ისტორიაში პირველად გახორციელდა წილისყრის ადგილიდან პირდაპირი ტელეგადაცემა, რაჰაც, ცხადია, მთელი სამყაროს უდიდესი ინტერესი გამოიწვია. უაღრესად საქმიანი, ერთგვარად პოძპეზური ატმოსფეროს მიუხედავად, ეს იყო დიდი საზეიმო სპექტ-

ტაკლის მსგავსი რაღაც და კენჭისყრის მომწყობნი, საცირ-
კო ჯადოსნებივით ოსტატურად აკეთებდნენ თავიანთ საქ-
მეს და მოკლე წამოძახილებით თუ არღვევდნენ ღარბაზში
გამეფებულ იდუმალ და ამაღელვებელ სიჩუმეს აქ მო-
სული 400 ჟურნალისტისა და სხვა დაინტერესებული პი-
რის მხერა მიმართული იყო შემადლებული ადგილისკენ,
სადაც 18 საათსა და 30 წუთზე გრინვიჩის დროით დაინ-
ყო მსოფლიო ჩემპიონატის ერთ-ერთი მთავარი ღონის-
ძიება — პროლოგი.

კენჭისყრის ჩატარების სისტემის გამო დიდი დავა იყო
ატეხილი, ფიფა-ს მესვეურებმა და სხვა დაინტერესებულ-
მა თანამდებობის პირებმა წილისყრის 17 ვარიანტი წარმო-
ადგინეს, ამათგან ალბათ ყველაზე სწორი და მართებუ-
ლი გახლდათ-ჰელმუტ კაიზერის წინადადება. იგი იზიარ-
ებდა სხვების აზრს 16 ფინალისტის ოთხ ჯგუფად გა-
ნაწილების თაობაზე, მაგრამ საინტერესო იყო ამ ჯგუფე-
ბის შექმნის კაიზერისეული ვარიანტი, რომელსაც, ჩემი
აზრით, „კოლექტიური განთესვა“ შეიძლება ვუნოდოთ. აი,
რას ამბობდა კაიზერი: ერთ ჯგუფში მოვათავსოთ სამხრეთ
ამერიკის წარმომადგენლები (ბრაზილია, ურუგვაი, არგენ-
ტინა, ჩილე), მეორეში — სუსტები (შვეიცარია, ბულგარე-
თი, ესტონეთი, მექსიკა), მესამეში — იტალია, საფრანგეთი,
პორტუგალია, ესპანეთი, მეოთხეში — ინგლისი, საბჭოთა
კავშირი, გფრ, უნგრეთი.

ამის შემდეგ ყოველი ამ ჯგუფიდან „ამოვიღოთ“ თი-
თო ქვეყანა და საბოლოოდ ფინალური ჯგუფებიც ნე-
სიერად, სამართლიანად შეივსებაო (მაგალითად, სამხრეთ
ამერიკის ორი წარმომადგენელი ერთ ჯგუფში არ მოხვ-
დება, ისევე როგორც ორი სუსტი გუნდი ერთ ჯგუფში არ
შევა და ა. შ.).

ფიფა-ს საორგანიზაციო კომიტეტის ოცდაორმა წევრმა
პ. კაიზერის წინადადებას დაუჭირა მხარი და წილისყრის
ამ ვარიანტმა გაიმარჯვა კიდევ ერთადერთი წინაპირობა
ის გახლდათ, რომ ინგლისის ნაკრები I ჯგუფში „ჩაეს-
ვათ“ (რათა მას ლონდონში თამაშის საშუალება მისცემო-
და), ხოლო ბრაზილიის ეროვნული გუნდი — მესამეში,

ვინაიდან ამ ორი ქვეყნის წარმომადგენლები — მსოფლიო პირველობის მასპინძელი და წინა გათამაშების ჩემპიონი ნახევარფინალამდე არ შეჯახებოდნენ ერთმანეთს.

აი, როგორ „შეავსო“ კენჭისყრამ ჯგუფები:

I ჯგუფი: ინგლისი, ურუგვაი, საფრანგეთი, მექსიკა;

II ჯგუფი: არგენტინა, გერ, ესპანეთი, შვეიცარია.

III ჯგუფი: ბრაზილია, უნგრეთი, პორტუგალია, ბულგარეთი;

IV ჯგუფი: ჩილე, სსრ კავშირი, იტალია, კსდრ.

როგორც მუდამ, კენჭისყრას პროგნოზების კორიანტელი მოჰყვა: იმავე სალამოს რადიომ, ტელევიზიამ და პრესამ ინგლისელი სპეციალისტების, მიმომსილველების, კომენტატორებისა და კორესპონდენტების ათასნაირი პროგნოზები და ვარიანტები შესთავაზეს ფეხბურთის მოყვარულებს. ადგილობრივი გულშემატკივრები იმედიანად, სიხარულით იმეორებდნენ ინგლისის ნაკრების მწვრთნელის ალფ რამსეის სიტყვებს, რომლებიც შან კენჭისყრის დამთავრებისთანავე წამოიძახა: „უკეთესს ვერც ვინატრებდი!“

ჩანაწერი კველი გლონოტიდან

ჩემპიონატის გახსნის დღეს — 11 ივლისს, საათის სამზე, ამსტერდამის გავლით უკვე ლონდონში ვიყავით. აეროდრომიდან ავტობუსმა „როიალ გარდენ პოტელში“ მიგვიყვანა, რომლის შესასვლელთან მაღალ ანძებზე ფრიალელებდა 16 ფინალისტი ქვეყნის სახელმწიფო აღმებნი. „როიალ გარდენ პოტელიდან“ ახლოს მდებარეობს ფიფა-ს რეზიდენცია. ამას იოლად მიხვდებოდა კაცი. ვინაიდან შენობის თავზე ქარი ზანტად არხევდა ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის თეთრ დროშას მაასზე დახატული ორი ნახევარსფეროთი.

რაც უფრო ახლოვდებოდა ჩემპიონატის გახსნის ჟამი, მით უფრო მატულობდა ფუსფუსი „როიალ გარდენ პოტელის“ დარბაზებში, ოთახებში, ჰოლებსა და დერეფნებში.

პრესცენტრში კორესპონდენტები ირეოდნენ, პირველ მასა-
ლებს გადასცემდნენ თავიანთ რედაქციებს სხვადასხვა
ევეყანაში, ვინ საბჭოდ მანქანას უჯდა, ვინ აკრედიტაციის
საქმეს აგვარებდა, ვინ ჩემპიონატისადმი მიქლენილ ბუკ-
ლეტებსა და პროგრამებს უყრიდა თავს, ზოგი უკვე „უემბ-
ლის“ სახელგანთქმული სტადიონისკენ მიიჩქაროდა.
ჩვენც — საბჭოთა ჟურნალისტების ჯგუფის წევრებმა
მოვათავეთ საქმეები, აკრედიტაციას მოვრჩით და პირ-
ველობის საზეიმო გახსნამდე საათნახევრით ადრე „უემბ-
ლის“ სტადიონზე გამგზავრების ნაცვლად წავედით... აე-
როდრომზე (კიდევ კარგი, მეორე დღეს სანდერლენდის
სტადიონზე წასვლამდე ტელეეკრანზე ვნახეთ VIII მსოფ-
ლიო ჩემპიონატის გახსნის მთელი (ვერემონიალის ვიდეო-
ჩანაწერი, თორემ ბევრი რამ დაგვაკლდებოდა). ამ, მეტი
რომ არა ვთქვათ, უცნაური გადანყვეტილების მიზეზი გახ-
ლდათ თვითმფრინავების ფრენის განრიგი: ნიუკასლში სა-
ლამოს 8 საათის შემდეგ მეორე დღემდე არაფერი მიფრი-
ნავდა. უკვე ბნელოდა, ნიუკასლში რომ ჩავედით, იქიდან
კი ავტობუსმა სანდერლენდში ჩაგვიყვანა, სადაც IV ჯგუ-
ფის გუნდებს უნდა ეასპარეზათ.

მთელი დღის გაუთავებელმა მგზავრობამ, ცხადია, ყვე-
ლა დაგვქანცა. „ძალიან დავილაღე, თანაც 12 საათი დაწ-
ყებულა (ესე იგი, თბილისის დროით ღამის მეოთხე სა-
ათია!)“ — ჩამინერია დღიურში.

12 ივლისს მიდლსბროში წავედით, სადაც სსრ კავში-
ის ნაკრები კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლი-
კის გუნდს უნდა შეხვედროდა. „სანდერლენდიდან მიდლს-
ბრომდე მშენიერი გზაა. ირგვლივ მწვანე მდელოებია,
ჭრელი ძროხები და ლამაზი სახლები. თვალში გვხვდება
გასაოცარი სისუფთავე, თითქოს ხასხასა ბალახში გაშვე-
ბული ძროხებიც კი უხეაკრეფით დააბიჯებენ და ნაზად
ძოვენ“ (ჩანაწერი დღიურში).

მიდლსბროს „ეირსომ პარკის“ სტადიონზე საბჭოთა
კავშირისა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბ-
ლიკის ნაკრები გუნდების მატჩის სანახავად 23 ათასმა

მაყურებელმა მოიყარა თავი. სტადიონის ტრიბუნები სანა-
ხევროდ ცარიელი იყო.

მინდორზე გუნდები ასეთი შემადგენლობებით გამო-
ვიდნენ:

სსრ კავშირი: კავაზაშვილი, პონომარიოვი, შესტერნო-
ვი, ხურცილავა, ოსტროვსკი, საბო, ჰიჭინავა, ჩისლენკო,
ბანიშევსკი, მალოფეევი, ჰუსაინოვი.

კსდრ: ლი ჩან მიუნცი, პაკ რი სენი, სინ ენ გიუ. რიმ დი-
უნ სენი, კან პოლ ჩილი, პაკ სან დინი, იმ სენ ფი, ხან ბონ
დინი, პაკ დუ იკი, კან რიუნგ ვონი, კიმ ენ გირი.

მატჩს მსაჯობდა ესპანელი ი. გარდეასაბალი.

თამაში საბჭოთა ნაკრების უპირატესობით წარიმართა,
მაგრამ ვერცხლისწყალივით მოძრავი, დაულალავი კორე-
ელები თავიანთ უკმარ ტექნიკურ-ტაქტიკურ მომზადებას
გასაოცარი, პირდაპირ შესაშური მონდომებით, თავგამო-
დებული კოლექტიური თამაშით ანაბლაურებდნენ. მაყუ-
რებლებს მოეწონათ კორეელთა თავგანწირვა, გამარჯვე-
ბისკენ დაუოკებელი ლტოლვა და მხურვალედ უჭერდნენ
მხარს მათ.

დრო გადიოდა, გოლი კი არ ჩანდა. საბჭოთა ფეხბურ-
თელები უმეტესად უტევდნენ. კორეელები მედგრად იცავ-
დნენ თავს, თანაც, საკმაოდ მწვავე კონტრიერიშებსაც ახო-
რცხელებდნენ. რამდენიმე ძნელი ბურთი აიღო კავაზა-
შვილმა. და აი, 31-ე წუთზე მალოფეევმა ანგარიში გახსნა.
ორი წუთის შემდეგ ბანიშევსკიმ მეორედ აიღო მეტოქის
კარი, მატჩის მინუტულს კი, 88-ე წუთზე, მალოფეევმა კო-
რეელებს კარში მესამე ბურთი გაიტანა. კავაზაშვილის გარ-
და კარგად ითამაშეს ბანიშევსკიმ და ჩისლენკომ.

ჩანანერი ჩემი ბლოკნოტიდან: „საბჭოთა გუნდში სრუ-
ლიად არ არის გათვალისწინებული ფეხბურთის ემოცი-
ური მხარე. „დერევენშიჩინა“, — თქვა ერთ ფეხბურთელზე
ა. სტაროსტინმა. თამაშის დროს ჯერ ი. ვანიატმა, მერე
კი ნ. სტაროსტინმა სინანულით თქვეს: რა სისულელე ჩაი-
დინა მოროზოვმა, მესხი რომ არ წამოიყვანათ. „ჰო, მეს-
ხი — ეს ლამაზი იქნებოდა. ესეც ხომ უნდა გაიყვალისნი-
ნოს კაცმა“, — თქვა ნ. სტაროსტინმა“.

მატჩის შემდეგ ჩავსხედით ავტობუსში და გავემგზავრეთ ჩვენს რეზიდენციაში, რომელიც, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, სანდერლენდში მდებარეობდა. სალამოს ტელევიზიით ვნახეთ ბრაზილიისა და ბულგარეთის ეროვნული გუნდების შეხვედრა. ლივერპულის „გუდისონ პარკის“ მინდორზე გამართული ეს საინტერესო მატჩი ბრაზილიელმა ფეხბურთელებმა მოიგეს ანგარიშით 2:0. პირველი ბურთი შესვენებამდე გაიტანა პელემ, ხოლო მეორე ტაიმში გარინჩამ მეორედ აიძულა მეკარე ნაიდენოვი ბურთი კარიდან გამოეტანა.

ჩვენი სახლის — ტექნიკური კოლეჯის ვეებერთელა საერთო საცხოვრებელი შენობის ჰოლში ხშირად ვიკრიბებოდით თავისუფალ დროს საბჭოთა დელეგაციის წევრები — ჟურნალისტები და სპეციალისტთა ჯგუფის წარმომადგენლები. ჰოლში გამუდმებით ისმოდა მაგიდის ჩოგბურთის ბურთის კაკუნი. სპორტის ამ სახეობას ბევრი მოტრფილე ჰყავდა, მათ შორის „იზვესტიის“ საკუთარი კორესპონდენტი ინგლისში მ. სტურუა.

13 ივლისს დილით ჰოლში შევხვდი სახელგანთქმულ მოცეკვავესა და ქორეოგრაფს, ჩვენი დიდებული საცეკვაო ანსამბლის ერთ-ერთ ხელმძღვანელს ნინო რამიშვილსა და მოცეკვავე ინგა თევზაძეს. ჩვენი მოცეკვავენი ინგლისში ყოფილან სნგასტროლოდ ჩამოსული. ძალიან გამახარა ამ შეხვედრამ. ჩვენ შემოგვიერთდნენ ბორის პაიჭაძე, ვახტანგ რამიშვილი, დავით ცომია, კოტე მახარაძე, ლეო ბაქრაძე და სხვები. დიდხანს ვისაუბრეთ, მერე ასევე კარგა ხანს ვისეირნეთ ქალაქის ცენტრში...

სალამოს განვიმდა, მაგრამ, საბედნიეროდ, სანდერლენდის „როკერ პარკის“ სტადიონი გადახურულია. შეყვივარეულმა მსაჯმა გ. დინსტმა (მერე იგი ფინალურ მატჩში იმსაჯებს) საასპარეზოდ გამოიძახა ჩილესა და იტალიის გუნდები.

იტალიის ნაკრების თამაშის დღეებში ამ ქვეყნიდან ჩამოსული გულშემატკივრები დილიდანვე დადიოდნენ სანდერლენდის ქუჩებში დროშებითა და ტრანსპარანტებით: „იტალია — გამარჯვება!“ ასე იყო 13 ივლისსაც, ჩილეს

ნაკრებთან იტალიის ფეხბურთელების შეხვედრის დღეს, თუმცა, დილიდან დროდადრო გულის გამანვრილებლად წვიმდა. „სკუადრა აძურამ“ იმ დღეს კარგად ითამაშა და, სპეციალისტებისა და ჟურნალისტების აზრით, შემდგომ ეტაპზე ასპარეზობის საგზური, სსრ კავშირის ნაკრების მსგავსად, იტალიელებს უნდა რგებოდათ (როგორც შემდგომ დავინახეთ, კიდევ ერთხელ გამართლდა ანდაზა: კაცი ბჭობდა, ლმერთი იცინოდაო).

ამ თამაშმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ თანამედროვე ფეხბურთში ფსიქოლოგიური მომზადება არანაკლებ მნიშვნელოვანია ფიზიკურ და ტექნიკურ-ტაქტიკურ მომზადებაზე და ხშირად ჯადამწყვეტ როლსაც კი ასრულებს. იტალიელებს ინგლისში სწორედ მორალურ-ნებელობითი, ფსიქოლოგიური მომზადება დააკლდათ, რამაც საბოლოოდ ხელი მოუცარა ამ მეტად მაღალტექნიკურ გუნდს.

ამ მატჩის შესახებ ჩემს ბლოკნოტში ჩამინერია:

„პირველი ტაიმი იტალიელთა სრული უპირატესობით ჩატარდა. ისინი უტყვევენ სწრაფად, მახვილგონივრულად, კარგად იყენებენ ფლანგებს. ჩილელები უკან ძალიან ნელა ათამაშებენ ბურთს, როგორღაც „მშვიდ კონტრშეტევებზე“ გადადიან. პირველი ტაიმის მინურულს ჩილეელთა მარცხენა გარემარბმა სანჩესმა მშვენივრად, ხვეულად დაარტყა საჯარიმო და ალბერტოზიმ ასევე საუცხოო ნახტომით კუთხურზე გადაიყვანა ბურთი. და აი, ერთ-ერთმა ჩილეელმა მეტოქეთა მეკარეს ალტაცების ნიშნად გულწრფელად ჩამოართვა ხელი.

შესვენების შემდეგ ჩილეს ნაკრებმა ღრუბელივით შეისრუტა იტალიის გუნდი — თავს მოაზნია თავისი მანერა და სტილი. იტალიელებს ჩილელების შოკლე, მეტისმეტად „დანვრილმანებული“ გადაცემების აბლაბუდაში ფეხები ებლანდებოდათ.

თუ ამჯერად იტალიელთათვის მაინც ყველაფერი კარგად დამთავრდა (2:0), შემდგომ ეს მოდუნება, მეტოქის სურვილის აყოლა, მათ ძვირად დაუჯდათ კორეელებთან შეხვედრაში (0:1).

14 ივლისს დილიდანვე მზიანი დარი გამოვიდა. მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს, ვინაიდან აქ დღეში შვიდჯერ იცვლება ამინდი. სალამოს ვიყავით ჩვენი ანსამბლის კონცერტზე. სამშობლოში დაბრუნებულმა გაზეთ „კომუნისტის“ ფურცლებზე გამოვაქვეყნე ეს წერილი, რომელსაც სათაურად ჰქონდა

„ზღაპრული ტრიუმფი“

„ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატზე ჩასულ ქართველ სპეციალისტებსა და ჟურნალისტებს სანდერლენდში სასიამოვნო სიურპრიზი გველოდა: ამ ქალაქში ჩასვლისთანავე თვალში მოგვხვდა ქართული ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის საგასტროლო აფიშები და სტენდები.

საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტების ნინო რამიშვილისა და ილიკო სუხიშვილის პირმშოს — ამ შესანიშნავ კოლექტივს თითქმის მთელი დედამინა აქვს მოვლილი. ჩვენ კარგა ხანია შევეჩვიეთ ანსამბლის წარმატებას და სახობო რეცენზიებს, რომლებიც უხვად დაბეჭდილა ადგილობრივ თუ უცხოეთის ჟურნალ-გაზეთებში. ცოცხა გამხელილი სჯობს, და უნდა გამოგიტყდეთ, რომ მე ერთგვარად გაზვიადებული მეგონა ჩემი თანამემამულეების გამოსვლების შეფასება. მაგრამ ახლა, როცა წილად მხვდა ბედნიერება სანდერლენდსა და ლონდონში დავსწრებოდი ჩვენი მოცეკვავეების კონცერტებს, პირდაპირ უნდა გითხრათ: ყოვლად წარმოუდგენელია იმ ტრიუმფის წერილობით თუ სიტყვიერად გადმოცემა, რაც შათს ყოველ კონცერტს ახლავს.

ეს კაცმა თავად უნდა ნახოს, ნახოს და განიცადოს! რაღაც საოცარი სიამაყის გრძნობით აღსავსენი ვისხედით ქართველები ამ კონცერტებზე და ხალხით გაჭედილი, ტაშით მოზანზარე დარბაზისკენ ვაპარებდით დროდადრო შხერას. ვეებერთელა დარბაზი მართლაც ზანზარებდა, გრგვინავდა და ათასნაირი შეძახილებით გამოხატავდა უდიდეს აღფრთოვანებას. და როცა საბოლოო ბრწყინვალე

აკორდის — ცეცხლოვანი „შეჯიბრის“ შემდეგ უარდა და-
ეშვებოდა, მაყურებლები ფეხს არ იცვლიდნენ. ინგლისე-
ლები, რომლებსაც დინჯი, აუღელვებელი და რატომღაც
გულცივი და ზვიადი ადამიანების რეპუტაცია აქვთ, საბო-
ლოოდ კარგავდნენ წონასწორობას და დარბაზი პირდაპირ
ჭექა-ქუხილის სამეფოს ემსგავსებოდა.

და აი, ფარდა კვლავ იხსნებოდა, მერე ისევ იხურებო-
და, ისევ და ისევ ზევით მიიწევდა... ასე — ხუთჯერ, ათ-
ჯერ, თხუთმეტჯერ... ასე იყო მუდამ, ანსამბლის ყოველი
გამოსვლისას.

სანდერლენდში გამართულ პრემიერას ქალაქის მერი
დაესწრო. მეორე დღეს მან ქართველი მოცეკვავეები თა-
ვისთან მიიპატიჟა.

— თუ საბჭოთა ფეხბურთელები ისევე საუცხოოდ თა-
მაშობენ, როგორც თქვენ ცეკვავთ, პირველობა მათ განაღ-
დებული აქვთ, — უთხრა სტუმრებს აღტაცებულმა მას-
პინძელმა (როგორც შენდგომში გამოირკვა, საბჭოთა ფეხ-
ბურთელები მთლად ისე ვერ „ცეკვავენ“).

ერთ-ერთ კონცერტს დაესწრნენ ცნობილი რუსი მწერ-
ლებიც: ლ. კასილი, ი. ტრიფონოვი, ა. სოფრონოვი (ჯურ-
ნალ „ოგონიოკის“ მთავარი რედაქტორი). იმ აღტაცების
გამოსახატავად, რაც მათში ქართველი მოცეკვავეების
მჩქეფარე, ცეცხლოვანმა ხელოვნებამ გამოიწვია, სამი ნათ-
ქვამის გახსენებაც კმარა:

„მიუხედავად იმისა, ჩვენი ფეხბურთელები წააგებენ
თუ მოიგებენ, საბჭოთა ქვეყანა მოგებულის რჩება: ამ ან-
სამბლმა მას კიდევ ერთი დიდება მოუტანა“ (ლ. კასილი);

„აი, ვინ უნდა თამაშობდეს ფეხბურთს!“ (ა. სოფრო-
ნოვი);

„ეს ადამიანის წარმოდგენას აღემატება“ (ი. ტრიფო-
ნოვი).

ან, თუნდაც, განა მრავლისმეტყველი არ გახლავთ ის,
რომ ქ-ნი ჩერჩილი თავისი მეუღლის გარდაცვალების შემ-
დეგ პირველად მხოლოდ ახლა დაესწრო სანახაობას და ეს
სანახაობა ქართული ცეკვის ანსამბლის კონცერტი იყო? |
ამ დიდებული საცეკვაო წარმოდგენის შემდეგ უ. ჩერჩილის

ქვიზმა თავის ლოყაში მიიწვია ანსამბლის ხელმძღვანელები, უღრმესი მადლობა გადაუხადა მათ ესოდენ დიდი, განუმეორებელი ხელოვნებისთვის და ფოტოსურათი გადაიღო მათთან.

ცხადია, ამ წერილს ოდნავაც არა აქვს რეცენზიის პრეტენზია. ეს ჩვენს მიზანს არც შეადგენს. მაგრამ ჰქითხველისთვის უთუოდ საინტერესო იქნება ზოგიერთი ადგილის მოყვანა იმ რეცენზიებიდან, რომლებიც ინგლისურ პრესაში დაიბეჭდა. ერთ-ერთ წერილში — „ნიუცეკვავენი ნაპერწკლებს ჰყრიან“ ლონდონის „ტაიმსი“ წერს: „იმათთვის, ვინც ქართული ცეკვის ანსამბლი 1929 წელს ინგლისში მისი გასტროლების დროს ნახა, ზეჟმეტი აქნებოდა ამ შესანიშნავი კოლექტივის დახასიათება. ეს ანსამბლი ერთ-ერთი საუკეთესოა აღმოსავლეთ ევროპაში (შემდეგ ინგლისის პრესაში პირდაპირ დაიწერა, ქართული ცეკვის ანსამბლს მსოფლიოში ბადალი არა ჰყავსო. — მ. კ.). ვაჟები არწივებივით დაფრინავენ სცენაზე, ხოლო ჟარიკაობის დროს სცენაზე ნაპერწკლები კაშკაშებს... ქალთა მოძრაობა ლამაზი და დახვეწილია“.

მანჩესტერის „გარდიანში“ ვკითხულობთ: „ქართული ცეკვის ანსამბლი საუცხოოდ მომზადებული და ჩაცმული კოლექტივია, რომელსაც ვირტუოზობის მხრივ სასწაულების მოხდენა ძალუძს. გუშინ საღამოს ქართველებმა სწორედ ეს გააკეთეს — შესაძლოა, ოდნავ მეტიც. მათი ვირტუოზობა მართლაც განსაკუთრებულია. ვაჟთა ცეკვებში ნაჩვენები სიცოცხლე და რაინდობა შეუდარებელია. ანსამბლის გამოსვლა უმაღლესი პროფესიონალიზმით აღინიშნა“.

ლონდონის „დეილი ტელეგრაფმა“ წერილში — „ქართველ მოცეკვავეთა სიცოცხლით აღსავსე, ჟერადოვანი ბრწყინვალეობა“ აღნიშნა: „ქართულმა საცეკვაო ანსამბლმა თავისი ერის ყველა განუმეორებელი თვისება გამოავლინა. ქართველები ისევე სიცოცხლით აღსავსე და ტემპერამენტული არიან, როგორც იტალიელები და ამავე დროს ისევე ამაყი და მგრძობიარენი, როგორც ესპანელები. ცეკვებში მკვეთრად ჩანს ქალისადმი განსაკუთრე-

ბული რაინდული დამოკიდებულება. ამ მხრივ ქართულ ცეკვებს ვერაფერი შეედრება. ვაჟები მამაცობის დემონსტრირებას ახდენენ“.

„დეილი მირორმა“ დაბეჭდა ნინო რამიშვილის ფოტოსურათი. სკამზე ჩამომჯდარი ნინო თვალყურს ადევნებს, ხელმძღვანელობს მოცეკვავეთა რეპეტიციას. საინტერესოა ამ ფოტოსურათის წარწერა: „...რეპეტიციაზე ქ-ნი ნინო არ ჰგავს იმ ტენპერამენტიან ხელმძღვანელებს, რომელთა ყოველი ფესტი ზომაზე მეტია, გადაჭარბებულია. იგი იყენებს უფრო საკადრის, დიდებულ ტექნიკას, რომლის ყურებაც კი სასიამოვნო და შთამაგონებელია. თიასის მოხრით მას შეუძლია მეტი ყურადღების მიპყრობა და მეტის გაკეთება, ვიდრე ზოგიერთ პოლივუდელ დამდგმელს შოლტის ქნევით“.

...სანდერლენდი. უკან დარჩა ლონდონიც. ახლა ჩვენი ანსამბლი მანჩესტერშია... წინ არის ქალაქები ბრისტოლი, ლივერპული, ბირმინგემი.

ჩვენ მაშინ ვიყავით ქართული ცეკვის ანსამბლის ტრიუმფის მოწმენი, როცა ინგლისი ფეხბურთის ციფ-ცხელეებით ცხოვრობდა. მით უფრო დასაჭასებელია ჩვენი მოცეკვავეების ეს ზღაპრული წარმატება! ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, სანდერლენდის თეატრი ხომ 2 ათასს, ხოლო ლონდონის დიდებული დარბაზი „როიალ ფესტივალ ჰოლი“ 3 ათას ხუთასამდე მაყურებელს იტევს. და არ ყოფილა შემთხვევა, რომ თუნდაც ერთი ბილეთი დარჩენილიყო თეატრის სალაროში!

არ დაგავიწყდეთ, ეს იყო საფეხბურთო ჩემპიონატის დღეებში“.

დაბოლოს, მსურს მოვიტანო ერთი პატარა ჩანაწერი ჩემი ბლოკნოტიდან, რომელიც, კაცმა რომ თქვას, პატარა დეტალია, მაგრამ მკაფიოდ ადასტურებს იმ ემოციურ ზემოქმედებას, რაც ჩვენმა მოცეკვავეებმა შოახდინეს. „გულცივ“ ბრიტანელ მაყურებელზე: „ჩვენი ბიჭების ხმლებით ცეკვის დროს ბევრმა თვალეებზე ხილები აიფარა“.

51.500-მდე მაცურებელი დაესწრო 15 ივლისს გამართულ მატჩს ლივერპულის „გუდისონ პარკის“ სტადიონზე. ფინალურ შეხვედრას თუ არ ჩავთვლით, ჩემი აზრით, ეს იყო VIII მსოფლიო ჩემპიონატის ყველაზე წარმატება და მიმზიდველი შეხვედრა — ფეხბურთის ნამდვილი ზეიმი. აქ მარტო ის კი არაა საქმე, რომ მსოფლიო ჩემპიონს ბრაზილიის ნაკრებს ღირსეული მეტოქე გამოუჩნდა უნგრეთის ეროვნული გუნდის სახით. მთავარი ზიანიც ის იყო, რომ ორივე მხარემ მაცურებელს უჩვენა ფეხბურთის მთელი მომხიბვლელობა, მთელი ის განძი, რითაც მდიდარია სპორტის ეს ჭეშმარიტად უპირველესი სახეობა და ამ უშეღავათო, მძაფრ, მაგრამ უაღრესად თავაზიან თამაშში მსოფლიო ჩემპიონმა სრული კრაზი განიცადა — ს.პ. ამასთან დაკავშირებით ისევ რამდენიმე სტრიქონს შემოგთავაზებთ ჩემი ბლოკნოტიდან: „ბრწყინვალე იყო უნგრელთა ცენტრალური თავდამსხმელი ალბერტი. — მინდვრის მეფე. როგორც დახელოვნებული სლალომისტი ისე დაჰქროდა იგი ბრაზილიელთა ციხესიმაგრის მიდამოებში და თავგზას უბნევდა მეტოქეს.

ცნობილმა საბჭოთა კომენტატორმა ნ. ოზეროვმა თქვა, ასეთი თამაში საერთოდ არ მინახავსო.

ეს იყო 22 ლომის ჭიდილი“.

16 ივლისს სანდერლენდში ერთმანეთს შეხვდნენ იტალიისა და საბჭოთა კავშირის ნაკრები კოლექტივები. ამ შეხვედრას „როკერ პარკის“ სტადიონზე 26 ათასამდე მაცურებელი ჰყავდა.

აი, გუნდების შემადგენლობებიც: —

იტალია: ალბერტიოზი. სალვადორე, ბურგნიჩი, ლეონჩინი, როზატო, ფაკეტი, ლოდეტი, ბულგარელი, მერონი, მაცოლა, პასკუტი.

სსრ კავშირი: იაშინი, პონომარიოვი, შესტერნიოვი, ხურცილავა, დანილოვი, საბო, ვორონინი, ჩისლენკო, ბანიშევსკი, მალოფეევი, პუსაინოვი.

თამაშს სჯიდა რ. კრაიტლაინი (გფრ).

იტალიელი „ტიფოზების“ ღრინანცელისგან ყურთასმენა იყო წაღებული. ისინი თავგამოდებით აფრიალებდნენ პატარ-პატარა თუ საკმაოდ მოზრდილ სახელმწიფო დროშებს, ტრანსპარანტებს, თავდავიწყებით ატრიალებდნენ საჩხარუნებლებს, რეკავდნენ სხვადასხვა ზომის ზარებს...

ერთ ტრიბუნაზე თვალი მოვკარი დიდ ტრანსპარანტს, რომელზეც ეწერა: „ლენინგრადული სალაში. „სვირლესის“ მეზღვაურებისგან“. იქვე თავს ზემოთ ეჭირათ მეორე ტრანსპარანტი: „ეი, უხნემ!“ - ცოტა გვერდით -- მესამე -- „მხოლოდ გამარჯვება!“ საბჭოთა გემის „სვირლესის“ მეზღვაურები „ტიფოზებზე“ არანაკლები აზარტით აფრიალებდნენ საბჭოთა დროშებს.

ბურთი თამაშში იტალიელებმა შეიყვანეს. აი, მოკლე ჩანაწერები ბლოკნოტიდან: „ხურცილავა მინებებულია მაცოლაზე და ფეხის განძრევის საშუალებას არ აძლევს. მურთაზი ბეორე ტაიმშიც ფეხიზლად სდარაჯობს მაცოლას -- ამ ორი დიდოსტატის დუელი ქართველი ფეხბურთელის უდავო გამარჯვებით მთავრდება.

51-ე წუთზე ჩისლენკომ თავისი ფლანგიდან ოდნავ ცენტრში გადმოინაცვლა და მარცხენა ფეხით უძლიერესი დარტყმით მოათავსა ბურთი იტალიელთა კარის ზედა ძელის ქვევით. ეს გოლი ერთადერთი აღმოჩნდა ამ თამაშში.

გაზეთების აზრით, საკმაოდ უინტერესო თამაში გაამართლა ჩისლენკოს გოლმა. ჩისლენკოს „რუსული რაკეტა“ უწოდეს.

იდეალურად იმსაჯა კრაიტლანმა“.

მთელი 17 ივლისი უურნალისტებმა საბჭოთა ნაკრების ფეხბურთელებთან გავატარეთ. სადილად დაპატარებულნი ზიყავით ადგილობრივი მუშების ერთ-ერთ საკრებულოში -- როჯერ კლუბში. მე იმ მაგიდასთან მოვხვდი, სადაც ისხდნენ ყოველკვირეული „ფუტბოლის“ რედაქტორი მარტინ მერჟანოვი, ფეხბურთელები ოსტროვსკი, ბანიკოვი, პარკუიანი, სერებრიანიკოვი და კორნეევი. ერთ-ერთ მაგიდას ილიკო სუხიშვილი უჯდა თავისი ანსამბლის მოცეკვავე ვაჟებით. აქვე იყო ცნობილი ქართველი კინოდოკუმენტალისტი გ. ასათიანი.

მხიარული, მეგობრული ვითარება სუფევდა. მასპინძლები ყურადღებას არ გვაკლებდნენ, თან დიდ ინტერესს იჩენდნენ საბჭოთა ფეხბურთისა და მისი წარმომადგენლების მიმართ. ოსტროვსკი ბევრს მელაპარაკა მურთაზ ხურცილავაზე, ძალიან აქო და ადიდა. მის გულწრფელობაში ოდნავადაც არ დავეჭვებულვარ ჯერ ერთი საუნიდაც იმიტომ, რომ ხალას სიმართლეს ამბობდა და თითქოს ჩემს გულში იხედებოდა. უბრალოდ, ის იყო სასიამოვნო, რომ ერთი მაღალი კლასის ფეხბურთელი მეორე მაღალი კლასის ფეხბურთელს აქებდა უცხო კაცთან ყოველგვარი „მაგრამისა“ და „თუმცას“ გარეშე, ღია, ალალი მზერით და არა შურიანი თვალის რალაც საიდუმლო პაჭუნით.

— ოო, მურთაზი დიდი ფეხბურთელია. მის ვკერდით სავსებით იმედინად ვრძნობ თავს, თითქოს უზარმაზარი კლდე გიცავსო, — ამბობდა საბჭოთა ნაკრების მარცხენა მცველი.

როჯერ კლუბიდან წავედით დორემში — სსრ კავშირის ნაკრების რეზიდენციაში. ავტობუსში მურთაზი და მე ერთად ვისხედით. ვლაპარაკობდით თბილისზე, ინგლისზე, ფეხბურთზე და ფეხბურთელებზე, ისევ საქართველოზე...

— ძალიან მომენატრა თბილისი. ჩვენმა რადიოკომიტეტმა ქართული სიმღერების ჩანაწერები გამომიგზავნა და დღეში ათჯერ ვუკრავ, — მითხრა მურთაზმა.

დორემი სტუდენტთა ქალაქია. ამ პატარა, კოჰნია, მწვანე ქალაქში არის უნივერსიტეტი, ბევრი სხვადასხვა კოლეჯი. საბჭოთა ნაკრებიც ერთ-ერთ ასეთ დაწესებულებაში — ტექნიკურ „გრეი-კოლეჯში“ ცხოვრობდა. მას წვრთნის და დასვენების იდეალური პირობები ჰქონდა შექმნილი.

სტუმრები და მასპინძლები დასასვენებელ ოთახში შევიკრიბეთ. აქ იყვნენ მწერლები ლ. კასილი, ა. სოფრონოვი, ც. სოლოდარი, ჟურნალისტები მ. მერჟანოვი, მ. შიშიგინი, ა. დობროვი, საბჭოთა დელეგაციის ხელმძღვანელები...

მხიარულად ვატარებდით დროს. რამდენიმე კაცი სახელდახელო კედლის გაზეთის გამოშვებით იყო გართული, სტუმრები მასპინძლებს მორიგ წარმატებებს უსურვებდ-

ნენ, სოფრონოვმა თავისი მოკლე სიტყვის შემდეგ იმღერა კიდევ. იმ დღეს ვალერი ვორონინს 2/ წელი შეუსრულდა. ეს კედლის გაზეთშიც აღინიშნა მეგობრული შარყით, ხოლო სოლოდარმა ექსპრომტად შეთხზული ლექსით გამოხატა თავისი დამოკიდებულება ამ ფაქტისადმი.

მომდევნო დღეებში ჯგუფურ ტურნირებში ღირსშესანიშნავი არაფერი მომხდარა, თუ არ ჩავთვლით მსოფლიო ჩემპიონთა — ბრაზილიელთა კიდევ ერთ მარცხს პორტუგალიის ნაკრებთან შეხვედრაში. ამ წაგებით ბრაზილიის ეროვნული გუნდი ფინალური ეტაპის მიღმა დარჩა. არადა, პორტუგალიელები აშკარად სჯობდნენ თავიანთ სახელოვან და მრისხანე მეტოქეს. სანშუბაროდ, პელე ამ მატჩში კიდევ ერთხელ საგრძნობლად დაშავდა, მაგრამ იძულებული იყო საასპარეზოდ დაბრუნებოდა მინდორს -- ხომ გახსოვთ, მაშინ არც ერთი მოთამაშის შეცვლა არ შეიძლებოდა.

„ეუსებო ღმერთივით თამაშობს. უბრალოდ, სადად, ლაღად... მისი დაჭერა შეუძლებელია, ქურციკივით სწრაფია და კატასავრით მოქნილი. მის ბუცებს თეთრი ჯირები აქვს და როცა ზურგში უყურებ ნეტოქის კარისკენ ქარით გაჭრილ მოზამბიკელ ფეხბურთელს, ამ თეთრი ძირების უსწრაფესი მონაცვლეობა გჭრის თვალს, ჯერ მარცხენა გაიღვებს, მერე — მარჯვენა, ისევ — მარცხენა, მერე — მარჯვენა... ეს რაღაც საზღაპრო ფეიერვერკივითაა“ (ჩანანერი ჩემი ბლოკნოტიდან). სწორედ ამ მოზამბიკელმა ზანგმა გადაწყვიტა მატჩის ბედი — ორჯერ აიღო ბრაზილიელთა კარი, აქედან მეორედ — 85-ე წუთზე, როცა ანგარიში იყო 2:1 პორტუგალიელთა სასარგებლოდ და ბრაზილიის ნაკრები თავგამოდებით ცდილობდა თანაფარდობის აღდგენას.

20 ივლისს სანდერლენდის „როკერ პარკის“ მინდორზე ჩილესა და სსრ კავშირის ნაკრები კოლექტივების მატჩს სულ 12 ათასი მაყურებელი დაესწრო.

მსაჯმა ი. ედვირმა (ჩრდილოეთ ირლანდია) გუნდები საასპარეზოდ გამოიძახა:

ჩილე: ოლივარესი, ვალენტინი, კრუსი, ფიგეროა, ვიია-ნუევა, პრიეტო, მარკოსი, იავარი, არაია, ლანდა, სანჩესი.

სსრ კავშირი: კავაზაზვილი, გეტმანოვი, შესტერნიოვი, კორნეევი, ოსტროვსკი, ვორონინი, აფონინი, სერებრიანი-კოვი, მეტრეველი, მარქაროვი, პარკუიანი.

მწვავე თამაშში. საბჭოთა ფეხბურთელებმა იმარჯვეს-- 2:1. გამარჯვებულთაგან ორივე ბურთი პარკუიანმა გაიტანა. ჩილელთაგან ამ მხრივ თავი გამოიჩინა მარკოსმა.

ამრიგად, სსრ კავშირის ნაკრებმა წარმატებით ითამაშა ჯგუფურ ტურნირში, სამივე შეხვედრა მოიგო (6 ქულა, ბურთების შეფარდება 6:1) და მეოთხედფინალურ ეტაპზე ასპარეზობის უფლება მოიპოვა. ისიც უნდა ითქვას, რომ საბჭოთა ფეხბურთელები ჩილელებთან წაგების შემთხვევაშიც კი გადიოდნენ პირველ ადგილზე: მეორე ადგილზე გასულ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრებს სულ 3 ქულა დაუგროვდა (1 მოგება, 1 ფრე, 1 წაგება).

ლონდონში 24 ივლისს დილით ადრე გაფრინდით, მანამდე კი ორი მნიშვნელოვანი ამბავი მოხდა. ერთი გახლდათ უნგრეთის 50-იანი წლების „დიდი გუნდის“ სახელმძღვანელო თავდამსხმელის ფერენც პუშკაშის მოსვლა ტექნიკურ კოლეჯში, მეორე კი — ედინბურგში გამგზავრება მთელი დღით.

ჩვენი საცხოვრებელი შენობის პოლში ვცხავით ჩვეულებისამებრ. ვინ მუსაიფობდა, ვინ მაგიდის ჩოგბურთს თამაშობდა, ვინ ტელევიზორს უჯდა, ვინ ჟურნალ-გაზეთებს ათვალერებდა...

პუშკაში როგორღაც შეუმჩნევლად შემოვიდა პოლში, ვილაცხას ეძებდა. კაცმა რომ თქვას, იგი სანდერლენდში არც გვეგულებოდა, ვინაიდან რეზიდენცია მესამე ჯგუფისა, რომელშიც უნგრეთი იყო, ლივერპული და მანჩესტერი გახლდათ. დავინახეთ არა, უმაღვე ვიცანი. სხვებმაც იცხეს. გარს შემოვხვებით, ერთმა ჟურნალისტმა თარჯიმნობა იკისრა და გაიმართა სახელდახელო პრესკონფერენცია. პუშკაშს, ცხადია, ძალიან ახარებდა უნგრეთის ეროვნული გუნდის მარშატება — ეს კოლექტივი პორტუგალიელებთან

ერთად ჩემპიონატის შემდგომ ეტაპზე გავიდა. ერიობ მო-
რიდებულად ლაპარაკობდა, გაიხსენა უნგრეთის „დიდი
გუნდის“ თამაში საბჭოთა ნაკრებთან, მოიგონა „ერთი მე-
ლოტი ნახევარმცველი, რომელიც ძლიერად, აქტიურად
მეთამაშა, პირდაპირ ამოსუნთქვის საშუალება არ მომ-
ცაო“. უთხრეს, ის მელოტი აი, ამ ქართველების თანამე-
მამულე გახლავთ, თბილისის დინამოელი გიორგი ანთაძეო.
მერე სურათი გადავიღეთ მასთან. ლეგენდარულ მარჯვენა
შუამარბს აქეთ-იქით შემოუსხდნენ არანაკლებ ლეგენდა-
რული ბორის პაიჭაძე და ცნობილი მსაჯი, მწვრთნელი და
წარსულში ასევე ცნობილი ფეხბურთელი ვახტანგ რამი-
შვილი.

მთელი 21 ივლისი ედინბურგში გავატარეთ. უცხოეთში
მოგზაურობისას საკმაოდ ბევრ საქვეყნოდ აღიარებულ,
სახელგანთქმულ ქალაქში მომიწია ყოფნა, ნაგრაჟ შე-
მიძლია ვთქვა, რომ ედინბურგისთანა ლამაზი და წარმტა-
ცი ქალაქი ალბათ არ მინახავს. მთავარი ადგილზე
გაშენებული ეს ზღაპრული ქალაქი, რომელსაც ძალღობი-
დან სტიუარტის რუხი ციხე-კოშკი გადმოჰყურებს პირქუ-
შად, მწვანე მდელოებით, შადრევნებით, ხეივნებით, პარკე-
ბითა და საუცხოოდ ნაგები შენობებითაა დამშვენებული.
აქ ბალახიც რაღაც განსაკუთრებით მწვანეა, ქორფა და
ხასხასა და ამ მოლზე სიარულს არავინ გიშლის: ქალაქის
ცენტრში აბიბინებულ კოინდარზე თუ რომელიმე სხვა
ბალის მოლზე იკოტრიალეთ, რამდენიც გენებოთ, წამოწე-
ქით გაზეთით თუ წიგნით ხელში, ან, თუ გსურთ, წაუძი-
ნეთ კიდევ... საკმაოდ ინტენსიური მოძრაობის მიუხედა-
ვად, ედინბურგი საოცრად წყნარი, ერთი შეხედვით,
მთვლემარე ქალაქია, რომელშიც ძალუმად ჩქეფს თანა-
მედროვე ცხოვრება.

მაშ ასე, 23 ივლისს სანდერლენდში სსრ კავშირის ნაკ-
რებმა ითამაშა თავისი პირველი მეოთხედფინალური მატჩ-
ი — უნგრეთის ეროვნულ გუნდს შეხვდა (მანამდე ლონ-
დონში ინგლისელებმა სძლიეს არგენტინელებს -- 1:0).
ასევე 23-ში შეფილდში გერმანიის ფედერაციული რესპუბ-
ლიკის ნაკრებმა იოლად დაამარცხა ურუგვაის ეროვნული

გუნდი — 4:0, ხოლო პორტუგალიელებმა ლივერპულში კატასტროფული „სადებიუტო ნაწილის“ — 0:3 — შემდეგ ეუსებიოს მეცადინეობით მოუგეს კორეელებს — 5:3).

სსრ კავშირის ნაკრები საასპარეზოდ ასეთი შემადგენლობით გამოვიდა: იაშინი, პონომარიოვი, შესტერნიოვი, ვორონინი, დანილოვი, საბო, ჰუსაინოვი, ჩისლენკო, ბანიშევსკი, მალოფეევი, პარკუიანი.

უნგრეთი: გელეი, კაპოსტა, მესეი, მატრაი, სეპეში-სედუნკა, შიპოში, ი. ნადი, რაკოში, ბენე, ალბერტი, ფარკაში.

მატჩს სჯიდა ი. გარდეასაბალი.

საბჭოთა ნაკრების უფროსი მწვრთნელი ნ. მოროზოვი რთული პრობლემების წინაშე აღმოჩნდა. ხურცილავა, რომელსაც ალბერტის „დაჭერა“ ჰქონდა დაკასრებული, ავად გახდა. მწვრთნელის „იძულებითი სვლა“ სწორი და ილბლიანი გამოდგა — იმ დღეს ალბერტს, ამ მაღალტექნიკურ, ეშმაკ, მოქნილ და სწრაფ თავდამსხმელს ჩინებული მეურვეობა გაუწია ვორონინმა. ვორონინის გადაადგილებამ ვაკუუმი გააჩინა ნახევარდაცვაში. და აი, მისი ადგილი დაიკავა მარცხენა გარემარბმა ჰუსაინოვმა, ამ უკანასკნელის პოზიცია კი — პარკუიანმა. საბოლოოდ ყველაფერი კარგად დასრულდა: ჩისლენკომ და პარკუიანმა დაანინაურეს თავიანთი გუნდი, რასაც ბენეს ერთადერთი საპასუხო გოლი მოჰყვა. ამრიგად, საბჭოთა ფეხბურთელები ნახევარფინალში გავიდნენ. ეს უკვე დიდი მიღწევა იყო. მანამდე, მსოფლიო ჩემპიონატებში მათ ხომ ორჯერ წაიბოროდიკეს სწორედ ამ ეტაპზე.

25 ივლისს ლივერპულის „გუდისონ პარკის“ მინდორზე ერთმანეთის პირისპირ დადგნენ გფრ-ისა და სსრ კავშირის ნაკრები გუნდები.

გფრ: ტილკოვსკი, ლუცი, შულცი, ვებერი, შნელინგერი, ბეკენბაუერი, ჰალერი, ოვერატი, ზეელერი, ჰელდი, ემერიში.

სსრ კავშირი: იაშინი, პონომარიოვი, შესტერნიოვი, ვორონინი, დანილოვი, საბო, ჰუსაინოვი, ჩისლენკო, ბანიშევსკი, მალოფეევი, პარკუიანი

თამაშს სჯიდა იტალიელი კ. ლო ბელო.

შეხვედრა თავიდანვე უაღრესად დაძაბულად წარიმართა და ორივე კართან უხვად იქმნებოდა მწვავე მომენტები. პირველი. ტაიმის მიწურულს პალერმა ანგარიში გახსნა. გერმანელები შესამჩნევად გააქტიურდნენ მას შემდეგ, რაც საბო დაშავდა (იგი, ცხადია, მთელი ძალით ვიღარ თამაშობდა), ხოლო ჩისლენკო მსაჯმა უბეშობისთვის მიჩიტიდან გააძევა. 69-ე წუთზე ბეკენბაუერმა მიორჯილ აილო იაშინის კარი, ხოლო მატჩის დაძთავრებამდე 3 წუთით ადრე პარკუიანმა ერთი საპასუხო გოლი გაიტანა.

მეორე ნახევარფინალური მატჩი (ინგლისი — პორტუგალია) 26 ივლისს გაიმართა ლონდონში: „უემბლის“ სტადიონზე 95 ათასმა მაყურებელმა მოიყარა თავი. თამაშად შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო შესანიშნავი ინგლისელი ფეხბურთელის ბობი ჩარლტონის ბენეფისი. ამ დაულალავ სპორტსმენს გულის ნაცვლად თითქოს ძრავა ეუგა მკერდში — მთელი 90 წუთის განმავლობაში არ გაჩერებულა, მეტისმეტად მახვილგონივრულად, საოცარი აღტკინებით, ბრძნულად ხელმძღვანელობდა თავის გუნდს და ორივე ბურთიც გაიტანა: ჯერ პორტუგალიელთა მეჰარე პერეირას მიერ უხეიროდ უკუგდებულ ბურთს მიუღწერო, მერე კი მძლავრად დაარტყა მეტოქის კარში.

რაც შეეხება პორტუგალიელთა „შავ ავაზას“, იგი ამ დღეს ინგლისელებმა ერთობ ეშმაკურად განაიხარაღეს. აი, რას წერდა ამის შესახებ თბილისში გაზკეთ „ლელოს“ მიერ გამოცემული ალბომი „VII მსოფლიო ჩემპიონატი“: „მეტად პრინციპული დუელი მხოლოდ მსაჯის საფინალო სასტვენმა შეწყვიტა. მანამდე კი უაღრესად რთულ და ღრმა-შინაარსიან ბრძოლაში „ურთიერთობას არკვევდნენ“, ინგლისელთა კერპი რ. ჩარლტონი და ევროპის საუკეთესო ფეხბურთელი ეუსებო. ამ ჭიდილში როგორც მორალური, ისე ფაქტობრივი უპირატესობა ბრიტანელის მხარეზე აღმჩინდა: მის ორ ეფექტურ გოლს პორტუგალიელმა მხოლოდ ერთით, ბრწყინვალედ შესრულებული პენალტით უპასუხა. ჩარლტონის გამარჯვება, პირველ ყოვლისა, ინგლისელთა სწორი სტრატეგიის ნაყოფი გახლდათ. მასპინძლებ-

მა მეტად ეფექტური საშუალება გამოიჩინა ეუსებრიოს წინააღმდეგ. ამ სახიფათო პორტუგალიელის შთავარი „ოპონენტი“ სტაილზი გახლდათ, ხოლო სტაილზის დამხმარე — მთელი დაცვა. მცველები „ესტაფეტით“ გადასცემდნენ ერთმანეთს ეუსებრიოს ისე, რომ ყოველ მომენტში მის პირისპირ ერთი ინგლისელი მაინც ყოფილიყო. ამ ღრმად გააზრებულმა ტაქტიკამ „შავი ავაზა“ მოაცილა ყველაზე სახიფათო ზონას — საჯარიმო მოედანს. თავდასხმის სიღრმიდან კი ინგლისელთა ეშელონური დაცვის გარღვევა წარმოუდგენელ სირთულეს ქმნიდა“.

ამრიგად, ფინალში გავიდნენ ინგლისისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრები კოლექტივები, ხოლო !!! ადგილისთვის ბრძოლაში ერთმანეთს უნდა შეხვედროდნენ პორტუგალიისა და საბჭოთა კავშირის გუნდები.

და აი, დადგა 28 ივლისი. „უეშბლია“ სტადიონი. 65 ათასი მაყურებელი.

პორტუგალია: პერეირა, ფესტა, კონსეისაო, გრასა, ბაპტისტა, კარლოზ და სილვა, აუგუსტო, კოლუნა, ჭირრესი, ეუსებრიო, სიმოესი.

სსრ კავშირი: იაშინი, პონომარიოვი, ვორონინი, ხურცილავა, კორნეევი, დანაილოვი, სიჭინავა, მეტრეველი, ბანიშევსკი, მალოფეევი, სერებრიანიკოვი.

მსაჯი კ. დაგნელი (ინგლისი).

„გაუგებარია, რატომ ითამაშა მურთაზმა მარტივ სიტუაციაში ხელით, როცა საჯარიმო მოედანზე ტორესისთვის გაგზავნილი მაღალი ბურთი შეაჩერა“ (ჩანაწერი ჩემი ბლოკნოტიდან). ეს მოხდა მე-13 წუთზე და აჰან, ცხადია, გარკვეული დალი დაამჩნია მატჩის შემდგომ მსვლელობას. ეუსებრიომ, რა თქმა უნდა, უშეცდომოდ დაარტყა პენალტი. თამაშის მერე დანილოვი იტყვის: „ამ საბედისწერო პენალტის შემდეგ მურთაზი ყველა ჩვენგანის მაგივრად თამაშობდა. საცოდაობა იყო მისი ყურება, იმდენად განიცდიდა მომხდარს“.

44-ე წუთზე მეტრეველი სწრაფად გაიჭრა თავის ფლანგზე, მოხდენილად აუარა გვერდი მეტოქესა ორ მცველს და ანგარიში გაათანაბრა.

შესვენების შემდეგ თამაში გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა და შეხვედრა თითქოს 90 წუთში ვერ უნდა დატეულიყო, მაგრამ 88-ე წუთზე ტორესმა საბჭოთა ნაკრების კართან ჩამოწოდებული ბურთი ძირს დაუშვებლად, მძლავრად დაარტყა მიზანში — 2:1. „საბჭოთა კავშირის ნაკრებს დღეს ძალიან ეტყობა შესტერნიოვის არყოფნა — სტოპერებმა პორტუგალიელებთან აშკარა შეცდომებით ითამაშეს“ (ჩანანერი ბლოკნიტიდან).

30 ივლისს გამართული ფინალური მატჩი, ფეხბურთის ნამდვილი ზეიმი იყო. „უემბლის“ სტადიონის ტრიბუნები ზღვასაღივთ ღელავდა — ინგლისისა და დასაკლვით გერმანიის სახელმწიფო აღმების, ათასნაირი ტრანსპარანტებისა და ლოზუნგების გამუდმებული ქნევა და ზრიალი მართლაც აბობოქრებული ზღვის ტალღების შთაბეჭდილებას ქმნიდა. 98 ათასმა მაყურებელმა ბოიყარა თავი ტრიბუნებზე, ამ აღმებით კი ორში ერთი კაცი მანც იყო შუიარაღებული. წარმოადგინეთ, 45 ათასზე მეტი ასეთი მოფრიალე ბაირალი!..

შვეიცარიელმა მსაჯმა გ. დინსტმა პეტოქენი საასპარეზოდ გამოიძახა.

ინგლისი: ბენქსი, კოენი, უილსონი, სტაილსი, ჯ. ჩარლტონი, მური, ბოლი, პიტერსი, რ. ჩარლტონი, პერსტი, ჰანტი.

გფრ: ტილკოვსკი, ჰიოტგესი, შნელინგერი, ბეკენბაუერი, შულცე, ვებერი, ჰალერი, ზეელერი, ჰელდი, ოვერატი, ემერიპი.

მე-12 წუთზე ჰალერმა საუცხოოდ გამოიყენა უილსონის შეცდომა და უძლიერესი დარტყმით ანგარიში გახსნა. 6 წუთის შემდეგ ჰერსტმა თავური დარტყმით თანაფარდობა აღადგინა და ისედაც დაძაბული ვითარება კიდევ უფრო გამწვავდა. შესვენების შემდეგ მასპინძლებმა უაღრესად მძაფრი იერიშები განავითარეს და 78-ე წუთზე პიტერსმა მეორე ბურთი მოათავსა გერმანელთა კარში. ტრიბუნებზე ნამდვილმა ქარტახილმა გადაიარა — ინგლისელებმა ირწმუნეს თავიანთი გუნდის გამარჯვება და გამაყრუებელი კიჟინა დასცეს. დასავლეთგერმანელ ტურისტთა

აღმები მასპინძელთა დროშებისა და ტრანსპარანტები
ზოპოქარ ოკეანეში ჩაიძირა.

მართლაც, ინგლისელთა გამარჯვებას თითქოს აღარ
ფერი ედგა წინ — დრო იწურებოდა, დაიწყო 90-ე წუთი
და აი, ამ მომენტში მსაჯმა მასპინძლები დააჯარიმა. ინგ-
ლისელთა საჯარიმო მოედანზე თითქმის ყველა ფეხბურ-
თელმა მოიყარა თავი და გერმანელებმა სწორედ იქი
დაარტყეს ბურთი. წამიერი არეულობის შემდეგ ბურთს და-
ეუფლა ვებერი, რომელმაც ზუსტად დაარტყა. 2:2!

ძირითადი დროც ამოიწურა.

მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიაში მეორედ გახდ-
საჭირო დამატებითი დროის დანიშვნა (პირველად — 193
წელს რომში, როცა იტალიის ნაკრებმა II ჩემპიონატი
წინააღმდეგობით დაამარცხა ჩეხოსლოვაკიის ეროვნულ
გუნდი — 2:1).

დაიწყო გადამწყვეტი ბრძოლა. მეტოქეთა თამაშის მა-
ნერა დაახლოებით თანაბარი გახლდათ: მკაცრი, ძალისმი-
ერი, სწრაფი მოქმედება ბურთის დაუყოვნებელი გრძელ-
გადაცემებით, მჭიდვო მეურვეობა დაცვაში სონალურ
და პერსონალური დაცვის მონაცვლეობა საიმედო ურთი-
ერთდაზღვევით. ესაა, რომ გერმანელები გაცილებით უკეთ
იყენებენ ფლანგებს.

კაცმა რომ თქვას, მატჩის ბედი მე-150 წუთზე გადაწყ-
და. ჰერსტმა საკმაოდ შორიდან ძლიერად დაარტყა, ბურ-
თი მოხვდა გერმანელთა კარის ზედა ძელს, ასხლტა და
მიწაზე დავარდა... ინგლისელებმა სიხარულით ხელები
აღმართეს, დინსტი დაიბნა, მან თამაში შეაჩერა და გვერ-
დითი მსაჯისკენ, ბაქოელი ტ. ბახრამოვისკენ გაიქცა. ბახ-
რამოვმა მთელი თავისი მოქმედებით აღნიშნა კარის აღება
— აქაოდა ბურთი კარის ხაზის შიგნით დაეცაო... ზეელე-
რი და მისი ამხანაგები ამოოდ შეეკამათნენ ჯერ ზახრამოვს,
მერე დინსტს.

ასეა თუ ისე, ამის შემდეგ ინგლისელებისთვის მატჩის
მოგება, როგორც მოჭადრაკეები ამბობენ, ტექნიკის საქმე
იყო. მათაც საკმაოდ მშვიდად მიიყვანეს საქმე ბოლომდე.
უფრო მეტიც: 120-ე წუთზე ჰერსტი სწრაფად გაიქრა გერ-
ში

მანელთა კარისკენ და ყუმბარისებური დარტყმით მეოთხე ბურთი გაიტანა — 4:2.

ინგლისელთა ბედნიერებას საზღვარი არ უჩინდა. ეს გახლდათ ნამდვილი ეროვნული დღესასწაული. საზეიმო კი ინგლისელებს მართლაც ჰქონდათ: ფეხბურთის სამშობლოს ნაკრებმა პირველად მოიხვეჭა უძლიერესის სახელი დედამიწის ზურგზე!

ინგლისის დედოფალმა ელისაბედმა მრავალათასიანი ტრიბუნების ღრიანცივლში ოქროს ქაღალმერთი გადასცა გამარჯვებული გუნდის კაპიტანს, საქვეყნოდ სახელგანთქმულ ცენტრალურ მცველს რობერტ მურს.

შეხვედრა დედოფალთან

...„უემბლის“ სტადიონის ტრიბუნებიდან სახალხო ზეიმმა ქალაქის ქუჩებში, მოედნებსა და პარკებში გადაინაცვლა. მე და ერთი ჩემი მოსკოველი კოლეგა პრესის ლოჟიდან გამოვედით. და ჩვენი ავტობუსისკენ მიმავალი გზა მოვჭერთ — სტადიონის კიბეებს აღარ ჩავეყვით, ზედა ბაქანზე გავედით, — იქიდან უფრო ახლოს იყო ავტობუსების სადგომი. ბაქანზე ცოტა გავიარეთ და პოლიციელების კორდონს გადავეყარეთ, განიერი ალყა შემოერტყათ ორი გაკრიალებული შავი „როლს-როისისთვის“. ამას ყურადღება არ მივაქციეთ, მაგრამ ერთმა წარმოსადგემა ახალგაზრდა კაცმა გაგვაჩერა, სად მიდიხართო? მეორე, ასევე სამოქალაქო ტანსაცმელში გამონწყობილი ზორბა კაციც მოვიდა, რაღაც გვანიშნა. ამ ახსნა-განმარტებაში რომ ვიყავით, ბაქანზე ტრიბუნის დიდი კარი გაიღო და იქიდან მოლიმარი ელისაბედ დედოფალი გამობრძანდა. გვერდით მეუღლე — ედინბურგის პერცოგი ფილიპ II მოჰყვებოდა. ამათ რამდენიმე კაცი მოსდევდა სჯა-ბაასით. პოლიციელები და ეს ჩვენი „ახალი ნაცნობები“ ლარივით გაიჭიმნენ. დედოფალი ელისაბედი და მისი მეუღლე პირველ მანქანაში ჩასხდნენ, „ჩვენი ნაცნობები“ წამსვე მოგვშორდნენ, მეორე მანქანაში შევარდნენ. და ავტომობილებიც დაიძრა. ჩვენც წავედით და ჩავსხედით ჩვენს ავტობუსში, რომელიც მოზეიმე ხალხში ჩაძირულიყო.

როგორც ცნობილია, ინგლისის ნაკრების მწვრთნელმა ალფ რამსეიმ უარი თქვა გარემარბებზე, რამაც სპეციალისტთა და ჟურნალისტთა ერთი ნაწილის დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. შემდეგ გამოიჩინა, რომ რამსეი იძულებული ყოფილა ასე უცნაურად მოქცეულიყო — ეს იყო მისი, ასე ვთქვათ, ბუნებრივი უარი გარემარბებით თამაშზე. ამ საქციელის მოწინააღმდეგეებს მწვრთნელმა ასე განუმარტა თავისი გადაწყვეტილება: „არ გეგონოთ, რომ მე საერთოდ ვარ გარემარბების წინააღმდეგი. უბრალოდ, ახლა ინგლისში არ მეგულება ისეთი კლასის გარემარბები, რომლებიც ნაკრებში თამაშის ღირსნი არიან და მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობას იმსახურებენ“.

ამ ხარვეზს ინგლისის ნაკრები განაპირა მცველების კონცისა და უილსონის შეტევითი ოპერაციებით ინაზღაურებდა. ეს ორი ფეხბურთელი საკმაოდ ხშირად ერთვოდა თავისი გუნდის იერიშში (ამას დროდადრო აკეთებდა ბოლიც), მაგრამ მაინც შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ რამსეიმ თავისი გუნდი უფრთებოდ ათამაშა. სამწუხაროდ, ჯოველივე ამას მოჰყვა სხვა მწვრთნელების ბრბა მიმბაძველობა და ეს წამხედურობა საკმაოდ ხანგრძლივი აღმოჩნდა. ამან დიდად დააზარალა ფეხბურთი. მიოლოდ 1974 წელს პოლონეთმა დაარღვია ეს მავნე მოდა ნაკრები კოლექტივების დონეზე (მანამდე სხვადასხვა ქვეყნის საკლუბო გუნდებში გარემარბები ძველებურად უაღრესად დიდ როლს ასრულებდნენ) — შესანიშნავი გარემარბებით წარსდგა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გამართული X მსოფლიო ჩემპიონატის სარბიელზე. ეს ვარემარბები იყვნენ ლატო და გადოსა.

მსოფლიო ჩემპიონი მუდამ ხდება ფეხბურთის ეტალონი და მიბაძვის საგნად იქცევა. თანაც მას ყოველთვის მოაქვს სარგებლობა და პროგრესი. ამას ადასტურებს მსოფლიო ჩემპიონების — იტალიის, ბრაზილიის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, არგენტინის ნაკრები გუნდების მაგალითი. მარტო მოთამაშეთა განლაგების ბრაზი-

ლიური სქემა და დასავლეთგერმანული ტოტალური ფეხბურთის გახსენება კმარა ზემოთქმულის დასტურად. მართალია, არგენტინის XI მსოფლიო ჩემპიონატს: რაღაც განსაკუთრებული სიახლე არ მოუტანია, მაგრამ ჩემპიონი — არგენტინის ნაკრები მაინც სამაგალითო გახლდათ, თუნდაც ტოტალური ფეხბურთის შექმნაში გამდიდრებისთვის, მისთვის გასაოცრად მაღალი ტემპის მიცემისთვის, ასე ვთქვათ, ჩქაროსნული ტოტალური ფეხბურთისთვის.

პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ VIII მსოფლიო ჩემპიონატში გამარჯვებულმა ინგლისის ნაკრებმა უარყოფითი როლი ითამაშა. ამ მხრივ და არაოთუ გაამდიდრა, არამედ აშკარად გააღარიბა ფეხბურთი. მაგრამ თუ რამსეი იძულებული იყო უგარემარბებოდ ეთამაშა, სხვებს მისთვის, რა თქმა უნდა, არ უნდა მიეზღაოთ. კიდევ კარგი, რომ ფეხბურთმა ეს საღარიბე „ვერ აიტანა“, ისევ შეისხა ხორცი და თავის მრავალმილიონიან გულშემატკივრებსა და თაყვანისმცემლებს კვლავ სრულად წარმოუდგინა თავისი შესაძლებლობანი.

1980 წ.

ნეტარ არიან მორწმუნენი!

მსოფლიოს VIII საფეხბურთო ჩემპიონატი უკვე ორთვენახევარზე მეტია დამთავრდა, მაგრამ მიძინებული ვულკანისა არ იყოს, ახლაც, ამდენი ხნის შეშდეგ, თავს წამოყოფს ხოლმე და მისი ექო დედაშინის ხან რომელ კუთხეში გაისმის; ხანაც რომელში... უკვე ვგრძნობთ ზოგიერთის უკმაყოფილო მზერას: ორთვენახევარი რა ისეთი დროა! ინგლისის ჩემპიონატი კიდევ დიდხანს იქნება მთელი სამყაროს ფეხბურთელთა და სპეციალისტთა კვლევა-ძიებისა და შესწავლის საგანი, შეგვეკამათებინ ისინი.

ეს, მართლაც, ასეა. მაგრამ გაღვიძებული ვულკანის ექოში ჩვენ ვგულისხმობთ სამხრეთ ამერიკისა და ევროპის ზოგიერთ სახელმწიფოს (არგენტინა, პოტლანდია, შვეიცარია და სხვ.) საქვეყნოდ გახმაურებულ და, ჩვენი აზრით, არცთუ დაუსაბუთებელ მოთხოვნებს — რადიკალურად შეიცვალოს ჩემპიონატის ჩატარების წესი და რიგი.

ეს მოთხოვნები ბევრ ფაქტსა და მოსაზრებაზე დაფუძნებული. ჭეშმარიტად აქვს უკმაყოფილების საბაბი არგენტინის ფეხბურთის ფედერაციას. ამ ქვეყნის ნაკრებს ინგლისში ძალიან უსინდისოდ მოექცნენ: არგენტინელთა კაპიტნის რატინის გაძევება ინგლისელებთან ხეოსანედფინალურ მატჩში აშკარა უსამართლობა იყო. დასაჯლეთ: გერმანელი მსაჯი კრაიტლაინი საკმაოდ მაღალი რანგისა გახლავთ. ჩვენ რამდენიმეჯერ ვნახეთ მისი არბიტრობა და უნდა გითხრათ: კარგი მსაჯია. ამჯერად, ინგლისისა და არგენტინის ნაკრებთა შეხვედრაში, მან ერთობ კარგად იცოდა თავისი საქმე.

არასოდეს დამავინწყდება ფეოლას ნაღვლიანი სახე
ლონდონიდან გამოფრენის დღეს. იგი საოცრად სევდიანი
თვალებით გაჰყურებდა აეროდრომის ბეტონის ბილიკს,
რომელზეც მეტისმეტად იმედიანი დაჯდა ამ სამი კვირის
წინათ და რომელსაც დღეს ასე ხელმოცარული უნდა აეშ-
ვა ცაში.

და აი, ფეოლამ გვითხრა:

— ინგლისელებს ერთხელ მიეცათ ჩემპიონის ტიტუ-
ლის მოპოვების შესაძლებლობა და ისინი ამ შანსს, ცხა-
დია, ხელიდან არ გაუშვებდნენ.

რამდენი რამ იმალებოდა ამ სიტყვებში..

არ გეგონოთ, რომ მასპინძელთა ნაკრები ღირსი არ
იყო ჩემპიონის წოდებისა. ინგლისის სტადიონებზე მოასპა-
რზე 16 გუნდიდან, ჩვენი აზრით, 5 კოლექტივი საგრძნობ-
ლად სჯობდა დანარჩენებს და ამ ხუთეულიდან ყველას
თანაბრად და ღირსეულად დაშვენდებოდა ოქროს ბრწყინ-
ვალება. ეს ხუთეული იყო: უნგრეთი, ინგლისი, გფრ, პორ-
ტუგალია, არგენტინა.

აბა, რას გულისხმობდა ვატერლოოგადამხდარი ფეოლა
თავის სიტყვებში?

ბევრ, ერთი შეხედვით, წვრილმან მოძენტს, რომლებ-
მაც საბოლოო ჯამში ნერვები დაუმშვიდა ინგლისისა ნაკ-
რების ფეხბურთელებს. ეს კი პატარა ამბავი როდი იყო!
მით უმეტეს, რომ მასპინძლები, მღელვარებისა თუ კიდეე
სხვა მიზეზთა გამო, თავდაპირველად, ქვეჯგუფის მატჩებ-
ში, საკმაოდ „ჩვეულებრივად“ გამოიყურებოდნენ.

მაშ ასე: იგრძნობოდა ჩემპიონად ინგლისის ნაკრების
„გათრევის“ ტენდენცია. ამ ერთგვარად უხერხული მო-
საზრების დასამტკიცებლად მკითხველს შეგვიძლია ვავახ-
სენოთ ინგლისელთა გუნდის აშკარად პრიფილეგირებული
მდგომარეობა: საუცხოო რეგლამენტი, შეხუდრები ქალა-
ქიდან (ლონდონიდან) გაუსვლელად, მსაჯულებისადმი გადა-
მეტებულ სტუმართმოყვარეობას ნებისით თუ უნებლიეთ
მოყოლილი ფსიქოლოგიური გავლენა (ზემოქმედებაზე იქ-
ნებ მეტისმეტია ლაპარაკი!), ერთ შემთხვევაში -- კარტის
ჩანყოფის მსგავსი რაღაც (მხედველობაში მათვეს მყოფიდე-

ფინალური მატჩები: ინგლისი — არგენტინა, გფრ ურუგვაი, დასავლეთგერმანელი (კრაიტლაინი) და ინგლისელი (ფინი) მსაჯების მომსახურებით — პრინციპით: ხელი ხელს ბანს)...

ყოველივე ამან პირადად ჩემზე (და ჩემს პეერ ამხანაგებზე) უსიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა.

მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს ვთქვათ, რომ ინგლისის ეროვნულმა გუნდმა, ბოლოს და ბოლოს, მაინც საკადრისად დაიდგა თავზე ჩემპიონის გვირგვინი: მან სწორედ ჩემპიონის სტილში, შესანიშნავად ჩაატარა ნახევარფინალური და ფინალური მატჩები. მაგალითად, პორტუგალიელებთან მასპინძელთა ნახევარფინალური მატჩი (რომელიც საოცრად მაღალ დონეზე იმსაჯა ფრანგმა შვინტემ) — ეს იყო თანამედროვე ფეხბურთის ნაღდი ქრესტომათია! თამაშის შემდეგ ჯერ ჩვენი ცნობილი მწვრთნელი ვახტანგ რამიშვილი შემხვდა, მერე ჩვენი სასიქადულო ბორის პაიჭაძე და ორივემ ერთნაირი ფრაზა მომახალა: „აი, თურმე როგორ შეიძლება ფეხბურთის თამაში!“ რაღა შეთქმოდა — მწვანე მინდორზე მსგავსი რამ შე, მით უმეტეს, არასდროს მენახა. რაღაც წარმოუდგენლად გახარებული, ამაყი და ბედნიერი ვიყავი: თანამედროვე ფეხბურთის სიდიადითა და ინტელექტით გახარებული, ამაყი და ბედნიერი.

ინგლისელებმა ფინალურ მატჩშიც თვალნათლივ გვიჩვენეს, რომ დაძაბულობის ბორკილები მათ ქვეჯგუფის ტურნირის მოლიპულ გზაზე მოიხსნეს და იქვე დატოვეს.

ფინალი: ინგლისი — გფრ — ეს იყო გლადიატორთა ბრძოლა! ეს იყო ვაჟკაცური და უაღრესად ღრმაშინაარსიანი, უშელავათო ჭიდილი ღირსეული მეტოქეებისა, რომლებმაც ბევრს ათქმევინეს: „აი, თურმე როგორ შეიძლება ფეხბურთის თამაში!“

საქმი ის გახლავთ, რომ ზემოაღნიშნული ნახევარფინალური მატჩისგან იგი თვალსაჩინოდ განსხვავდებოდა. არა, კლასითა და დონით კი არა! ეს უფრო ათლეტური და მკაცრი შეხლა იყო, უფრო რაციონალისტების შეხვედრა, ამან მეტოქეთა უფრო მეტი ჯაფა და ნებიაყოფა მოით-

ხოვა (120 წუთი ხუმრობა საქმეა?!). განსხვავდებოდა აქედან გამომდინარე სხვა დეტალებითა და ნიუანსებით.

ინგლისის მსოფლიო ჩემპიონატში ჩვენ სამი საინტერესო რამ „აღმოვაჩინეთ“.

1. ყბადალებული ბრაზილიური სქემის 4—2—4 მითიურობა. ამ სქემით გუნდები მოქმედებდნენ მხოლოდ მსაჯის სანჯისი სასტვენის წინ, ე. ი. კი არ მოქმედებდნენ, მხოლოდ განლაგდებოდნენ ხოლმე. როგორც კი მსაჯი თამაშის დანწყების ნიშანს მისცემდა, სადღა იყო ეს 4—2—4! უმეტეს შემთხვევაში ჩვენ ვხედავდით განლაგებას 4—3—3 და უფრო იშვიათად 4—4—2-ს (კორეელთა და უღალავი გუნდი კი 'რომ ავიღოთ. იგი ფეხბურთის მინდორზე, ასე ვთქვათ, კალათბურთს თამაშობდა, თანაც, პრესინგიან კალათბურთს). 4—2—4 კი არ ჩანდა და ამ ქარგით მხოლოდ მისი ავტორები — ბრაზილიელები თუ თამაშობდნენ. ერთი სიტყვით, ყოველი გუნდი თავისი რეალური შესაძლებლობებიდან (შემსრულებლებიდან) გამოჟიოდა.

ამასთან დაკავშირებით, ჩვენი ერთი გულსტიკივილი გვსურს გაგიზიაროთ. თავისთავად ძალიან პროგრესულმა და ეფექტურმა ბრაზილიურმა სქემამ გილიოტინასთან მიიყვანა ფეხბურთის ისეთი შესანიშნავი ინსტიტუტი, როგორც შუამარბების ინსტიტუტი იყო. მიიყვანა და თავიც მოჰკვეთა! ეს მეტისმეტად დაუნდობელი ნაბიჯი გახლდათ და მან პირადად მე ძალზე დამწყვიტა გული. თავს ნაწილობრივ იმიტ ვინუგეშებ, რომ ბევრი დღევანდელი ნახევარმცველი რალაცნაირად მაინც ჰგავს შუამარბს. მაგრამ ინგლისის სტადიონებზე უარესი სურათი ვიხილეთ: ზოგიერთ თამაშში საერთოდ არ ჩანდნენ... გარემარბები! გავიხსენოთ, თუნდაც, საბჭოთა ნაკრების შეხვედრა პორტუგალიელებთან: ჩვენი გუნდი უმარცხენა გარემარბოდ თამაშობდა. სერებრიანიკოვი, რომელიც ვითომ მარცხენა გარემარბი იყო, ერთხელაც არ გამოჩენილა მარცხენა ფრთაზე — იგი კეთილსინდისიერად ასრულებდა მწვრთნელის დავალებას: უკან, ზურგში მოქმედებდა. ჩვენს მარცხენა ფლანგზე კი შექმნილი იყო ვაკუუმი; რომლის ამოვსებაზე არავინ ფიქრობდა.

ყოველივე ამან, ცხადია, დიდად შეანელა სსრ კავშირის ნაკრების საიერიშო პოტენციალი და პორტუგალიელთა მცველებს საგრძნობლად გაუიოლა ცხოვრება. უგარემარებებოდ თამაში ფრთებდალენილი არნივის ამომოძალებას, ფაფხურს შეიძლება შეადაროს კაცმა.

2. მეკარეთა სუსტი თამაში. ეს პირდაპირ საკვირველი იყო. ბევრ გუნდს მხოლოდ და მხოლოდ მეკარემ და სწორედ მეკარემ გამოჭრა ყელი. მაგალითები? ინებეთ: ჰულგარელებმა ნაიდენოვის „წყალობით“ წააგეს მატჩი ბრაზილიელებთან, ბრაზილიელი მანგა ძალიან ცუდად იდგა პორტუგალიელებთან ორთაბრძოლაში, ხოლო მანამდე ჟილმარი — უნგრელებთან. უნგრელმა გელეიმ ორივე გოლი აჩუქა საბჭოთა ნაკრებს, ხოლო მანამდე სენტმიხაიმ ასეთივე „საჩუქარი“ მიართვა პორტუგალიელებს...

საკმარისი ხომ არ არის მსოფლიო ჩემპიონატში მოასპარეზე მეკარეთა რეპუტაციისთვის?

მეკარეები მეტისმეტად ხშირად ცდებოდნენ, მაგრამ არც ამაშია საქმე. მათი მოქმედება საოცრად პრიმიტიული და, შეიძლება ასე ითქვას, ძალზე შეუხედავი იყო (მარტო მუცელზე ვარდნით ბურთის აღება რად ღირდა! სწორედ ამ უხეირო და ულამაზო ხერხის გამო მკერდიდან აერეკლა პირდაპირ დარტყმული ბურთი პორტუგალიელთა მეკარე პერეირას და ბ. ჩარლტონმა იგი დაუყოვნებლივ გაგზავნა კარში).

ცხადია, ეს საყვედური ყველაზე არ ითქმის. კარგი თამაშით გამოირჩეოდნენ ბენქსი (ინგლისი), კარბახალი (მექსიკა), ტილკოვსკი (გფრ) და, განსაკუთრებით, ჩენი მეკარეები იაშინი და კავაზაშვილი. ჩემი აზრით, აშკარად გაბერილია უცხოელი მეკარეების სახელი და ავტორიტეტი. და უკვე სავსებით დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა მეკარეების ბადალი მთელს დედამიწაზე არ მოიპოვება. მარტო ქართული ფეხბურთის კარის ერთგული დარაჯების დოროხოვის, ტყებუჩაევას, მარლანიას (რომ არაფერი ვთქვათ ახლა მოთამაშე მეკარეებზე) გახსენებას უყოყმანოდ მივყავარ დასკვნამდე: სად, უცხოეთის

რომელ გუნდებში დგანან ამოდენა მეკარეები? მერწმუნეთ, არც ერთში!

3. უხეშობა. ამას კი, მართალი გითხრათ, არ მოველოდი. არ მეგონა, რომ უხეში ძალა მთელ რიგ მატჩებში ასე გაუკითხავად დათრგუნავდა ტექნიკას. და აი, აქ, ბუნებრივია, ალავერდს ისევ მსაჯებთან გადავდივარ. უნდა გენახათ, რა გულცივად ხუჭავდნენ თვალს ბრაზილიელებთან (ისინი ხომ თავდაპირველად ინგლისელების მთავარ მეტოქედ მიაჩნდათ!) ბულგარელებისა და პორტუგალიელების აღვირახსნილ, დაუნდობელ გამოხდომებზე საქვეყნოდ ცნობილი მსაჯები — დასავლეთგერმანელი ჩენჩერი და ინგლისელი მაკკეიბი (ისინი ცნობილი არიან სწორედ როგორც უხეშობის წინააღმდეგ მამაცურად და აქტიურად მებრძოლნი). საცოდავ პელებს პორტუგალიელებმა პირდაპირ შავი დღე აყარეს — ფეხებზე ცელები და ჩაქურები გამოიბეს და ცელებს და ურტყეს. სხვა დროს, სხვა სიტუაციაში მსაჯი ამის სანახევრო უხეშობაზე სასტვენს პირიდან არ გამოიღებდა, ახლა კი...

აღმაშფოთებელი სწორედ ეს იყო: მსაჯმა, უბრალოდ, სასიკვდილოდ გაიმეტა ბრაზილიელებიც და პორტუგალიელებიც (პელებს გუნდმა „მხარი აუბა“ მეტოქეს) ჯა სფინქსის პოზა დაიჭირა. იქნებ ამას თავისი შავბნელი ქვეტექსტი ჰქონდა: ლენეთ ერთმანეთი, ერთიცა და მეორეც ინგლისის კონკურენტები ხართო: ვინ იცის, იქნებ...

ასეა თუ ისე, ყოველივე ეს მასპინძელთა წისქვილზე ასხამდა წყალს.

და ისევ მახსენდება ფეოლას სიტყვები, ლონდონის აეროდრომზე რომ გვითხრა 1 აგვისტოს:

— ჩვენ მხოლოდ ერთი გუნდი გვეთამაშა რაინდულად — უნგრეთის ნაკრები.

რახან ბრაზილიელებზე ჩამოვარდა სიტყვა, ვეტყვით, რომ მსოფლიოს ორგზის ჩემპიონისა და ფესბურთის დიდი რეფორმატორის მარცხი კანონზომიერ მოვლენად მეჩვენა, თუმცა, ასეთი რამ ყველასთვის მოულოდნელი იყო. ბრაზილიელთა კრახის უმთავრეს მიზეზად გუნდის ზედმძღვანელთა კონსერვატიზმი მიმაჩნია: არავითარ შემთხვევაში

არ შეიძლებოდა ინგლისში ასეთი დაცვით ჩასვლა. ყველაფერს თავისი დრო აქვს და „ყამთა სიავე“ არავის აპატიებს მის აბუჩად აგდებას, უგულვებელყოფას. ჯ. სანტოსმა, ბელინიმ, ორლანდომ წელთა სიმძიმე არად ჩააგდეს და მწარე გაკვეთილიც იწვინეს: ისინი, უკვე მოუქნელი და სისწრაფედაკარგული ფეხბურთელები, პირდაპირ უსუსურად გამოიყურებოდნენ პორტუგალიისა და უნგრეთის თავდამსხმელ-„სლალომისტთა“ პირისპირ ბრძოლაში. ალბერტი, მაგალითად, მინდვრის სრული ბატონ-პატრონი იყო ბრაზილიის ნაკრებთან შესანიშნავ მატჩში და არტისტულად აკეთებდა იმას, რასაც კი მოისურვებდა. ასევე „უმონყალოდ“ გაუსწორდა მსოფლიოს ორგზის ჩემპიონთ პორტუგალიის ნაკრების ლიდერი ეუსებო.

ალბერტისა და ეუსებოს — ამ ბრწყინვალე, დასვენილი, უაღრესად ემოციური სპორტსმენების გახსენებასთან დაკავშირებით ასეთი აზრი მსურს მოგახსენოთ: ფეხბურთს, გარდა წმინდა სპორტული ფუნქციისა, სხვა დანიშნულებაც აქვს — იგი სანახაობაა და, ამდენად, მან ესთეტიკური ტკბობა, სიამოვნება უნდა მიანიჭოს მაყურებელს და ვინაიდან ფეხბურთს ფეხბურთელები თამაშობენ, ეს დებულება მათაც ასევე ეხებათ. მართალია, ბევრი გუნდისადმი (მათ შორის, სსრ კავშირის ნაკრებისადმიც) ამგვარი საზომით მიდგომა სადღეისოდ ზღაპარია და მათთვის ეს „ზედმეტი“ კატეგორიები (სილამაზე, არტისტიზმი, ემოციური ზეგავლენა), ასე ვთქვათ, ფუფუნების საგანია, მაგრამ ეს სულაც არ ამტკიცებს ჩვენი მოსაზრების მცდარობას. მსოფლიო ჩემპიონატის დასკვნით ეტაპზე მოასპარეჯ ზე გუნდებში უნდა იყვნენ ლამაზად, კოსტად, პენიანად მოთამაშე სპორტსმენები (ასეთად არასოდეს წარმოგვიდგება უტექნიკო ფეხბურთელი).

ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ინგლისში მაყურებელი განსაკუთრებით სწორედ იმ გუნდს გულშემატკივრობდა, რომლისგანაც მაქსიმალურ ესთეტიკურ ტკბობას იღებდა. იქნებ ამიტომაც მომენონა პირადად მე უნგრეთის ბრწყინვალე ნაკრები ყველაზე მეტად! იქნებ, სწორედ ამ მოსაზრებიდან გამომდინარე თქვეს „ფუტბოლის“

მთავარი რედაქტორის მოადგილემ ლ. ფილატოვმა და ცნობილმა მსაჯმა ნ. ლატიშევმა: მესხი რომ აქ ყოფილიყო, ჩვენს გუნდს გაცილებით მეტი გულშემატკივარი გაუჩნდებოდაო.

თორემ რა იყო: რომელ ემოციებსა და ესთეტიკურ შეიძლება ლაპარაკი, როცა გუნდში იყვნენ მალოფევეი (მაპატიოს ნ. მოროზოვმა), პარკუიანი, აფონინი, კორნეევი და ზოგიერთი სხვა (საქმეს ვორონინი, ჩისლენკო და თითო-ოროლა სხვა ვინმე ვერ უშველიდა). და პირდაპირ უნდა ითქვას, რომ სსრ კავშირის ნაკრები სანდერლენდში პოპულარობით მაინცდამაინც არ სარგებლობდა.

„უემბლის“ სტადიონზე პორტუგალიელებთან ძნელმატრში უაღრესად მახვილგონივრულად და დახვეწილად ითამაშა მეტრეველმა. გაზეთებმაც და ხალხმაც უკვე სხვა ტონი და დამოკიდებულება გამოავლინეს. წერდნენ და ამბობდნენ: მეტრეველი ლამაზად თამაშობსო („ძლიერად“ — ასეთ შემთხვევაში თავისთავად იგულისხმება. „ლამაზად“ და „სუსტად“ შეუთავსებელი ცნებებია). საბჭოთა გუნდში კიდევ ყოფილანო მაღალი კლასის ფეხბურთელები (არ შემიძლია აქვე არ აღვნიშნო, რომ იმავე მეტრეველმა პირდაპირ სამარცხვინოდ — უშნოდ და უნიათოდ ითამაშა სანდერლენდში ჩილეს ნაკრებთან).

როგორც ცნობილია, სსრ კავშირის ნაკრებმა ჩემპიონატში IV ადგილი დაიკავა. ეს, უდავოდ, შესანიშნავი წარმატებაა, რაც, პირველ ყოვლისა, დაცვის, ნახევარდაცვისა და მეკარეების კარგმა თამაშმა განაპირობა. მაგრამ ამ მიღწევამ თვალი არ უნდა დაგვახუჭინოს იმ ფაქტორებზე, რომლებმაც, ასე თუ ისე, ხელი შეუწყვეს ჩვენი გუნდის აგრერიკად საპატიო ადგილზე გასვლას და იმ უაღრესად სერიოზულ ხარვეზებზე, რომლებიც კვლავაც ახასიათებს მის თამაშს (ზოგიერთი ჟურნალისტი და სპეციალისტი უკვე „თვალდახუჭული“ წერს და ძალიან სანყენი და გაუგებარია, როცა ქამელეონივით იცვლის სახეს; ინგლისში ერთს ამბობდა, აქ — მეორეს. ეს, ჩემი აზრით, ვერაფერი პატრიოტიზმია. პირიქით!).

ოდნავადაც არ მსურს დავამდაბლო გუნდის უფროსი მწვრთნელის ნ. მოროზოვის არაადამიანური ჯაფა, მონდომება და შრომა, რაც მან ნაკრების მომზადებას შეაღია, მაგრამ უნდა გითხრათ: მოროზოვი ბედნიერ ვარსკვლავზე ყოფილა დაბადებული. ჩვენ, უბრალოდ, აღჩუჩე დაგვიჯდა კოჭი. თორემ, შეიძლება გუნდმა, რომელსაც არც ერთი ცენტრალური თავდამსხმელი არ უვარგა და, ფაქტიურად, მარცხენა გარემარბი არა ჰყავს, ამგვარ ტურნირში საპრიზო ადგილი დაიკავოს?

ჩვენი ბედი, რომ ჯერ საკმაოდ ხელსაყრელ ქვეჯგუფში მოვხვდით, მერე კი უნგრელები მხოლოდ შესვენების შემდეგ გამოფხიზლდნენ სალათას ძილიდან და, თანაც, რაკოშიმ, ევროპის ამ ერთ-ერთმა მაღალტექნიკურმა ფეხბურთელმა, ხუთიოდე მეტრიდან ჩვენი ცარიელი კარის გასწვრივ ჩამონოდებულ ბურთს, უბრალოდ, ფეხი ააცილა.

მაგრამ სპორტი ბრძოლაა და ჩვენს ფეხბურთელებს ზოგიერთ სხვაზე უფრო მაგარი ნერვები აღმოაჩნდათ.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ ვიტყვი, რომ პირადად მე ძალიან გამაოცა სპორტის დამსახურებული ოსტატის ნ. სტაროსტინის პრესაში გამოთქმულმა მოსაზრებამ, თითქოს ჩვენს ნაკრებს უკეთესი ადგილის დაკავება შეეძლო. ნეტარ არიან მორწმუნენი!

ინგლისის ჩემპიონატმა ბევრი სხვა საინტერესო ტაქტიკური სიახლე გვიჩვენა და გუნდების არა ერთი ტაქტიკური ემბაკობის მონმენიც გაგვხადა. მარტო ის რად ღირს, რომ პორტუგალიელებთან შეხვედრაში ინგლისელებმა ეუსებიოს — ამ უაღრესად მიზანმსწრაფი, ფეთქებადი, მრავალფეროვანი და დაუდეგარი დიდოსტატის მეურვეობა პირადად არავის დააკისრეს. და დადგა მოზამბიკელი ზანგი რალაც ფსიქოლოგიური დილემის წინაშე და სანამ ყველაფერში ბოლომდე გაერკვა, მსაჯის საფინალო სასტვენიც გაისმა.

ზემოთ აღვნიშნე, სპორტი ბრძოლაა-მეთქი, მაგრამ ბრძოლა ხომ რაინდების ხვედრი უნდა იყოს. და რა სასიამოვნო იყო, რღცა ბევრ მატჩში ნამდვილი ვაჟკაცური, ჯენტლმენური სული სუფევდა. რა დამავეინყებს, მაგალი-

თად, იმ ამაღლევებელ სურათს, როცა სიმოესმა მთელი მინდორი გაირბინა, რათა ბ. ჩარლტონთან მისულიყო და ხელის ჩამორთმევით მიელოცა... პორტუგალიის კარში ამ ინგლისელი „დასაქოქი მანქანის“ მიერ გატანილი მეორე გოლი. ან იმას, მატჩის შემდეგ თვალცრემლიანმა ეუსებიომ ბენქსი რომ გადააკოცნა. ან იმას, იაშინმა თავის კარში 11-მეტრიანი დარტყმით გატანილი გოლი რომ მიულოცა ეუსებიოს...

წერილის ბოლოს ჟურნალისტთა ტრადიციული შეკითხვა მინდა მივცე... საკუთარ თავს:

— დაასახელეთ მსოფლიოს თქვენი ნაკრები.

აი, ჩემი ნაკრები: კავაზაშვილი (სსრ კავშირი), კაპოსტა (უნგრეთი), შულცი (გფრ), შნელინგერი (გფრ), ბეკენბაუერი (გფრ), მესეი (უნგრეთი), კოლუნა (პორტუგალია), ბენე (უნგრეთი), ბ. ჩარლტონი (ინგლისი), ეუსებიო (პორტუგალია), ბოლი (ინგლისი). ეს „მოხეტიალე“ ფეხბურთელი, ჩემი აზრით, მარცხენა ფლანგზეც აჯობებდა ყველას.

— კი მაგრამ, პელე? — იკითხავთ თქვენ.

პელე ჩემთვის ურყევად რჩება ფეხბურთის მეფედ. მაგრამ ეს ნაკრები ხომ ინგლისის ჩემპიონატის მიხედვითაა შედგენილი: პელეს კი ამ ჩემპიონატში თამაშის საშუალება არ მისცეს.

პელე ალბათ ამავე მიზეზით არც მსოფლიო პირველობაზე აკრედიტებული ჟურნალისტების მიერ შედგენილ სიმბოლურ ნაკრებში შეიყვანეს. ეს გუნდი კი ასეთი იყო: ბენქსი (ინგლისი), კოენი (ინგლისი), ვორონინი (სსრ კავშირი), მური (ინგლისი), მარსოლინი (არგენტინა), ბ. ჩარლტონი (ინგლისი), ბეკენბაუერი (გფრ), ჩისლენკო (სსრ კავშირი), ალბერტი (უნგრეთი), ზეელერი (გფრ), ეუსებიო (პორტუგალია).

სანდერლენდი — ლონდონი — თბილისი.

29 ოქტომბერი, 1966 წ.

მეხიკო, მეხიკო...

ჩემპიონატის პრესცენტრში

ხანგრძლივი ფრენით დაქანცულები ღამის მეხიკომ გამოგვაფხიზლა: თვითმფრინავის ილუმინატორებიდან გადაიშალა ელნათურებისა და შუქრეკლამების უკიდეგანო ოკეანე. ეს იყო საოცარი სანახაობა... ზევიდან ისე ჩანდა, თითქოს ამ უზარმაზარ ქალაქს უამრავი, ათასფრად მოკაშკაშე ცისარტყელის მოციმციმე შარავანდედი ეხურა თავზე.

მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატზე მიმავალმა საბჭოთა ფეხბურთის სპეციალისტებმა და სპორტულმა ჟურნალისტებმა 15 საათში უზარმაზარი ნახტომი გადააკეთეთ: დილის ცხრის ნახევარზე ჩვენი „ილ-62“ მოსწყდა შერემეტიევოს ასაფრენ ბილიკს და იმავე დღეს, დაახლოებით ღამის 11 საათზე მეხიკოს დროით, ამერიკული თვითმფრინავის ბორბლები რბილად შეეხო მექსიკის დედაქალაქის აეროდრომის ბეტონს. უკან დარჩა 14 ათასი კილომეტრი...

ქალაქში შესვლისთანავე დავრწმუნდით, რომ იგი ფეხბურთით ცხოვრობდა. IX მსოფლიო ჩემპიონატისაღმის მიძღვნილი ათასნაირი შუქრეკლამები, მალაზიათა ვიტრინებიდან მომღიმარე ხუანიტო და ბურთზე შემჯდარი არწივის მართვე პიკო. დიდი და პატარა ბურთები, ბურთები ყველგან — ავტომანქანების პარპრიზებსა და უკანა სადკმლის მინაზე, სასტუმროებისა თუ რესტორნების ვესტიბიულებში, კინოთეატრების პოლებში...

... ჩვენი სასტუმრო „მარია იზაბელი“ ქალაქის ცენტრალურ მაგისტრალზე — რეფორმის ქუჩაზეა. ამავე სასტუმროშია ჩემპიონატის პრესცენტრი, რომელსაც ვარდისფერ

მინიკაბებში გამონყობილი მშვენიერი ქალიშვილები ემსახურებიან. წინასწარ უნდა მოგახსენოთ: სტუმართმოყვარე მასპინძლებმა საუცხოოდ გაართვეს თავი ამ რთული საფეხბურთო შეჯიბრების ჩატარებას. ერთობ ოპერატიულად გამოდიოდა ბიულეტენები, მატჩების ოქმები, თამაშების შემდგომ გამართული პრესკონფერენციების სტენოგრამები. ტრანსპორტის საკითხიც კარგად იყო მოგვარებული. წინააღმდეგ შემთხვევაში ძალიან გაგვიჭირდებოდა: ხუმრობა საქმეა — ჩვენს სასტუმროს „აცტეკის“ სტადიონიდან თითქმის 13 კილომეტრი აშორებდა.

პრესცენტრის ერთ-ერთ დიდ დარბაზში დილიდან შუალამემდე არ წყდებოდა საბეჭდი მანქანების კაკუნი. რომელი ქვეყნის ჟურნალისტებს არ შეხვდებოდით ამ ყვებერთელა დარბაზში! მეზობელ ოთახებში ტელევიზორებთან წოველ სალამოს იკრიბებოდნენ სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ჟურნალისტთა ჯგუფები, მაგრამ „ფეხბურთის ენა“ ყველასთვის გასაგები იყო: ყველა ალტაცებული ოხრავდა პელეს ფანტასტიკური ოსტატობისა თუ მიუღწერის გოლების გამო...

ტელეგადაცემებიც ძალიან აზრიანად იყო მოწყობილი. დღის განმავლობაში ჩატარებული მატჩების გარდა, ყოველ სალამოს გვიჩვენებდნენ ყველა შეხვედრაში მომხდარ მწვავე მომენტებსა და გატანილ გოლებს. მეორე დღეს წინა ტურში გატანილ ბურთებსაც გვიჩვენებდნენ და იმდღევანდელსაც (თანაც, რამდენიმე წერტილიდან, შენელებულად). ასე რომ, ჩემპიონატის მიწურულს პირდაპირ გოლების კორიანტელი იდგა.

პრესცენტრში დილიდან შუალამემდე ჩქეფდა ბობოქარი ცხოვრება. რომელ ქალაქს არ ასახელებდა მონოტონური ხმით ტელეფონისტი ქალი: სტოკჰოლმი და რიოდე-ჟანეირო, მოსკოვი და რომი, ლონდონი, ბონი, ჰელსინკი... აქ ბევრი ჟურნალისტი იმ ქვეყნებიდანაც იყო, რომელთა გუნდები ფინალური ტურნირის მიღმა დარჩნენ.

ჟურნალისტები კამათობდნენ, პროგნოზებს აკეთებდნენ, ათასნაირ ნაძღვეს დებდნენ: თავდაპირველად ფავორიტებად ასახელებდნენ ბრაზილიის; ინგლისის, გფრ-ისა

და სსრ კავშირის გუნდებს. მექსიკის ნაკრებს მაინცდამაინც სერიოზულ მეტოქედ არავინ მიიჩნევდა. ეს ასეც მოხდა. მაგრამ, როგორც შემდეგ გამოიჩვენა, ფავორიტთა შორის ზოგიერთს აშკარად მოეცარა ხელი და ჩემპიონატმა მათ ნაცვლად სხვა გუნდების ბრწყინვალე თამაში გვიჩვენა.

„საიდუმლო ორგანიზაცია“ და მისი პრაზიდენტი

„მარია იზაბელის“ 22-ე სართულის სახურავზე მშვენიერი აუზია. პრესცენტრის ხმაურიანი გარემოს შემდეგ იქ ასვლა და თბილ წყალში ჩაყვინთვა მთელ სიცოცხლედ ღირს. ჟურნალისტებიც არ იკლებენ ამ სიამოვნებას და აუზის ხშირი სტუმრები არიან. აქედან კარგად ჩანს რეფორმის ბულვარი და ინსურხენტესის — დედამინაზე ერთერთი უგრძესი ქუჩის ნაწილი (ინსურხენტესი თითქმის 32 კილომეტრზეა გაჭიმული). ირგვლივ აღმართულან შესანიშნავი მრავალსართულიანი სახლები...

მეხიკოში ყველაზე განსაცვიფრებელია მასშტაბების ყველაფერი საოცრად მონუმენტურია — შენობები, ძეგლები, ქანდაკებები, შადრევნები, ფრესკები... შესანიშნავია ძველი და თანამედროვე არქიტექტურის შერწყმა. მწვანეში ჩაფლული ქალაქი ძალიან ლამაზია.

...საბჭოთა ჟურნალისტების ჯგუფში ოთხი თბილისელი ვართ: საქართველოს სახალხო არქიტექტორი, სპორტული კომენტატორი კ. მახარაძე, რესპუბლიკის დამსახურებული მხატვარი გ. ფირცხალავა, საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ფედერაციის თავმჯდომარის* მოადგილე ო. ნოზაძე და ამ სტრიქონების ავტორი.

გ. ფირცხალავამ თავიდან ეშმაკურად გაცნო თავი პრესცენტრის ხელმძღვანელებსა და იქ მოფუსფუსე ჟურნალისტებს: ჩვენი მომსახურე რამდენიმე მინიკაბიანი ანგელოზის მეგობრული შარუი დახატა. საუცხოო ნახატები გამოვიდა. და აი, მეხიკოს მთავარი გაზეთის „ექსელსიორის“ წარმომადგენელმა მას ფეხბურთელებზე დაუკვეთა

შარყები. გიგლა რას დაიბნეოდა! მას თბილისიდან ჰქონდა წამოღებული პელეს, რივერას, მაცოლასა და ფეხბურთის სხვა ვარსკვლავთა შარყები. აქაც რამდენიმე დაამატა, მექსიკელი ფეხბურთელები დახატა და „ექსელსიორის“ მუშაკს გადასცა (სხვათა შორის, კალდერონს ისე მოეწონა თავისი შარყი, რომ ავტოგრაფიც მიანერა). პელე დაუყოვნებლივ დაბეჭდეს!..

... სასტუმრო „ესკარგოტში“ ჩვენს ბიჭებს ვენვიეთ: მშვენიერი გრილი საღამო იდგა და ქალაქის მყუდრო ადგილზე მდებარე პატარა სასტუმრო საოცრად იდილიურ განწყობილებას ქმნიდა. პანია ეზოში შემოგვხვდნენ სლავა მეტრეველი, მურთაზ ხურცილავა და კივი ნოდია. სლავამ თავის ოთახში მიგვიპატიჟა, სადაც კახი ასათიანი დაგვხვდა (სლავა და კახი ერთად ვხვდებოდნენ).

უმალ გაჩნდა ლიმონის წვნისა და კოკა-კოლას ბოთლები, დაიწყო სმა და საუბარი ფეხბურთზე. შემოვიდნენ ხმელნიცკი, პუზაჩი, შესტერნიოვი. მეგობრული ვითარება სუფევდა. სლავა ოხუნჯობდა, ხმელნიცკის ვიცე-პრეზიდენტს ეძახდა წამდაუნუმ, თანაც ეუბნებოდა: დაბადების დღე რატომ დაგვიმალე, ერთ დიდ ტორტს გამოგიცხობდითო (ხმელნიცკის იმ დღეს 27 წელი შეუსრულდა).

— ვიცე-პრეზიდენტს რატომ ეძახი? — ვკითხეთ.

თურმე ერთ-ერთ გაზეთს ასეთი ცნობა გამოუქვეყნებია: კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციების გარდა, საბჭოთა ნაკრებში საიდუმლო ორგანიზაცია ჰქონიათ, რომლის პრეზიდენტი მეტრეველი, ხოლო ვიცე-პრეზიდენტი, ხმელნიცკიაო.

ბევრი ვიცინეთ...

მერე სლავამ თავისი მაგნიტოფონი ჩართო და თბილისიდან გამოგზავნილი ფირი დაატრიალა: კახის თავისი მეუღლე „ესაუბრებოდა“, გივი ნოდიას — მისი ძმა ლევანი და სერგო კუტივაძე... მერე გაისმა ქართული სიმღერები.

„ორერას“ და ნანი ბრეგვაძის ხმის გაგონებაზე ყველამ პატარა სევდა ვიგრძინეთ.

მასპინძლები და მსაჯები

მექსიკის ნაკრებთან სსრ კავშირის ფეხბურთელთა მატჩს, რომლითაც 31 მაისს გაიხსნა IX მსოფლიო ჩემპიონატი, მეხიკოში მიმავალმა საბჭოთა ჟურნალისტებმა ვუყურეთ... მოსკოვში. ვისხედით ტელევიზორებთან და შორიდან განვიცდიდით აბობოქრებული „აქტივის“ ხავერდოვან მინდორზე გაჩაღებული ბრძოლის მომენტებს. ამ ველებერთელა, მაგრამ ძალიან მოხდენილად ნაგები სტადიონის ტრიბუნები მართლაც ბობოქრობდა, მაგრამ ტელევიზორით მოსმენილი ხმაური შორეული ექო გამოდგა იმ წარმოუდგენელი ღრიანცელისა, რაც იქ მოხვედრილ კაცს ყოველი მხრიდან ატყდება თავს. რა თქმა უნდა, ყოველივე ეს განსაკუთრებულ, ენით გამოუოქმელ მასშტაბებს აღწევს მაშინ, როცა მინდორზე მასპინძელთა გუნდი თამაშობს.

რახან მექსიკის ნაკრებზე ჩამოვარდა სიტყვა, მოგახსენებთ, რომ ეს არის საკმაოდ სუსტი კოლექტივი, რომელსაც აშკარა დახმარება გაუწიეს... მსაჯებმა. ამის დასადასტურებლად საკმარისია ორი უტყუარი ფაქტი. ჯერ ერთი, სალვადორელებთან მატჩის (მსაჯი — არაბეთის გაერთიანებული რესპუბლიკის წარმომადგენელი ა. კანდილა) პირველი ტაიმის მიწურულს მასპინძლებმა პირველი გოლი ნაღდი თამაშგარე მდგომარეობიდან გაიტანეს; მეორეც, ბელგიელებთან შეხვედრაში (მსაჯი — არგენტინელი ა. კოერეცა) ის ერთადერთი ბურთი, რომელმაც მატჩის ბედი გადაწყვიტა, მექსიკელებმა სრულიად დაუმსახურებელი 11-მეტრიანი დარტყმით მოათავსეს გაკვირვებისა და აღშფოთებისგან გაოგნებული მეტოქის კარში.

მექსიკისა და სალვადორის გუნდების თამაშის შემდეგ პირდაპირ გაცემული ვიყავი: მიკვირდა, როგორ ვერ აჯობეს მასპინძელთა ნაკრებს საბჭოთა ფეხბურთელებმა. მაგრამ თურმე სადა ხარ?! შემდგომმა მატჩებმა დაგვანახა, რომ სსრ კავშირის ნაკრები მექსიკელებზე არანაკლებ სუსტი ყოფილა.

... როგორც წესი, „აცტეკის“ სტადიონის ტრიბუნების შექსება მატჩამდე დაახლოებით 2 საათით ადრე იწყება. ამასთან ერთად სტარტს იღებს ფანატიკურად განწყობილ გულშემატკივართა „კონცერტი“, რომელიც ზენიტს აღწევს სტადიონის გვირაბში მექსიკელთა გუნდის გამორჩენისას. და ეს კულმინაცია — გამაყრუებელი ყვირილის, სასონარ-ქვეთილი შეძახილების, ათასნაირი საყვირებისა და სარხარუნებლების, დოლებისა და დაფდაფების აკომპანემენტი მთელი მატჩის განმავლობაში გრძელდება.

აფრიალებენ ეროვნულ დროშებსა და ბაირალებს, ხმის ჩახლეჩამდე, პირდაპირ გულის წასვლამდე გაჰკივიან „მე-ხი-კო, მე-ხი-კო, რა-რა-რა“-ს, ისვრიან ქუდებს, მაშხალებსა და... პნევმატურ პისტოლეტებს. ერთი სიტყვით, ერთმანეთს ეჯიბრებიან ამ გამაყრუებელ ღრიანცელში. მეხიკოში სასწავლებელიც კია, სადაც ამგვარი „კონცერტების“ დირიჟორებს ამზადებენ და უნდა გითხრათ, ეს დირიჟორები მართლაც არ არცხვენენ თავიანთი სასწავლებლის სახელს. ერთობ ნიჭიერი კურსდამთავრებულები არიან!

სალვადორ — მექსიკის მატჩის შემდეგ უკრაინის „სპორტივნაია გაზეტას“ რედაქტორმა ვ. დმიტრუკმა მითხრა: არაფრით არ მეგონა, თავი თუ არ გამისკდებოდაო. მერე იქვე მდებარე პრესცენტრის გრძელ ოთახში რომ შევედი, ყველას თავზე ჰქონდა ხელი წავლებული.

— მე ახლაც ყურები მინივის. ყოველივე ამას კაცი უნდა მიეჩვიოს, — ჩიოდა ერთი.

მაგრამ ამაზე ხმაურიანი კონცერტი თურმე წინა კვქონდა.

ტრანსპორტით დახერგილ ქუჩებში ჩვენი ავტობუსი კუს ნაბიჯით მიდიოდა სტადიონიდან სასტუმროსკენ. გზადაგზა ავტობუსებს საოცრად ალტყინებული, მყვირალა ახალგაზრდების ჯგუფები აჩერებდნენ — წინ გადაუდგებოდნენ, მექსიკის ეროვნულ დროშებს აფრიალებდნენ, „მე-ხი-კო, მე-ხი-კო, რა-რა-რა“-ს გაჰკიოდნენ და ზეალმართული მარჯვენა ხელის საჩვენებელი და შუა თითის გაშლით გვანიშნებდნენ თავიანთ გამარჯვებაზე — „ვიქა

ტორიაზე“ (ეს გაშლილი თითები ამ სიტყვის პირველ ასოს გამოხატავს ლათინურად).

ავტობუსმა სასტუმრომდე ვერ მიაღწია. ჩვენ გადმოვედით და ფეხით დავადექით გზას ამ მრავალრიცხოვან მოზეიმე ბრბოში.

თავისუფლების მონუმენტთან ხალხმრავალი მიტინგი დუღდა და გადმოდუღდა. მონუმენტს ცეკვა-ცეკვით გარშემო უვლიდნენ ხელიხელჩაკიდებული, საოცრად ლამაზ ეროვნულ ტანსაცმელში გამონყობილი ახალგაზრდები. ირგვლივ — სიმღერები, დროშები, საჰაერო ბუშტები, პლაკატები, ტრანსპარანტები. მანქანებიც „მე-ხი-კო, მე-ხი-კო, რა-რა-რა“-ს ტაქტში აპიპინებდნენ.

იმის სრულად აღწერა, რაც მეხიკოში საღვადორელებთან მასპინძელთა ნაკრების გამარჯვების შედეგ ხდებოდა, ყოვლად შეუძლებელია. დამთავრდა თუ არა ეს მატჩი, ქალაქის ცენტრში აღმართული თავისუფლების მონუმენტისკენ დაიძრნენ ავტომანქანებზე შექსხდარი, საოცარ ექსტაზში შესული მექსიკელების ჯგუფები... არაა დამიანურად აღგზნებული ახალგაზრდები (და არამართო ახალგაზრდები) ხმის ჩახლეჩამდე გაჰკიოდნენ: „მე-ხი-კო, მე-ხი-კო, რა-რა-რა! მე-ხი-კო, მე-ხი-კო, რა-რა-რა!“.

ქალაქი პირდაპირ პარალიზებული იყო. თავისუფლების მონუმენტთან ხალხმრავალმა მიტინგმა თითქმის გათენებამდე გასტანა. აფრიალებდნენ ეროვნულ დროშებს, ტრანსპარანტებს, ლოზუნგებს... ისროდნენ შუშხუნებს, უკრავდნენ დოლს და ერთმანეთს ურტყამდნენ ქვაბის ხუფებს, ცეკვავდნენ მანქანის ძარაზე, ცეკვავდნენ მონუმენტის გარშემო, ქუჩებში, გაზონებზე.

ჩვენი სასტუმროს შესასვლელის სახურავზე დადგმული პლასტმასის უზარმაზარი ბურთი... მოიტაცეს. შესასვლელს მიაყენეს სატვირთო მანქანა, აცვივდნენ სახურავზე, „მე-ხი-კო, მე-ხი-კო, რა-რა-რა“-ს ძახილით ეძგერნენ ბურთს, შეარყიეს, მიაწვნიეს, გააქან-გამოაქანეს და მანქანაში გადააგდეს. მერე ნაკუნ-ნაკუნად აქციეს და სუვენირებად წაიღეს.

თითქმის დილაშდღე იდგა ქალაქში ყურთასმენის წამლები ღრინანცელი. 400 კაცი დაშავდა იმ ღამით მეხიკოში — ზოგი მანქანიდან გადმოვარდა, ზოგიც მანქანის ქვეშ ჩავარდა. და ყოველივე ეს მოხდა საღვადოროს წარმოუდგენლად სუსტ ნაკრებთან მოგების შემდეგ.

ზუსტად ასეთივე ფანტასმაგორია იყო ბელგიის ეროვნულ გუნდთან მექსიკელების გამარჯვების შემდეგ. ჩვენ უკვე ვშიშობდით, რომ იტალიელებთან მომავალ შეხვედრაში წარმატების შემთხვევაში მექსიკელები თავიანთი ქალაქს ალბათ ნაკუნ-ნაკუნად აქცევდნენ და სუვენირებად წაიღებდნენ (როგორც ჩვენი სასტუმროს შესასვლელის სახურავზე მდგარი უზარმაზარი პლასტმასის ბურთი წაიღეს პარტიზანული მეთოდით).

გიზანი: ზეოკერატიულობა

მექსიკის სპორტული გაზეთი „ესტო“ მსოფლიო ჩემპიონატის დღეებში საღამოობითაც გამოდიოდა. საღამოს „ესტო“ „ლელოს“ ფორმატის 16-გვერდიანი, უხვად ილუსტრირებული, ძალიან ოპერატიული გამოცემაა. სანამ ჩვენი ავტობუსი „ავტეკიდან“ სასტუმრომდე მივიდოდა (ამას დაახლოებით 40 წუთი სჭირდებოდა), მექსიკის საღამოს სპორტული გაზეთის გამყიდველი ბიჭები უკვე აფრიალებდნენ მის ცისფერ ფურცლებს.

...6 ივლისს სსრ კავშირის ნაკრებმა ანგარიშით 4:1 ფარხმალი დააყრვეინა ბელგიის ეროვნულ გუნდს. ეს იყო საბჭოთა ფეხბურთელების საუკეთესო მატჩი ჩემპიონატში. თუმცა გულახდილად რომ ვთქვათ, გამარჯვებული კოლექტივი ტექნიკური და ტაქტიკური არსენალის მრავალფეროვნებით მაინც დაბრუნდა არც ამჯერად ბრწყინავდა. შეხვედრის დასაწყისშივე იგი აშკარა გოლს ვაღაურჩა: კავაზაშვილმა პირდაპირ განსაცვიფრებელი რეაქცია გამოავლინა — ხუთიოდე პეტრიდან პირისპირ დარტყმული ბურთი უკუაგდო... საბჭოთა ფეხბურთელები ისე ნერვიულობდნენ, რომ ამ მწვავე ეპიზოდის ცუდად ღამთაღრების შემთხვევაში მატჩის ბედი ერთობ სათუო გახდებოდა. კა-

ვაზაშვილმა საერთოდ საუცხოოდ ჩაატარა ყველა შეხვედრა, სპეციალისტებისა და ჟურნალისტების ქება-დიდებაც დაიმსახურა და საბჭოთა ნაკრები უკეთ რომ გამოსულიყო, ანზორს, ეჭვი არ მეპარება, ჩემპიონატის ერთ-ერთ საუკეთესო მეკარედ დაასახელებდნენ. ურუგვაელებთან შეხვედრაში მისი ფანტასტიკური ნახტომი კარის ზედა კუთხეში რამდენიმე გაზეთში გამოქვეყნებულ ფოტოსურათებზე აისახა.

საერთოდ, იქაური პრესა ძალიან დიდ ადგილს უთმობდა ილუსტრაციებს. მაგალითად, „ექსელსიორი“ ყოველ ნომერში ფერად ჩანართებს უშვებდა ჩემპიონატის მატჩებისა თუ ფეხბურთელთა წვრთნისა და დასვენების ამსახველი მომენტებით.

... ბელგიის ნაკრებთან საბჭოთა გუნდის გამარჯვების შემდეგ დიდად ნასიამოვნები ვბრუნდებოთ სტადიონიდან. ავტობუსიდან გადმოსულებს სალამოს „ესტ.ის“ გამყიდველი ბიჭები შემოგვეხვივნენ — ბელგიელებთან მატჩის ამსახველ სურათებზე გვითითებენ, რალაცას გაჰკივიან, გამარჯვებას გვილოცავენ. გაზეთი ვიყიდეთ და მეტიმეტად გავიხარეთ: ჯერ ერთი, წერილების ავტორები ძალიან აქებდნენ კავაზაშვილს, ძოძუაშვილს, ასათიანს... მეორეც, კახის მიერ ოსტატურად გატანილი ბურთის ამსახველ კლიშეს საკმაოდ დიდი ადგილი ეჭირა.

მაგრამ ყველაზე გასაოცარი ის იყო, რომ ამავე გაზეთში ვიხილეთ სხვა ქალაქებში გამართული თამაშებისადმი მიძღვნილი ვრცელი წერილები და, ასე გასინჯეთ, ფოტოსურათებიც! მხოლოდ მშრალი ტექნიკური შედეგები კი არ იყო, არამედ ჰყვებოდნენ, როგორ მოუგო რუმინეთის ნაკრებმა ჩეხოსლოვაკიელებს (2:1), პერუს ნაკრებმა — მაროკოელებს (3:0), როგორ ვერ გაუტანეს ერთმანეთს გოლი იტალიისა და ურუგვაის გუნდებმა...

გაზეთის ამგვარი ოპერატიულობა მართლაც გასაოცარია — მეხიკოსა და გვადალახარას, მაგალითად, ერთმანეთისგან ხომ თითქმის 500 კილომეტრი აშორებს!

ეს კია, რომ მექსიკური გაზეთების ზეოპერატიულობას ერთი თვალსაჩინო ხარვეზი სდევს, უკეთუ, სწორედ ეს ზე-

ოპერატიულობა იწვევს ამ ხარვეზს -- სისტემატურ, უხეშ ფაქტობრივ შეცდომებს. უშეცდომო გაზეთს, სამწუხაროდ, დედამინის ზურგზე ვერ შეხედებით. მაგრამ ამასაც უნდა აქონდეს თავისი საზღვარი. მაგალითად, ძალიან უხერხულია, როცა გ. ნოდის კლიშეს ქვევით „ასათიანი“ წერია, ხურცილავას კლიშეს — „სერებრიანიკოვი“... ევ კიდევ რა არის! საბჭოთა კოსმოსური ხომალდის „სოიუზ-9“-ის დედამინაზე დაშვებისადმი მიძღვნილ მასალაში „ექსელსიორმა“ პირველ გვერდზე კოსმონავტების კლიშეთა წარწერები აურია: ა. ნიკოლაევის ფოტოსურათს ვ. სევასტიანოვი ეწერა და პირიქით.

ბურჟუაზიული პრესისთვის დამახასიათებელი კურიოზიც მოხდა: ურუგვაელებთან საბჭოთა ნაკრების დამარცხების შემდეგ გაზეთმა „ნოვედადესია“ ამ მატრიისადმი მიძღვნილი ინფორმაცია ასე დაასათაურა: „ურუგვაი ნახევარფინალში, ვალენტინ აფონინი კი ციმბირში“.

მექსიკური გაზეთები ძალიან მკაცრად და, უნდა ითქვას, სავსებით სამართლიანად აკრიტიკებდნენ ჩემპიონატის მსაჯებს, მოჰყავდათ თავიანთი მოსაზრებების დამადასტურებელი ფოტომასალები, სქემები და ა. შ.

— საკავშირო ჩემპიონატის მატჩებში კინემ რომ ასე იმსაჯოს, ერთი ამბავი ატყდება, — თქვა ერთხელ წარსულში ცნობილმა ფეხბურთელმა და მსაჯმა ნ. ჩხატარაშვილმა.

ეს სრული ჭეშმარიტება გახლდათ.

ჩხატარაშვილი და ავთანდილ პაიჭაძე ჩვენი ხშირი სტუმრები იყვნენ. ისინი საბჭოთა სპეციალისტების ჯგუფში შედიოდნენ (მათ გარდა ამ ჯგუფის წევრები იყვნენ საკავშირო კატეგორიის მსაჯი გ. ბაქანიძე, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ვ. ელოშვილი, საქართველოს ფიზკულტურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი ბ. თავართქილაძე, ლესელიძის პანსიონატ „სპორტის“ დირექტორი ვ. კედია და ჭაბუკ ფეხბურთელთა მწვრთნელი ო. უშვერიძე) და ხშირად მოდიოდნენ ჩვენთან პრესცენტრში ცხელ-ცხელი ბიულეტენებისა და ოქმების წასაღებად.

გვიანობამდე ვისხედით ხოლმე პრეზცენტრში — ხან ტელევიზორს ვუყურებდით, ხან ცხარე კამათი გვეკონდა განვლილი მატჩების შესახებ, ხანაც ბარში შევექცნოდით ფორთოხლის ცივ წვენს...

მერე გავდიოდით ხუანიტოსა და პიკოს გაკაშკაშებული შუქრეკლამებით მორთულ რეფორმის პროსპექტზე და ჩვენს სტუმრებს ვაცილებდით.

რის ვარსკვლავები, რა ვარსკვლავები!

საბჭოთა კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები მექსიკის IX მსოფლიო ჩემპიონატში ძალიან ცუდად გამოვიდა: ქვეჯგუფში ჩატარებული პირველი: შეხვედრა მექსიკის ეროვნულ გუნდთან მან ფრედ (0:0) დაამთავრა, შემდეგ ანგარიშით 4:1 სძლია ბელგიელებს, და ბოლოს გაიმარჯვა სალვადორის ნაკრებთან — 2:0. სსრ კავშირის გუნდი ჩემპიონატს დაემშვიდობა ურუგვაელებთან მეოთხედფინალური მატჩის წაგების (0:1) შემდეგ.

რას წარმოადგენდნენ ჩვენი მეტოქეები?

დავიწყოთ მასპინძელთა გუნდით. ტაქტიკის მხრივ ესაა ერთობ პრიმიტიული, ერთფეროვანი კოლექტივი, რომლის წევრთა დიდი უმრავლესობა ტექნიკურად ძალიან საშუალო დონეზე დგას. შედარებით არა უშავთ მეკარე კალდერონსა და ცენტრალურ მცველ პენიას. მაგრამ მექსიკელთა ძალის შეფასებისას ანგარიში უნდა გავუწიოთ „საკუთარი მინდორის“ ფაქტორს. გუნდს უდიდესი მხარდამჭერი ჰყავდა უზარმაზარი სტადიონისა და... მსაჯების სახით. ერთი სიტყვით, მექსიკელები, თუ შეიძლება ითქვას, დიდ გულზე იყვნენ. სალვადორელებთან და ბელგიელებთან გამარჯვების შემდეგ მათ ამაყად დატოვეს მინდორი, თუმცა, ამ უკანასკნელებთან შეხვედრით თუ ვიმსჯელებს, საამაყო არაფერი ჰქონდათ: უსამართლო პენალტით გაცოფებულმა ბელგიელებმა პირდაპირ შავი დღე აყარეს მექსიკელებს, მაგრამ საპასუხო ბურთი ვერა და ვერ გაიტანეს.

სალვადორის ნაკრებზე საეროოდ არცა ღირს ლაპარაკი. ეს იყო ამ ჩემპიონატის პირველი და ყველაზე დიდი ლაფ-

სუსი, უფრო მეტიც, ჩემპიონატის შესარჩევი სტადიის გა-
თამაშების სისტემის შავი ლაქა. ძალიან გულდასაწყვეტი
გახლდათ ის ფაქტი, რომ დედამიწის თექვსმეტ უძლიერეს
გუნდს შორის მოხვდა სალვადორის ყოვლად უმწეო ნაკ-
რები და არ იყვნენ პორტუგალიელები, ავსტრიელები, გდრ-
ის წარმომადგენლები ან თუნდაც ფრანგები.

ვერც ბელგიის ნაკრებმა მოახდინა ჩემზე დიდი შთაბეჭ-
დილება (თამამად შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა გუნდი
პირდაპირ იღბლიან ვარსკვლავზე ყოფილა დაბადებული:
ასეთი სუსტი ქვეყნგუფი მექსიკაში არც ერთი არ იყო).
განსაკუთრებით გამოაცა ვან ჰიმსტმა. იგი ისევე გამო-
ცანად დარჩა ჩემთვის, როგორც ერთ დროს თბილისის
„დინამოს“ სტადიონზე ნანახი ფრანგი თავდამსხმელი, შვე-
ციის მსოფლიო ჩემპიონატის დღემდე უძლეველი საუკე-
თესო ბომბარდირი ფონტენი. ვან ჰიმსტის თამაში ორჯერ
ვნახე და დღემდე ვერ მივმხვდარვარ, რატომ, რის გამო,
რისი წყალობით მიაკერეს ამ კაცს ევროპის (და მსოფლიო-
სიც!) ერთ-ერთი უძლიერესი ფორვარდის იარაღი? ამის
შესატყვისი მას მექსიკაში ოდნავადაც არაფერი გაუკე-
თებია.

ურუგვაის უაღრესად მაღალტექნიკური ნაკრები, ჩემი
აზრით, ძალიან უსიამოვნო, ასე ეთქვათ, მონოტონურ,
ნელ ფეხბურთს თამაშობდა. მაგრამ ამ გუნდმა თამაში
რომ იცის, ეს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის
ბრწყინვალე კოლექტივთან მატჩის მეორე ტაიმში გამოჩ-
ნდა. ერთი სიტყვით, გაჭირება მიჩვენე და გაქცევას გირ-
ვენებო, ისე გამოვიდა. ურუგვაელებს, სხვა სიკეთესთან
ერთად, ძალიან სწრაფად, მეტისმეტად მაღალ ტემპშიც
შეძლებიათ თამაში.

საბჭოთა ნაკრებთან მატჩში კი ეს იყო ძალიან ნელა
მოქმედი ანსამბლი, მაგრამ ძლიერი და ნებისყოფიანი კო-
ლექტივი, რომელმაც მეტოქეს თანდათან თავს მოახვია
საკუთარი ნება-სურვილი და განსაკუთრებით შესვენების
შემდეგ მეთოდურად შებოჭა ნერვიულობისგან ისედაც
ხელფეხშეკრული საბჭოთა ფეხბურთელები. ამ შეხვედრის
ყველაზე კანონზომიერი და ლოგიკური შედეგი ნულოვანი

ფრე უნდა ყოფილიყო და კავაზაშვილის კარში გატანილი ერთადერთი ბურთი აშკარად უსამართლო გახლდათ. ამ კონკრეტულ შემთხვევაში მხოლოდ ერთში შეიძლება ვუსაყვედუროთ აფონინს, კავაზაშვილსა და მათ სხვა პარტნიორებს: მსაჯის სასტვენნი დუმს, ესე იგი ბუ-რთი თამაშია და მათაც უნდა ეთამაშათ.

მაგრამ არც მარტო ამასია საქმე: მექსიკაში თვალნათლივ გამოჩნდა, რომ საბჭოთა ფეხბურთის დონე და მსოფლიოს მონინავე გუნდების კლასი ისე განსხვავდებიან ერთმანეთისგან, როგორც ცა და დედამიწა. შესანიშნავად თქვა ფიფა-ს ვიცე-პრეზიდენტი ვ. გრანატკინმა: ახლა საბჭოთა გუნდის მარცხი მსაჯის ამ შეცდომას დაბრალდება და აუტში გასული ეს ბურთი დაჯარავს სამამულო ფეხბურთის ჩამორჩენის ნამდვილ მიზეზებსო.

მექსიკის ჩემპიონატმა ერთხელ კიდევ დაადასტურა ის უდავო ჭეშმარიტება, რომ უვარსკვლავებოდ დიდი ფეხბურთის თამაში არ შეიძლება. გაიხსენეთ ჰრაზილიის ან გფრ-ის ნაკრები გუნდები. ისინი პირდაპირ ბრწყინავდნენ ვარსკვლავებით. რომელი ერთი დაგისახელოთ: პელე და ჟაირზინიო, ოვერატე და ბეკენბაუერი, რიველინო და გერსონი, შნელინგერი და ზეელერი, კარლოს ალბერტო და ტოსტაო...

საბჭოთა გუნდი კი? რის ვარსკვლავები, რა ვარსკვლავები!

სრულიად მოულოდნელი და ყოვლად გაუგებარი ვახლდათ საბჭოთა გუნდის მწვრთნელების ტაქტიკური შეცდომები: აუხსნელი სიჯიუტე თავდასხმის სამეულის (ევრიუფიხინი, ბიშოვეცი, ხმელნიცკი) ურყევობაში; ასათიანის „დასვენება“ ბელგიელებთან ძალიან კარგი თამაშის შემდეგ (ამან რიტმიდან ამოაგდო ასათიანი); ხუთი მცველით თამაში სალვადორის ნაკრებთან ორი თავდამსხმელის წინააღმდეგ; ურუგვაელებთან მატჩის აგება კონტრიერიშებზე; მუნტიანის კულტის დამკვიდრება გუნდში (მუნტიანმა მხოლოდ ბელგიელებთან ითამაშა კარგად. დანარჩენ შეხვედრებში მისი ფასი კაპიკი იყო); ურუგვაელებთან ასათიანის შეცვლა კისელიოვით (ნახევარდაცვის ხაზი: სერებრიანიკო-

ვი — მუნტიანი — კისელიოვი ან დღეს პარდაპირ საშინელი იყო) და ა. შ.

ბევრი გვეკითხება, რატომ არც ერთხელ არ გამოვიდა „აცტეკის“ მწვანე მინდორზე მეტრეველი. ამაზე პასუხის გაცემა ჩვენთვის ერთობ ძნელია, მაგრამ ისიც უნდა მოგახსენოთ, რომ მეტრეველმა მშვენივრად ითამაშა მეხიკოში სსრ კავშირის პირველი და მეორე შემადგენლობების მატჩში, რომელიც მეორე ნაკრებმა (სლავა ამ გუნდში თამაშობდა) მოიგო ანგარიშით 4:1.

შიშველი მთა

საბჭოთა ნაკრების თამაშის შეფასებაში მექსიკურმა პრესამ საინტერესო ევოლუცია განიცადა. ჯერ კიდევ მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე იგი სსრ კავშირის ფეხბურთელთა გუნდს გათამაშების ერთ-ერთ ფავორიტად მიიჩნევდა. მექსიკელებთან პირველი შეხვედრის შედეგი იქაურმა გაზეთებმა საბჭოთა სპორტსმენების ჯენტლმენობასაც კი მიანერეს: აქაოდა, მასპინძლებთან გამარჯვებისთვის მაინცდამაინც არ მოუკლავთ თავი -- თავიანთი უნარის მესამედიც არ გამოავლინესო... ბელგიის ეროვნულ გუნდთან მოგებულ თამაშის შემდეგ ადგილობრივმა პრესამ სსრ კავშირს ნაკრებისადმი დარბოკიდებულებაში სტატუს კვო შეინარჩუნა, მაგრამ სალვადორელებთან უფერულად ჩატარებულმა მატჩმა ყველაფერს ცივი წყალი გადაასხა: მექსიკელი ჟურნალისტები დაიბნენ და გაოცებული ამბობდნენ: საბჭოთა ფეხბურთელები მგონი მთლად ფავორიტები არ უნდა იყვნენო... ბოლოს კი, ურუგვაელებთან მეოთხედფინალური შეხვედრის შემდეგ, გაზეთები პირდაპირ წერდნენ საბჭოთა ნაკრებზე, ეს რა გუნდი ჩამოუყვანიათო?!

გამახსენდა ანდერსენის ცნობილი ზღაპარი შიშველ მეფეზე...

ამგვარი ფიასკო ჩვენთვისაც მოულოდნელი იყო, ვინაიდან საბჭოთა ფეხბურთელებმა საკმაოდ მაღალ დონეზე ჩაატარეს შესარჩევი მატჩები. მაგრამ სწორედ მექსიკაში

გამგზავრების წინ ისინი მოსკოვში დამარცხდნენ პოლონეთის ეროვნულ გუნდთან (0:2). ეს თამაში საბედისწერო გამოდგა: მან ფეხბურთელებს საკუთარი შესაძლებლობებისადმი რწმენა შეურყია, მწვრთნელებში კი პანიკის კარგა მსხვილი მარცვლები დათესა (ეს მატჩი ან სულაც არ იყო საჭირო, ანდა მისი შედეგისთვის არ უნდა მიენიჭებინათ ესოდენ დიდი მნიშვნელობა). და მაშინ, როცა ანსამბლის ყველა რგოლი საბოლოოდ დადგენილი უნდა ყოფილიყო, დაეჭვდნენ გუნდის ხაზების სწორად დაკომპლექტებაში აქედან გამომდინარე „ორგანიზაციული დასკვნებით“.

„ავტოკის“ სტადიონზე საბჭოთა ნაკრები შეუთამაშე-
წელი ჩანდა. გაიშვიათებული ჰაერის პირობებში, როცა ბურთი ვაცილებით სწრაფად მოძრაობს, სსრ კავშირის ფეხბურთელთა გრძელი გადაცემების სიზუსტის კოეფიციენტი თითქმის ნულს უდრიდა — ბურთი, როგორც წესი, სცდებოდა გვერდით და პირით ხაზებს. ალბათ გახსოვთ, ასეთი უზუსტო გადაცემების ერთ-ერთი ყველაზე „აქტიური ავტორი“ მუნტიანი გაოცებისგან ხელებს შლიდა, მაგრამ ეს, ცხადია, საქმეს ვერ უშველიდა.

„ლიანდაგზე შემდგარი“ ევრიუთხინი თავკუდმოგლე-
ჯილი დარბოდა წინ და უკან და ოთხ შეხვედრაში მხოლოდ ერთხელ განახორციელა მეტოქეთა კარის გასწვრივ მშვენიერი ჩანოდება, მაგრამ ცარიელი კარის წინ მდგარმა ხმელნიციმ მოახერხა ურუგვაელთა „გადარჩენა“ ნაღდი ხიფათისგან.

საბჭოთა ნაკრები უმეტეს შემთხვევაში აშკარად გამოხატული თავდაცვითი სისტემით მოქმედებდა და თამაშს კონტრიერისებზე აგებდა. ეს იყო პრინციპული ტაქტიკური შეცდომა. მექსიკის IX მსოფლიო ჩემპიონატში გაიმარჯვა ფეხბურთის დედაარსმა — შეტევამ. ეს იყო ამ სტილის ნამდვილი ზეიმი (იტალიელები ბრაზილიის ნაკრებთან გადამწყვეტ მატჩში თავიდანვე იყენენ განწირულა, ვინაიდან ოავიანთი კარის მისადგომებთან ტრადიციული ბასტიონები აღმართეს და კონტრიერისების იმედითლა დარჩნენ).

აკი თავად შესტერნიოვმა თქვა ურუგვაელებთან მატჩის შემდეგ: „არასასიამოვნო საცქერი იყო, როცა ჩვენი 4-5 მცველი მოწინააღმდეგის ორ თავდამსხმელს სდარაჯობდა...“.

რახან დაცვაზე ჩამოვარდა სიტყვა, აღვნიშნავთ, რომ საბჭოთა ნაკრების რგოლთა შორის ყველაზე ძლიერად სწორედ დაცვის ხაზი გამოიყურებოდა. ჩემი აზრით, იგი გაცილებით უფრო მძლავრი იქნებოდა, ხურცილავასთვის „თავისი თამაშის“ უფლება რომ მიეცათ. მწვრთნელები მას კატეგორიულად უკრძალავდნენ წინ წასვლას, შეტევაში მონაწილეობას და, ასე გასინჯეთ, საჯარიმო დარტყმებსაც კი (ამისთვის მუნტიანი იყო გამოყოფილი). ბურცილავაც მორჩილად ასრულებდა ამ უცნაურ, მისი თამაშისთვის დიამეტრულად საპირისპირო, სრულიად შეუფერებელ დავალებას — მივიდოდა მინდვრის შუა ხაზამდე, მოიცილებდა ბურთს და უკან ბრუნდებოდა. ისე კი, ალბათ ყველას გახსოვთ სულ ახლო წარსულში სწორედ ხურცილავას რეიდებისა და დარტყმების ნყალობით სსრ კავშირის ნაკრების მოგებული თუ გადარჩენილი მატჩები..

ერთი საყურადღებო ამბავიც: ამ ათიოდე წლის წინათ საბჭოთა ფეხბურთელები თავიანთ უცხოელ მეტოქეებთან შედარებით ბევრად უკეთ იყვნენ ფიზიკურად მომზადებული. ეს ზღვარი ნელ-ნელა წაიშალა. მექსიკის მატჩებში კი მოწინავე გუნდებმა, პირველ ყოვლისა, ბრაზილიის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, იტალიის, პერუს, ინგლისისა და რუმინეთის ნაკრებმა კოლექტივებმა საოცრად მაღალი ფიზიკური მომზადება გამოავლინეს. საბჭოთა ნაკრებს ეს უპირატესობა უკვე აღარ აქვს და ესეც გახლდათ მისი მარცხის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი.

... ასოშიეიტედ პრესის კორესპონდენტმა მერი კრისტინა ანჟელომ მსოფლიოს იდეალური ნაკრები შეადგინა.... ყველაზე ელეგანტურად მოთამაშე, სანდომიანი უეხბურთელებისგან. მექსიკის სპორტულმა გაზეთმა „ესტრემ“ მთელი გვერდი დაუთმო ამ, ასე ვთქვათ, ქალის თვალით შედგენილ ნაკრებს — ფეხბურთელთა პორტრეტები მოათავსა სათანადო კომენტარით.

ნაკრებში შევიდნენ: კალდერონი, დომიდე, ბეკენბაუერი, მური, ასათიანი, რივერა, ბიშოვეცი, კუპილასი, ლი, ბოლი, პერსტი.

რაც გინდათ თქვით და ასეთ კომპანიაში ასათიანის გამოჩენამ ჩვენ — ქართველი ჟურნალისტები — ძალიან გაგვახარა. მით უმეტეს, რომ კახი ასათიანის ახლოს გაცნობამ ჩემზე ერთობ სასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა. ამ განათლებულ, საინტერესოდ მოლაპარაკე, თანაც ძალიან თავაზიან ფეხბურთელს ყველა საიმისო პირობა აქვს, რომ მომავალში მამაკაცების შედგენილ მსოფლიო ნაკრებში მოხვდეს.

ყველაფერი კარგად ჩანდა

„აცტეკის“ სტადიონის ყველა ადგილიდან ძალიან კარგად ჩანს საფეხბურთო მინდორზე მომხდარი ამბები. მაგრამ მეხიკოში მყოფ ქართველ ჟურნალისტთა შორის იყო ერთი, რომელსაც პრესცენტრში დიდი მოლაპარაკების შემდეგ („ფეხბურთელები უნდა დაეხატო“) უბოძეს სანუკვარი სამკლავე ნიშანი, რომელიც ჯერ მინდორზე გასვლის, თამაშის დანწყების შემდეგ კი კარს უკან წამონოლის უფლებას იძლეოდა. ეს იყო გიგლა ფირცხალაძე. და აი, ურუგვაელებთან საბჭოთა გუნდის თამაშის შემდეგ მან შემოგვიჩვენა:

— ჩვენი ფეხბურთელების უმეტესობა საოცრად დაბნეული გამოიყურებოდა. თვალები შუბლზე ჰქონდათ, პირდაპირ შოკში ჩავარდნილებს ჰგავდნენ...

ყოველივე ამის დანახვას სამკლავე ნიშანი არ სჭირდებოდა: ეს, ასე ვთქვათ, ზევიდან — ტრიბუნებიდანაც კარგად ჩანდა.

ეს მომენტი იმიტომ გამახსენდა, რომ სსრ კავშირის ნაკრები ფსიქოლოგიურადაც ცხლად იყო მომზადებული. ფსიქოლოგიურ, მორალურ მომზადებას სხვა გუნდები უაღრესად დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ და სათანადო სპეციალისტებიც ჰყავთ. როგორც ჩანს, ამ საქმეს მარტო თათბირებისა და კრებების ჩატარება არ ჰყოფნის და მას

უფრო ღრმად ჩახედვა ესაჭიროება. და ვინაიდან ფეხბურთელთა გუნდი 11 სასესიით განსხვავებული ადამიანისგან შედგება, აუცილებელია ყოველი მათგანის ცალკე შესწავლა, ყოველი მათგანისადმი დამოუკიდებელი მიდგომა, ყოველი მათგანის „ფსიქოთერაპია“.

საბჭოთა გუნდები მუდამ გამოირჩეოდნენ მაღალი მორალურ-ნებელობითი თვისებებით, ახლა კი, სამწუნაროდ, ეს მეტისმეტად მნიშვნელოვანი უპირატესობაც სადღაც გამქრალიყო.

გუნდი ძალიან ნერვიულად თამაშობდა ღა თუ რომელიმე მცველი (ზოგჯერ ნახევარმცველიც კი) წინ წაფიქროდა, მწვრთნელთა მერხიდან დაუყოვნებლივ გაისმოდა პანიკური შეძახილები: „უკან, უკან!“ ცხადია, ეს ვერაღერი წამალია ნერვების დასაწყნარებლად.

ჩამორჩენილი ვჩანდით ტაქტიკის მხრივაც (გუნდის ტაქტიკურ შეიარაღებას ხომ მისი წევრების ტექნიკური მომზადება განაპირობებს). ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, საბჭოთა ნაკრები ერთ-ერთი იყო იმ სამაღ სამ ვუნდში (...ურუგვაი, იტალია), რომლებიც წმინდა „სტოპერით“ თამაშობდნენ.

ფეხბურთის განვითარების დღევანდელმა დონემ კატეგორიულად მოითხოვა გუნდის ყოველი წევრის, კოველი რგოლის მაქსიმალური მონაწილეობა თამაშში. ბობეკის, ბუცეკისა და „შავი სამუშაოს“ სხვა მათსავით უკადრისების ყამი წარსულს ჩაბარდა. ახლა, სათამაშო სიტუაციის მიხედვით, მონაცვლეობით ხან დაცვის ჯგუფი ძლიერდება, ხანაც თავდასხმისა. ამ ურთულეს და უძნელეს პროცესს შეუძლებელია არ ჰქონდეს მყარი საძირკველი. ეს საფუძველია ფეხბურთელთა ჩქაროსნული და საერთო გამძლეობა, ნებისმიერ სათამაშო ეპიზოდში მათი მობილურობის უდიდესი ზრდა.

ბრაზილიის ნაკრების გამარჯვება ფეხბურთის ნამდვილი დღესასწაული გახლდათ. ამ ფენომენური გუნდის ლიდერი პელე ახალ ამბლუაში წარმოგვიდგა და სრულიად ახალი წახნაგებით გაბრწყინდა. ოდნავ უკან დახეული პელე ერთი შეხედვით თითქოს არ გამოირჩეოდა

თავისი არტისტული პარტნიორებისგან, მაგრამ კარაიანი-
ვით „თვალდახუჭული“ გენიალურად დირიჟორობდა ფეხ-
ბურთის ამ მართლაც ჯადოქრების ანსამბლს და მუდამ
იქ იყო, სადაც სათამაშო სიტუაცია მოითხოვდა.

მაოცებს ზოგიერთი სპეციალისტის აზრი, თითქოს ბრა-
ზილიის ნაკრებს შედარებით სუსტი დაცვა ჰყავს. როგორ
გეკადრებათ! დაცვის რა სისუსტეზე შეიძლება ლაპარაკი,
როცა ბურთების ბალანსი გუნდს ასეთი აქვს: 19—7 (ამ
19 გატანილ გოლში სწორედ მცველებმაც შეიტანეს თავი-
ანთი წვლილი). მარტო კარლოს ალბერტო რად ღირს! გუნ-
დის ძალიან ბევრი შეტევა სწორედ მისგან იწყებოდა, იგი
სათავეს უდებდა ბევრ კომბინაციას და თავის ძირითად
ფუნქციებსაც სანიმუშოდ ასრულებდა.

ბრაზილიის ნაკრებში ერთადერთი შედარებით სუსტი
ადგილი, ჩემი აზრით, მეკარე ფელიქსია. იქნებ სიტყვა
„სუსტი“ მეტისმეტია, მაგრამ ასეთ გუნდს უფრო საიმე-
დო მეკარე ეკადრება. ფელიქსს, მაგალითად, ბევრჯერ ბედ-
მა გაუღიმა, როცა იგი კართან ჩანოდებულ მაღალ ბურ-
თებზე გამოსვლისას შეცდა...

ასეა თუ ისე, ოქროს ქალღმერთის ლაურეატობის სა-
კითხის გადაწყვეტისას სამართალმა პური ჭამა. მეორე
ადგილი? ჩემი აზრით, ვერცხლის მედლები ყველაზე მეტად
გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრების წევრებს
დაშვენდებოდათ.

ბრაზილიის ფეხბურთელთა ეროვნული გუნდის შემდეგ
მექსიკის IX მსოფლიო ჩემპიონატში ყველაზე ძლიერი,
ჩემი აზრით, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკ-
რები იყო. გერმანელებმა, ფაქტიურად, თითქმის ორი ჩემ-
პიონატი ჩაატარეს: ორი 120-წუთიანი უმძიმესი შეხვედ-
რა გადაიტანეს (ინგლისელებთან და იტალიელებთან). ეს
იყო უაღრესად მაღალტექნიკური, საოცარი შრომისუნა-
რიანობით აღჭურვილი, შესაშური მიზანსწრაფვის ფეხ-
ბურთელთა დიდებული ანსამბლი, რომლის ყოველ ტაქტი-
კურ სვლასა თუ ლამაზ ტექნიკურ ილეთს აღტაცებაში მო-
ჰყავდა მრავალრიცხოვანი მაყურებელი.

გუნდის ვეტერანები შულცი და ზეელერი არაფრით ჩამოუვარდებოდნენ თავიანთ ახალგაზრდა პარტნიორებს და პირდაპირ განსაცვიფრებელი ენერგიულობით იბრძოდნენ თამაშის ბოლომდე. გერმანელთა დაუცხრომელი მონდომების, შეუპოვრობის, ვაჟკაცობისა და დისციპლინის ბრწყინვალე მაგალითი გახლდათ მათი მატჩი ინგლისის ნაკრებთან. ალბათ დამერწმუნებით, რომ ყოველი სხვა გუნდი ქვეშეცნეულად მაინც დაყრიდა ჟარ-ხმალს ისეთი „ფორის“ შემდეგ, როგორცაა 0:2. მაგრამ აი, სწორედ აქ გამოჩნდა გფრ-ის ნაკრების საოცარი მონოლითურობა და სიმშვიდე, მიზანსწრაფვა და მრავალფეროვანი ტაქტიკა. ისიც უნდა ითქვას, რომ გერმანელები თავიდანვე ფლობდნენ ხელთ მატჩის სადავეებს და ის ორი ბურთი არ იყო თამაშის მსვლელობის ლოგიკიდან გამომდინარე.

და მაინც, ამ შესანიშნავი ანსამბლიდან, რომლის რიგებიც აერთიანებს ისეთ ვარსკვლავებს, როგორიც არიან ბეკენბაუერი, შნელინგერი, ზეელერი, ვრაბოვსკი, მსურს გამოვყო გუნდის თითქმის ყველა ოპერაციის სულისჩამდგმელი — ნახევარმცველი ოვერატი. პელეს შემდეგ იგი, ჩემი აზრით, ჩემპიონატის უძლიერესი ფეხბურთელი იყო.

მეტოქეთა კარის რისხვად მოგვევლინა ცენტრალური თავდასხმელი მიულერი, რომელიც 10 გოლით ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გახდა.

დანარჩენი გუნდების ადგილებს ასე გავანანილებდი: ინგლისი, პერუ, იტალია... (განსაკუთრებით აღსანიშნავია პერუს გუნდის საუცხოო თამაში. ამ პირველხარისხოვანი თავდასხმის ხაზის მქონე გუნდს ცოტა უკეთესი მცველები რომ ჰყოლოდა, პერუელები ალბათ კიდევ უფრო უკეთ გამოვიდოდნენ. ისიც უნდა ითქვას, რომ პერუს ნაკრები ყველაზე სწრაფი გუნდი იყო ჩემპიონატში. თანაც, ნუ დაგავინწყდებათ, რომ სწორედ მექსიკის თამაშების დროს პერუსი საშინელი სტიქიური უბედურება — დიდი მიწისძვრა მოხდა და ნაკრების ნევრთა ბევრი ახლობელი შეიწირა).

აქ შევჩერდები, ვინაიდან ზემოჩამოთვლილი ხუთი კოლექტივი გახლდათ უპირველეს ყოვლისა მექსიკური ბატალიების მედროშე.

ამ ხუთეულს სიძლიერით უახლოვდებოდნენ რუმინეთისა და ურუგვაის გუნდები. ისიც ჯნდა აღინიშნოს, რომ ბრაზილიელებს ძალიან მოეწონათ რუმინელი თავდამსხმელის დუმიტრაკეს თამაში. მსოფლიო ჩემპიონებმა მას ერთობ სარფიანი კონტრაქტიც კი შესთავაზეს, მაგრამ ამ მეტად ნიჭიერმა ახალგაზრდა ფეხბურთელმა სამშობლოდან გადაბარგება არ ისურვა.

IX მსოფლიო ჩემპიონატის შედეგების მიხედვით იდეალური ნაკრების შედგენაში ბევრმა ცნობილმა ჟურნალისტმა და სპეციალისტმა მიიღო მონაწილეობა. მათ შორის იყვნენ შიონი (გფრ), ზაგალო (ბრაზილია), მიტიჩი (იუგოსლავია), მორეირა (ბრაზილია) და სხვანი. აი, ეს გუნდიც: ბენქსი (ინგლისი), კარლოს ალბერტო (ბრაზილია), შესტერნიოვი (სსრ კავშირი), მური (ინგლისი), კუპერი (ინგლისი), ბეკენბაუერი (გფრ), გერსონი (ბრაზილია), რიველინო (ბრაზილია), ჟაირზინიო (ბრაზილია), მიულერი (გფრ), პელე (ბრაზილია).

დაბოლოს, მკითხველს მსოფლიოს იდეალური ნაკრების ჩემეული შემადგენლობა მსურს შევთავაზო: მაზურკევიჩი (ურუგვაი), კარლოს ალბერტო (ბრაზილია), მური (ინგლისი), შნელინგერი (გფრ). კუპერი (ინგლისი), თვერატი, ბეკენბაუერი (ორივე — გფრ), გერსონი, ჟაირზინიო, პელე, რიველინო (ყველა — ბრაზილია).

ყველაზე დიდი იველი

ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რა მოხდებოდა, რომ ურუგვაელებთან საბჭოთა ნაკრების შემოთხედფინალურმატჩში ჰოლანდიელ არბიტრს ვან რავენსს სხვა თვალთშეხედა პირით ხაზს გადაცილებული იმ „ყბადალებული ბურთისთვის“ და დაესტვინა, მერე პარკუიანს ილბლიანი ბილეთი ამოელო... მაშინ სსრ კავშირის ნაკრები მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატში, სულ ცოტა, საპატიო !V ადგილს დაიკავებდა.

კიდევ კარგი, ეს არ მოხდა..

მაშინ შერევეტიევის აეროდრომზე საბჭოთა ფეხბურთელებს ისეთივე ბუკ-ნალარით შეხვდებოდნენ, როგორც ლონდონის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ შეხვდნენ. და ისევ აივსებოდა ჟურნალ-გაზეთების ფურცლები მათი ქება-დიდებათ, ხოტბითა და გუნდრუკის კმევით. ისევე, როგორც ეს ამ ოთხი წლის წინათ მოხდა, ქებათაქების კორიანტელში მიიჩქმალებოდა საბჭოთა ფეხბურთის აშკარა ხარვეზები და, მერნმუნეთ, არავინ გამოიღებდა თავს პრინციპულად, პირუთვნელად ემხილებინა საქამულო ჭეხბურთის კატასტროფული ჩამორჩენა, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ — მარცხი.

ერთი სიტყვით, ზოგი ჭირი მარგებელიაო, ისე გამოვიდა.

თორემ ჯერ ხომ ინგლისის სტადიონებზე გამართულ VIII მსოფლიო ჩემპიონატში გამოჩნდა საბჭოთა ნაკრების სერიოზული ნაკლოვანებები, ტექნიკური და ტაქტიკური მომზადების თვალსაჩინო უკმარობა (თუმცა მაშინდელი გუნდი მექსიკურთან შედარებით გაცილებით უკეთ გამოიყურებოდა და რამდენიმეჯერ მართლაც კარგად ითამაშა).

საბჭოთა ფეხბურთის ჩამორჩენაზე სწორედ მაშინ (თუ უფრო უნინ არა) იყო საჭირო სერიოზული ლაპარაკის წამოწყება და ხარვეზთა აღმოსაფხვრელად პირდაპირ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებათა დასახვა, მათი განხორციელება.

ახლა ეს პრინციპული და ერთობ საინტერესო საუბარი საკავშირო პრესაში დაწყებულია და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მას რადიკალური პრაქტიკული ნაბიჯებიც მოჰყვება. ამას, უპირველეს ყოვლისა, უნდა მოჰყვეს სამამულო ფეხბურთის დიდი ახალმშენებლობის საძირკვლის — ბავშვთა ფეხბურთის ძირფესვიანად გარდაქმნა, სხვა მეთოდებით აგება. ეს არის წინსვლისა და მომავალი წარმატებების თავი და თავი. ეს არის ჩვენი ყველაზე დიდი იმედი.

...„აცტეკის“ სტადიონის — ამ უბრწყინვალესი მონუმენტური სპორტული ნაგებობის შესახებ ბევრი თქმულა და დაწერილა. მექსიკის დედაქალაქს სხვა უაღრესად სა-
5. შ. კაკაბაძე.

ინტერესო ბაზებიც აქვს და თითქმის ყოველი მათგანი უნინარეს ყოვლისა სიდიადით, გრანდიოზულა მასშტაბებით არცებს კაცს. როგორც ჩანს, მონუმენტურობისკენ სწრაფვის ტრადიციას აქ ოდითგანვე ჩაეყარა საფუძველი— ჯერ კიდევ აცტეკებიდან. ამას ადასტურებენ უძველესი ისტორიული ძეგლები, ქვაში გამოთლილი ვეებერთელა ქანდაკებები, არქეოლოგიური გათხრები, რომლებსაც აქ ინტენსიურად აწარმოებენ. ჩვენი მოსაზრების ნათელი ილუსტრაციაა თუნდაც მზისა და მთვარის უზარმაზარი პირამიდები, რომლებიც ჰეოფსის პირამიდაზე ბევრად დაბალი როდი არიან.

ძველ არქეოლოგიურ თუ სხვა ისტორიულ ძეგლებს მექსიკელები თვალის ჩინივით უვლიან. მათი ეს სათუთი მოფრთხილება ყოველი პატარა ნანგრევისა თუ სასწაულებრივად გადარჩენილი თალისა პირდაპირ განსაცვიფრებელია. თვით დედაქალაქში უამრავი ძეგლია შემოღობილი (ეს უფრო პირობითი ღობეა), განათებული, რესტავრირებული... განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ძეგლების დაცვასა და მოფრთხილებაში ყველაზე მთავარ როლს ახალგაზრდობა ასრულებს.

ვუყურებდი ამ ძეგლებს და გულისტკივილით მახსენდებოდა უმგვანთა ხელით შებღალული ალავერდის ტაძრის კედლები, ათასნაირი „ფაქსიმილე“ ვარძიაში თუ გელათის მონასტერზე... რა ღმერთი გაგვინყრა?! ნუთუ მექსიკელებზე ნაკლებად გვიყვარს ქართველებს სამშობლო?!

...მე მუდამ მაოცებდა პემინგუეის თავდავინწყებული სიყვარული კორიდიხადმი. ეს დიდი მწერალი და მოქალაქე სიტყვითაც და საქმითაც უერთგულესად ემსახურებოდა კაცთმოყვარეობისა და თავისუფლების მაღალ იდეებს და ჩემს შეგნებაში როგორღაც ვერ თავსდებოდა ამ დიდი ჰუმანისტის აღტყინება, უხეშად რომ ვთქვათ, ხარების ხოცვის გამო.

და აი, მსოფლიოს IX საფეხბურთო ჩემპიონატის დასრულის დღეს ჩვენ ვესტუმრეთ ინსურხენტესზე მდებარე „პლასა და ტოროს“. ეს არის კორიდიხის ხარბიელი, რომლის ამფითეატრი 60 ათასზე მეტ მყურებელს იტევს. იმ დღეს

უკვე გამართული ფინალური მატჩისა (ბრაზილია — ინტალია) და წვიმიანი ამინდის მიუხედავად, ამჟამად ტრიბუნალს აივსო.

მე ვერ გამოვდგები ამ უსიამოვნო სანახაობის აღმწერლად, ვინაიდან მეორე მშვენიერი ხარის საიქიოში გასტუმრების შემდეგ სასტუმროში წასვლა ვამჯობინე. და დარჩა ჩემთვის გამოცანად ჰემინგუეის ეს ტრფიალი.

მე ვეთანხმები ჰემინგუეისაც და ჩემს მეგობარ ოპონენტებსაც, რომლებიც ხართან ტორეადორის შებრძოლებაში გამბედაობის, მოქნილობისა და არტისტიზმის ელემენტებს უხვად ხედავენ. მაგრამ ისიც ხომ ცხადზე უცხადესია, რომ სანამ გააფთრებული, უზარმაზარკებიანი ხარის წინ უშუალოდ მისი მთავარი მეტოქე — ტორეადორი დგება, პირუტყვი უკვე სანახევროდ სისხლისგანაა დაცლილი: მას ჯერ ზურგში შუბებს ჩაარჭობენ ცხენებზე ამხედრებული პიკადორები, მერე კი ბონდერიელეები ექვს ბონდერილიას (დაშნის მაგვარ მახვილს) დაამატებენ...

იმ დღეს სარბიელზე ორი საქვეყნოდ სახელმოხვეჭილი ტორეადორი გამოვიდა და.. ერთი წავიდა. მეორე წაიღეს: 19 წლის კურო რივერა, რომელიც საკმაოდ მოხდენილად ეჯიგებოდა ტკივილისგან გაგიჟებულ ხარს, კინაღამ მისი წვეტიანი რქების მსხვერპლი შეიქნა. საბედნიეროდ, ხარს განიერი შუბლი ჰქონდა და რქებზე ვერ წამოაგო ტორეადორი, მაგრამ რამდენიმეჯერ ღონივრად გაჰკრა შუბლი და მერე კი დავარდნილს ბარძაყში გაუყარა რქა.

რივერას საქმე მანოლო მარტინესმა მოათავა — იმან აუგო ანდერძი ამ მშვენიერ შავ ბულას.

ტოტალური ფეხბურთის ზეიმი

კრუიფი, ფოფთსი და სხვა ამბავი

გასულ ოთხშაბათს ჩვენ კიდევ ერთხელ გავხდით „მფრინავი ჰოლანდიელის“, ფეხბურთის ერთ-ერთი უბრწყინვალესი ოსტატის იოჰან კრუიფის საოცარი თამაშის მონმენი. ამჯერად კრუიფთან ტელეეკრანმა შეგვახვედრა— პელსინკის ოლიმპიური სტადიონიდან გადმოცემდნენ ევროპის ჩემპიონატის V შესარჩევი ჯგუფის მონანილეთა მატჩს: ფინეთი — ჰოლანდია.

თუმცა ინიციატივა თავიდანვე ჰოლანდიელებმა იგდეს ხელთ, მათ ძალიან უჭირდათ მასპინძელთა მასირებული დაცვის გადალახვა, ხოლო ფინელთა საპასუხო „ჩხვლეტები“ ზოგჯერ საკმაოდ სახიფათო იყო. პირველი ბურთი სწორედ ფინელებმა გაიტანეს კუთხურის ჩამონოდების შედეგად...

ამ გოლმა ჰოლანდიელთა თამაშის გეგმაში არაფერი შეცვალა. მინდვრის შუაგულში ისევ გაუთავებელი ჯანივი გადაცემები „კარგი ამინდის მოლოდინში“, ისევ დაჟინებული, შეუნიღბავი ცდები — კრუიფის იმედით ცენტრიდან გაერღვიათ მეტოქის დაცვითი ზღუდეები. ესაა, ოდნავ უმატეს ტემპს...

ცხადია, ფინელები საგანგებოდ სდარაჯობდნენ კრუიფს და ხშირად ზედმეტ „ყურადღებასაც“ იჩენდნენ. მის მიმართ. ის კი თავის საქმეს აკეთებდა — უნარიანად ხელმძღვანელობდა გუნდის თამაშს, ბურთის გადაყვანა დაიწყო ფლანგებზე (სწორედ ამ მიანევრმა შეიტანა გარდატეხა თამაშში), საიდანაც მასპინძელთა კარის სიახლოვეს უამრავი უსიამოვნება შეიქმნა... მერე 18-19 მეტრიდან საჯარიმო

დარტყმით მისმა დაბალმა ბურთმა „გვერდი აუარა“ კედელს და კარის კუთხეში აღმოჩნდა. შემდეგ კი, ერთ-ერთ მწვავე მომენტში, კარიდან ოდნავ წინ გაბოსულ მეკარეს მოჰკრა თვალი და თავური დარტყმით ბურთი მაღალი ტრაექტორიით უმაღლეს გაგზავნა კარში (გაიძარჯვა ჰოლანდიის ნაკრებმა — 3:1. მესამე ბურთი 11-მიწრიანი საჯარიმო დარტყმით ნეესკენსმა გაიტანა).

ვუყურებდი კრუიფს და მახსენდებოდა ნლეჯანდელი მსოფლიო ჩემპიონატი — დორტმუნდი, კელსენკირჰენი, მიუნჰენი, ქალაქები, რომლის სტადიონებზეც ჰოლანდიელებმა თავიანთი შესანიშნავი თამაშით წარუშლელი კვალი დატოვეს.

იოჰან კრუიფის სახელი მსოფლიოს X ჩემპიონატამდეც საქეყენოდ იყო ცნობილი, მაგრამ ამ პირველობის მატჩებში მისი განუმეორებელი ტალანტი ახალი ძალით ამობრწყინდა. ჩვენ ვნახეთ ჭკვიანი, დაღირვებული და სწრაფად მოაზროვნე ხელმძღვანელი საუცხოო კოლექტივისა, რომლისთვისაც თითქოს არ არსებობდა ბურთის ფლობისა და მართვის რაიმე პრობლემა (ასე იყო ფინალურ მატჩამდე, მაგრამ ამაზე ქვევით).

განსაკუთრებით დამამახსოვრდა კრუიფის ორი გოლი. ერთი მან 26 ივნისს კოკისპირულ წვიმაში გაიტანა არგენტინელთა კარში გელზენკირჰენის სტადიონზე. ეს იყო მეოთხე (!) გოლი კარნევალის კარში. საჯარიმო მოედანზე შექმნილი მწვავე ვითარების დროს, როცა მცველებმა და მეკარემ რამდენიმეჯერ სცადეს დაძაბული სიტუაციის განმუხტვა, ბურთი მარცხენა ფლანგზე კუთხურის აღმიდან ცოტა მოშორებით მდგარ კრუიფს მიუგორდა, რომელმაც, არც აცია და არც აცხელა, ძლიერი დარტყმით შეუჩერებლივ გაგზავნა ბურთი მიზანში.

მეორე გოლი. ეს იყო მეორე გოლი ბრაზილიელთა კარში. მაღლა შემხტარმა, ჰაერშივე დაიჭირა კარის გასწვრივ ძლიერად დარტყმული ბურთი, რალაც მაკრატელას მსგავსი გააკეთა და... საქმე მოთავებული იყო.

მაგრამ არც ამ გოლებშია, ბოლოს და ბოლოს, საქმე: კრუიფი თავისთავად ერთ გუნდს უდრის! ეს არის ზედმი-

წევნით დახვეწილი, უზადო ტექნიკისა და კოორდინაციის, დაუცხრომელი ძიებისა და ნოვატორული ტაქტიკური აზროვნების მქონე ფეხბურთელი, რომელიც არა თუ გაურბის „შავ სამუშაოს“, არამედ, პირიქით, ჩემი აზრით, ზედმეტად იტივრთება ამგვარი „წვრილმანებით“.

აი, რას წერს ამ ფეხბურთელზე რსფსრ-ს დამსახურებული მწვრთნელი ნ. გლებოვი: „კრუიფში გაოცებს თავისი პირდაპირ ვეფხისებრი მიხრა-მოხრა, რალაცნაირი, თუ შეიძლება ითქვას, სვლის „უხმაურობა“, მისი დაბადებით თანდაყოლილი ბუნებრიობა, ძალდაუტანლობა, ეკონომიურობა. „მფრინავი პოლანდიელის“ ბურთის. მართვის ხელოვნებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია...“

...და მაინც პოლანდიის ეროვნული გუნდისა და კრუიფის ლალი თამაში ჩემპიონატის ფინალურ პატჩში კფრის ბრწყინვალე ნაკრების მარწუხებში მოექცა. სწორედ გაგვიგეთ: სიტყვა „მარწუხი“ სულაც არ გულისხმობს დასავლეთგერმანელთა უხეშ თამაშს. უბრალოდ, პოლანდიელები მიუნჰენის ოლიმპიური სტადიონის მინდორზე იმ დღეს შეხვდნენ ყველაზე ძლიერ მეტოქეს, გუნდს, რომელსაც ამ ჩემპიონატში მართლაც არ ჰყავდა ბადალი. ერთი სიტყვით, პოლანდიელები პირველად წააწყდნენ ასეთ წინააღმდეგობას. გერმანელთა შეუჩერებელმა, მეტოდურად მომუშავე და შემტევმა, საუცხოოდ აწყობილმა და საიმედოდ დაზეთილმა მანქანამ მათს თამაშს თანდათან დაუკარგა ელვარება.

კრუიფმა ფინალურ, პატჩში მხოლოდ პირველივე წუთზე გამოიჩინა თავი, როცა მინდვრის ცენტრიდან პირდაპირ გასაოცარი რეიდი განახორციელა მეტოქის საჯარიმო მოედნამდე, სადაც მოცულებს...

მერე კი მისი პერსონალური დარაჯის ფოგთის მეცადინეობით კრუიფი როგორღაც ჩრდილში მოექცა. ფოგთის მას მჭიდვად იჭერდა, მაგრამ საგანგებოდ უხეშობისთვის არ მიუმარტავს, თუმცა კრუიფს არც ასეთი სიახლოვე სიამოვნებდა. ბურთისთვის ერთ-ერთი მორიგი ორთაბრძოლის შემდეგ უკმაყოფილო იოჰანსმა ასე უთხრა ფოგთსა:

— ეს რა არის?

— რა ვქნა, სხვანაირად საქმე არ გამოდის. — გაეხუმრა ფოგთსი.

კრუიფი შემდგომში თითქოს გაურბოდა აქტურ თამაშს და შეხლა-შემოხლას, სიამოვნებით მიდიოდა კუთხურების ჩამოსაწოდებლად, თუმცა, ჩემი ღრმა რწმენით, ასეთ მომენტებში კართან გაცილებით მეტი სარგებლობის მოტანა შეეძლო თავისი გუნდისთვის.

ფოგთსმა იგრძნო კრუიფის „კაპიტულაცია“ და თავად გადავიდა შეტევის ოპერაციებზე, ერთხელ კინალამ გოლიც გაიტანა...

ერთი სიტყვით, დუელი: კრუიფი — ყოგთსი გერმანელი მცველის სასარგებლოდ დამთავრდა. თუმცა მატჩის შემდეგ ჟურნალისტებთან საუბარში უკმაყოფილო კრუიფმა თქვა:

— ფოგთსს დღეს ფეხბურთი რომ ეთამაშა, უმჯობესი იქნებოდა.

რახან სიტყვა ჟურნალისტებზე ჩამოვარდა, მსურს გავიხსენოთ ის გაუთავებელი დავა, რომელიც ჩემპიონატის დღეებში და შეჯიბრების შემდეგაც იყო გაჩაღებული: ვინ არის ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი? ვინ სჯობს — კრუიფი თუ ბეკენბაუერი?

ამასთან დაკავშირებით მოვიყვან ყოველკვირულ „ფუტბოლ—ჰოკეის“ მთავარი რედაქტორის, ფეხბურთის შესანიშნავი სპეციალისტის ლ. ჯილატოვის სიტყვებს: „ფინალის წინ საყოველთაო ყურადღება, სხვა დანარჩენის გარდა, მიმართული იყო ორი სუპერგარსკვლავის — კრუიფისა და ბეკენბაუერის დუელისკენ. რომელი მათგანი აღმოჩნდება ჩემპიონატის № 1 მოთამაშე, — ასე იდგა საკითხი.

არ შეიძლება არ ვაღიაროთ, რომ ამჯერად ბეკენბაუერმა გაიმარჯვა. ფინალში იგი ნამდვილი ბეკენბაუერი იყო, როგორც მუდამ, მსუბუქად და ძალდაუტანებლად თამაშობდა, უშეცდომო გახლდათ როგორც კარის დაცვისას პოზიციის არჩევაში, ისე ბურთის განაწილებაში. პარტნიორებს შეეძლოთ დანდობოდნენ თავიანთ კაპიტანს,

იგი მტკიცედ ხელმძღვანელობდა თამაშს. კრუიფმა თავისი თავი ვერ იპოვა...”

თითქოს ჩემს გულში იჯდა ფილატოვი! ზემოთქმულს მე მხოლოდ ამას დაეუმატებდი: სხვა მატჩებში კრუიფის ბრწყინვალე თამაშის მიუხედავად, ჩემზე ბეკენბაუერმა უფრო დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

28 სექტემბერი, 1974 წ.

საფეხბურთო აკადემიის ლექციები

როცა თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა თამაშს ვუყურებ, ძალაუნებურად მებადება ასეთი შეკითხვა: ნუ-თუ ამ დალოცვილებს X მსოფლიო ჩემპიონატის მატჩებისთვის ყურადღებით, გულდასმით, საღი თვალით არ უყურებიათ და მერე ამ ნანახიდან დასკვნები არ გამოუტანიათ?

მერე თავადვე გამიცია პასუხი ამ შეკითხვაზე: თუ უყურებიათ და ასე თამაშობენ, მით უარესი მათთვის!

შეიძლება ვინმე შემოგვედაოს, ეს რა არგუმენტიცა, ნახვა ერთია და თამაში მეორეო.

ვერ დავეთანხმები: ისეთი ტექნიკის მქონე ფეხბურთელებს, რომლებიც დღეს თბილისის „დინამოში“ თამაშობენ, არ უნდა გაუჭირდეთ საფეხბურთო აკადემიის ლექციების ღრმა ანალიზი, საინტერესო ტაქტიკური აუ სტრატეგიული სიახლეების მოსინჯვა და დამუშავება, თავიანთს გუნდში მათი გადმოტანა და დანერგვა... მით უმეტეს, რომ წლევანდელმა მსოფლიო ჩემპიონატმა რამდენიმე უაღრესად საინტერესო სიახლე თუ არა, ამკარად გამოკვლილი ტენდენცია გვიჩვენა და ეს მაინც უნდა დატყობოდა ჩვენს გუნდს. პირველ ყოვლისა მზედველობაში მაქვს უკიდურესობამდე რაციონალური თამაში, დანარჩენ ტენდენციებზე კი ქვემოთ მოგახსენებთ.

..წლევანდელი საკავშირო ჩემპიონატის 14 მაისის მატჩისთვის, როცა ერთმანეთს მოსკოვისა და თბილისის დინამოელები შეხედნენ, „დინამოს“ ცენტრალური სტადიო-

ნის მიერ გამოშვებულ პროგრამაში დაბეჭდილია ინტერ-
ვიუ მ. მაჩაიძესთან. კორესპონდენტის შეკითხვაზე — რა
რაკლოვანებები გაქვთო, თბილისელმა ნახევარმცველმა ასე
უპასუხა:

— ჩემი აზრით, ძირითადი ნაკლი ის არის, რომ ხში-
რად ზედმეტად ვაყოვნებ ბურთს...

ეს პირდაპირ პარადოქსია! თუ მას ეს უაღრესად სე-
რიოზული ხარვეზი შეგნებული აქვს, ასე ეთქვათ, თეო-
რიულად ესმის, რატომ ვერ ელევა ამ მანეთ ჩვევას, სხვაგ-
ვარად რატომ არ თამაშობს? ვატყობ, რომ ამ მაგალი-
თის მოყვანით საქმე გავიფუჭე: აქაოდა; კაცი თავის ნაკლს
გრძნობს და მაინც ძველებურად თამაშობს, თქვენ კი მო-
ითხოვთ მსოფლიო ჩემპიონატიდან გამოიტანოს რაღაც
გაკვეთილი!

გეთანხმებით, ეს საკითხი ასე ერთი ხელის მოსმით,
ასე იოლად არ წყდება, მაგრამ, ვიმეორებ, იგივე მაჩაი-
ძეც, „დინამოს“ სხვა ნევრებიც ტექნიკისა და გამოცდი-
ლების მხრივ იმ დონეზე დგანან, რომ მონადინების, გა-
მიზნული ვარჯიშის შემთხვევაში სხვაგვარად, ახლებუ-
რად ათამაშდებიან.

მაგრამ ყოველივე ამას ბევრი შემაფერხებელი მიზეზი
აქვს და, პირველ ყოვლისა, დინამოელთა უკმარი ფიზიკუ-
რი მომზადება. თბილისის „დინამოს“ რომელიმე ფეხბურ-
თელმა ერთ მატჩში იმდენი ენერჯია რომ დახარჯოს, რამ-
დენსაც გფრ-ის ნაკრების ბრწყინვალე ნახევარმცველი
ვოლფგანგ ოვერბატი ხარჯავს, დასასვენებლად და ძალ-
ლონის აღსადგენად, სულ ცოტა, ერთი თვით იქნება კუ-
რორტზე გასაგზავნი, თუ, რა თქმა უნდა, უარესი რამ არ
შემთხვავა...

ამავე დროს, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ მაჩაი-
ძის მიერ ბურთის გაუთავებელი ტარება გუნდის თამაშის
მანერასთანაა დაკავშირებული. თუ მისი პარტნიორები
დროზე არ გაიხსნენ, თავისუფალ ადგილებზე არ ვავიდ-
ნენ, თავიანთი თავი არ შესთავაზეს ბურთის მფლობელს,
ზემოაღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრა მაჩაიძეს ძალიან
გაუჭირდება.

ასეა თუ ისე, თბილისის „დინამოს“ მსგავს ფეხბურთს დიდი ხანია აღარავინ თამაშობს. აბა, ვინ მისცემს თავს უფლებას უამრავი დრო დახარჯოს მინდვრის შუაგულის გასაველეად? ეს სომ ფუფუნებაა, მაგრამ ისეთი ფუფუნება, რომელიც მეტოქეს ერთობ აძლევს ხელს — ამ ხნის მანძილზე კარის წინ კედლის აღმართვა კი არა, სურამის ციხის აშენება მოესწრება. ასე ფეხბურთს დღეს არავინ თამაშობს... მაგრამ კიდევ ერთი უბედურება იმაშია, რომ ჩვენს დინამოელებს ეს მოძველებული და ყოვლად უსარგებლო თამაშის მანერა ძვალსა და რბილში აქვთ გამჯდარი.

იყო დრო, როცა საბჭოთა ფეხბურთის ერთ-ერთი შესანიშნავი სპეციალისტი ბ. არკადიევი კინალამ ჯვარს აკვებს იმის გამო, რომ ფეხბურთელის უნივერსალიზაციის მქადაგებლის როლში გამოვიდა. მაშინ მას ბევრი სპეციალისტი როდი ამოუდგა მხარში, ზოგიერთმა მწვრთნელმა ნოვატორის აზრი მხოლოდ ნაწილობრივ გაიზიარა, უმეტესობა კი არკადიევის შეხედულებას გმობდა.

სხვა ქვეყნებში, ვანსაკუთრებით ევროპის სახელმწიფოებში, ბევრმა გუნდმა სწორედ უნივერსალიზმისკენ წარმართა მთელი სასწავლო-სწავრთნელი მეცადინეობა, ხოლო წლებადღეღმა მსოფლიო ჩემპიონატმა თვალნათლივ დაადასტურა, რომ ეს ცნება დიდი ფეხბურთის განუყოფელი, შექადგენელი ნაწილი უნდა იყოს. დასავლეთ გერმანიის სტადიონებზე გამართული მატჩები უნივერსალური ფეხბურთელების ლაშაზი აღლუმში, დიდი საფეხბურთო სპექტაკლები იყო... სწორედ ამ მხრივაც აჯობებს ევროპის გუნდებმა (გფრ, პოლანდია, პოლონეთი) სამხრეთ ამერიკის წარმომადგენლებს.

ძალიან დასანანი იყო შოტლანდიის მშვენიერი გუნდის ბედი — ეს ბრძოლისუნარიანი, ჩახშახივით შეპართული კოლექტივი ნაუგებლად... გამოეთიშა ძირითად ეტაპს. შოტლანდიელთა რიგებშიც იყვნენ ბრწყინვალე, უნივერსალური მოთამაშეები. პირველ ყოვლისა ეს ეხება ნახევარძველ ბილი ბრემერს.

და აი, რა გამოვიდა: საბჭოთა ფეხბურთი მხოლოდ მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ შეუდგა თავის სხვა სერიოზულ ხარვეზებთან ერთად ამ დიდი ნაკლის გამოსწორებას. დაგვიანებული ხომ არ არის?

მაშ ასე: უაღრესად რაციონალური თამაში, უნივერსალიზმი...

რაციონალური თამაშის შესანიშნავ მაგალითებს იძლეოდნენ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და პოლონეთის ნაკრები გუნდები. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ერთი საჯარიმო მოედნიდან მეორეში ბურთის რაც შეიძლება სწრაფად გადაცემა. ამ მანძილის დასაფარავად მსოფლიოს მოწინავე საკლუბო გუნდები და ნაკრები კოლექტივები უკვე დიდი ხანია აღარ მიმართავენ შოკლე გადაცემებს, სოლო რეიდებს... პოლონეთის ნაკრებს სწორედ ამან მოუტანა წარმატება: მცველის გრძელი გადაცემა ერთ-ერთ ფლანგზე, იქიდან — გასწვრივი ჩანოდება კართან, გადაცემები ფლანგიდან ფლანგზე და ა. შ. თავისთავად ცხადია, რომ დღევანდელ ფეხბურთს შემორჩა ფინტიცა და დრიბლინგიც, სწრაფი რეიდიც და მოკლე პასიც, მაგრამ ყოველივე ეს მხოლოდ აუცილებელ მომენტში, კონკრეტულ ვითარებაში ხდება. პოლანდიის ნაკრები სწორედ ყველა ზემომოყვანილი კომპონენტის სინთეზს წარმოადგენდა, მაგრამ ამ ჩინებულ კოლექტივში მაინც თანამედროვე, აქტუალური ფეხბურთის არსენალიდან აღჭურვილი სპორტსმენები თამაშობდნენ.

X* მსოფლიო ჩემპიონატის კიდევ ერთი განმასხვავებელი, დამახასიათებელი ნიშანი იყო მოთამაშეთა შრომისუნარიანობა. ამ მხრივ პირდაპირ ფანტასტიკური იყო გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრები. ამ უბრწყინვალესი, უაღრესად შეთამაშებული გუნდის ყველა წევრი წარმოუდგენელი ტევადობის სამუშაოს ასრულებდა.

სწორედ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სტადიონებზე ჰპოვა თავისი ნამდვილი ზეიმი ეგრეთ წოდებულმა ტოტალურმა ფეხბურთმა, როკელსაც ამ რამდენიმე

წლის წინათ პქონდა პრემიერა გფრ-ისა და პოლანდიის
საკლუბო გუნდებში.

1 ოქტომბერი, 1974 წ.

არ შეგაპინოთ სიტყვამ „ტოტალური“

მაშ ასე: ტოტალური ფეხბურთი! როგორც სიტყვა „ტოტალური“ გვიჩვენებს, იგი ძნელი სათამაშო უნდა იყოს, ვინაიდან ძნელია მოიცვა ყოველივე. მაგრამ ხოუ ითამაშეს ამნაირად გფრ-ის სტადიონებზე მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე მონაწილე გუნდებმა და წარმატებასაც მიაღწიეს. ტოტალური ფეხბურთის ფორმულა რომ წარმოვიდგინოთ (უკლებლივ მთელი ძალ-ღონისა და უნარის მოხმარება მატჩისთვის, მთელი ერთობლივი ძალების მოკრება და მოძრაობა, მოძრაობა...), ზოგიერთს შესაძლოა ეგონოს, ეს რა იოლი საქმე ყოფილაო, საბჭოთა ნაკრები განა ასე არ თამაშობსო?... ასეთებს საკითხის გარკვევაში დასახმარებლად პირველ ყოვლისა ჟ. აველანჯის ერთ უაღრესად ზუსტ მოსაზრებას გავახსენებ: საბჭოთა ფეხბურთელები (ლაპარაკი ეხებოდა ნაკრებს) იმდენად ბევრს დარბიან, რომ თამაშისთვის დრო აღარ რჩებათ.

ისე კი, აბა როგორ შეიძლება ზემომოყვანილი ფორმულის ასე პრიმიტიულად გაგება. უკლებლივ მთელი ძალ-ღონისა და უნარის მოხმარება მატჩისთვის, მთელი ერთობლივი ძალების მოკრება და მოძრაობა აბსოლუტურად ყველა გუნდს შეუძლია, მაგრამ ჩვენ სულ სხვა ხარისხზე გვაქვს ლაპარაკი და ეს ხარისხი გულისხმობს უმაღლესი კატეგორიის ტექნიკითა და ტაქტიკით აღჭურვილ კოლექტივებს. ტოტალური ფეხბურთი სწორედ ასეთ გუნდებში შეიძლება დაინერგოს, უკეთუ იგი ამ უმაღლეს ტექნიკურ-ტაქტიკურ მომზადებაზე დამყნელი, იქიდანაა აღმოცენებული და გახარებული.

თავისთავად ცხადია ისიც, რომ ტოტალური ფეხბურთი უცილობლად ითვალისწინებს მოთამაშეთა უნივერსალიზაციას, ესე იგი, ყოვლად წარმოუდგენელია და შეუძლებე-

ლი გუნდმა წარმატებით ითამაშოს ყოვლისმომცველი ფეხბურთი, თუ მის უმეტესობას უნივერსალური ფეხბურთელები არ შეადგენენ.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სტადიონებზე გამართული X მსოფლიო ჩემპიონატის მატჩებში ამ მხრივ სამაგალითონი იყვნენ მასპინძელი ქვეყნისა და პოლანდიის ნაკრები კოლექტივები. ეს არცაა გასაკვირი, ვინაიდან, როგორც წინა წერილში აღვნიშნე, ტოტალური ფეხბურთის ფუძემდებლად სწორედ ამ სახელმწიფოთა საკლუბო გუნდები (პირველ ყოვლისა, „ბაიერნი“, „ბორუსია“, „აიაქსი“, „ფეიენოორდი“) გვევლინებიან. და მაშინ, რამდენიმე წლის წინათ, როგორც ნ. სიმონიანი ამბობს, ყოველივე ეს საბჭოთა სპეციალისტებისთვის თავის დროზე რომ ერვენებინათ, „პოლანდიელთა თამაში (ლაპარაკია „აიაქსზე“ ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების ფინალურ მატჩში), ვფიქრობ, აღარ იქნებოდა ჩვენთვის თუმცა, მართალია, სასიამოვნო, მაგრამ დაგვიანებული აღმოჩენა“.

აი, სულ ასე კუდში მიჩანჩალებს სსრ კავშირის ნაკრები თავისი არსებობის ყოველ ეტაპზე მსოფლიო საფეხბურთო ცხოვრების მოვლენებს, ძვრებს, სიახლეებს... და იმის ნაცვლად, რომ მიიღონ რადიკალური, გადამჭრელი ზომები უაღრესად უღიმღამო მდგომარეობის გამოსასწორებლად, ამხანაგურ მატჩებში არასახარბიელო შედეგების შემთხვევაში გუნდს უმალვე უწველიან სახელს — სსრ კავშირის კლუბების ნაკრებს არქმევენ! აი, სადამდე მიდის „მუნდირის ღირსებისთვის“ ბრძოლა, თუმცა უპირატესად, ცხადია, მინდორზე ბრძოლის ხარისხის ამალლებას უნდა მიექცეს მთელი ყურადღება. საქმე განა სახელწოდებაშია? ანდა, კაცმა რომ თქვას, რა განსხვავებაა სსრ კავშირის ნაკრებსა და სსრ კავშირის კლუბების ნაკრებს შორის?

... მაინის ფრანკფურტის სასტუმრო „ინტერკონტინენტალში“ მოწყობილ პრესცენტრში ტოტალურ ფეხბურთზე საუბრისას ერთმა ფურნალისტმა თქვა, ეგ მე არ მომწონს, ვინაიდან ტოტალური თამაში მხოლოდ ძალისმიერ ფეხბურთელებს ძალუძთ. მას უმალვე დაუმტკიცეს ამ

მოსაზრების მცდარობა — მხოლოდ რამდენიმე გვარი დაუსახელეს: ბეკენბაუერი, ბრაიტნერი, ოვერათი, კრუიფი, ფრანსისკო მარინიო, დეინა... ერთ რამეში, ნაწილობრივ, სწორი იყო ის ჟურნალისტი: ამგვარი თამაშისთვის ფეხბურთელი ფიზიკურად ჩინებულად უნდა იყოს მომზადებული.

ზემოჩამოთვლილი ფეხბურთელები, ყველა სხვა შემთხვევაში თვისების გარდა, საოცარი არტისტიზმითაც გამოირჩეოდნენ. ამგვარად, ტოტალური ფეხბურთი სულაც არ ნიშნავს „ჭუჭყიან“, მხოლოდ და მხოლოდ ათლექტურ ფეხბურთს და, მიუხედავად იმისა, რომ გუნდი თამაშობს დევიზით — „ყველა ერთისთვის, ერთი ყველასთვის“, იგი, ეს თამაში, ძალიან დახვეწილია და მოთამაშეთა იდეალურ ურთიერთგაგებას, შეხმატკბილებას მოითხოვს.

...მე ხშირად ვფიქრობ უკანასკნელ სამ მსოფლიო ჩემპიონატზე და მათს შორის პარალელებს ვაძლევ. ერთობ ჩნდება სასწორზე ამ სამი შესანიშნავი ტურნირის დადება, ანონ-დანონა, ერთმანეთთან შედარება. ინგლისის VIII მსოფლიო ჩემპიონატიდან რვა წელიწადზე მეტი გავიდა, მექსიკის მეცხრეც კარგა ხანია ისტორიის კუთვნილება გახდა და, ერთი შეხედვით, მეხსიერებაში ყველაზე გაუხუნარი თითქოს ივლისის პირველი კვირის მინურულს დასავლეთ გერმანიაში დამთავრებული ჩემპიონატი უნდა იყოს. მაგრამ მთლად ასეც არ არის: ფეხბურთის თვალსაჩინო, აშკარა პროგრესის მიუხედავად, დღემდე გადაჭრით ვერ გადამიწყვეტია, თავისი ხარისხით, გუნდების მრავალფეროვნებით, მატჩებისადმი ინტერესით, ასპარეზობის ორგანიზაციით და სხვა ატრიბუტებით რომელი ჩემპიონატი სჯობს — მექსიკისა თუ დასავლეთ გერმანიისა (ინგლისში გამართულ შეჯიბრებას ძალიან ბევრი მიზეზით, უპირველეს ყოვლისა კი მასპინძელთა ნაკრებისადმი მსაჯების აშკარა მიკერძოების გამო, ვერც ერთ მის მომდევნოს ოდნავადაც ვერ შევადარებ).

ერთი რამ კი, ჩემი აზრით, უდავოა: X გათამაშება — ეს იყო ტოტალური ფეხბურთის ზეიმი, როცა ყოვლისმომცველ ფეხბურთს თამაშობდნენ მთელი გუნდები და არა

ცალკეული ფეხბურთელები, როგორც ეს უნინ იყო. ცალკეული ფეხბურთელები ინგლისისა და შემდეგ მექსიკის სტადიონებზე გაჩაღებულ ბრძოლებშიც ბრწყინავდნენ ამ მხრივ. გავიხსენოთ თუნდაც ინგლისის მსოფლიო ჩემპიონატიდან პორტუგალიის ნაკრების დიდებული ნახევარმცველი ნესტორ კოლუნა, ან მისი ინგლისელი კოლეგა ბობი ჩარლტონი, ან იმავე გუნდის კაპიტანი ბობი მური, მექსიკის გათამაშებიდან — პელე, ჯიველინო, გერსონი, ოვერატი...

წინა და უკანა რგოლების დაკავშირებით გამონკეული ყველაზე დიდი რადიუსით მოქმედებისა და, აქედან გამომდინარე, მეტად დიდი ჯაფის გამო ტოტალური ფეხბურთის მამამთავრებად ნახევარმცველები გიველინებიან, მაგრამ ეს დრო ისტორიას ჩაჰბარდა. მაინის ფრანკფურტის, დასავლეთ ბერლინის, ჰამბურგის, დორტმუნდის, ღიუსელდორფის, ჰანოვერის, გელზენკირჰენის, შტუტგარტის, მიუნჰენის სტადიონებზე მსოფლიოს მონინავე გუნდებში ყველას, განურჩევლად ყველა მოთამაშეს — მცველს, ნახევარმცველს, თავდამსხმელს — უაღრესად დიდი ჯაფა ადგა და არავინ იფარგლებოდა თავისი სახელწოდებიდან გამომდინარე ძველი ფუნქციებით.

ამის დასტურად უამრავი მაგალითი შეგვეძლო მოგვეყვანა, მაგრამ ერთიც საკმარისია. მიხდა გავახსენოთ ორი ნახევარმცველი: ოვერატი (გფრ) და ნეესკენსი (ჰოლანდია). თქვენ, დარწმუნებული ვარ, გახსოვთ მათი მოქმედების დიაპაზონი, მათი წვლილი გუნდების ტაქტიკურ ვარიაციებში, მათი შეუპოვრობა მეტოქის კარის აღებაში და საკუთარის ჭელშეუსებლობაში... ერთი შეხედვით ძალისმიერი ყაიდის მოთამაშე ნეესკენსი უაღრესად მოქნილი და მობილურია. ეს ბრწყინვალე ტექნიკის მქონე ფეხბურთელი რაღაც, თუ შეიძლება ასე ითქვას, საშუალოა, გარდამავალია არტისტულ და ძალისმიერ მოთამაშეებს შორის. განსაკუთრებით საზგასასმელია მისი ფანტასტიკური ალღო კარში დარტყმისას, როცა იგი პარტნიორის გადაცემას როგორღაც აგრძელებს და ბურთი მეტოქის კარში აღმოჩნდება. ასე ძას არაერთი ბურთი გაუტანია, რო-

მელთაგან განსაკუთრებით დასამახსოვრებელია პირველი გოლი ან უკვე მსოფლიოს ექს-ჩემპიონთა — ბრაზილიელთა კარში.

ოვერატზე მე უნინაც ბევრი დამიწერია და ამჯერად თავს არ შეგანყენთ. იგი ყველაზე მეტად მომეწონა მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატში (ისე როგორც კოლუნა — ინგლისში). მაგრამ, ჩემი აზრით, მან მექსიკის შემდეგ ცოტათი უკლო თამაშს, თუმცა თავის სამშობლოს სტადიონებზეც სავსებით საიმედოდ გამოიყურებოდა.

დაბოლოს უნდა გითხრათ, რომ პარიზის ყურნალ „ფრანს-ფუტბოლის“ კორესპონდენტებმა, რომლებიც X მსოფლიო ჩემპიონატს ესწრებოდნენ, გამოაქვეყნეს მსოფლიოს უძლიერესი ფეხბურთელების საკუთარი ვარიანტი.

აი, ეს საყურადღებო სიაც:

მეკარეები: მაიერი (გფრ), ჰელსტრიომი (შვეცია), ტომაშეესკი (პოლონეთი), იონგბლადი (ჰოლანდია), კროი (გდრ).

მარჯვენა მცველები: ფოგთსი (გფრ), სუურბიერი (ჰოლანდია), ჯარდინი (შოტლანდია), ვოლფი (არგენტინა), ბულიანი (იუგოსლავია).

ცენტრალური მცველები: ბეკენბაუერი (გფრ), ლუის პერიერა (ბრაზილია), ფიგეროა (ჩილე), ჰაანი (ჰოლანდია), კატალინსკი (იუგოსლავია).

მარცხენა მცველები: ბრაიტნერი (გფრ), ფ. მარინიო (ბრაზილია), კროლი (ჰოლანდია), ჰაჯიაბდიჩი (იუგოსლავია), ბაკენი (შოტლანდია).

ნახევარმცველები: ნეესკენსი (ჰოლანდია), დეინა (პოლონეთი), ვან ჰანგემი (ჰოლანდია), ბრემნერი (შოტლანდია), ოვერათი (გფრ).

მარჯვენა გარემარბები: ლატო (პოლონეთი), გრაბოვსკი (გფრ), რეპი (ჰოლანდია), აიალა (არგენტინა), ლორიმერი (შოტლანდია).

ცენტრალური თავდამსხმელები: კრუიფი (ჰოლანდია), ედსტრიომი (შვეცია), შარმახი (პოლონეთი), მიულერი (გფრ), ბონევი (ბულგარეთი).

მარცხენა გარემარბები: გადოხა (პოლონეთი), სანდ-ბერგი (შვეცია), რენსენბრინკი (პოლანდია), ჰაუსმანი (არგენტინა), პოლცენბაინი (გფრ).

მართლაც საინტერესო სიაა. ნეტავ როდის იქნებიან ამგვარ სივრცეებში საბჭოთა ფეხბურთელებიც?

„ფრანს-ფუტბოლისა“ და სხვა გაზეთების კორესპონდენტები ამჯერად ცალ-ცალკე მოქმედებდნენ და ტრადიციული სიმბოლური ნაკრების შედგენას ვერც ჩემპიონატის ორგანიზატორებმა მოაბეს თავი. ათას ხუთასი ფურნალისტი (რადიო- და ტელეჟურნალისტები რომ არ ჩავთვალოთ) ამოდ ელოდა შესაბამის ანკეტებს... ამიტომ ტრადიცია პირველად დაირღვა: X მსოფლიო ჩემპიონატი ოფიციალური სიმბოლური ნაკრების გარეშე დარჩა.

მე შევეცადე „შემევსო“ ეს ხარვეზი და ძველი ტრადიციის ერთგული დავრჩი. ჩემი ნაკრები ასეთია: მაიერი (გფრ), ფოგთსი (გფრ), ბეკენბაუერი (გფრ), კროლი (პოლანდია), ფრანსისკო მარინიო (ბრაზილია), დეინა (პოლონეთი), კრუიფი (პოლანდია), ნეესკენსი (პოლანდია), ლატო (პოლონეთი), გერდ მიულერი (გფრ), რენსენბრინკი (პოლანდია).

9 ოქტომბერი, 1974 წ.

70-იანი წლების პირველი

იქნებ ზოგიერთს უგონია, რომ ტოტალური ფეხბურთის არსი მოთამაშეთა დაუსრულებელ გადაადგილებებში, შეუჩერებელ სირბილში მდგომარეობს? ეს დღევანდელი ფეხბურთის ლაიტმოტივის ერთობ ვულგარული გაგებაა. როცა ვლაპარაკობთ დასავლეთ გერმანიის სტადიონებზე X მსოფლიო ჩემპიონატის მატჩებში დემონსტრირებულ ტოტალურ ფეხბურთზე, უპირველეს ყოვლისა ვგულისხმობთ მეტისმეტად მობილურ, მოძრავ თამაშს, რომელიც ფიზიკურად საუცხოოდ მომზადებულ მოთამაშეთა მაღალ ტექნიკურ-ტაქტიკურ ოსტატობაზეა დაფუძნებული. ამავე დროს, როგორც ამ თემაზე ჩვენთან საუბარში ფეხბურთის

ჩინებულმა სპეციალისტმა ა. ნორაკიძემ აღნიშნა, მაღალი დონის ტოტალურ ფეხბურთში აუცილებელია ცალკეულ მოთამაშეთა „ტაიმ-აუტები“, პატარ-პატარა შესვენებები. ამის მაგალითად მან პოლანდიის ნაკრები მოიყვანა: ნე-ესკენსი და კრუიფი ამ მხრივ ძალიან უწყობდნენ ერთმანეთს ხელს. დგებოდა მომენტები, როცა კრუიფი დასასვენებლად ზურგში იხევდა, ასე ვთქვათ, მეორე ეშელონში გადადიოდა, ერთხანს თითქოს ჩრდილში იყო, ამ დროს კი ნეესკენსი გადიოდა წინა ხაზზე და თავის მოვალეობასთან ერთად კრუიფის ფუნქციებსაც ასრულებდა. მერე პირიქით ხდებოდა... და ასე რამდენიმეჯერ მატჩის დროს.

მართლაც ყოველად წარმოუდგენელია 90 წუთის განმავლობაში 20 კაცის შეუწყვეტელი სირბილი წინ და უკან... (ამიტომ არის ასე ძნელი მაღალი კლასის ტოტალური ფეხბურთის თამაში. აქ ყოველი დეტალი უაღრესად გააზრებული უნდა იყოს. რგოლების ურთიერთმოქმედება და კავშირი უზუსტეს შეთამაშებას საჭიროებს, აქ ტაქტიკა უპირველესი ფაქტორი ხდება. ერთი სიტყვით, ეს არის ფეხბურთის აკადემია, რომლის გავლა და ათვისება, ჩემი ღრმა რწმენით, თვით X მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილეთაგან სულ რამდენიმე გუნდს თუ ეტყობოდა).

ზემოთქმულთან დაკავშირებით ასეთი ამბავი გამახსენდა:

ცნობილი ფრანგი კინომსახიობი ჟან-პოლ ბელმონდო ახალგაზრდობაში კრივით იყო გატაცებული. ერთ-ერთი ბრძოლის შემდეგ მწვრთნელმა მას უთხრა: ისე გააფთრებით იქნევდი ხელებს მეტოქის წინ, რომ მას, ალბათ, მალე საავადმყოფოში წაიყვანენ — ფილტვების ანთება არ ასცდებო.

რარივ პარადოქსულადაც უნდა უღერდეს, სწორედ ტოტალურ ფეხბურთშია აუცილებელი რაციონალიზმი, ეკონომიური თამაში... თორემ, მოკრივე ბელმონდოსი არ იყოს, ზოგიერთი გუნდი მსოფლიო ჩემპიონატში, აქაოდა ტოტალურ ფეხბურთს ვთამაშობო, თავისი ტექნიკურ-ტაქტიკური ოსტატობის უკმარობის ანაზღაურებას გადაამეტებული გადაადგილებებით, ფუსფუსითა და სტაქიური მოძრაობით,

თავანყვეტილი სირბილით ცდილობდა. მაგალითად, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრებთან მატჩის შემდეგ ჰოლანდიის ეროვნული გუნდის კაპიტანმა კრუიფმა თქვა:

— გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ფეხბურთელები ჩამოგვრჩებოდნენ ტაქტიკაში და ტექნიკაში. ერთადერთი, რაშიც ტოლი არ დაგვიდეს, მინდორზე გადაადგილება იყო.

თავისთავად ცხადია, ტოტალური ფეხბურთი მოთამაშეთაგან წარმოუდგენლად დიდ ჯაფას მოიხსოვს. მსოფლიო პირველობის დროს იმავე კრუიფს ჰკითხეს, იღლებით თუ არა თამაშის დროს? მან ასე უპასუხა:

— მატჩის შემდეგ ათ წუთს სკამზე კვივარ და წელში ვერ ვსწორდები. ამხანაგები მეუბნებიან, ამ დროს მოხუცს ჰგავხარო.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, იბადება შეკითხვა: შეუძლიათ თუ არა საკლებო გუნდებს მთელი თავიანთი ეროვნული ჩემპიონატის მანძილზე ტოტალური ფეხბურთის თამაში? ჩემი აზრით, სწორედ ამ უაღრესად რთული და მრავალნახნაგოვანი საკითხის გადანყვეტაში გამორჩდება გუნდის ხელმძღვანელობისა და თავად მოთამაშეების მთელი სიბრძნე თუ უუნარობა. არსებული ძალების, ობიექტური შესაძლებლობების მისადაგება ყოვლისმომცველი ფეხბურთისადმი — აი, ჩემი აზრით, ერთ-ერთი ამოსავალი წერტილი ამ, ვიმეორებ, უაღრესად რთული და მრავალნახნაგოვანი პრობლემის გადასაჭრელად.

ერთი რამ კი უდავოა: X მსოფლიო ჩემპიონატის სტადიონებზე გაჩაღებულმა ტოტალურმა ფეხბურთმა ბევრ ჯუნდს, ბევრ ფეხბურთელს გააცალა სიქა. ამის მაგალითი ბევრია: მიუნჰენის „ბაიერნმა“, რომლის რიგებშიც თამაშობენ ბეკენბაუერი, მიულერი და სხვა საუცხოო ფეხბურთელები (მათ თავი არ დაუზოგავთ არც ერთ შეხვედრაში), მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ ოთხი მატჩი წააგო ეროვნულ ჩემპიონატში (აქედან — სამი ზედიზედ), რაც უპრეცედენტო ამბავია ამ დიდებული გუნდის ისტორიაში; გდრ-ის ნაკრებმა — დასავლეთ გერმანიის სტადი-

ონებზე ტოტალური ფეხბურთის ამ ერთ-ერთმა უერთგულესმა მიმდევარმა, მსოფლიო პირველობის შემდეგ ვერ შეძლო ისლანდიის სუსტი გუნდის დამარცხება; X ჩემპიონატის მესამე პრიზიორი — ასევე ტოტალური ფეხბურთის უღალატო რაინდი, პოლონეთის ეროვნული გუნდი უღიმამოდ გამოვიდა ამხანაგურ საერთაშორისო შეხვედრებში (1:3 — გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან, 0:2 — საფრანგეთთან).

ალბათ დამეთანხმებით: X მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ ტოტალური ფეხბურთის შემსრულებელი გუნდებისა თუ ცალკეული ფეხბურთელების თამაშში აშკარად შეიმჩნეოდა ერთგვარი დეპრესია, როგორც ფიზიკური, ისე მორალური.

და აი, აქ გვსურს ერთი მოსაზრება გავიზიაროთ. ძნელი საფიქრებელია, რომ, მაგალითად, კრუიფი „აიაქსის“ რიგებში და ამჟამად „ბარსელონის“ შემადგენლობაში თამაშის დროს თავისი ძალის მაქსიმუმს ახჩარდა და ახმარს ყოველ მატჩს. იგივე შეიძლება ითქვას ნებისმიერ სხვა ფეხბურთელზე. ამის დამადასტურებელია პოლანდია — ფინეთის ამასწინანდელი შესარჩევი მატჩი ევროპის პირველობაზე, როცა X მსოფლიო ჩემპიონატის მეორე პრიზიორებმა საკმაოდ მშვიდად, საშუალო ტემპით, იოლადა დაამარცხეს მეტოქე.

...იყო თუ არა უნინ ტოტალური ფეხბურთი? არა მგონია. ფეხბურთი, როგორც ყველა დარგი, ვითარდება, წინ მიდის, ერთგვარ სახეცვლილებას განიცდის. ტოტალური ფეხბურთი 70-იანი წლების პირმშოა. მაგრამ აბა ვის მოუვა აზრად ძველი ფეხბურთის, ამ ქვშმარიტად სახალხო თამაშის უწინდელი სისტემების უარყოფა? ტოტალური ფეხბურთი დღეს პროგრესული მოვლენაა, ისევე, როგორც ერთ დროს ასევე პროგრესული იყო განლაგება „ბუთი ხაზზე“, „დუბლ-ვე“, ბრაზილიური სქემა...

ღმერთო შეგცოდე, დღესაც გვხვდებიან ადამიანები, ვისაც ძველი ფეხბურთის მშვენიერება უფრო მიმზიდველი ეჩვენება... ზოგი ჯიუტად იცავს „ძველ ფეხბურთს“ და დღევანდელისა არაფერი სწამს. ზოგიც, უბრალოდ, სიტყვა

„ძველის“, „უნინდელის“ რომანტიკულ ბურჟუას დაუბრმავებია და დღევანდელ ფეხბურთს ვერა ხედავს. ამასთან დაკავშირებით შემთხვევით ყურმოკრული ერთი დიალოგი მახსენდება:

— გახსოვს, ლიფტში რომ გავიჩხირეთ...

— ეჰ, ის დრო სჯობდა!
რატომ?..

13 ნოემბერი, 1974 წ.

მსაჯობის მძიმე წუთები

სპორტულ ასპარეზობათა აუცილებელი ატრიბუტი — მსაჯობა — საპატიო და საპასუხისმგებლო მოვალეობაა. ალბათ დიდ წინააღმდეგობას არ გამოიწვევს ის აზრი, რომ ყველაზე ძნელია მსაჯობა სპორტულ თამაშებში, მათ შორის ფეხბურთში. გარდა იმისა, რომ ამ თამაშის წესები საკმაოდ რთულია და შავ ფორმაში გამონყობილი მსაჯისგან კარგ ფიზიკურ მომზადებას მოითხოვს, ფეხბურთის არბიტრის პასუხისმგებლობას ისიც ამძიმებს, რომ მისმა თვით ერთი შეხედვით უმნიშვნელო შეცდომამაც კი შეიძლება შედეგის გამოუსწორებელი დამახინჯება გამოიწვიოს. ფეხბურთში ხომ მიზნის მიღწევას გაცილებით დიდი ფასი აქვს, ვიდრე სხვა თამაშებში.

ობიექტური მსაჯობისთვის არბიტრი მატჩის მანძილზე უნდა იქცეს უზუსტეს რობოტად, სავსებით გაშიშვლებული ემოციები, სიმპათია ერთ-ერთი მეტოქე გუნდის მიმართ და მხოლოდ იმას მიაქციოს ყურადღება, რაც მინდორზე ხდება. იგი არც მაყურებლებს უნდა ხედავდეს, არც ჟრიბუნების ხმაური უნდა ესმოდეს. ამავე დროს, მსაჯი ვალდებულია ფორმალისტი არ იყოს და შემოქმედებითად გაიაზროს მატჩის სიტუაციები (პასიური თამაშგარე მდგომარეობა, თამაშის შეჩერება დამნაშავეს სასარგებლოდ...). თუ ასე არ იქნა, მსაჯს, უკეთეს შემთხვევაში, მოელის სტვენა ტრიბუნებიდან, ერთი-ორი „ტკბილი“ სიტყვა ჟურნალისტებისგან. შეიძლება ეს ყველაფერი მისთვის არც ისე

მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს, მაგრამ აქ მთავარია ის, რომ დაზარალებული რჩება ფეხბურთი, მახინჯდება ამ თამაშის აზრი.

განვლილ მსოფლიო ჩემპიონატს მსაჯობის მიმართ საყვედურის საბაბი არ მოუცია და ამაში თითქოს ყურადღების გასამახვილებელი არაფერია. მაგრამ ფეხბურთელთა უმალლესი რანგის შეჯიბრებების პრაქტიკა მოწმობს, რომ ძალიან ხშირად მსაჯობა, მეტი რომ არა ვთქვათ, ერთობ შორს იყო სრულყოფილებისგან.

გავიხსენოთ ზოგი რამ წარსულიდან. 1966 წელი. ინგლისი. ფეხბურთელთა VIII მსოფლიო ჩემპიონატი. მატჩი ინგლისი — არგენტინა. მსაჯი კრაიტლაინი (გფრ). თამაშის დროს მინდვრიდან გაძევებულია 1 არგენტინელი. მატჩი გფრ — ურუგვაი. მსაჯი ფინი (ინგლისი). გაძევებულია 2 ურუგვაელი.

საქმეში ჩაუხედავ კაცს შეიძლება ეს სტრიქონები გაუგებრად მოეჩვენოს, მაგრამ თუ დავძენთ, რომ ამ მატჩებისთვის არბიტრებს პირადად ფიჯა-ს იმჟამინდელი პრეზიდენტი სტენლი როუზი ირჩევდა, რომ კრიტიკამ ერთხმად აღნიშნა ორივე არბიტრის შიკვრობა, მყისვე უნებლიედ გაგვახსენდება ერთი ქართული ანდაზა: ხელი ხელს ბანს და ორივე ერთად პირსო.

ოთხი წლის შემდეგ მექსიკის ჩემპიონატში მინდვრის მასპინძლებთან მატჩში ბელგიელი ფეხბურთელები აშკარად შეავინროვეს... მინდვრის არბიტრებმა. მექსიკელებს ისლა დარჩათ, რომ დანყებული საქმე ბოლომდე მიეყვანათ.

ამავე პირველობაში საბჭოთა კავშირისა და ურუგვაის გუნდების შეხვედრაში მსაჯმა ვან რავენსმა (პოლანდია) გოლი (გადამწყვეტი) ჩაუთვალა ურუგვაელ ესპარაგოს მას შემდეგ, როცა ბურთმა მინდვრის ფარგლები დატოვა. რაღაც ამის მსგავსი მოხდა ამავე მეტოქეთა შეხვედრაში ჩილეს ტურნირში 1962 წელს. საბჭოთა ნაკრების ერთ-ერთი იერიშის დროს ბურთი ლათინური ამერიკის წარმომადგენელთა კარში შევარდა — ცუდად დაჭიმული ბადის ქვეშ გვერდიდან შეგორდა. მსაჯმა აღნიშნა კარის აღება, მაგრამ მას შემდეგ, რაც საბჭოთა გუნდის კაპიტანი ნეტო მივიდა

მასთან და აუხსნა მომხდარის არსი, გადანყვეტილება შეცვალა. სამწუხაროდ, მექსიკაში ურუგვაელ პროფესიონალთა შორის ერთიც არ აღმოჩნდა ისეთი, რომ სამაგიეროდ ასეთი კეთილსინდისიერება მაინც გამოეჩინა.

რასაკვირველია, არ შეიძლება ითქვას, რომ მიუნჰენის მსოფლიო პირველობაში მსაჯობა იდეალური იყო (არის-კი საერთოდ შესაძლებელი იდეალური მსაჯობა?), მაგრამ მისი ხარისხი მაინც ისე მაღალი გახლდათ, როგორც არასდროს. შეიძლება მსაჯები უმნიშვნელო შეცდომებს უშვებდნენ, მაგრამ ცდებოდნენ ისინი უმეტესად „კარგი მიმართულებით“. ასე მოხდა, მაგალითად, იუგოსლავია — ზაირის მატჩის დროს, როცა მსაჯი დელგადო (კოლუმბია) ბოლომდე ვერ გაერკვა ჩვეულებრივი ხულიგნობის ფაქტში და ერთი აფრიკელი ფეხბურთელის მაგიერ მეორე გააძევა. შეიძლება ვიკამათოთ იმაზე, თუ რამდენად სწორი იყო მსაჯის ეს გადაწყვეტილება, მაგრამ ერთი რამ უდავოა: ზაირის გუნდი უნდა დასჯილიყო მსაჯის შეურაცხყოფისთვის. დელგადო მხოლოდ იმაში შეიძლება დავადასაშაულოთ, რომ ამ მომენტში მოთამაშეებისკენ ზურგი იდგა.

არც ისე დამაჯერებელი იყო დასავლეთგერმანელი ჩენჩერის მსაჯობა მაშინ ჯერ კიდევ მსოფლიო ჩემპიონთა — ბრაზილიელთა მნიშვნელოვან მატჩში პოლანდიელ ფეხბურთელებთან. ეს თამაში მარტო უხეში კი არა, ბინძურიც იყო. უნდა ითქვას, რომ გამოცდილმა მსაჯმა ვერ შეძლო გამკლავებოდა მეტოქე გუნდების, კანსაკუცარებით, ბრაზილიელთა ვნებათა ღელვას. მსაჯი, უბრალოდ, ვალდებული იყო დაენახა ის ეპიზოდი, როცა ჩემპიონთა კაპიტანმა მ. მარინიომ კუფაში მუშტი ჩასცხო პოლანდიელთა ნახევარმცველს ნეესკენსს და ნოკდაუნში ჩააგდო. კიდევ უარესი, თუ ჩენჩერმა ეს ყველაფერი დაინახა, მაგრამ ვერ შეძლო (ან არ მოისურვა) მარინიოს გაძევება. ბრაზილიელები მაინც ვერ გადაურჩნენ ფეხბურთელისთვის ყველაზე მკაცრ სასჯელს. შეხვედრის დამთავრებამდე რამდენიმე წუთით ადრე, როცა მატჩის ბედი ფაქტიურად გადანყვეტილი იყო, მინდორი დატოვა მცველმა პერეირამ.

გდრ — ბრაზილიის მატჩში იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ მატჩის არბიტრი თომასი (უელსი) ცალკეულ მომენტებში ლოიალურად ეკიდებოდა ევროპელ ფეხბურთელთა უხეშობას. ეს მაშინ, როცა სამხრეთამერიკელებმა ორჯერ „დაიმსახურეს“ ყვითელი ბარათი.

პირველობის რამდენიმე მატჩის შემდეგ გაზეთ „კომ-სომოლსკაია პრავდას“ საკუთარი კორესპონდენტი გ. გურ-კოვი წერდა: „X ჩემპიონატის პირველი სამწუხარო „რე-კორდი“ ასეთია: სამი გაძევება და 31 გაფრთხილება“. ამ ფაქტს ერთი შეხედვით სასიამოვნოთა რიგს ვერ მივაკუთ-ვნებთ, მაგრამ აქ მთავარია არა სხვადასხვაფერი ბარათე-ბის რაოდენობა, არამედ ხარისხი მსაჯობისა, რომელიც უფრო პრინციპული, შეურიგებელი გახდა.

ამ ბოლო ხანს მსაჯობაში „სიმკაცრის ტალღა“ ბევრ ქვეყანას მოედო — ფიფა-ს მუშაკებმა თავიანთი ტრიბუნებიდან მრავალგზის მოუწოდეს არბიტრებს ობიექტურობისკენ, უხეშობის აღკვეთისკენ, დამნაშავეთა დაუყოვნებ-ლივ დასჯისკენ. სწორედ ამ პრაქტიკის ნაყოფი ვიხილეთ ზაფხულში დასავლეთ გერმანიის სტადიონებზე. სწორედ ამიტომ არ შეიძლება ნაწყენი დაჯრჩეთ ვითონდა წესის დარღვევის შემთხვევათა გახშირების გამო: უბრალოდ, მსა-ჯები უკვე აღარ არიდებენ თვალს უხეშობას და ცდილობენ არა მარტო აღნუსხონ, არამედ აღკვეთონ კიდევ მსგავ-სი შემთხვევები. წინა მსოფლიო ჩემპიონატებშიც ასეთივე ობიექტური მსაჯობა რომ ყოფილიყო, დასჯის შემთხვევა იქ უდავოდ მეტი იქნებოდა. მოვიყვან ასეთ მაგალითს: ინ-გლისის მსოფლიო პირველობის დროს ბრაზილია — პორ-ტუგალიის მატჩში, როგორც ცნობილია, ევროპელთა მცვე-ლი ვისენტე ძალიან უხეშად თამაშობდა პელეს წინააღ-მდეგ, რის გამოც ეს უკანასკნელი სერიოზულად დაშავდა. იქნებ შემთხვევივით მოხდა ეს? არა! აი, რას ვკითხულობთ მ. სტურუას და ბ. ჟედოსოვის წიგნში „საფეხბურთო ალბი-ონი“: „ექვსჯერ გადაეჯაჭვა ერთმანეთს პელესა და ვი-სენტეს გზები. პირველად ეს მაშინ მოხდა, როცა ჯერ კი-დევე სრულიად უცნობი თხუთმეტი წლის ბიჭი „სანტოსის“ შემადგენლობაში გადიოდა სათამაშოდ. ეს გუნდი პორ-

იტუგალიის კლუბს „ბელენენსეს“ ხვდებოდა. ამ თამაშში პელებმ ოთხი ბურთი გაიტანა. შემდგომი ხუფი თამაშიდან პელებმ მხოლოდ ორჯერ დააღწია ვისენტეს „კლანჭებს“ თავი. 19 ივლისს, მატჩის წინ, ვისენტემ თქვა: „ერთი წუთითაც არ მოვცილდები პელებს, მინდორივ რომ ჩიატოვოს და გასახდელისკენ ნავიდეს, მაინც უკან გავეყვები“.

მაგრამ ჩვენ ვერ ვნახეთ პელებს და ვისენტეს ცხარე დუელი. პირველი ტაიმის ნახევრიდან პელებე ჰორტუგალიელის „ბინძურ მარწუხებში“ მოექცა, დაშავდა და ფაქტიურად თამაშს გამოეთიშა“.

ეს ყველაფერი ინგლისში კი არა, მიუნჰენში რომ მომხდარიყო, არ მეექვება, მატჩის არბიტრი, ინგლისელი მაკკეიბი დაუყოვნებლივ გააძევებდა ვისენტეს, რომელსაც მანამდე ერთ-ორ გაფრთხილებასაც მისცემდა.

X მსოფლიო ჩემპიონატში უხეშ და ბინძურ თამაშს გადაჭრით ომი გამოუცხადეს და საფუძველი არა ვვაქვს ვივარაუდოთ, რომ საფეხბურთო მატჩებში მსაჯობა კვლავ დადგება ლოიალობის ლიანდაგზე. სხვათა შორის, ინტერესს მოკლებული არ იქნება, თუნდაც გაკერია შევეხოლ მსაჯობის ამ მხარეს საბჭოთა კავშირში. სამწუხაროდ, ქვეყნის პირველობის მატჩებში ჯერ კიდევ ხშირია მსაჯების უპრინციპობისა და მინდორზე უხეშობის შემთხვევები. საკმაოდ ტიპურია სიტუაცია, როცა მთელი მატჩის მანძილზე მცველი მეტოქის წინააღმდეგ თამაშობს, როგორც იტყვიან, ფოლის ზღვარზე, თუმცა სინამდვილეში ყოველ წუთს არღვევს ამ საზღვარს. მსაჯი აუღელვებლად აღწუხავს ნების ყოველ დარღვევას მცველის მიერ და ამავდროს ოდნავაც არ ცდილობს გადაჭრით ვაილაშქროს ამ უკანონო საქციელის წინააღმდეგ. ზოგჯერ მცველის მეტოქე ბოლომდე ვერ უძლებს იერიშს და თავს უფლებას აძლევს უხეშობას უხეშობითვე უპასუხოს. სწორედ მაშინ აფრიალდება ხოლმე ჰაერში ყვითელი (ან წითელი) ბარათი, თუმცა იგივე უნდა მომხდარიყო ბევრად უფრო ადრე სხვა მისამართით. მსგავს შემთხვევებში ჩნდება მსაჯი წინასწარ განზრახვით მოქმედებაში დაეადანაშაულოთ. უბრალოდ, საბჭოთა მსაჯები ხშირად ვერ იჩინებ სიმტკიცეს

იქ, სადაც გადამჭრელი ზომების მიღებაა საჭირო და ამგვარ სიტუაციებში რატომღაც თავდამსხმელუბს უფრო იოლად სჯიან.

მსაჯთა ასეთი პოზიცია უხეშობის მიმართ აუნაზღაურებელ ზიანს აყენებს საბჭოთა ფეხბურთს. ვინ გამოიანგარიშებს ტრავმების მიზეზით ფეხბურთელთა მოცდენის რაოდენობას კალენდარულ მატჩებში? ხშირად ეს ყველაფერი ხდება იმის გაბო, რომ არბიტრი ვერ ახერხებს თავის დროზე ალაგმოს უხეში მოთამაშე და ეს უკანასკნელი გულდაარხეინებული გამოდის შემდგომ მატჩში. დიახ, ფეხბურთელები უნდა დავიცვათ უხეშობისგან, გავუფრთხილდეთ მათ, ეს კი, პირველ ყოვლისა, მსაჯის მოვალეობაა.

ინგლისის მსოფლიო ჩემპიონატში სსრ კავშირ — გფრის მატჩში იყო მომენტები, როცა დასავლეთგერმანელი შნელინგერი ჩისლენკოს ყოველი მკვეთრი ბიძგის დროს შეუმჩნეველად გვერდით ასწევდა ხოლმე მუხლს — თავდამსხმელს გზას უღობავდა. ბოლოს და ბოლოს ჩისლენკომ ვერ გაუძლო და დაარტყა მეტოქეს, რისთვისაც სამართლიანად გააძევეს მინდვრიდან. მაგრამ წლებგანდელ მსოფლიო ჩემპიონატში დაცვითი თამაშის ელემენტების თავისუფალი გაგებისთვის შნელინგერი გაფრთხილებას მიიღებდა და ვინ იცის, საქმე შეიძლება ურთიერთობათა შემდგომ გარკვევამდე არც მისულიყო.

X მსოფლიო პირველობაში იყო რამდენიმე საინტერესო და ერთგვარად სადავო სიტუაცია, როცა მსაჯს უნდა ეთქვა გადაბწყვეტი სიტყვა.

მატჩი პოლონეთი — ბრაზილია. პოლონელთა ნახევარცვცელმა კასპერჩაკმა ცენტრალური ხაზის მახლობლად საკუთარ ნახევარზე წელზე შემოხვია ხელები მეტოქეთა წოთამაშეს მირანდინიას, რომელიც ბურთით წინ მიიწევდა. ბრაზილიელი იმდენად შეუპოვარი იყო, რომ, მიუხედავად ნამდვილი „ჩაჯლებისა“, მაინც მეტოქის კარისკენ მიიწევდა. ტრიბუნების ხმაურში მსაჯის სახტყურის ხმა არ ისმოდა და მერე ორივე მოთამაშე პოლონელთა საჯარიმო მოედანზე მინაზე დაეარდა. ბრაზილიელეებმა პენალტი მო-

ითხოვეს, მაგრამ მსაჯმა ხომ მანამდე მისცა თამაშის შე-
ჩერების ნიშანი.

მე ვფიქრობ, იტალიელი მსაჯი ანგონეზე სწორი იყო
ამ ეპიზოდში და აი, რატომ: თავიდან მან იმიტირებდა არ მის-
ცა ნიშანი, რომ ეს ხელსაყრელი იქნებოდა დამნაშავეე-
ბისთვის. მერე ბრაზილიელმა ვერ შეძლო ჩამოეშორებინა
მეტოქე და არბიტრმა შეაჩერა თამაში. ეს უკვე ფეხბურთი
კი არა, რეგბი იყო.

ამ ეპიზოდის შესახებ გულახდილად გამოთქვა აზრი
პოლონეთის ნაკრების მწვრთნელმა კ. გურსკიმ: თუმცა ეს
ყველაფერი ძალიან არაესთეტური ჩანდა, კასპერჩაკს ვერ
გავამტყუნებ — მას სხვა გამოსავალი არ პქონდაო.

თუმცა მწვრთნელის სიტყვები მაინცღაშაინც პედაგო-
გიურად არ ჟღერს, პედაგოგიური იყო ის, რომ გურსკიმ
იმავე წუთს შეცვალა დამნაშავე. ამით მან თავი გაგვაცნო
აზრიან, ჭკვიან მწვრთნელად, რომელსაც უნარი შესწევს
სწორად შეაფასოს თავისი ფეხბურთელების სულიერი
მდგომარეობა: ზემოაღნიშნული ეპიზოდის შემდეგ კასპერ-
ჩაკი, მე ვფიქრობ, სრულფასოვან ფეხბურთს ვეღარ ითამა-
შებდა.

საქსებით ვიზიარებ იმ შეხედულებას, რომელიც გაზეთ
„სოვეტსკი სპორტის“ ფურცლებზე გამოიოთქვა იუგოსლავ-
ია — პოლონეთის მატჩის ერთი ეპიზოდის შესახებ: „ალ-
ბათ საჭიროა ითქვას რამდენიმე სიტყვა იუგოსლავიელთა
კარში დანიშნული პენალტის შესახებ. საქმე ასე იყო:
პოლონელები საჯარიმოს ურტყამდნენ 18 მეტრიდან. რო-
გორც მუდამ, კარის წინ განლაგებული იყვნენ მონინააღ-
მდეგეთა წყვილები. პოლონეთის ნაკრების ცენტრალურ
თავდამსხმელს მეურვეობას უწევდა ნახევარმცველი კარა-
სი — მეურვეობას უწევდა ამ სიტყვის პირდაპირი მნიშ-
ვნელობით — ხელით იჭერდა. მას შემდეგ, რაც საჯარი-
მო დაარტყეს და ბურთი განზე გაფრინდა, შარმახმა თავი
დააღწია კარასის მკლავების ტყვეობას და მათ დაიწყეს
ურთიერთობის გარკვევა, რაც იმით დამთავრდა, რომ კა-
რასიმ მეტოქეს ფეხი ჩაარტყა. მატჩის მსაჯმა გლიოკნერ-
მა (გდრ) დაინახა ეს მომენტი და უყოყმანოდ მიუთითა

11-მეტრიანის ნიშანზე. აი, კლასიკური მაგალითი პენალტის სამართლიანად დანიშვნისა ზუბურთოდ მოთამაშის წინააღმდეგ უხეშობისთვის, როცა კართან სახიფათო მომენტი არ არის შექმნილი“.

აქ მახსენდება ერთი მომენტი ძეკსიკის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალისა, სადაც ისეთმა არბიტრმაც კი, როგორც გლიოკნერია, ვერ დაიცვა ობიექტურობა (მართალია, ფაქტიურად არც ერთი მხარე არ დაზარალებულა). მატჩი დასასრულს უახლოვდება. ბრაზილიელები უკვე მსოფლიო ჩემპიონები არიან (იტალიის ნაკრები აგებს ანგარიშით 1:4), მაგრამ ისინი არ აპირებენ იერიშის ძალის განხლებას. ღიად დარჩენილმა რიველინომ ბურთი მიიღო და იტალიელთა საჯარიმო მოედანში შეიჭრა. გოლი უითქოს გარდუვალია, მაგრამ ბრაზილიელს ჯაეშინენ და... ფეხი დაუდეს. რიველინო ისე დაეშვა მიწაზე, თითქოს მოცურავეა და სასტარტო კოშკურიდან წყალში ხტებაო. გლიოკნერმა მშვენივრად დაინახა ყველაფერი ეს, მაგრამ ძალა არ ეყო, რომ ასეთი გამანადგურებელი ანგარიშის დროს პენალტი დაენიშნა.

X ტურნირში შეეცია — პოლონეთის მატჩის შემდეგ. ზოგიერთმა ჟურნალისტმა ოლიმპიურ ჩემპიონთა მეკარე ტომაშევესკის ბრალი დასდო იმაში, რომ იგი 11-მეტრიანი საჯარიმოს დანიშვნის შემდეგ დარტყმის მომენტამდე კარის ხაზის გასწვრივ მოძრაობდა (როგორც ცნობილია, ეს აკრძალულია ფეხბურთის წესებით). საღამოს სატელევიზიო პროგრამებმა, როცა განმეორებით უჩვენეს ჩემპიონატის მატჩები, დაადასტურა ჟურნალისტთა შეხედულების სამართლიანობა. მაშ რატომ არ დანიშნა პენალტი ხელახლა ურუგვაელმა მსაჯმა რუისმა? იმიტომ, რომ მსაჯისთვის ძნელია, ზოგჯერ კი შეუძლებელიც არის შენიშნოს, მოძრაობდა თუ არა მეკარე დარტყმის მომენტისთვის. გაზეთ „ნოიეს დოიჩლანდის“ (გდრ) სპორტული შიმომხილველი გეთავაზობს მსგავს შემთხვევებში ტელემონიტორები გამოვიყენოთ. ეს იდეა ახალი არ არის. თუმცა თავის დროზე იგი უარყოფილი იყო ფიფა-ს მუშაკთა მიერ, მასში არის რაციონალური მარცვალი და ამაზე ღირს დაფიქრება.

ჩვეულებრივ, ყურნალისტები საფეხბურთო მატჩების მიმხილველებში განსაკუთრებული ყურადღებით არ ანებივრებენ არბიტრებს. მსაჯს მხოლოდ მაშინ ეთმობა რამდენიმე სტრიქონი, როცა ძალიან ცუდად ჩაატარებს მატჩს. ჩემი აზრით, საჭიროა კარგი მსაჯობაც შევაქოთ. არა ისე, სხვათა შორის, არამედ საფუძვლიანად. არ არის იოლი 90 წუთის განმავლობაში უდიდესი ნერვული დაძაბულობის გადატანა, მით უმეტეს, როცა სიზუსტე და ოპიექტურობა მოგეთხოვება.

24 ნოემბერი, 1974 წ.

ეროვნული პიში ვიტრინასთან და გულახდილი დინა

მობდა ისე, რომ მსოფლიოს X საფეხბურთო ჩემპიონატიდან შინ დაბრუნებული სულ რამდენიმე დღის შემდეგ პოლონეთში აღმოვჩნდი. ცხადია, ყველას ახლახან დამთავრებული საინტერესო ასპარეზობა ეკერა პირზე. მით უმეტეს, რომ ჩემი მასპინძელი ქვეყნის ეროვნულმა გუნდმა ბრწყინვალე წარმატებას მიაღწია — დედამიწას უძლიერეს ნაკრებ კოლექტივებთან ჭიდილში III საპრიზო ადგილი დაიკავა. ღირსეულად დაიკავა. პოლონეთი მთელი სულითა და გულით ზეიმობდა, პოლონელები ჩვეული გულწრფელობითა და უდიდესი სიამაყის გრძნობით გამოთქვამდნენ აღტაცებას ჯილდოს გამო... ეს იყო ნამდვილი ეროვნული დღესასწაული!

ვარშავის სავაჭრო ცენტრის ერთ-ერთი უნივერსალური მაღაზიის ვიტრინაში გემოვნებით იყო გაკეთებული პატარა ექსპოზიცია — გამოფენა იმ ჯილდოებისა და სიგელები-სა, რაც პოლონეთის ნაკრებს მოუტანა მსოფლიო ჩემპიონატმა. ამ ვიტრინასთან მუდამ უამრავი ხალხი იყრიდა თავს. იყო ერთი შექაბილები! და, თქვენ წარმოიდგინეთ, ერთხელ ამ მედლების, თასებისა და პლაკატების შემყურე ახალგაზრდების კარგა მოზრდილმა ჯგუფმა ეროვნული პიში დააგუგუნა.

მოთამაშეები პირდაპირ ხელიდან ხელში გადადიოდნენ — არც დღისით და არც ღამით მოსვენება არ ჰქონდათ. ოფიციალური მიღებები მთავრობაში თუ მეგობრული მეჯლისეები, შეხვედრები სანარმოებში თუ საღამოები სხვადასხვა კულტურულ დაწესებულებაში...

...ნაკრების კაპიტანი კაზიმეჟ დეინა აგარაკზე გასაქცევად, ესე იგი „არალეგალურ მდგომარეობაზე“ გადასასვლელად იღებდა სტარტს, როცა ტელეფონის ზარი, როგორც იქნა, მივანვდინე (ამაში ჟურნალ „სპორტოვეცის“ თითქმის მთელი სამდივნო მეხმარებოდა). ასე იყო თუ ისე, საუბარი მოხერხდა...

— საქართველოს სპორტული ჟურნალისტები გილოცავენ თქვენ და თქვენი სახით პოლონეთის ნაკრებს მსოფლიო ჩემპიონატში ბრწყინვალე წარმატებას და მომავალ წინსვლას გისურვებენ. რამ განაპირობა, თქვენი აზრით, პოლონეთის ეროვნული გუნდის ესოდენ დიდი მიღწევა მსოფლიო პირველობაში?

— გულითად მადლობას მოგახსენებთ მოლოცვისა და კეთილი სურვილებისთვის. ჩვენი წარმატება ბევრ კარგად გააზრებულ ფაქტორზე იყო დაფუძნებული: გულდაგულ ჩატარებული მზადება, მაღალი ორგანიზაცია, ჩვენი „ინფორმაციის ბანკის“ უნაკლო მუშაობა, თანაბარი შემადგენლობა, შესანიშნავი ატმოსფერო კლუბებში, რომლებმაც ასეთი ლოზუნგი წამოაყენეს: „ყველაფერი ნაკრებისთვის!“, მწვრთნელ გურსკის უნარი — შეერჩია და შეექმნა მეგობრული კოლექტივი და... პატარა იღბალიც.

— ჩემპიონატის მინურულს თქვენს გუნდს ერაგვარი დაღლილობა დაეტყო, მაგრამ ამას ნაკრების მორალურ სიმტკიცეზე არ უმოქმედია. როგორ განენწყობოდით ხოლმე, მატჩებისთვის და რანაირად მოახერხეთ დაღლილობის ზღუდის დაძლევა?

— ჩვენ მხოლოდ ერთი კრიზისული მატჩი გვქონდა — შვეციის ნაკრებთან. გაგვიძნელდა ბოლო 30 წუთის ბრახილიელებთან შეხვედრაშიც, მაგრამ ძალიან კარგად ვიყავით მომზადებული ფიზიკურად. ამავე დროს, უკვე ვინმე მუხეთ მთავარი: ყველაზე ძლიერ გუნდებთანაც შეგვწევს

ბრძოლის შნო და უნარი. აი, ეს რწმენა გვეხმარებოდა ყველაზე მძიმე მომენტებში.

— თქვენი აზრით, რა სიახლენი მოგვიტანა X მსოფლიო ჩემპიონატმა?

— ეს რთული საკითხია...

— რას ფიქრობთ ტოტალურ ფეხბურთზე და ფეხბურთელის უნივერსალიზაციაზე?

— აი, ეს იყო X ჩემპიონატის ლაიტმოტივი. ტოტალური ფეხბურთის ფორმულა, მარტივად რომ ვთქვათ, ასეთია: გამუდმებულ, მობილურ, კოლექტიურ მოძრაობაში უნდა შეეცადო არ გაუშვა ბურთი საკუთარ კარში და სწრაფი, მოქნილი შეტევით თუ კონტრიერშით რაც შეიძლება ბევრჯერ აიღო მეტოქის კარი. რაც შეეხება უნივერსალიზმს, ფეხბურთში ეს ისევე აუცილებელია, როგორც, მაგალითად, კალათბურთში, ჰოკეიში — ხველან იცავენ, ყველანი უტევენ... მსოფლიო ფეხბურთს უკვე ბევრი პყავს ამ იდეალური ყაიდის მოთამაშე — ისინი ძალიან ტექნიკური არიან, სწრაფად დარბიან და ასევე სწრაფად აზროვნებენ, ფიზიკურად კარგად არიან მომზადებულნი, თანაც, ნებისმიერი როლის შესრულება ძალუძთ. ტოტალური ფეხბურთი თანამედროვე, დღევანდელი თამაშია.

— რით ხსნით საბჭოთა ფეხბურთის დონის დაქვეითებას?

— ნაკრები დატოვა რამდენიმე მონისავე ფეხბურთელმა, მაგალითად, შესტერნიოვმა, ხურცილავამ... ასეთი დიდოსტატების შემცვლელთა პოვნა ძნელი საქმეა. ამავდროს, საბჭოთა ნაკრებს ბედიც არ სწყალობს. მე ვნახე რამდენიმე თამაში მისი მონაწილეობით, სადაც საბჭოთა გუნდს დიდი უპირატესობა ჰქონდა, მაგრამ გოლების გატანა ვერ შეძლო. ამ მთავარ საქმეს ფეხბურთელები თითქმის გადაუწვივნენ. ჩემი აზრით, მდგრადობა გამოსწორდება. საბჭოთა ქვეყანაში ხომ ბევრი ნიჭიერი ფეხბურთელია!

— თქვენი აზრით, სწორად განაწილდა პირველი ოთხი ადგილი მსოფლიო ჩემპიონატში?

— არა. მე ვფიქრობ, რომ ყველას სჯობდა პოლონეთის ნაკრები.

— გთხოვთ დაასახელოთ საუკეთესო მეკარე, მცველი ნახევარმცველი, თავდამსხმელი.

— მაიერი, ბეკენბაუერი, ნეესკეჰსი, კრუიფი.

— ვინ მიგაჩნიათ ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელად?

— კრუიფი.

— თუ შეიძლება, მოკლედ დაახასიათეთ პოლონეთის ნაკრების ძირითადი შემადგენლობის ყველა წევრი, გვითხარით მათი სპორტული და ადამიანური ჩვევების შესახებ...

— იან ტომაშევსკი. კარგი ფიზიკური მონაცემებისა და ჩინებულ რეაქციის მქონე მეკარეა, მაგრამ ზოგიერთ მეთოქეს არად აგდებს, აქაოდა სუსტიაო. ეს დიდი ნაკლია პოლონეთის ნაკრების ყველაზე მხიარული წევრი. ძალიან უყვარს ეშმაკური ამბების გამოგონება. ანტონი შიმანოვიცკი. მშვიდი, სოლიდური. ამავე დროს, სწრაფი. ფირფიტების ტრფიალი და თავგამოდებული კოლექციონერი. იეჟუ გორგონი. ფიზიკურად კარგად მომზადებული. შეუდრეკელი და შეუპოვარი. მაგრამ მისი გადაცემები მუდამ როდი აღწევს მიზანს. ვლადისლავ ყმუდა. ყველაზე ღიდი სიურპრიზი — ეს ჩემპიონატი ხომ მისი დებიუტი იყო ნაკრებში. ტანმალალი, საუცხოოდ თამაშობს საყით. იყო შემსხვევები, ყველაზე სახიფათო თავდამსხმელების პეურვეობა უხდებოდა. ადამი მუსიალი. მტკიცე, იმპულსური. ზოგჯერ ტაქტიკური ვალდებულებები ავინყდება. მისი უარყოფითი თვისებაა მსაჯებთან ხშირი „მუსაიფი“. ზიგმუნტ მაშჩიკი. გუნდის ვეტერანი. შრომისმოყვარე. ძალიან „კოლექტიური“. ყველას უყვარს. პოლონეთის ჩემპიონის — ხოჟუვის „რუხის“ კაპიტანი. ჰენრიკ კასპერჩაკი. აი, მან მართლაც გამოიჩინა თავი ჩემპიონატში. ყველაფერს ხედავს, ყველაფერი შეუძლია. სახიფათოდაც ურტყამს, დაცვაშიც ძლიერია. რობერტ გადოსა. ჩემი მეგობარი კლუბში. აქვს დიდი გამოცდილება, კარგი დრიბლინგი, სწრაფია, ტექნიკური. ჩინებულად აწვდის კუთხურს. ესაა, რომ ზოგჯერ აქციებს აფერხებს. ანჯეი შარმახი. ლიუბანსკის შეცვლა იოლი რო-

დია! გულადი, მამაცურად თამაშობს თავით, სწრაფია. ახალგაზრდაა და ტექნიკა უნდა დახვეწოს. გვეკოე ლატო, ჩემპიონატის მეფე! მისთვის არ არსებობს დაკარგული ბურთი — ბოლო წამებამდე იბრძვის. მეტოქის კარიან თამაშში კარგი ალლოთი გამოირჩევა. სწრაფი. მხიარული.

— როგორია თქვენი მომავალი გეგმები კლუბშიც და ნაკრებ გუნდშიც?

— ჩემი ნატვრაა 1975 წელს „ლეგია“ ეროვნული ჩემპიონატის პირველ სამეულში შევიყვანოთ. შემოღგომის რაუნდში ჩვენ არ გაგვიმართლა. ნაკრებს კი ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში I ადგილის დაკავებას ვუსურვებ. მეტოქენი ერთობ ძლიერი გყავს — პოლანდია, იტალია... დასავლეთ გერმანიის მინდვრებზე ბრძოლების შემდეგ რევანშის სურვილიც ხომ დიდი სტიმულია!

5 თებერვალი, 1975 წ.

არგენტინის ცის ქვეშ

ის საბადისწარმო 90-ე წუთი...

როდესაც ბუენოს-აირესის „რივერ პლეიტის“ სტადიონზე ფინალური მატჩი დამთავრდა და ეს ჯოხტა სარბიელი აბობოქრებული ვულკანის კრატერს დაემგვანა, ერთმა ჩემმა კოლეგამ და მეგობარმა, ვისთანაც სანაძლეო ნაკვავე (შეჰოლანდიის ნაკრებს ექომავობდი), მკითხა:

— გულზე ხელი დაიდუ და მითხარი, 90-ე წუთზე რენსენბრინკს ძელისთვის რომ არ მოეხვედრებინა ბურთი და გოლი გაეტანა არგენტინელთა კარში, სამარაღლიანი იქნებოდა ეს?

— დიდი უსამართლობა მოხდებოდა, — ეუბანსუხე მე. ეს სრული ჭეშმარიტება გახლდათ, — დამატებითმა 30 წუთმა საოცარი მრავალფეროვნებით წარმოგვიდგინა თანამედროვე ტოტალური, მოიერიშე ფეხბურთის სილამაზე და ჩემპიონატი აღმაფრენის შარავანდედით შემოსა. ეს 30 წუთი მთელი ტურნირის გვირგვინი იყო. იგი რომ არ ყოფილიყო, მსოფლიოს XI პირველობა, სულ ცოტა, ნახევარ ელვარებას დაკარგავდა და გამარჯვებულიც, იმ შემთხვევაში, ჰოლანდიის ნაკრები, ღირსეულ, მაგრამ, ასე ვთქვათ, ორდინარულ ჩემპიონად წარმოგვიდგებოდა. ის 30 წუთი ძღერდა შემტევი ფეხბურთის დაუცხრომელ სიმღონიად, რომლის შესრულება ითავა, და საუცხოოდაც შეასრულა, არგენტინის ეროვნულმა გუნდმა.

ისევე როგორც 12 წლის წინათ ინგლისის მსოფლიო ჩემპიონატში, დედამინის უძლიერესი გუნდის გამოხავლენად ამჯერადაც, როგორც ვთქვით, საჭირო შიქინა დამა-

ტებითი დრო. და აი, ამ ნახევარ საათში, ასე ვთქვათ, თანაბარი „ფარეკაობის“ შემდეგ (პირველ ტაიმში არგენტინელები სჯობდნენ მეტოქეს, მეორეში, პირიქით, ჰოლანდიელებმა იმარჯვეს, 90 წუთი — 1:1), მასპინძელთა ნაკრების უკლებლივ ყველა ფეხბურთელს თითქოს დამატებითი ძრავა ჩაუდგესო — მათს ენთუზიაზმს, სისწრაფეს; მიზანსწრაფვას, იერიშის ღინს, ჩქაროსნულ გამძლეობას ზღვარი არ უჩანდა. ყოველივე ეს ახალი ძალითა და მჩქეფარებით წარმოჩნდა და ყოველივე ეს, ცხადზე უცხადესია, დაფუძნებული იყო უზადო ტექნიკურ მომზადებასა და უალრესად მოქნილ ტაქტიკურ აზროვნებაზე. ეს 30 წუთი იყო სასწაულებრივი აღმადგრენა ერთი მიზნითა და ზრახვით გამსჭვალული ადამიანებისა, რომლებიც ისეთი თავგანწირვით, ისე თავდადებულად ებრძოდნენ ძლიერ მეტოქეს, თითქოს თავიანთი საყვარელი სამშობლოს ხელშეუხებლობასა და თავისუფლებას იცავდნენ.

როცა 38-ე წუთზე არგენტინელი კემპესი ჰოლანდიელთა საჯარიმო მოედანზე ტყვიასავით შევარდა, მისი თავხედობით გაოგნებულ ორ მცველთან და მეკარე იონგბლადთან ჭიდილში რდნავ წინ გაიგდო ბურთი, მერე კი თითქმის ნაქცეულმა მოახერხა შედეგიანად დაერტყა, მთელი სტადიონი აფეთქდა... ისეთი ყიჟინა ატყდა, რომ ჩემს გვერდით მჯდომ ერთ ჟურნალისტს ყვირილითაც კი ვერაფერი გაეგონე. ეს იყო საყოველთაო ზეიმი.. ასე განსაჯეთ, უზარმაზარი ტაბლოც კი ზეიმობდა და კოხტაობდა. მის შავ „ეკრანზე“ ოქროსფრად ინთებოდა და ქრებოდა, ინთებოდა და ქრებოდა ვეებერთელა ასოები: „გოლი!“.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ტაბლო ზუსტად ასევე „მოიქცა“, როცა 81-ე წუთზე ჰოლანდიელმა ნანინგამ ლამაზი თავური დარტყმით ანგარიში გაათანაბრა. თქვენ ალბათ თავად ნახეთ, რომ ამ დროს ტრიბუნებს დიდი აღტაცება არ გამოუხატავთ. ისიც უნდა ითქვას, რომ პრესის ლოჟის ერთ-ერთ კიბეზე მდგარმა არგენტინის უშიშროების ორმა მუშაკმა, როცა ჩვენმა გიგლა ფირცხალავამ მათ სინანული გაუზიარა ნანინგას გოლის გამო,

ცერის აწვევითა და ქების გამომხატველი მიმიკით ღირსეულად შეაფასა ეს ფაქტი. სხვათა შორის, ეს ორი ვაჟიაცი ბავშვივით ტიროდა, როცა კემპესმა პირველი გოლი გაიტანა პოლანდიელთა კარში. მე ეს ამბავი არ გამკვირვებია. უსაზღვროდ ემოციურ ადგილობრივ მაყურებელთა მრავალრიცხოვან არმიაში არგენტინელთა ყოველი მატჩის დროს იყო მეტნაკლები დანაკარგები (გულის წასვლით დაწყებული და ინფარქტით დამთავრებული). მაგალითად, როცა პოლანდიელებმა ფინალურ შეხვედრაში საპასუხო გოლი გაიტანეს, ჩვენს დაბლა, პირველი იარუსის საკმაოდ ფართო გასასვლელში საკაცების ნამდვილი დოლი გაიმართა. აი, ნითელი ჯვრის მუშაკები საკაცზე უგონოდ მწოლიარე მშვენიერ ქალიშვილს მიაბრებინებენ... აი, ახლა სხვა მიმართულებით გარბიან ცარიელი საკაციო ხელში და ასე, გაუთავებლად. როგორც ჩანს, ვალიდოლი და სხვა საგულე საშუალებები ხალხს არ შეელოდა. ყველაზე ეფექტური წამალი გამოდგა კემპესის მეორე გოლი — მერე გული არავის წასვლია.

რახან ამგვარ ემოციებზე ჩამოვარდა ლაპარაკი, უნდა ითქვას, რომ ჩემპიონატმა ინფარქტის მეშვეობით საიქიოს გაისტუმრა ორი ბრაზილიელი, ერთი ესპანელი და ერთიც იტალიელი გულშემატკივარი. საოცარი ამბავი მოხდა საფრანგეთის ქალაქ ლიონში. სამუშაოდან დაბრუნებულმა შოფერმა, 49 წლის რაიმონ ტრიშარმა უმაღლე ტელევიზორს მიაშურა და იტალია — პოლანდიის მატჩის ყურება დაიწყო, მის ცოლს კლაუდიას კი საზაფხულო დასვენების გეგმებზე სურდა საუბარი. მატჩის შემდეგ ცოლ-ქმარს პატარა შელაპარაკება მოუხდათ, მერე ქალი სამზარეულოში შევიდა, იფიქრა, მოვშორდები, იქნებ დაწყნარდესო. სამზარეულოდან გამოვიდა და რას ხედავს! ქმარი ისევ ტელევიზორთან ზის და ახლა პოლონეთ — ბრაზილიის მატჩს უყურებს. როგორც კი ფეხბურთის მატჩი დამთავრდა, რაიმონი უხმოდ წამოდგა, ლოგინში ჩანვა და სულ მალე ჩაეძინა კიდევ. ეს უკვე მეტისმეტი იყო. ცოლმა არც აცია, არც აცხელა, აილო ქმრის პისტოლეტი და ფეხბურთის ტრფიალს შიგ შუბლში დაახალა ტყვია. ეს იყო ჩემპიონატის ყველაზე

საოცარი და, შეიძლება ითქვას, ყველაზე ტრაგიკული მსხვერპლი.

მსოფლიოს XI ჩემპიონატის გამო ერთი მსხვერპლი თვით არგენტინის ნაკრების მწვრთნელმა, 39 წლის ლუის სესარ მენოტიმ გაიღო. იგი დღეში 80 სიგარეტს ეწეოდა და ფინალის წინ ცოლს შეჰპირდა, თუ ხვალ ყველაფერი კარგად დამთავრდა, თამბაქოს სამუდამოდ თავს დაჟანგებო. როგორც იცით, „ხვალ“ ფეხბურთის მთელმა სამყარომ გაიცნო უალრესად საინტერესოდ მოაზროვნე, პროგრესული იდეებით შეიარაღებული, ჩინებული მწვრთნელი. ესაა, რომ იმ დღეს მსოფლიოს თამბაქოს მწვევლთა ლიდერების რაზმს ერთი საუკეთესო წარმომადგენელი გამოაკლდა.

გადამწყვეტი მატჩის წინ მენოტიმ განაცხადა:

— ჩვენ გვსურს ეს ისეთი ფინალი იყოს, რომელიც არავის დაავინყდება არც სამხრეთ ამერიკაში, არც ევროპაში. ტელევიზიის შემწეობით მთელი მსოფლიო მონმე გახდა, რომ ჩვენი დევიზია შეტევა. ჩვენ გვინდა ეს ერთხელ კიდევ დავამტკიცოთ. პერუს ეროვნულ გუნდთან მატჩში, სულ ცოტა, 15 საგოლე მომენტი შევექმენით და 6 ბურთი გავიტანეთ. პოლანდიის ნაკრებთან ბრძოლაში შევეცდებით კიდევ უფრო წინ წავიდეთ. პოლანდიელთა კოლექტივი უძლიერესი, დიდი გუნდია, მაგრამ მისი წევრები უხეშად თამაშობენ და ეს ძალიან მაშფოთებს. მასპინძელი ქვეყნის გუნდის მწვრთნელობა საოცრად ძნელი საქმე ყოფილა და ჩემპიონატი დამთავრდება თუ არა, ოჯახით ესპანეთში გავემგზავრები დასასვენებლად.

მენოტიმ მართლაც დაიმსახურა ეს დასვენება!

...არგენტინის ნაკრები ბუენოს-აირესიდან 40 მილის მოშორებით ცხოვრობდა. მენოტისთან მოხვედრაზე ჩვეულებრივ მოკვდავთ ოცნებაც არ შეეძლოთ. საამისოდ საგანგებო საშუები იყო საჭირო. მასთან რომ მიეღწია, ჟურნალისტს პოლიციელთა სამი კორდონი უნდა გაეღო. ამავ დროს, პოლიციელები ყველას გულმოდგინედ ჩხრეკდნენ.

აი, ასე იცავდნენ არგენტინის გუნდის სიმშვიდეს, ვინაიდან თავიანთი ქვეყნის ფეხბურთელებზე არგენტინელები — პრეზიდენტი ვიდელათი დაწყებული და სულ პატარა

ბავშვებით დამთავრებული — უდიდეს იმედს ამყარებდნენ. აკი პირდაპირ თქვა ლუკემ ფინალური მატჩის წინა დღეს.

— ჩვენ ყველანი ძალიან ველეღავთ იმიტომ, რომ ჩვენგან უკლებლივ ყველა ჩვენი თანამემამულე გამარჯვებას ელის და, თუ ხვალ ვერ გავიმარჯვებთ, ქება და გუნდრუკის კმევა საშინელ ლანძღვა-გინებად გადაიქცევა.

ასე რომ, არგენტინელ ფეხბურთელებს უკან დასახევი გზა არ ჰქონდათ. მხოლოდ წინ, წინ, წინ!..

და აი, 25 ივნისს, „რივერ პლეიტის“ შესანიშნავად მონყობილი პრესცენტრის ერთ-ერთ დარბაზში გაიმართა მსოფლიოს XI ჩემპიონატის უკანასკნელი პრესკონფერენცია. ცხადია, მთავარ როლში ახალი ჩემპიონის — არგენტინის ეროვნული გუნდის მწვრთნელი მენოტი გახლდათ, მით უმეტეს, რომ ჰოლანდიის ნაკრების მწვრთნელი ე. ჰაპელი პრესკონფერენციაზე არ გამოცხადდა. მენოტი ძალიან თავშეკავებულად ლაპარაკობდა.

— დღეს ჩვენ საკუთარ თავსაც და სხვებსაც ვაჩვენებთ, რომ ძალგვიძს მსოფლიოს თასის მოპოვება, თუ ისე ვითამაშებთ, როგორც ერთიანი გუნდი უნდა თამაშობდეს. როგორც ნახეთ, ფინალში ბრძოლა ფორვარდების „შემხვედრ მოძრაობაზე“ იყო აგებული — ორივე მხარე თავის ბედს მეტოქის კარის სიახლოვეს ეძებდა. დამატებით დროში ჩვენ შევძელით ისედაც მაღალი ტემპის კიდევ უფრო გაზრდა.

— მიგაჩნიათ თუ არა არგენტინის ნაკრები მსოფლიოში საუკეთესო გუნდად? — ასეთი, მეტი რომ არა ვთქვათ, უხერხული შეკითხვით მიმართა მენოტის ერთმა ჟურნალისტმა.

— ძნელი სათქმელია, მართლაც საუკეთესონი ვართ მსოფლიოში თუ არა. ჩემპიონატის დანყებაამდე დაბეჯითებით ვამბობდი, პირველ ხუთეულში მოხვედრის შანსი გვაქვს მეთქი. ახლა აქ სამხრეთამერიკულმა გუნდებმა იმარჯვეს: არგენტინა პირველია, ბრაზილია — მესამე. მაგრამ ეს ფაქტიც უთუოდ იმას როდი ნიშნავს, რომ სამხრეთამერიკული ფეხბურთი ევროპულზე უკეთესია. თუმცა ის კი უდავოდ დავამტკიცეთ, რომ ჩვენც შეგვძლება ფეხბურთის თამაში. ჩემი აზრით, გავიმარჯვებთ იმიტომ, რომ არგენტინის ფეხ-

ბურთის ისტორიაში პირველად მოვემზადეთ სერიოზულად მსოფლიო ჩემპიონატისთვის. იმედს გამოვთქვამ, რომ ეს ტრადიციად იქცევა...

სანამ არბენტინაში ჩავიდოდით...

საბჭოთა სპორტულ ჟურნალისტთა ჯგუფში საქართველოდან შვიდი კაცი ვიყავით: „მართვეს“ რედაქტორი არჩილ გოგელია, საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სპორტული რედაქციის უფროსი რედაქტორი ნოდარ გუგუშვილი, ჟურნალ „ცისკრის“ რედაქტორი გურამ ფანჯიკიძე, საქართველოს სსრ სახალხო მხატვარი გიგლა ფირცხალავა, სპორტის მუშაკი არკადი არხანგელსკი, საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სპორტული რედაქციის გამგე დავით ქლიბაძე და ამ სტრიქონების ავტორი.

9 ივნისს დღის სამის ნახევარზე ჩვენი ილ-62 შერემეტიევოს აეროპორტის ბეტონის ბილიკიდან აფრინდა და 3 საათისა და 15 წუთის შემდეგ დაჯდა ლუქსემბურგში -- ზლაპრულად მშვიდ, წყნარ, სუფთა და კომპნია აეროპორტში. ერთი საათის შესვენების შემდეგ კვლავ ფრენა, ამჯერად თითქმის ორსაათიანი, და — მადრიდი ესპანეთის დედაქალაქი ისეთი კოკისპირული წვიმითა და ჭექა-ქუხილით შეგვხვდა, რომ თვითმფრინავიდან ცხვირი ვერ გავყავით. მხოლოდ ნახევარი საათის შემდეგ ჩვენს თვითმფრინავს ავტობუსი მოადგა და აეროპორტის შენობისკენ წაგვიყვანა.

დაჯინავდით საკმაოდ კომფორტულ სასტუმრო „ლუც პალაციოში“. ამინდი არ გამოკეთებულა, მთელი ღამე წვიმიდა...

მადრიდში ჩვენი მასპინძლობა იკისრა ესპანეთის ავიაკომპანია „იბერიამ“, რომელსაც აგერ უკვე რამდენიმე წელიწადია საქმიანი ურთიერთობა აქვს საბჭოთა „აეროფლოტთან“ — გახსნილია რეგულარული ავიახაზი მოსკოვი — მადრიდი — მოსკოვი. „იბერიას“ ყურადღება არ დაუკლია ჩვენთვის, ჩინებულად გვიმასპინძლა შაერშიც და ხმე-

ლეთზეც. დს-10 („დუგლას-10“) წარმოუდგენელი მასშტაბების, ვეებერთელა თვითმფრინავია. სწორედ მან შეიხიზნა 300-მდე მგზავრი, ეკიპაჟის წევრებსა და სტიუარდებისა და სტიუარდესების მრავალრიცხოვან რაზმზე რომ არაფერი ვთქვათ. ეს თანამედროვე სამსართულიანი შენობისოდენა თვითმფრინავი საოცარი სიმსუბუქით მოსწყდა ასაფრენ ბილიკს და გეზი არგენტინისკენ აიღო. მაგრამ, სანამ აფრინდებოდა...

...გამგზავრებასთან დაკავშირებული ყველა პროცედურა გავიარეთ და დიდ დარბაზში მოვიყარეთ თავი. ფანჯრებიდან ჩანდა ეს ჩვენი დს-10, ჩამონოლილ ბინდში ზღაპრულად განათებული თვითმფრინავი, რომელსაც მუცლის ქვეშ მეოთხე, დამატებითი შასი ჰქონდა ჩამოშვებული. გავიდა ერთი საათი, ლოდინი უკვე უსიამოვნო გახდა, მაგრამ თვითმფრინავში ჩასასხდომად არავინ გვიხმობდა. გავიდა კიდევ რამდენიმე საათი... და აი, გარეთ გვიხმობენ, მაგრამ თვითმფრინავისკენ კი არ მივყავართ, არამედ იქვე ახლოს მოედანზე გვიყრიან თავს, სადაც ამ რეისის მგზავრთა ჩემოდნები და ჩანთები აწყვია. რიგრიგობით ვაჩვენებთ ჩვენს ბარგს და თვითმფრინავი თავიდან იტვირთება.

მერე შევიტყვეთ, რომ ვილაც დამთხვეულს პოლიციიაში დაურეკავს და უთქვამს, ბუენოს-აირესის თვითმფრინავში პერონისტებმა ბომბი შეიტანესო. ბომბის ძებნა რამდენიმე საათს გაგრძელდა. ჩვენგან არავინ იცოდა, იპოვეს ის ოხერი ბომბი თუ არა, მაგრამ, რახან უკვე ტრაპზე ავდიოდით, ყველაფერი მოგვარებული ჩანდა. მერე ჰაერში, ოკეანის თავზე, ერთმანეთს დიდხანს ვეხუმრებოდით იმ საიდუმლო ბომბის გამო. შემდეგ ისიც დაგვაავინყა საუცხოო მომსახურებამ, კინოეკრანზე გაშვებულმა ფერადმა ფილმმა, მშვენიერმა მუსიკამ, ყურზე მიდებული პატარა აპარატით რომ ვისმენდით, ვისაც რა სურდა (სახელურზე დამაგრებული გადამრთველით შეგეძლოთ ნებისმიერი მუსიკა მოგესმინათ — სიმფონიური, კლასიკური, საოპერეტო, ჯაზური... 11 არხი — 11 პროგრამა!).

სხვათა შორის, ჩვენი რეისით ბუენოს-აირესში მოფრინავდა ავიაკომპანია „იბერიის“ პრეზიდენტი. როცა დარ-

ბაზში საათი საათს მისდევდა, არაოფიციალურად გვითხრეს, პრეზიდენტმა მოულოდნელად არგენტინაში გაფრენა გადანიშნა და მას ველოდებითო. ეს, რა თქმა უნდა, ყოველად დაუჯერებელი იყო. როგორ შეიძლება ამდენი ხალხი ამდენ ხანს თუნდაც თვით პრეზიდენტმა ალოდინოს? (აბა, ბომბს ვეძებთო, ხომ არ გვეტყოდნენ). მაგრამ, რა ექნათ.

ბუენოს-აირესამდე თითქმის 16 საათს ვიფრინეთ. ეს უზარმაზარი თვითმფრინავი განსაცვიფრებელი ოსტატობით, თითქმის შეუმჩნევლად ჯდებოდა მიწაზე — გზად გავეჩერდით რიო-დე-ჟანიროში, სან-პაულუში და ასუნსიონში. 11 ივნისს სალამოს, როგორც იქნა, ჩავფრინდით ბუენოს-აირესში. იმ დღეს დამთავრდა წინასწარი, ჯგუფური ტურნირები...

რა მოხდა ჯგუფებში?

როგორც ცნობილია, ფიფა-ს შტაბბინაში მოენყო მსოფლიოს XI ჩემპიონატის ფინალისტთა წილისყრა — 16 გუნდი ოთხ ჯგუფში განაწილდა. გამონაკლისს წარმოადგენდა ოთხი ნაკრები, რომლებიც წინასწარ განთესეს ამ ჯგუფებში. ესენი იყვნენ: არგენტინა, გფრ, ბრაზილია და ჰოლანდია. შემდეგ ამ ოთხეულს დაემატა იტალიის ნაკრები, რომელსაც პირველ ჯგუფში მიუჩინეს ბინა.

წილისყრამ ასეთი შედეგები მოგვცა:

I ჯგუფი — არგენტინა, იტალია, უნგრეთი, საფრანგეთი;

II ჯგუფი — გფრ, პოლონეთი, მექსიკა, ტუნისი;

III ჯგუფი — ბრაზილია, ესპანეთი, შვეცია, ავსტრია;

IV ჯგუფი — ჰოლანდია, შოტლანდია, პერუ, ირანი.

სურათის სისრულისთვის გაგახსენებთ ჩემპიონატის პირველი ეტაპის კალენდარს.

1 ივნისი. გფრ — პოლონეთი

2 ივნისი. არგენტინა — უნგრეთი

საფრანგეთი — იტალია

ტუნისი — მექსიკა

- 3 ივნისი. ესპანეთი — ავსტრია
 შვეცია — ბრაზილია
 პერუ — შოტლანდია
 ირანი — ჰოლანდია
- 6 ივნისი. არგენტინა — საფრანგეთი
 იტალია — უნგრეთი
 პოლონეთი — ტუნისი
 მექსიკა — გფრ
- 7 ივნისი. ავსტრია — შვეცია
 ბრაზილია — ესპანეთი
 შოტლანდია — ირანი
 ჰოლანდია — პერუ
- 10 ივნისი. იტალია — არგენტინა
 საფრანგეთი — უნგრეთი
 მექსიკა — პოლონეთი
 ტუნისი — გფრ
- 11 ივნისი. შვეცია — ესპანეთი
 ბრაზილია — ავსტრია
 პერუ — ირანი
 შოტლანდია — ჰოლანდია

როგორც კი ტელევიზიამ, რადიომ და პრესამ სამყაროს წილისყრის შედეგები ამცნეს, მყისვე პროგნოზების კორიანტელი დადგა. ჟურნალისტები და ფეხბურთის მიმომხილველები უპირველეს ყოვლისა ფინალის მონაწილე გუნდების მწვრთნელებს დაესივნენ, მათი აზრი აინტერესებდათ. იმ დღეებში პირდაპირ სტერეოტიპად იქცა შეკითხვა, რომლითაც მწვრთნელებს მიმართავდნენ: „კმაყოფილი ხართ თუ არა წილისყრის შედეგებით?“

პასუხები, ცხადია, სხვადასხვანაირი იყო. ზოგიერთმა მწვრთნელმა საერთოდ თავი აარიდა პასუხის გაცემას, ზოგიც საკმაოდ ორჭოფულად უპასუხებდა ცნობისმოყვარე ჟურნალისტებს. ალბათ მართალი იყო არგენტინელი მიმომხილველი ხ. მალდონადო, როცა განაცხადა, მწვრთნელები მუდამ როდი ამბობენ იმას, რასაც ფიქრობენ...

ამიტომ, ჩემი აზრით, გაცილებით საინტერესო იყო პელეს პროგნოზი, რომელიც „ფრანს-ფუტბოლმა“ გამოაქვეყნა: „შესაძლოა, ვცდები, მაგრამ, ჩემი შეხედულებით, საუკეთესო ოთხეულს შეადგენენ ბრაზილია, იტალია, გფრ და არგენტინა“ (გუნდების თანამიმდევრობას ყურადღებას ნუ მიაქცევთ).

როგორც ხედავთ, შეცდომა მინიმალურია — დასავლეთ გერმანიის ნაკრების ნაცვლად ოთხეულში პოლანდიის გუნდი აღმოჩნდა.

რაც შეეხება ჯგუფებში საუკეთესოებს, პელემ ეს საკითხი ასე გადაჭრა: I ჯგუფი — იტალია, არგენტინა; II — პოლონეთი, გფრ; III — ბრაზილია, შვეცია; IV — შოტლანდია, პოლანდია.

აქ შეცდომა მეტია: ფინალური ეტაპის მიღმა დარჩნენ შვეციისა და შოტლანდიის ნაკრები კოლექტივები.

არანაკლებ საინტერესოდ მეჩვენება თბილისის „დინამოს“ ცენტრალური თავდამსხმელის დავით ყიფიანის მოსაზრებები, რომლებიც მან XI მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე დიდი ხნით ადრე პოლონეთის ცენტრალური სპორტული გაზეთის „პშეგლონდ სპორტოვის“ ფურცლებზე დაბეჭდილ ინტერვიუში გამოთქვა.

დ. ყიფიანმა ზედმინევით ზუსტად განჭვრიტა არგენტინის მსოფლიო ჩემპიონატის არსი და ხასიათი. მან დაბეჯითებით თქვა, შორეული არგენტინის სტადიონებზე გაიმარჯვებს შემტევი ფეხბურთი და ყველა გუნდმა, რომელსაც წარმატების მოპოვება სურს, უეჭველად სამი თავდამსხმელით უნდა ითამაშოსო.

რაც შეეხება, ასე ვთქვათ, ტრადიციულ პროგნოზებს (ვინ გაიმარჯვებს, საუკეთესო ოთხეული და ა. შ.), რაც, ალბათ, უფრო ნაკლებ მნიშვნელოვანია, დ. ყიფიანმა აქაც საკმაო სიზუსტე გამოიჩინა და, პელესი არ იყოს, მხოლოდ ორი შეცდომა დაუშვა—ფინალურ ეტაპზე გაიყვანა არგენტინა, იტალია, გფრ, პოლონეთი, ბრაზილია, ესპანეთი, პოლანდია, შოტლანდია.

დ. ყიფიანმა მაშინ გამოთქვა მოსაზრება, რომ ჩემპიონის ოქროს მედლებისთვის ბრძოლა ხუთ გუნდს შორის გა-

ჩაღდება. სწორედ მის მიერ დასახელებულმა ხუთმა ნაკრებმა დაიკავა გათამაშებაში პირველი ხუთი ადგილი: არგენტინამ, პოლანდიამ, ბრაზილიამ, იტალიამ, გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ.

XI მსოფლიო ჩემპიონატის პირველმა მატჩმა ერთგვარად გაანბილა ფეხბურთის მოყვარულები: ვერც მსოფლიოს ჩემპიონმა—გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრებმა, ვერც წინა, X გათამაშების მესამე პრიზიორმა—პოლონეთის ეროვნულმა გუნდმა ვერ გამოავლინეს ჩვეული შემტევი სულისკვეთება (შემდეგში, სამწუხაროდ, აშკარად გამოჩნდა, რომ სიტყვა „ჩვეული“ აღარ შეეფერებოდა სინამდვილეს, ამ ორი გუნდის „ჩვეული“ თვისებებიდან თითქმის აღარაფერი დარჩა) და საკმაოდ ულაზათო ფეხბურთი წარმოგვიდგინეს. ისიც ანგარიშგასანევეია, რომ იმ დღეს, ივნისს, „რივერ პლეიტის“ სტადიონზე საზეიმო ვითარებაში, დიდი ზარზეიმით გაიხსნა ჩემპიონატი და ამ სადღესასწაულო ცერემონიაში მონაწილეობის პატივი სწორედ დასახელებულ ორ გუნდს ხვდა. ცხადია, ამას არ შეეძლო დაღი არ დაესვა მოასპარეზეთა ნერვული სისტემისთვის, ფეხბურთელთა ფსიქიკისა და საბრძოლო მზადყოფნისთვის. მოგეხსენებათ, ნებისმიერი საქმის დაწყება მუდამ ერთიორად ძნელია და სანერვიულო. შეიძლება ამიტომაც არის, რომ 1966 წლიდან მოყოლებული დღემდე მსოფლიო ჩემპიონატების პირველი მატჩები, როგორც წესი, ნულოვანი ფრეთი მთავრდება: მსოფლიოს VIII ჩემპიონატი (1966 წელი, ინგლისი): ინგლისი — ურუგვაი, IX ჩემპიონატი (1970, მექსიკა): მექსიკა — სსრ კავშირი, X ჩემპიონატი (1974, გფრ): ბრაზილია — იუგოსლავია, XI ჩემპიონატი (1978, არგენტინა): გფრ — პოლონეთი.

ჩემპიონატის გახსნის დღეს ერთი, ეგრეთ წოდებული „გახსნის მატჩის“ ჩატარებას ინგლისში, VIII გათამაშებაში ჩაეყარა საძირკველი. ამ სიახლემ, როგორც წლებმა და ოთხმა ჩემპიონატმა გვიჩვენა, ვერ გაამართლა: ეს სრულიად ზედმეტი „პრიორიტეტი“ მეტისმეტად მძიმე ტვირთია მატჩის მონაწილე ორივე გუნდისთვის. სწორედ ამიტომ, არგენტინაში უურნალისტები და სპეციალისტები

სულ უფრო დაყინებით ლაპარაკობდნენ VIII მსოფლიო ჩემპიონატამდე არსებული წესის აღდგენის აუცილებლობაზე, როცა ასპარეზობის პირველი კალენდარული დღე არაფრით განსხვავდებოდა სხვა დღეებისგან.

პირველად ეს აზრი დაებადა ჰ. შიონს, რომელიც დაეთანხმა იტალიელი მიმომხილველის ენრიკო ჯაკომინის ნათქვამს, რომ 2 ივნისს ექვსი ნაკრების მონაწილეობით გამართულმა მატჩებმა მთლიანად გააქარწყლა „გახსნის შეხვედრით“ გამონწეული უფერული პერსპექტივის შიში.

— დიახ, მე მართალი ვიყავი. როგორც ჩანს, მომავალში უარი უნდა ვთქვათ „გახსნის მატჩზე“. ბოლო ოთხმა მსოფლიო პირველობამ დაგვანახა ასეთი ნაბიჯის აუცილებლობა და ჩემპიონატის ორგანიზატორებმა იგი უნდა გადადგან, — განაცხადა შიონმა.

უნდა ვივარაუდოთ, რომ 1982 წელს ესპანეთში ზემოაღნიშნული პრობლემა დადებითად გადაწყდება, რაც, ღრმად ვარ დარწმუნებული, ფეხბურთის ყველა მოყვარულს გაახარებს.

მე დასავლეთგერმანელთა ნაკრების ურყევი ქომაგი ვარ და პოლონელებთან ამ გუნდის შეხვედრამ უსიამოვნოდ ჩამაფიქრა. გფრ-ის ნაკრების თამაშში, ცხადია, ძველებურ სიძლიერეს და სიმწყობრეს არ მოველოდი. თვით ისეთი გამოცდილი მწვრთნელიც კი, როგორც ჰელმუტ შიონია, ვერავითარი მანქანებით ვერ აინაზღაურებდა ესოდენ დიდ დანაკლისს — მის გუნდში ხომ აღარ იყვნენ ბეკენბაუერი, გერდ მიულერი, ოვერატი, ბრაიტნერი, ნეცერი, 'გრაბოვსკი?..

ეს ბრწყინვალე „თანავარსკვლავედი“ ერთს კი არა, რამდენიმე გუნდს ეყოფოდა!

შიონი „იზიარებდა“ ჩემ აზრს. მან პირდაპირ ასე თქვა:

— დიახ, ჩვენი დღევანდელი ნაკრები ძველს ჩამოუვარდება, მაგრამ მას შეუძლია თანდათან უმატოს თამაშს ტურნირის მსვლელობაში. ხანგრძლივი ეროვნული ჩემპიონატის გამო ჩვენ ჯერჯერობით ვერ მივალნიეთ იდეალურ ფიზიკურ ფორმას, მაგრამ, ვიმეორებ, შეგვიძლია შეჯიბრების პერიოდში მივალნიოთ მზადყოფნის პიკს.

ეს მოსაზრება მაიმედებდა, მაგრამ, სამწუხაროდ, იგი არ გამართლდა, რაზეც მოგვიანებით გვექნება ლაპარაკი.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ პოლონეთის ნაკრების მწვრთნელმა იაცეკ გმობმა პირველი მატჩის წინ ჟურნალისტებს თავის ფეხბურთელებთან საუბრის ნება არ დართო.

— მატჩის შემდეგ ჟურნალისტებს შეუძლიათ ვისთანაც სურთ, თუნდაც დაუსრულებლად ილაპარაკონ. ახლა კი მოთამაშეებმა გონება უნდა მოიკრიბონ და მხოლოდ ფეხბურთზე იფიქრონ.

მაგრამ, როგორც იცით, ვერც ამან უშველა პოლონელებს. შესაძლოა, გმობი მართალიც იყო, მაგრამ მხოლოდ ფიქრით, ცხადია, გუნდი ფონს ვერ გავიდოდა. აქვე უნდა ითქვას, რომ პოლონელთაგან მშვენიერი თამაშით მოგვაწონეს თავი ნაკრების დებიუტანტებმა — 20 წლის ნავალკამ და 22 წლის ბონიეკმა.

XI მსოფლიო ჩემპიონატის პირველი გოლი 2 ივნისს გავიდა მარ-დე-პლატის სტადიონზე, სადაც ერთმანეთს შეხვდნენ იტალიისა და საფრანგეთის ნაკრები გუნდები. საფრანგეთის გუნდის მარცხენა გარემარბმა სიქსმა უსწრაფესი გარღვევის შემდეგ ბურთი ცენტრფორვარდ ლაკომბს მიაწოდა, ამ უკანასკნელის თავური დარტყმა კი უნაკლო იყო — 1:0. ეს მოხდა თამაშის 38-ე წამზე! (ჩემპიონატის შემდეგ ლაკომბმა მიიღო იაპონიის სახელგანთქმული ფირმის „სეიკოს“ მიერ დაწესებული საგანგებო პრიზი — 2300 დოლარად ღირებული ოქროს საათი „ყველაზე სწრაფი გოლისთვის“. მეორე პრიზი ხვდა პერუელ ველასკესს, რომელმაც ირანელთა კარში გაიტანა ბურთი თამაშის დაწყებიდან 1 წუთისა 51 წამის შემდეგ. საპრიზო ექვსეულში მომდევნო ადგილებზე არიან აბრამჩიკი (გფრ), ბრანდტსი (პოლანდია), საბო (უნგრეთი), შახნერი (ავსტრია). ლაკომბის მომდევნო ხუთეულის ყოველ წევრს გადასცეს „სეიკოს“ ფირმის საგანგებოდ ამ შემთხვევისთვის გაკეთებული კვარცის ძვირფასი ქრონომეტრები).

მარ-დე-პლატის სტადიონზე მოსული 42 ათასი გულშემატკივრიდან 35 ათასი იტალიური წარმოშობის ადგილობ-

რიჯი მკვხოვრები იყო. ასე რომ, იტალიელი ფეხბურთელები თავს აითქმის შინ გრძნობდნენ. მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, პირველივე წუთზე ლაკომბის ულამაზესმა გოლმა მთელი სტადიონი დაამუნჯა. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ადგილის შერჩევის დიდოსტატს, მეკარე ძოფს ამ გოლის გამო საყვედურს ვერაფერ ეტყობდა. ლაკომბი უზუსტესად, უძლიერესად და უსწრაფესად მოქმედებდა.

— ლაკომბმა ბურთი რომ შეაგდო, თვალთ დაძიბნელდა და რამდენიმე წუთს ველარაფერს ვხედავდი, — თქვა შესვენებისას „სკუადრა აძურას“ ყოფილმა ვარსკვლავმა ლუიჯი რივამ. რივას მართლაც ჰქონდა შეშფოთების მიზეზი. საფრანგეთის ნაკრები შესანიშნავად თამაშობდა და პირველ ნახევარ სწავს აშკარად დაჯაბნა მეტოქე. მიუხედავად იმისა, რომ პლატინის თამაში არ გამოუვიდა (მას ფეხი არ გაანძრევინა ტარდელიმ), საფრანგეთის ნაკრები მაინც გააზრებულად, კომბინაციურად, მწვავედ და, რაც მთავარია, სწრაფად მოქმედებდა. თამაშის სადავეები ხელთ იგდო 30 წლის ვეტერანმა ანრი მიშელმა, რომელიც ბრძენი დირიჟორივით ხელმძღვანელობდა გუნდის ყოველ რგოლს.

გარდატეხა დაიწყო 29-ე წუთზე, როცა იტალიის ნაკრების დებიუტანტმა, 21 წლის როსიმ გამოიყენა კაუზიოს ჩინებული გადაცემა და ანგარიში გაათანაბრა — 1:1 (სხვათა შორის, ვიჩენცელი პროვინციელი ბიჭის პაოლო როსის შეყვანა ძირითად შემადგენლობაში ერთობ საეჭვო იყო. ამის წინააღმდეგ ილაშქრებდნენ ტურინელი არისტოკრატები, მათ აზრს, გინდა არ გინდა, ანგარიში უნდა გაუნიო. მაგრამ ბეარზოტი უფრო შორსმჭვრეტელი გამოდგა — იგი მტკიცედ იდგა თავის სიტყვაზე და როსიმაც არ გაანზილა მწვრთნელის იმედები. უფრო მეტიც: იგი XI მსოფლიო ჩემპიონატის მეორე ფეხბურთელად აღიარეს, იტალიელთა შორის ყველაზე ძვირად შეაფასეს და თავად შეუერთდა... ტურინელ არისტოკრატებს: „იუვენტუსის“ მესვეურებმა „ლანეროსის“ საზღაპრო თანხა — 5 მილიარდი ლირა გადაუხადეს და როსი იყიდეს).

ამ გოლმა დააწყნარა იტალიელები, მათს მოქმედებას დამაჯერებლობა შემატა და დარჩენილ 15 წუთში თანდათან

გამოიკვეთა „სკუადრა აძურას“ ერთგვარი უპირატესობა.

შესვენების შემდეგ ბეარზოტმა ანტონიონის ნაცვლად მინდორზე ძაკარელი გამოიყვანა. მწვრთნელს ამ შეცვლამაც გაუმართლა: ძაკარელი სულ 6 წუთის გამოსული იყო, როცა უძლიერესი დარტყმით დაანინაურა თავისი გუნდი და გამარჯვებაც მოუტანა.

XI მსოფლიო ჩემპიონატის წინ საფრანგეთის ნაკრებთან შინ ფრედ (2:2) ნათამაშევი ამხანაგური მატჩის შემდეგ ბეარზოტმა თქვა:

— დღეს ჩვენ აღარ გვყავს ისეთი ვარსკვლავები, როგორიც იყვნენ რივერა, მაცოლა და რივა. ამიტომ სხვანაირად უნდა ვითამაშოთ.

მწვრთნელმა თავისი ფეხბურთელების აშკარა შეუფასებლობა გამოიჩინა. იქნებ ეს რაღაც „პედაგოგიური“ მოსაზრებებით იყო ნაკარნახევი? ასეა თუ ისე, ზემოდასახელებულ ვარსკვლავებს არაფერში უდებენ ტოლს ბენეტი, ტარდელი, კაუზიო, როსი, ბეტეგა...

ასევე არ ვეთანხმები შვეციის 1958 წლის მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირს და, საერთოდ, მსოფლიო პირველობათა რეკორდსმენს „ამ დარგში“, ფრანგ ყიუსტ ფონტენს, რომელმაც ამ დიდებული მატჩის შემდეგ განაცხადა:

— ეს იყო ძალიან ლამაზი, ტემპიანი, ტექნიკური თვალსაზრისით სრულყოფილი მატჩი ურიცხვი კომბინაციითა და მახვილგონივრული ინდივიდუალური მოქმედებით, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩემთვის ნათელი გახდა, რომ ჩვენი გუნდი ჯერ კიდევ არ არის მომწიფებული ასეთი რანგის ტურნირებში წარმატების მოსაპოვებლად.

როგორ გეკადრებათ! ნებისმიერ სხვა ჯგუფში საფრანგეთის ნაკრები უეჭველად მოიპოვებდა შემდგომი ეტაპის საგზურს, მერე კი ვინ იცის, რა მოხდებოდა.

ბურთი მრგვალიაო, ამბობენ...

ჩემი მოსაზრების სისწორე ფრანგებმა შემდგომ უნგრელებთან გამართულ, ასე ვთქვათ, უპერსპექტივო შეხვედრაშიც დაადასტურეს, გაიმარჯვეს და ღირსეულად დატოვეს ჩემპიონატი.

მე ბევრჯერ მინახავს იტალიის ნაკრების თამაში (რაც უნდა იყოს, ეს „ჩემი“ მეოთხე მსოფლიო ჩემპიონატი გახლდათ), მაგრამ ასეთი სიამოვნება, არ შემეშინდება ამ სიტყვებისა, ამგვარი ესთეტიკური ტკობა ამ გუნდს ჩემთვის არასოდეს მოუნიჭებია. პირიქით, მუდამ მაღიზიანებდა იტალიელთა ყბადაღებული „კატენაჩო“, მახვილის გადატანა ყოვლად დაუფარავ დაცვაზე, რომლის წყალობითაც „სკუადრა აძურას“ ნაკრებიცა და ამ ქვეყნის საკლუბო გუნდებიც მართლაც აუღებელ ციხესიმაგრეს წარმოადგენდნენ.

ახლა კი... სადღა იყო ეს „კატენაჩო“? კოხტად გამოწყობილი, მშვენიერი შესახედავი ვაჟკაცები მწვანე მინდვრის ნამდვილი რაინდები იყვნენ — უშიშარნი, მიზანმიმსწრაფნი, მოქნილნი, მოხერხებულნი, თავდაჭერილნი, მეტოქის მიმართ თავაზიანნი. და, თქვენ წარმოიდგინეთ, უაღრესად შემტევნი და დაულალავნი! ტექნიკასა და იმპროვიზაციაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ეს თვისებები იტალიელ ფეხბურთელებს სისხლსა და ხორცში აქვთ გამჯდარი.

მაგრამ ისე ნუ წარმოიდგენთ საქმის ვითარებას, თითქოს ყოველივე ეს მწვრთნელმა ენცო ბეარზოტმა ჯადოსნური ჯოხის ერთი აქნევით მოახერხა. იტალიელთა ამგვარი თამაში ფეხბურთში ჩახედული კაცისთვის მოულოდნელი არ უნდა ყოფილიყო. ნაკრები ასე სათამაშოდ მომართა იტალიის ჩემპიონმა — ტურინის „იუვენტუსმა“, რომლის ბრწყინვალე იერიშების ძალაც საკუთარ ტყავზე გამოსცადეს დონეცკის „შახტიორის“ ფეხბურთელებმა უეფა-ს თასის გათამაშებაში 1973 წელს. არ დაგავინყდეთ, წლევანდელ ნაკრებში „იუვენტუსიდან“ 9 (!) კაცი იყო.

ვიმეორებ, იმ დღეს ფრანგებმაც ჩინებულად ითამაშეს, მაგრამ დამარცხდნენ. ეს იყო მშვენიერი, უაღრესად მიმზიდველი და ემოციური მატჩი. რა სანყენია, რომ საფრანგეთის საუცხოო გუნდმა შემდგომში თავი ვერ დააღწია პირველი ჯგუფის, ჩემი აზრით, ყველაზე „ძნელი“ ჯგუფის, მრისხანე მანქანის კბილებს.

სკანდალური გამოდგა 2 ივნისს ბუენოს-აირესში გამართული მატჩი, სადაც ერთმანეთს შეხვდნენ მასპინძელი ქვეყნისა და უნგრეთის ეროვნული გუნდები. სანამ ამ შეხ-

კედრაზე დაგინყებდეთ ლაპარაკს, მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ მსოფლიოს XI ჩემპიონატში ყველაზე ძლიერი იყო არგენტინის ნაკრები. მაგრამ ამ დასკვნამდე პირადად მე გათამაშების მიწურულს მივედი, მანამდე კი... ჩემპიონატი არგენტინის გუნდმა ერთობ უღიმღამოდ დაიწყო, ლათინური ამერიკის ფეხბურთისთვის ნიშანდობლივ ყაიდაზე: სიმულაციის კარგა გვარიანი დოზით, არტისტული მანჭვა-გრეხით, მიწაზე კოტრიალით... სწორედ ამ, ასე ვთქვათ, პროვოკაციული საქციელის მსხვერპლი გახდა უნგრეთის ნაკრები, როცა პორტუგალიელმა მსაჯმა ვარიდომ მინდვრიდან გააძევა ორი საუკეთესო მოთამაშე ტიორიოჩიკი და ნილაში ერთი ნუთითაც არ იფიქროთ. თითქოს ოდნავ მაინც ვამართლებდე მინდვრიდან გაძევებულთ, ისინი აძვინენ ქვენა გრძნობებს, ნამოეგენ არგენტინელთა ანკესზე და აშკარად ხულიგნურად მოიქცნენ. მაგრამ მსაჯის ამგვარ გადაწყვეტილებას მაინც დიდად შეუწყო ხელი არგენტინელთა „არტისტიზმმა“ და საკმაოდ მეტყველმა მიმიკამ მეტოქესთან შეხლა-შემოხლის დროს.

ნილაშისა და ტიორიოჩიკის გაძევებით უნგრეთის ნაკრებს, ფაქტიურად, ჯვარი დაესვა — გუნდს ხერხემალი გადაუტყდა. მიუხედავად ამისა, უნგრელთა მწვრთნელს ლაიოშ ბაროტის მატჩის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე ნუთითაც არ დაუკარგავს ნონასწორობა, თავი ღირსეულად ეჭირა და ჟურნალისტთა შეკითხვაზე, რამდენად სამართლიანად მიგაჩნიათ მსაჯის განაჩენიო, ასე უპასუხა:

— მინდორზე მსაჯს გამოაქვს გადაწყვეტილება და ამ გადაწყვეტილების შესახებ მსჯელობა მე მუდამ უსარგებლო საქმედ მიმაჩნდა.

ისიც უნდა ითქვას, რომ ამ უაღრესად მძაფრ და დაძაბულ მატჩში ანგარიში უნგრელებმა გახსნეს. მათ მწვავედ შეუტყეს მეტოქეს და მე-10 ნუთზე თავდამსხმელმა ჩაპომ მშვენივრად გამოიყენა არგენტინელთა მეკარე ფილოლის შეცდომა. აქვე დავსძენ, რომ ფილოლი შემდგომში მხოლოდ ერთხელ შეცდა, როცა ფინალურ მატჩში სწორი პოზიცია ვერ შეარჩია რენსენბრინკის ელვისებური გარ-

ღვევის დროს. ხომ გახსოვთ ეს საბედისწერო დარტყმა 90-ე წუთზე?.. ჟურნალისტთა და სპეციალისტთა ნაწილმა პოლანდიელი ფორვარდი მაშინ დაუნდობლად გააკრიტიკა ამ დარტყმის გამო (4-5 სანტიმეტრი მარჯვნივ, და გოლი იქნებოდაო!), მაგრამ სხვა ფეხბურთელი ამდენსაც რომ ვერ შეძლებდა?! ეს მხოლოდ რენსენბრინკმა მოახერხა თითქმის პირითი ხაზიდან სწრაფად მოძრავი ბურთის მოთვინიერება... მეტის გაკეთება შეუძლებელი იყო.

...არგენტინელებმა თანაფარდობა საკმაოდ მოკლე დროში, 8 წუთში აღადგინეს, მერე კი, უკვე მატჩის მიწურულს ბერტონიმ გამარჯვება მოუტანა თავის გუნდს.

I ტურში იშვა პირველი სენსაციაც: ტუნისის ნაკრებმა ანგარიშით 3:1 სძლია მექსიკის ეროვნულ გუნდს. ტუნისელებმა შემდგომშიც დაამტკიცეს, რომ მართლაც საუცხოოდ თამაშობენ ფეხბურთს, მათს არსენალშია თანამედროვე ტექნიკისა და ტაქტიკის ყველა იარაღი.

არგენტინისა და სხვა ქვეყნების ჟურნალ-გაზეთებში ტუნისელთა გამარჯვებას, როგორც ვთქვით, სენსაციური უწოდეს, მაგრამ ეს წარმატება ოდნავადაც არ გააკვირვებია ტუნისის ნაკრების მწვრთნელს მ. ჩეტალის. ესაა, რომ მან ხიტყვა არ შეასრულა: პირველი მოგების შემდეგ არ მოიპარსა უხვად მოშვებული წვერი. არ გაემტყუნება: წვერი კი არა, თავიც დაავინყა ალბათ მექსიკელებთან მატჩში გამარჯვებით გამოწვეულმა სიხარულმა.

სამაგიეროდ, ტუნისელთა ამ გამარჯვებამ მეტისმეტად ჩააფიქრა პოლონელი ფეხბურთელები და მათი მწვრთნელი. მაგალითად, პოლონეთის ნაკრების კაპიტანმა კაზიმეჟ დეინამ პირდაპირ განაცხადა:

— თურმე ჩვენს ჯგუფში აუტსაიდერები არ ყოფილან.

სან-მარტინის კულტურის ცენტრში

ნაცრისფერი მარმარილოთი, ბეტონითა და მინით ნაგებ ამ ვეებერთელა შენობას თითქმის მთელი კვარტალი უჭირავს. მთავარი შესასვლელი კორიენტის ქუჩიდანაა, მაგრამ არც პრესცენტრის სადარბაზო შესასვლელია სარ-

მიენტოს ქუჩიდან მეორეხარისხოვანი. გრანიტის კოლონების ქვეშ დიდი ღია პოლია, რომლის ერთ მხარეს ქვევით ჩამავალ კიბეს სააკრედიტაციო დარბაზში შევეყვართ, მარცხნივ ზევით კი რამდენიმე საფეხურია და — უზარმაზარი დარბაზები: პირველ სართულზე — ადგილობრივი ტელეფონები, ბანკის ფილიალი, სუვენირების მაღაზია, თარჯიმნების კოხტა ფორმის კოსტიუმებში გამოწყობილი ქალიშვილების ადგილსამყოფელი, მეორე სართულზე — საბეჭდი მანქანების სარბიელი, ტელექსები, ტელეტაიპები, ფოსტა-ტელეგრაფი, ფოტოლაბორატორიები, საერთაშორისო ტელეფონებისა და ტელევიზორების გრძელი მწკრივები, ბუფეტი და ათასი სხვა სამსახურისთვის განკუთვნილი ოთახები. მეექვსე სართულზე ერთ დიდ დარბაზში დგას კინოეკრანისოდენა ტელედანადგარი ფერადი გამოსახულებით (ფერადი ტელეგადაცემები არგენტინაში მსოფლიო ჩემპიონატამდე არ იყო. ეს საკითხი მასპინძლებმა ამ ასპარეზობისთვის მოაგვარეს იაპონელ სპეციალისტთა დახმარებით. მართალია, ფული ბევრი დაიხარჯა, მაგრამ იაპონელებმა მათთვის ჩვეული კეთილსინდისიერებით იმუშავეს და საბოლოოდ ყველა კმაყოფილი დარჩა).

მთავარი პრესცენტრის ყოველ შესასვლელთან პოლიციელები დგანან და მშვიდად გვდარაჯობენ თუ გვითვალთვალევენ. პოლიციელები ახალგაზრდები არიან და უკლებლივ ყველა უაღრესად დიდ ინტერესს იჩენს სამკერდე ნიშნების მიმართ. პრესცენტრიდან ჩვენს სასტუმრო „მილანამდე“ ფეხით სამიოდე წუთის სავალია. ჩვენი სასტუმროს შესასვლელთანაც დგას პოლიციელთა წყვილი. როგორც დავასკვნით, იქ მათი სადღელამისო საგუშაგოა. „ჩვენი“ პოლიციელებიც აშკარად ამჟღავნებენ სამკერდე ნიშნებისადმი ტრფიალს და ჩვენც, ცხადია, უხვად ვამარაგებთ მათ ამგვარი სუვენირებით. განსაკუთრებით დიდი მოთხოვნილებაა მომავალი ოლიმპიური თამაშებისადმი („მოსკოვი — 80“) მიძღვნილ სამკერდე ნიშნებზე.

როგორც ყოველთვის, ჟურნალისტთა შორის ახლაც იყვნენ სუვენირების გაცვლა-გამოცვლის — „ჩეინჯის“ უბადლო სპეციალისტები, რომლებიც ყოველ საღამოს სასტუმ-

როში მდიდარი ნადავლით ბრუნდებოდნენ. და ამ ნადავლში ხშირად ნახავდით პოლიციელთა აქსესუარებს — სხვადასხვა ზომისა და ფორმის სასტვენებს, ქამრის ბალთებს, ქუდზე დასამაგრებელ ნიშანს... ერთ ჟურნალისტს მოძრაობის მარეგულირებელი კვერთხიც კი ჩაევდო ხელში, მოსკოვის ოლიმპიადის სამკერდე ნიშანში გაეცვალა...

პოლიციელთა მყუდროება ერთხელაც არ დარღვეულა. მაშინაც კი, როცა ერთ ლამეს ჩვენი სასტუმროს წინ დიდი სისწრაფით მომავალმა მსუბუქმა ავტომობილმა კარგა მაგრად გაჰკრა გვერდი მარჯვნივ მდგარ „სიტროენს“, იქვე მყოფ პოლიციელებს წარბიც არ შეუხრიათ, ადგილიდან არც კი დაძრულან. დინჯად შეჰყურებდნენ ასევე წყნარად მოლაპარაკე დამჯახებელსა და დაზარალებულს... ამ უკანასკნელებმა სწრაფად მოათავეს საქმე, დამჯახებელმა თავისი სავიზიტო ბარათი მისცა გვერდშეჭყლეტილი „სიტროენის“ პატრონს, თავაზიანად ჩამოართვა ხელი და გაშორდა „საგზაო შემთხვევის“ ადგილს. მერე შევიტყვეთ, რომ არგენტინელი პოლიციელები საერთოდ არ ერევიან ამგვარ ინციდენტებში, თუ, ცხადია, საქმე მხოლოდ მანქანების დაზიანებით თავდება.

...დავუბრუნდეთ სან-მარტინის კულტურის ცენტრს, რომელსაც, უამრავი ჰოლისა და ოთახის გარდა, ოთხი სათანადოდ აღჭურვილი დიდი თეატრალური სცენა და ტევადი დარბაზებიც აქვს. ერთ-ერთ ასეთ დარბაზში ჩატარდა 1971 წელს რობერტ ფიშერისა და ტიგრან პეტროსიანის საჭადრაკო მატჩი მსოფლიო პირველობაზე.

პრესცენტრში ჟურნალისტებს საკმაოდ ოპერატიულად ემსახურებოდნენ. საგანგებო მაგიდებზე მუდამ ეწყო ესპანურ, გერმანულ, ინგლისურ, ფრანგულ და იტალიურ ენებზე დაბეჭდილი მასალები — მატჩების ოქმები მატჩამდე და მატჩის შემდეგ, გუნდების შემადგენლობები, ათასნაირი სტატისტიკური მონაცემები, ცნობები მოთამაშეთა დასჯისა და დისკვალიფიკაციის შესახებ, თამაშის შემდეგ გამართული პრესკონფერენციების ანგარიშები, ფიჯა-ს დისციპლინური კომისიის გადაწყვეტილებები, მსაჯთა და მწვრთნელთა გამონათქვამები, ადგილობრივ პრესაში გა-

მოქვეყნებული წერილების მიმოხილვა, სხვადასხვა ინფორმაცია...

უაღრესად მაღალ დონეზე იდგა საერთაშორისო სატელეფონო კავშირი (სხვათა შორის, ფინალური ეტაპის სხვადასხვა სამსახურში 10 ათასზე მეტი არგენტინელი იყო ჩაბმული. აქედან ყველაზე მრავალრიცხოვანი გახლდათ სატელეფონო და სატელექსო კავშირის მომსახურე პერსონალი — 400 კაცი). ასევე საუცხოოდ იყო მოგვარებული ჟურნალისტთა დასვენება-გართობის საქმე. მსურველებს თითქმის ყოველ საღამოს შეეძლოთ წასულიყვნენ მიღებაზე, კონცერტზე, ერთხელ კი აკრედიტებული ჟურნალისტების შორეულმა სეირნობამ იახტებით საყოველთაო აღტაცება გამოიწვია.

მატჩების დღეებში მთავარი პრესცენტრიდან „რივერ პლეიტის“ სტადიონისკენ ყოველ ათ წუთში გადიოდა კომფორტული ავტობუსი წარწერით — პრესა. სიტყვამ მოიტანა და „მერსედესის“ ფირმამ მსოფლიოს XI ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტს 128 ასეთი დიდი ავტობუსი აჩუქა. ეს მშვენიერი ავტობუსები ჩემპიონატის მესვეურებმა პირველ ყოვლისა ფინალის მონაწილე გუნდებს დაუთმეს. ათასნაირად მოხატული ეს ავტობუსები „რივერ პლეიტის“ ერთ-ერთ გამოსასვლელთან ჩამწკრივდებოდნენ ყოველი მატჩის წინ და თავიანთ გუნდებს ელოდნენ. ავტობუსებს ჯვარდებზე დიდი ასოებით ეწერათ: „არგენტინა“, „პოლანდა“, „ტუნისი“, „ირანი“ და ასე, ფინალის მონაწილე თითოეულ ტივე სახელმწიფოს სახელები...

რუსი მკვლელი ტურნირების შესახებ

მწიფე მთარაღი ოთხი მატჩიდან ყველაზე საინტერესო ესაა მრავალრიცხოვანი და შევცის ეროვნული გუნდების შეხვედრა. თამაში მთელი 90 წუთის განმავლობაში უაღრესად მწვავე და დაძაბული იყო. შედეგმა არაფერში დაუდეს რუსი თავიანთ მრისხანე მეტოქეს. უფრო მეტიც: კოლექტიური მოქმედებით, მიზანსწრაფვით, დაცვისა და თავდაცვითი კონტრიერების, საერთოდ, შეტევის ორგანიზაცი-

ით შვეციის ნაკრები სჯობდა კიდევ მსოფლიოს სამგზის ჩემპიონს. ბრაზილიელმა ჟონგლიორებმა ტრადიციულად ბურთის ფლობის უზადო ტექნიკა გამოავლინეს, მაგრამ აკლდათ სიზუსტე. დამამთავრებელ ფაზაში და, როგორც შემდგომში გამოირკვა, აკლდათ ბომბარდირი, ფეხბურთელი, რომელიც ასევე ოსტატურად დააგვირგვინებდა თანაგუნდელთა მიერ გათამაშებულ მახვილგონივრულ კომბინაციებს.

ცხადია, ყოველივე ამის შემყურეს ძალაუნებურად გაგახსენდებოდა ვაჟა და გარინჩა, პელე და ჟაირზინიო, ტოსტაო და გერსონი...

89-ე წუთზე ბრაზილიელებმა მარჯვენა ფლანგიდან კუთხურის ჩამონოდების უფლება მიიღეს. თავდამსხმელ ჟილის ნაცვლად მინდორზე გამოსულმა მცველმა ნელინიომ ერთობ გააჭიანურა მიწოდება, ხან ოდნავ წინ დადო ბურთი, ხან ოდნავ უკან, ხან ცოტა მარცხნივ... მერე, როგორც იქნა, დაარტყა. მაღალ ბურთს კარგად შეურჩია ადგილი ზიკომ, ახტა და თავით დაარტყა. ბურთი შვეციის ნაკრების კარის ბადეში გაეხვია. ბრაზილიელთა სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, მაგრამ ეს აღტყინება უმალვე ჩააქრო უელსელი მსაჯის კ. თომასის გადაწყვეტილებამ — გოლი არ ჩაითვალა, ვინაიდან ნელინიოს დარტყმისთანავე გაისმა თამაშის დამთავრების მაუნყებელი სასტვენის ხმა. წამ-მზომებმა ზუსტად აღნიშნეს, რომ ზიკომ ბურთი გაიტანა მაშინ, როცა თამაში ნაბევარი წამის დამთავრებული იყო. ამრიგად, ანგარიში უცვლელი დარჩა: ფრე — 1:1.

ბრაზილიელთა სასონარკვეთა უსაზღვრო იყო. მათს ბანაკში ისეთი იმედგაცრუება და გლოვა სუფევდა, რომ კუტინიო, ნოტაცისა და კრიტიკის ნაცვლად, როგორც თავად განაცხადა, ამ „პატარა ბავშვების“ მოფერებასა და დაწყნარებას მოუხდა.

მსაჯზე, ბოლოს და ბოლოს, თვით ბრაზილიელებიც ველარაფერს აძბობდნენ. თომასმან ხომ პირველი ტაიმის მიწურულს, ზუსტად 45-ე წუთის მიწურულს ჩათვალა რეინალდოს მიერ შვედების კარში გატანილი ბურთის ტყუილი, კი არ თქვა პელემ: ამგვარი რანგის მატჩში, მით უმეტეს,

შეხვედრის მიწურულს, როცა ანგარიში საყაიმო იყო, ნელინიოს ასეთი მაიმუნობის უფლება არ ჰქონდაო.

შვეციის ნაკრების მწვრთნელმა გ. ერიკსონმა კი ეს მომენტი ასე შეაფასა:

— საჭირო იყო ბურთი ცოტა ადრე შეეგდოთ კარში. მორჩა და გათავდა. მსგავსი ამბავი მომისმენია, მინახავს კიდევ და ამაში ვერავითარ საოცრებას ვერ ვხედავ: თამაში უსასრულოდ ხომ არ შეიძლება გაგრძელდეს.

სხვათა შორის, ამ შეხვედრაში დამყარდა „მსოფლიო რეკორდი“: შედემა მცველმა ბ. ნორდკვისტმა 109-ედ დაიცვა ეროვნული ნაკრების ღირსება, ერთი მატჩით გადაამეტა სახელგანთქმული ინგლისელი ცენტრალური მცველის ბობი მურის მაჩვენებელს.

რაოდენ მცდარია ზოგჯერ პირველი მატჩის მოგებით გამოწვეული დასკვნები! ამგვარ „სულსწრაფობას“ ხშირად გამოცდილი, მრავალ ბრძოლაში გამობრძმედილი სპეციალისტებიც კი იჩენენ.

როცა პერუს ნაკრებმა 3 ივნისს დაძაბულ ბრძოლაში ანგარიშით 3:1 სძლია შოტლანდიის გუნდს, გამარჯვებული კოლექტივის მწვრთნელმა, უსაზღვროდ ბედნიერმა კალდერიონმა შესძახა:

— ჩვენ გავიმეორებთ 1970 წლის წარმატებას (მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატში პერუელებმა IV ადგილი დაიკავეს. — მ. კ.), ამაში დარწმუნებული ვარ. შესაძლოა, სამეულშიც მოვხვდეთ.

როგორ მოეცარა პერუს ნაკრებს შემდგომში ხელი!

შოტლანდიის გუნდთან კი პერუელებმა მართლაც საუცხოოდ ითამაშეს, მაშინაც კი არ შედრკნენ, როცა მე-17 წუთზე ჯორდანმა მათს კარში პირველი (და, თურმე, უკანასკნელი) ბურთი მოათავსა. ამ მარცხს პერუს ნაკრებმა დაჟინებული იერიშებით უპასუხა და 43-ე წუთზე სანადელსაც მიაღწია: კუეტომ თანაფარდობა აღადგინა. შესვენების შემდეგ კი კუბილასმა ორჯერ აიღო მეტოქეთა კარი — 3:1. მაგრამ ამ წარმატების ერთ-ერთ მთავარ ფაქტორად უნდა ვაღიაროთ... შოტლანდიელი მესონის მიერ გაფუჭებული პენალტი — მეორე ტაიმის დასაწყისში პერუს ნაკ-

რების მექარე კიროგამ მოიგერია თერთმეტმეტრიანი სა-
ჯარიმოს თეთრი წერტილიდან დარტყმული ბურთი. აჰან
პირდაპირ ფრთები შეასხა პერუელებს... შოტლანდიელებმა
კი ყურები ჩამოყარეს.

იმ დღის სხვა მატჩებში ღირსშესანიშნავი არაფერი
მომხდარა: ავსტრიის ნაკრებმა აჯობა ესპანელებს, ხოლო
ჰოლანდიის ეროვნულმა გუნდმა — ირანელებს. მხოლოდ
ორ მომენტს აღვნიშნავთ: ჰოლანდიელმა რენსენბრინკმა
გააკეთა XI მსოფლიო ჩემპიონატის პირველი პეთ-თრიკი
(სამი ბურთი გაიტანა ირანელთა კარში); მსოფლიო ჩემპიო-
ნატების ისტორიაში ერთი გუნდის შემადგენლობაში მინ-
დორზე პირველად გამოვიდნენ ტყუპები. „რეკორდი“ ისევ
ჰოლანდიელებს ეკუთვნით: ეს ტყუპები იყვნენ ძმები რენე
(№ 10) და ვილი (№ 11) ვან დე კერკჰოფები.

იტალიელთა თამაშმა ამჯერადაც მოხიბლა ფეხბურ-
თის მრავალრიცხოვანი მაყურებელი. მათი შეხვედრა უნგ-
რეთის საკმაოდ შესუსტებულ გუნდთან „სკუადრა აძურას“
სრული უპირატესობით მიმდინარეობდა. განსაკუთრებით
სასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენდა იტალიის ნაკრების
ნახევარდაცვის ორი ბურჯის — ტარდელისა და ბენეტის
ყოველმხრივ დახვეწილი, გააზრებული თამაში (მესამე ნა-
ხევარმცველი ანტონიონი ფორმაში აშკარად არ იყო და
ანსამბლიდან ამოვარდნილი ჩანდა). კაუზიო, რომელსაც
ტარდელი და ბენეტი უხვად აწვდიდნენ ბურთებს, მეტ დროს
თავდასხმაში ატარებდა — უალრესად ეშმაკური, შორს-
მჭვრეტელური მოქმედებით, საუცხოო ფინტებითა და
სწრაფი დრიბლინგით დიდი არეულობა შექმნდა „მტრის
ბანაკში“...

უნგრელებს ძალიან გაუჭირდათ. სწორი იყო მათი
მწვრთნელი ლაიოშ ბაროტი, როცა თქვა:

— ასეთი კლასის გუნდთან შეუძლებელია ოთხი მოწი-
ნავე ფეხბურთელის გარეშე თამაში (ბაროტის მხედველო-
ბაში ჰყავდა დისკვალიფიცირებული ტიორიოჩიკი და ნი-
ლაში, აგრეთვე, ორი დაშავებული ფეხბურთელი).

ამ მატჩში ერთხელ კიდევ ამობრწყინდა ახალგაზრდა
თავდამსხმელის როსის უბადლო ნიჭი. მან გოლიც გაი-

ტანა, მაგრამ ეს როდი იყო მთავარი. პაოლო როსის მიზან-
სწრაფული, დაუდევარი, მაღალტექნიკური და აზრიანი თა-
მაში ტრიბუნების განუზომელ აღფრთოვანებას იწვევდა. ან
თუნდაც კიდევ ერთი თავდამსხმელი — ბეტეგა ავილოთ!
ისიც მრავალრიცხოვანი მაცურებლის კერპი გახლდათ --
ძალიან მოხდენილად, მწვავედ, სწრაფად თამაშობდა.

იტალიელებმა პირველი ორი ბურთი ერთ წუთში გაი-
ტანეს: ჯერ როსიმ მიუსწრო მეკარე მესაროშის მიერ უკუ-
გდებულ ბურთს, შერე კი ბეტეგამ მკერდით მიიღო როსის
მწვავე გადაცემა, ბურთიანად შეიჭრა მცველთა შორის და
შეუჩრებლივ დაარტყა (ისიც უნდა ითქვას, რომ ამ ჩა-
მოსხმულმა, ცისფერთვალემა სპორტსმენმა სამჯერ მოა-
ხვედრა ბურთი უნგრელთა კარის ძელს).

მე-60 წუთზე ბენეტიმ მესამედ აიღო მეტოქის კარი, თა-
მაშის დამთავრებამდე 10 წუთით ადრე კი უნგრელმა
ა. ტოტმა 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმით „პრესტიჟის
გოლი“ გაიტანა.

ყურნალ-გაზეთები, რადიო და ტელევიზია ხოტბას ას-
ხამდნენ იტალიის ნაკრებს. „სკუადრა აძურა“ მართლაც
დიდებულად თამაშობდა:

ფრანგებთან მატჩში არგენტინის ნაკრები, შეიძლება
ითქვას, ბენვზე ეკიდა. მართალია, შესვენებამდე მასპინძ-
ლებს ჰქონდათ ერთგვარი უპირატესობა, მაგრამ ფრანგე-
ბის მეკარეს ბერტრან-დემანს ვერაფერი მოუხერხეს. პირ-
ველი ტაიმი უგოლოდ მთავრდებოდა, რომ შეეცადრიელმა
მსაჯულმა ყ. დიუბახმა ცოტა უცნაური გადაწყვეტილება მი-
იღო. დიუბახს მოეჩვენა, რომ ფრანგების ცენტრალურმა
მცველმა ტრეზორმა ლუკესთან ორთაბრძოლაში ხელით შეა-
ჩერა ბურთი თავის საჯარიმო მოედანზე. დიუბახმა მიირ-
ბინა გვერდით მსაჯუთან, კანადელ ვ. ვინზემანთან, რომელ-
მაც დაუდასტურა აშკარად უსაფუძვლო ვარაუდი. და 45-ე
წუთზე პასარელამ დაარტყა პენალტი -- 1:0 (სინამდვილე-
ში ნაქცევის მომენტში ტრეზორს ბურთი ხელზე მოხვდა,
მაგრამ ამას არავითარი გავლენა არ მოუხდენია თამაშის
მსვლელობაზე).

შესვენების შემდეგ ფრანგებმა მთლიანად ხელთ იგდეს მატჩის სადავეები და სულ მალე ლაკომბმა კინალამ გაათანაბრა ანგარიში. არგენტინელებისთვის ნაჩუქარ იმ პენალტს ფრანგების ახალი უბედურება მოჰყვა: 56-ე წუთზე ნახტომის დროს ბერტრან-დემანი ზურგიით ძელს მიენარცხა, სერიოზულად დაშავდა და მერე საერთოდ აღარც უთამაშია — ჩემპიონატი ამ ძალიან ნიჭიერი ახალგაზრდა მეკარისთვის დასრულდა. ძნელია ითქვას, გავიდოდა თუ არა ლუკეს მიერ 25 მეტრიდან დარტყმული ბურთი, კარში ბერტრან-დემანი რომ მდგარიყო. ასეა თუ ისე, დიდად გამოცდილ, მაგრამ უკვე ასაკოვან მეკარე ბარატელის იმ მომენტში ნახტომი დაუგვიანდა. მაგრამ ეს მოხდა შეხვედრის დამთავრებამდე 17 წუთით ადრე, მანამდე კი, მე-65 წუთზე, პლატინიმ ნონასწორობა აღადგინა.

არგენტინელებთან წაგების შემდეგ საფრანგეთის ჩინებულმა, ლალად და ლამაზად მოთამაშე ნაკრებმა, ფაქტიურად, დაამთავრა გათამაშება. ფრანგ ფეხბურთელთა მწვრთნელმა იდალგომ პრესკონფერენციაზე თქვა:

— დღეს აშკარად გვიმუხთლა ბედმა. ჩვენი გუნდი ოდნავაც არ ჩამოუვარდებოდა მეტოქეს, დროდადრო კი მასზე უკეთესადაც თამაშობდა. რაც შეეხება პენალტს, ამაზე ვერაფერს გეტყვით, ვინაიდან იმ ადგილიდან, სადაც ჩვენ ვისხედით, ეს ეპიზოდი არ ჩანდა.

სამაგიეროდ, ავსტრიელმა მიმომხილველმა ფ. ვიშერმა განაცხადა, რომ ტრეზორს შემთხვევით მოხვდა ბურთი ხელზე, რაც ვიდეოჩანანერშიც მკაფიოდ ჩანსო.

არგენტინელთა მწვრთნელი მენოტი გახარებული იყო მატჩის შედეგით და ჩემპიონატის შემდგომ ეტაპზე გასვლით, მაგრამ ძალიან აფიქრებდა თავისი გუნდის უკანა ხაზის თამაში.

— ჩვენი მცველები, როგორც კი ფრანგთა მოიერიშე ძალების წნეხში მოექცნენ, მოდუნდნენ და უპირატესობის მოპოვებისთვის არაფერს აკეთებდნენ, უმისამართოდ იგერიებდნენ იერიშებს და თავდამსხმელები, შეიძლება ითქვას, უბურთოდ დატოვეს, — ამბობდა იგი. -- გადამწყვეტ მატჩებში ამას სერიოზული ყურადღება უნდა მივაქციოთ.

იტალიელებთან შეხვედრა ჩვენი ძალების საბოლოო შემონ-
მება იქნება.

ამავე დროს, ლუის მენოტი სრულიადაც არ მალავდა თავის საბოლოო მიზანს და, თუმცა თავდაპირველად არგენტინელთა გუნდის თამაში საამისო საფუძველს არ აძლევდა, არა მარტო უურნალისტებს ეუბნებოდა ამას, არამედ ამ იდეას დაჟინებით, ფსიქოთერაპიის შესაშური გამოყენებით უნერგავდა თავის ფეხბურთელებს.

— ჩვენ გადავდგით პირველი ნაბიჯი — გავედით მეოთხედფინალში. ყველამ ნახა, რაოდენ ძნელი იყო ეს: ჩვენს ჯგუფში ძალიან ძლიერმა მეტოქეებმა მოიყარეს თავი. ახლა ჩვენ ვინყებთ მზადებას მეორე ნაბიჯისთვის. ჩვენი მიზანია ფინალური მატჩი (შემდგომში ვნახავთ, როგორ გაიზარდა მენოტის მიზანი. „მადა ჭამაში მოდისო“, — ნათქვამია...).

პოლონეთის გუნდმა ძლივს მოუგო ტუნისის ნაკრებს. შეხვედრის ბედი გადანყვიტა პირველი ტაიმის მიწურულს გჟეგოჟ ლატოს მიერ გატანილმა ერთადერთმა ბურთმა, თუმცა მთელი პირველი ტაიმისა და მეორე ნახევრის დიდი ნაწილის განმავლობაში პოლონელები მძაფრად უტყვედნენ. წინა მსოფლიო ჩემპიონატის მესამე პრიზიორის მწვრთნელი იაცეკ გმობი კმაყოფილი იყო მატჩის შედეგით, მაგრამ აშკარად უკმაყოფილო გახლდათ თავისი ბიჭების თამაშით. ამავე დროს, იგი აღნიშნავდა ტუნისელთა საკმაოდ მდიდარ რეალურ და პოტენციურ შესაძლებლობებს.

— ტუნისელები გაცილებით უკეთესად თამაშობენ, ვიდრე ჩემპიონატის ყველა მონაწილე ვარაუდობდა. მათ რამდენიმე ძალზე მაღალი კლასის ფეხბურთელი ჰყავთ, — ამბობდა გმობი.

მექსიკელებთან იოლი გამარჯვების (6:0) მიუხედავად, დასავლეთ გერმანიის ნაკრების მწვრთნელი ჰელმუტ შიონი მთლად კმაყოფილი როდი იყო. ბონპოფმა მსაჯის ყვირთელი ბარათი „დაიმსახურა“, ხოლო გუნდის მთავარმა იმედმა „გოლების განხრით“ ფიშერმა ვერც ამჯერად გამოიჩინა თავი. ზუსტად განჭვრიტა ინგლისელმა მიმომხილველმა მ. მაიერსმა, რომ „თუ ფიშერმა გოლების გატანა

არ დაინყო, გფრ-ის ნაკრებს თავისი ტიტულის შესანარჩუნებლად ცოტა შანსი ექნება". (შემდგომში ფიშერმა საერთოდ ვერაფრით გამოიჩინა თავი, ძალიან ერთფეროვნად, სწორხაზობრივად თამაშობდა და ბოლო მატჩებში მას გუნდის შემადგენლობაში ვეღარც ვხედავდით).

მე მუდამ ვიყავი (და დავრჩი) დასავლეთ გერმანიის ნაკრების დიდი ქომაგი და მოტრფიალე. ამ სიმპათიის მიზეზებს ახსნა-განმარტება არ ესაჭიროება — ისინი აშკარაა და თვალსაჩინო. დასავლეთ გერმანიის გუნდს, მიუხედავად ფრიად შესუსტებული შემადგენლობისა, ახლაც, არგენტინაშიც, დიდი იმედით ვუყურებდი, მაგრამ პირველივე მატჩებიდან ჩემთვის (და არა მარტო ჩემთვის) ნათელი გახდა, რომ ამჯერად იგი ხელმოცარული დარჩებოდა. რაც მთავარია, ეს იყო თითქმის ერთადერთი გუნდი, რომელიც აქცენტს დაცვაზე აკეთებდა (თითქმის იმიტომ, რომ დაახლოებით ასეთივე ტაქტიკით მოქმედებდა ბრაზილიის გუნდი). მართალია, გერმანელები თავს საუცხოოდ იცავდნენ, მაგრამ ასეთი ყოვლად გაუმართლებელი ტაქტიკის გამო ისინი თავიდანვე განწირულები ჩანდნენ. ყოველ შემდეგ მატჩს მაინც იმედით ველოდი და ყოველი მატჩის მერე განზილებული ვრჩებოდი. ამ შემთხვევაში ჩემი შეხედულება საკლებით „ემთხვეოდა“ შიონის აზრს, როცა მან, ასე განსაჯეთ, მექსიკელებთან დიდი ანგარიშით გამარჯვების შემდეგ თქვა:

— ჩვენი გუნდი ჯერჯერობით მზად არ არის ! ადგილისთვის საბრძოლველად. ჩვეულებრივ, იგი ტურნირის მსვლელობაში იძენს საკუთარი ძალის რწმენას და მატჩიდან მატჩამდე აძლიერებს თამაშს.

სამწუხაროდ, ეს იმედი არ გამართლდა, თუმცა გფრ-ის ნაკრები ერთობ ახლოს იყო ფინალის საგზურთან: სულ რაღაც 7 წუთი აკლდა ჰოლანდიელებთან შეხვედრის დასასრულს, როცა გერმანელები წინ იყვნენ — 2:1...

ფინალში კი, კაცმა არ იცის, რა მოხდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ მთავარი დისპეტჩერი ფლოე მწყობრიდან გამოვიდა, ან უკვე მსოფლიოს ექს-ჩემპიონებს შეეძლოთ ძლიერად მოექნიათ კუდი. ეს კუდი კი, ბებერი ვეშაპის კუ-

დისა არ იყოს, მაინც ბევრ უსიამოვნებას მიაყენებდა ტრიბუნების ქარიშხლით გაბერილი აფრებით უმაღლესი მიზნისკენ გაფრენილ არგენტინელთა ხომალდს.

შეიძლება ითქვას, რომ გფრ-ისა და პოლანდიის შეხვედრან ჩემპიონატის ყველაზე დრამატული მატჩი იყო. გერმანელებმა იმ დღეს ძალიან ძლიერად ითამაშეს — ეშმაკს ზურგი შეაქციეს და ძველებური შეტევითი ოპერაციები განახორციელეს. პოლანდიელებიც აპყვენენ მრისხანე მეტოქეს და მინდორზე უმძაფრესი ბრძოლა გაჩაღდა.

ესპანეთის ნაკრებთან მატჩში ბრაზილიის გუნდმა ისეთი საოცარი უსუსურობა გამოიჩინა, რომ შეხვედრის მიწურულს ტრიბუნებმა, სადაც უამრავი ბრაზილიელი გულშემატკივარი იჯდა, პირდაპირ ობსტრუქცია მოუწყვეს მსოფლიოს სამგზის ჩემპიონს.

ესპანელები აშკარად სჯობდნენ ერთობ პასიურად მოთამაშე მეტოქეს, მაგრამ ვერც მათ შეძლეს ბურთის გატანა. თავად ბრაზილიელთა მწვრთნელმა კლაუდიო კუტინიომ საჯაროდ განაცხადა პრესკონფერენციაზე, ესპანელები გამარჯვებას იმსახურებდნენო.

მარტო 74-ე წუთი რად ღირდა, როცა ესპანელმა თავდამსხმელმა კარდენიოსამ ცარიელ კარში ვერ გაიტანა ბურთი. იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის მიმომხილველმა ვ. ჰიუზმა პირდაპირ ასე დანერა: „ამგვარ სიტუაციაში ნ წლის ბავშვიც კი გადაჭრიდა პრობლემას“.

მე მთელი ჩემპიონატის განმავლობაში გულდაგულ ვაკვირდებოდი „თეთრ პელედ“ ნოდებულ ზიკოს, მაგრამ განსაკუთრებული ვერაფერი შევნიშნე. პელესთან ის რა სახსენებელია! ზიკოს არაფრით, სრულიად არაფრით არ გამოუჩენია თავი — არც კონსტრუქციული თამაშით, არც მძაფრი გადაცემებით, არც კარში დარტყმით. მისი ერთადერთი ღირსება საუცხოო ტექნიკური აღჭურვილობა გახლავთ, მაგრამ ბრაზილიის ნაკრებში ამ ღირსებით მეტნაკლებად ყველა ფესბურთელია დაჯილდოებული. ასე რომ, ზიკომ ჩემზე ერთობ „ჩვეულებრივი“ შთაბეჭდილება მოახდინა.

ბრაზილიისა და ესპანეთის გუნდების მატჩის დამთავრებიდან რალაც ოთხიოდე საათი იყო გასული, რომ სამხრეთამერიკელთა მისამართით 50 დეპეშა მოვიდა. ყველა დეპეშის შინაარსი ერთი იყო: „დაუყოვნებლივ გადააყენეთ მწვრთნელი კუტინიო“ ბრაზილიის დელეგაციის ხელმძღვანელმა. ამ ქვეყნის სპორტის კონფედერაციის პრეზიდენტმა ე. ნუნისმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ გაკეთებულია სერიოზული ანალიზი, კუტინიო გაფრთხილებულა, რომ იგი ან დაეთანხმება დელეგაციას შემდეგი მატჩის წინ, სულ ცოტა, ოთხი მოთამაშის შეცვლაზე, ან გადადგება. კუტინიოს სთავაზობდნენ გუნდიდან გაეშვა ედინიო, ტონიპიო, სერეზო და ზიკო, რომელთა ნაცვლადაც ნაკრების შემადგენლობაში რობერტოს, მენდონსას, ნეტოსა და ჩიკაოს შეყვანას ურჩევდნენ.

სხვათა შორის, თავისი გუნდის უფერულ თამაშს კუტინიო მინდვრის უაღრესად დაბალ ხარისხსაც მიაწერდა. ეს, კაცმა რომ თქვას, საესებით შეეფერებოდა სინამდვილეს (მსგავსი საყვედური თითქმის ყველა მწვრთნელმა არაერთხელ გამოთქვა). „რივერ პლეიტის“ სარბიელის გარდა, ყველა სხვა სტადიონზე მეტისმეტად ცუდი მინდორი იყო, განსაკუთრებით — მარ-დელ-პლატაში. ნესტითა და წყლით გაყვანილი გაზონი აფერხებდა ფეხბურთელთა სწრაფ მოძრაობას, მეკარეები კი ერთხმად ჩიოდნენ, ნახტომის წინ ფეხს ვერ ვიკიდებთ მიწაზეო.

პოლანდიის ეროვნულ გუნდთან შეხვედრაში პერუელებმა, ჭადრაკის ენით რომ ვთქვათ, თავიდანვე ყაიმზე ითამაშეს და სანადელსაც მიაღწიეს, რის შემდეგაც მათმა მწვრთნელმა მ. კალდერონმა შესძახა:

— ახლა კი დავრწმუნდით, რომ შოტლანდიელებთან მატჩი შემთხვევით არ მოგვიგია!

პერუელთა გუნდსა და მის ხელმძღვანელს ამ წარმატებამ (ასე შეაფასა კალდერონმა ფრე — 0:0), ფაქტიურად, შემდგომი ეტაპის საგზური მოუპოვა, რაც, ცხადია, დიდი მიღწევა იყო.

ამავე დროს აღსანიშნავია, რომ პერუს ნაკრები ჩემპიონატის თავისებური რეკორდსმენი აღმოჩნდა. ამ გუნდის

რვა წევრის დაბადების დღე ფინალური თამაშების პერიოდს დაემთხვა. „იუბილართა“ სია ჯერ კიდევ ჯგუფური ტურნირის დღეებში გახსნეს ხუან ობლიტასმა (26 წელი) და ერნესტო ლაბარტემ (22).

ისევ პატარა სენსაცია: კორდობაში შოტლანდიის ნაკრებმა ვერ შეძლო ირანელთა დამარცხება — მატჩი ფრედ დამთავრდა. ამან შოტლანდიელებს (IV ჯგუფი) შემდგომ ეტაპზე გასვლის იმედი გადაუნურა. ძალიან საეჭვო იყო, რომ ირანელებს მოეგოთ პერუელებთან შეხვედრა, ხოლო შოტლანდიის ნაკრებს 3 ბურთის სხვაობით დაემარცხებინა ჰოლანდიელები.

თავიანთი საყვარელი გუნდის წარუმატებელი თამაშით განანწყენებულმა შოტლანდიელმა გულშემატკივრებმა კორდობაში ერთი ალიაქოთი ატეხეს და მთელი ოთხი საათის განმავლობაში არ დაცხრნენ. პოლიცია იძულებული გახდა ზომები მიეღო. აღვირახსნილი შოტლანდიელი ტურისტების ხულიგნური საქციელის აღსაკვეთად 15 კაცი დააპატიმრეს.

ერთობ აინია ავსტრიელთა აქციებმა, როცა მათ II ტურში საინტერესო და მწვავე თამაშში მინიმალური ანგარიშით სძლიეს შვეციის ნაკრებს.

საინტერესოა ნაწყვეტი სახელგანთქმული ალფრედო დი სტეფანოს წერილიდან, რომელიც არგენტინის გაზეთ „კლარინის“ ფურცლებზე გამოქვეყნდა: „ორმა უფერულმა ფრემ მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი — ბრაზილიის გუნდი დააყენა ავსტრიის ნაკრების პირისპირ, რომელსაც ძლიერი, შეუპოვარი ბომბარდირი კრანკლი უდგას სათავეში. ბრაზილიელებმა რეპუტაციის შესანარჩუნებლად რალაც უნდა მოიმოქმედონ“.

III ტურის ცენტრალური მატჩი, ცხადია, იტალიისა და არგენტინის გუნდების შეხვედრა იყო. ჩვენ იმ დროს მადრიდის აეროპორტში ვისხედით, ბუენოს-აირესში გაფრენის მოლოდინში. საათი საათს მისდევდა. ახლოვდებოდა მატჩის დაწყების დრო, ჩვენ კი აეროპორტის უზარმაზარ შენობაში ამაოდ ვეძებდით ტელევიზორს. მერე, როგორც იქნა, მივაგენით საშუალო სიდიდის ტელევიზორს აეროპორ-

ტის ერთ-ერთ კაფეში; მაგრამ, ჯერ ერთი, გამოსახულება დროდადრო ჯიუტად ციმციმებდა, მეორეც, ტელევიზორის ეკრანს უამრავი ხალხი ეხვია.

უგემურად ნანახი პირველი ტაიმის შემდეგ რამდენიმე კაცმა ფერადი ტელევიზორი „აღმოვაჩინეთ“... პოლიციის ოთახში. მოხერხებულად დავსხედით და სულ მალე მეორე ტაიმიც დაიწყო. თქვენ ალბათ გახსოვთ ეს საინტერესო შატჩი და როსისთან გათამაშებული კომბინაციის შემდეგ ბეტეგას მიერ გატანილი მშვენიერი გოლი. ამ ერთადერთმა ბურთმა გადანყვიტა კიდეც შეხვედრის ბედი იტალიელთა სასარგებლოდ, მაგრამ მენოტის წარბიც არ შეუხრია (თუმცა შატჩის მსვლელობაში მეტისმეტად ლელავდა) — მისი მიზანი არათუ არ შეიცვალა, კიდეც უფრო განმტკიცდა.

— წაგების მიუხედავად, მე ოპტიმისტურად ვარ განწყობილი, ვინაიდან გუნდი ჯერ კიდეც ინარჩუნებს ჩემპიონატში გამარჯვების შანსს.

მექსიკელებთან შეხვედრაში პოლონელთაგან განსაკუთრებით გამოირჩეოდა ნახევარმცველი ბონიეკი, რომელმაც ორი საუცხოო გოლი გაიტანა, ამავე დროს ძალიან მობილურად, გააზრებულად და კომბინაციურად თამაშობდა. ამ გამარჯვების (3:1) წყალობით პოლონეთის ნაკრებმა I ადგილი დაიკავა მეორე ჯგუფში და ქულით გაუსწრო დასავლეთ გერმანიის გუნდს.

ჩინებულად მოთამაშე ფრანგებმა ასეთივე ანგარიშით დაამარცხეს ფრთებჩამოყრილი უნგრეთის ნაკრები. ამ უკანასკნელმა მეტისმეტად უიმედო ბალანსით დაამთავრა ჩემპიონატი: 3 შატჩი, 3 წაგება, 0 ქულა. ასეთივე მაჩვენებელი ჰქონდა კიდეც ერთ გუნდს — მექსიკის ნაკრებს, რომელსაც ბურთების სხვაობა უნგრელებზე ბევრად უარესი აღმოაჩნდა: 2 — 12.

10 ივნისს კიდეც ერთი სენსაციის მოწმენი გავხდით: გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და ტუნისის გუნდების შეხვედრა ნულოვანი ფრთი დამთავრდა. შეიძლება ითქვას, რომ გერმანელები წაგებას გადაურჩნენ: 0:0 ნუთხე მსაჯმა ოროსკომ რიუსმანს აშკარად აპატია უხეშობა თავის საჯარიმო მოედანზე, როცა გერმანელთა მცველმა

მოულოდნელად წააქცია კარგ პოზიციაში მყოფი ბენ რე-
ჰაიმი. რიუსმანი პენალტს იმსახურებდა.

მსოფლიო ჩემპიონატების ფინალური ეტაპების ისტო-
რიაში მეთასე გოლი გაიტანა ჰოლანდიელმა რენსენბრინ-
კმა, როცა 11 ივნისს .მენდოსაში თამაშის 32-ე წუთზე 11-
მეტრიანი საჯარიმო დარტყმით ბურთი შოტლანდიელთა
კარში მოათავსა (XI ჩემპიონატის ფინალისტთა ტურნი-
რის წინ ამ ეტაპის ყველა შეხვედრაში აღნუსხული იყო
948 გოლი). მაგრამ იმ დღეს ჰოლანდიელებს მოგება არ
ენერათ. შოტლანდიელებს გოლმა თითქოს ბორკილები
აპყარა, ხელ-ფეხი გაეხსნათ და ისეთი გატაცებით, ისე ლა-
ლად, გამიზნულად ათამაშდნენ, როგორც თავიანთს მიწა-
ზე სჩვევიათ. პირველი ტაიმის ბოლოს ბრიტანელთა ცენტ-
რალურმა თავდამსხმელმა დაღვლიშმა საპასუხო ბურთი
გაიტანა, შესვენების შემდეგ კი გემილმა ორჯერ აიღო მე-
ტოქეთა კარი და თითქოს რეალური გახდა სამი ბურთის
სხვაობით გამარჯვება.

მაგრამ ამ იმედს ცივი წყალი გადაასხა რეპმა, რომელ-
მაც სწრაფი გარღვევა განახორციელა და მარცხენა ზედა
კუთხეში ლურსმანივით შეარჭო ბურთი. ამრიგად, ჰოლან-
დიის ნაკრები შემდგომ ეტაპზე მხოლოდ ბურთების უკე-
თესი ბალანსის (5—3) წყალობით გავიდა. შოტლანდიელებ-
საც 3 ქულა დაუგროვდათ, მაგრამ ბალანსი უარესი ჰქონ-
დათ: 5—6.

ამ ჯგუფში პერუს ნაკრებმა იოლად დაჯაბნა ირანელე-
ბი და 5 ქულით I ადგილი დაიკავა. პრესამ ხოტბა შეასხა
ცნობილი პერუელი ფეხბურთელის კუბილასის თამაშს
(კუბილასმა ამ შეჯიბრებაში ამპლუა შეიცვალა, თავდასხ-
მიდან ნახევარდაცვაში გადაინაცვლა. მე ძალიან მომწონ-
და კუბილასი მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატში, მაგრამ ამ-
ჯერად მისმა თამაშმა, განსაკუთრებით ფინალური ეტაპის
მატჩებში, გულგრილი დამტოვა). კუბილასმა ირანელთა
კარში სამი ბურთი გაიტანა, აქედან ორი — პენალტებით.

ერთადერთი მატჩი, რომელიც ბრაზილიელებმა ჯგუ-
ფურ ტურნირში ძლიერად ჩაატარეს, ავსტრიელებთან შეხ-
ვედრა იყო. სამხრეთამერიკელები ისეთი მონდომებით, ისე-

თი წინითა და აღმაფრენით თამაშობდნენ, რომ ავსტრიის ძლიერი გუნდი მათთან აღარაფერი გამოჩნდა. ავსტრიელებს თითქოს ფეხები დაებორკათ ბრაზილიელთა მიერ მახვილგონივრულად გათამაშებული კომბინაციების ქსელში. ბრაზილიელებმა გოლიც შესანიშნავად გაიტანეს: რობერტომ თავი გაითავისუფლა პეცაის მეურვეობისგან და მარცხნივ გაიჭრა, ჟილმა კი ამ დროს მალალი ბურთი გადაანოდა. რობერტომ ბურთი მშვიდად გააჩერა და მძლავრად დაარტყა კარის მარცხენა კუთხეში — 1:0. ორივე მეტოქეს 4-4 ქულა დაუგროვდა და შემდგომ ეტაპზე III ჯგუფიდან ისინი გავიდნენ.

ამ ჯგუფიდან შემდგომ ეტაპზე გასვლის დანარჩენი ორი თეორიული პრეტენდენტის — შვეციისა და ესპანეთის ნაკრები გუნდების შეხვედრა ბუენოს-აირესში უაღრესად შეუპოვარ ბრძოლაში ჩატარდა. მინიმალური ანგარიშით გაიმარჯვეს ესპანელებმა და ორივე ნაკრები დაემშვიდობა XI ჩემპიონატს.

— ჩემპიონატამდე ესპანელები ფავორიტებად ითვლებოდნენ და მათი მარცხი ერთ-ერთ სენსაციად უნდა ჩაითვალოს, — ჩვენთან საუბარში თქვა „ფუტბოლ-ჰოკეის“ რედაქტორმა, ფეხბურთის საუცხოო სპეციალისტმა ლ. ფილატოვმა.

მართლაც ასე იყო.

მაშ ასე, ფინალურ ეტაპზე გასულმა კოლექტივებმა შეადგინეს ორი ჯგუფი: „ა“ და „ბ“. „ა“ ჯგუფში ოთხივე გუნდი ევროპის კონტინენტის წარგზავნილი აღმოჩნდა — იტალია, ავსტრია, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა და პოლანდია, „ბ“ ჯგუფში მოხვდა სამხრეთ ამერიკის სამი გუნდი — არგენტინა, ბრაზილია, პერუ* და ერთიც ევროპის კონტინენტის წარმომადგენელი. — პოლონეთი.

პირველი ეტაპის სამ ტურში სულ გაიტანეს 60 ბურთი (საშუალო შედეგიანობა — 2,5 გოლი ყოველ მატჩში). ბომბარდირთა სიას სათავეში ჩაუდგა კუბილასი, რომლის ანგარიშზე იყო 5 ბურთი. II ადგილზე გახლდათ რენსენბრინკი — 4 გოლი.

სტადიონის პრესცენტრის გარშემო

„რივერ პლეიტის“ სტადიონზე განლაგებულ პრესცენტრს სამი ვებერთელა სართული ეკავა. აქ მუდამ უამრავი ხალხი ირეოდა — დედამიწის ხუთივე კონტინენტიდან ჩამოსული ჟურნალისტები, ფოტორეპორტიორები, ფეხბურთის ცნობილი სპეციალისტები, წარსულში საქვეყნოდ სახელგანთქმული ფეხბურთელები, ახლა კი სხვადასხვა ქვეყნისა და სააგენტოს მიმომხილველები, რადიო და ტელეკომენტატორები... თუმცა ყველა თავის საქმეს აკეთებდა, პრესცენტრი აფორიაქებულ სკას ჰგავდა: ზოგი საბეჭდ მანქანას უჯდა, ზოგი ტელეფონით გადასცემდა მორიგ მასალას, ზოგი კაფეში სადილს შეექცეოდა, ზოგი ჩემპიონატის პრესამსახურის ცხელ-ცხელ ბიულეტენებს ეცნობოდა, ზოგი ინტერვიუს იღებდა დი სტეფანოსგან თუ გერსონისგან, ზოგი ახალ ჟურნალ-გაზეთებს ათვალთვებდა, ზოგნიც რბილ სავარძლებში ისვენებდნენ...

გამახსენდა ნიუ იორკში, უოლ სტრიტზე მდებარე საფონდო ბირჟა. როცა ამ ბირჟის დასათვალთვებლად მივედით და ზედა აივნებიდან დავყურებდით მოფუსფუსე ხალხს, რომელიც სადღაც გარბი-გამორბოდა, რალაცას გაჰყვიროდა, რალაცას კამათობდა, კედელზე მიმაგრებულ ტაბლოზე კი წარამარა ინთებოდა და ქრებოდა ნაირ-ნაირი ციფრები, ხმამალლა ვთქვი, აი, აქ კი ნამდვილად ძალიან პატრონს ვერ იცნობს-მეთქი. ნურას უკაცრავადო, მითხრა ჩვენმა გიძმა, ასეთი იდეალური წესრიგი ამერიკის არც ერთ დაწესებულებაში არ არისო.

აღბათ, ასე იყო „რივერ პლეიტის“ პრესცენტრშიც. ყოველ შემთხვევაში, როგორც კი მეორე სართულის უამრავი კარიდან ჟურნალისტები და სხვანი მატჩის სანახავად ტრიბუნებზე გავიდოდნენ, პრესცენტრში მყისვე სიჩუმე დაისადგურებდა. თუმცა ტრიბუნებიც — პრესის უზარმაზარი ლოჯა, რომელშიც 1500-ზე მეტი ადგილი იყო, პრესცენტრის შემადგენელი ნაწილი გახლდათ. პირველი ორი რიგის გარდა, ეს იყო საიმედოდ გადახურული, შესანიშნავად აღჭურვილი და მოწყობილი ტრიბუნა, — ტელევი-

ზორებით, ტელეფონებით და, ცხადაა, ძალიან მოსახერხებელი გადასაწევი პიუპიტრებით.

ინფორმაციის სამსახურიც სათანადო დონეზე იდგა. ყოველი მატჩის წინ ერთნაირ კოსტიუმებში კოსტად გამოწყობილი სანდომიანი ქალიშვილები მოასპარეზე გუნდების შემადგენლობებს გვირიგებდნენ. მომდევნო ოქმები მოჰქონდათ ტაიმებს შორის შესვენებაზე, ბოლო ოქმები კი, სადაც ყველა დეტალი იყო აღნიშნული (მოთამაშეთა შეცვლა, გოლები, წუთები და ა. შ.), შეგვეძლო მატჩის შემდეგ აგველო პირველ და მეორე სართულებზე საამისოდ განკუთვნილ ადგილას.

ჟურნალისტთა შორის ბევრია ავტოგრაფების მოყვარული. ამ მხრივ „რივერ პლეიტის“ პრესცენტრი მართლაც უხვმოსავლიანი იყო. პირადად მე ბევრჯერ ვნახე იქ ალფრედო დი სტეფანო, ჟიუსტ ფონტენი, ლუიჯი რივა, რობერტ და ჯეკ ჩარლტონები, გიუნტერ ნეცერი, გერსონი... თურმე პელე, კრუიფი და ჟაირზინიოც ტრიალებდნენ პრესცენტრში.

დათო ქლიბაძე ჩვენს შორის იტალიური ენის საუკეთესო სპეციალისტად ითვლებოდა. დროდადრო იგი თავის ამ „იმერულ-იტალიურს“ რამდენიმე ესპანურ სიტყვასაც წაუმატებდა (ესპანური დათომ იტალიურზე ცოტა უარესად იცის) და, თქვენ წარმოიდგინეთ, კარგა მოზრდილ დიალოგებს (ზოგჯერ მონოლოგსაც კი) გააბამდა ხოლმე. ერთ მშვენიერ დღეს დი სტეფანოს „გადაუესპანურა“ და... ადგილზე გააშეშა. მერე გიგლა ფირცხალავამ უმაღვე დი სტეფანოს მეგობრული შარჯი დახატა და უბოძა კიდევ. გაიბა მუსაიფი. როცა დი სტეფანომ გაიგო, რომ დათო და მისი მეგობრები საქართველოდან იყვნენ, სახეზე ღიმილი მოეფინა. და შესძახა:

— მეტრეველი, მესხი.. — აქაოდა ყველაფერს მივხვდიო. მერე, მისი გეოგრაფიული ცოდნა რათა უფრო დამაჯერებელი ყოფილიყო, დაუმატა:

— სტალინი..

რახან მესხზე ჩამოვარდა სიტყვა, ერთ ეპიზოდს გავიხსენებ.

იმავე პრესცენტრში, ისევე ჩვენი დაბთოს მეშვეობით, დიდი სჯა-ბაასი გაგვიმართა არგენტინის რადიოს სპორტულმა მიმომხილველმა უმბერტო ბისიმ — ძალიან გულლია, მხიარულმა და სტუმართმოყვარე, ფეხბურთის სფეროში ბევრის მნახველმა კაცმა. მას მშვენივრად ახსოვდა საბჭოთა კავშირის ნაკრების გამოსვლა „რივერ პლეიტის“ სტადიონზე. საბჭოთა ფეხბურთელები მაშინ, 1961 წლის 18 ნოემბერს, მასპინძელი ქვეყნის — არგენტინის ეროვნულ გუნდს შეხვდნენ ამხანაგურ მატჩში (გაიმარჯვა სსრ კავშირის ნაკრებმა — 2:1. ორივე ბურთი გაიტანა ვ. პონედელნიკმა 24-ე და 25-ე წუთებზე).

და აი, ამ არგენტინელმა ჟურნალისტმა დაბეჯითებით, დარწმუნებით გვითხრა, რომ ამდენი წლის შემდეგაც კი მესხის თამაში დაუვინყარია მისთვის. მესხის ყოველ ხსენებაზე იგი სიამოვნებისგან თავს ჟუკან გადასწევდა, დიდი ალტაცების ნიშნად ხელებს შლიდა და თვალებს სასაცილოდ ნაბავდა. ბისიმ პირდაპირ ასე თქვა:

— „რივერ პლეიტს“ არ უნახავს ასეთი სწრაფი და ტექნიკური მოთამაშე!

მე მხოლოდ იმას დავუმატიებდი, რომ 1961 წლის 18 ნოემბერს არგენტინელებთან გამართულ მატჩში მესხის მხარდამხარ თამაშობდნენ ვ. ვორონინი და ი. ნეტო, ს. მეტრეველი და ვ. ივანოვი... არც ამ ფაქტს და არც ბისის ალტაცებას კომენტარი არ ესაჭიროება.

... მთავარი პრესცენტრის სააკრედიტაციო დარბაზში ჩვენი ყურადღება მიიპყრო ხანში შესულმა მელოტმა კაცმა, რომელიც მოთმინებით იდგა სარკმელთან, სადაც ფრანგული ენის მცოდნე ქალიშვილი უნდა ყოფილიყო. სანამ ამ ქალიშვილს მოუხმობდა თარჯიმნების შეფი — უამრავ ენაზე მოლაპარაკე მონიკა, ამ ტანდაბალ, სიმსუქნეშეპარულ კაცს „ფუტბოლ—ჰოკეის“ მიმომხილველი ვალერი ვინოკუროვი გამოელაპარაკა ინგლისურად. ეს ფრანგი „ფრანს-ფუტბოლის“ სპეციალური კორესპონდენტი ჟან ესკენაზი აღმოჩნდა, რომელიც ზედიზედ მეთათედ ესწრებოდა მსოფლიო ჩემპიონატს.

— ო, თქვენ მსოფლიო რეკორდსმენი ყოფილხართ, — შესძახა გაოცებულმა ვალერიმ. — რამდენი გინახავთ, რამდენი იცით!

ფრანგ ჟურნალისტს გაელიმა და ნალვლიანად უპასუხა:
— ეს არავის აინტერესებს...

რვა კაცის აღსარება

ჩემს არგენტინულ დღიურში ერთი ასეთი ჩანაწერია: „12 ივნისი. ბუენოს-აირესში ოდნავაც არ იგრძნობა საფეხბურთო ციებ-ცხელება — ქალაქი თავისი ჩვეულებრივი ცხოვრებით ცხოვრობს“. რარიგ სასაცილოდ მეჩვენა ეს ფრაზა ორი დღის შემდეგ, 14 ივნისს, როცა არგენტინის ფეხბურთელებმა პოლონეთის ნაკრებს სძლიეს. მთელი ბუენოს-აირესი საოცარმა აღტყინებამ მოიცვა. უჩვეულოდ აფორიაქებულ, სიხარულით შეშლილ ქალაქს ფეხბურთის მეტი არაფერი ახსოვდა.

არგენტინელთა საყოველთაო აღტაცების, თავდავიწყებული, ყურთასმენის წამლები ღრინანცელისა და ხტუნვა-თამაშის სრულად აღწერა ყოვლად შეუძლებელია, ეს თავად უნდა ენახა კაცს. იმ დღეებში, ცხადია, არანაკლებ გახარებული იყვნენ შემდგომ ეტაპზე გასული რვა გუნდის მესვეურები და ფეხბურთელებიც, მაგრამ თავის გრძნობებს ასე აშკარად და საჯაროდ არავინ გამოხატავდა.

სამაგიეროდ, ძალიან დარდიანად იყვნენ ხელმძღვანელები და ფეხბურთელები იმ რვა ხელმოცარული გუნდისა, რომლებიც ფინალური ეტაპის მიღმა დარჩნენ და ვადამდე დატოვეს XI მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძელი ქვეყანა.

ერთობ მრავლისმეტყველია საფრანგეთის ნაკრების შესანიშნავი ფეხბურთელის მიშელ პლატინის სიტყვები:

— ჩემპიონატის წინ 5 მილიონ დოლარს მაძლევდნენ, ახლა კი, გათამაშების შემდეგ, ალბათ 100 დოლარიც არ ვღირვარ.

როგორ არ ღირს?! ასეთი ვარსკვლავი, წმინდა ფეხბურთელის ნიჭზე რომ არაფერი ვთქვათ, თუნდაც მარტო

იმითაა დასაფასებელი, რომ დღემდე ითვლება პროვინცი-
ულ კლუბ „ნანსის“ წევრად, რომელიც სწორედ პლატინის
მეცადინეობით წლეულს პირველად მონაწილეობს უეფა-ს
ტურნირში. კლუბის მიმართ ასეთი ერთგულება იშვიათია
ფეხბურთის ისტორიაში.

პლატინის მიერ სინანულით ნათქვამი სიტყვები, ამავე
დროს, პროფესიული ფეხბურთის მანკიერ მხარეებსაც ააშ-
კარავენ.

სხვათა შორის, სამშობლოში დაბრუნებულ პლატინის
ცუდად წაუვიდა საქმე. ეროვნული ჩემპიონატის კალენდა-
რულ მატჩში, როცა მისი გუნდი „ნანსი“ სახელგანთქმულ
„სენტ-ეტიენს“ ეთამაშებოდა, ცნობილი ვარსკვლავი მძი-
მედ დაშავდა — სამ ადგილას გადაუტყდა ფეხი. ექიმების
აზრით, იგი, ალბათ, ერთი წლით დაემშვიდობა სარბიელს.

ვიმეორებ: საფრანგეთის ნაკრები ნამდვილად იყო XI
ჩემპიონატის მშვენება. მან ცისარტყელასავით გაიელვა ამ
ტურნირის ცის კაბადონზე, რომელიც საკმაოდ ხშირად
ბურუსით იყო დაფარული. გუნდის წლევეანდელმა თამაშმა
იმედი ჩაგვისახა, რომ არტისტიზმთან და აღმაფრენასთან,
სილალესთან, შეტევის ხალისთან და კომბინაციების სიმრავ-
ლესთან ერთად ფრანგები უთუოდ შეიძენენ ისეთ თვისე-
ბებსაც, რომელთა გარეშე მაღალი მწვერვალების დაპყრო-
ბა ერთობ ძნელია.

საფრანგეთის ნაკრების დახასიათებისთვის მარტო ერ-
თი, თუნდაც წაგებული მატჩიც კმარა: იტალია — საფრან-
გეთი. ეს შეხვედრა ერთ-ერთი საუკეთესო იყო მთელ ჩემ-
პიონატში.

მე ხელთ მაქვს პრესცენტრის მიერ გამოშვებული საინ-
ტერესო მასალა: რვა ხელმოცარული მწვრთნელის ინტერ-
ვიუ არგენტინიდან გამგზავრების წინ. მათი სიტყვები აღ-
სარებას ჰგავს, ფეხბურთთან ესოდენ მჭიდროდ დაკავში-
რებული ადამიანების აღსარება კი უთუოდ საინტერესო
უნდა იყოს მკითხველისთვისაც. აი, რას ამბობდნენ მწვრთ-
ნელები:

მ. ი დ ა ლ გ ო (საფრანგეთი). „ჩვენ ბედი არ გვწყალობდა
და ამის გამო ბევრს ვეცოდებით კიდევ. მაგრამ იმისთვის

ხომ არ ჩამოვედით აქ, რომ უთუოდ მსოფლიოს ჩემპიონები გავმხდარიყავით. მუშაობას კვლავ უნინდელი ტაქტიკური მიმართულებით განვაგრძობთ. მე არ ვეთანხმები აზრს, თითქოს ჩვენ ფიზიკური მომზადების მხრივ მოვიკოჭლებდით. ჩვენი ორი მატჩი არგენტინელებთან და უნგრელებთან აბათილებს ზემოაღნიშნულ დასკვნას. მაინც, რაშია მარცხის მიზეზი? შესაძლოა, უმაღლეს დონეზე ასპარეზობის გამოცდილება არ გვეყო. თუ გვექონდა ნაკლი, ფსიქოლოგიურ მომზადებაზე უფრო ითქმის, ვიდრე ფიზიკურზე“.

ლ. ბ ა რ ო ტ ი (უნგრეთი). „ჩემს მემკვიდრეს ვუსურვებ, ჩემზე ილბლიანი იყოს (30 ივნისს ბაროტის გაუთავდა უნგრეთის ფეხბურთის ფედერაციასთან დადებული კონტრაქტი. — შ. კ.). წინაა ევროპის ჩემპიონატი, ჰორიზონტზე კი ოლიმპიური თამაშები ჩანს. ეს ორი ტურნირი უნგრეთის ახალი ნაკრების შექმნის საბაზი უნდა გახდეს“.

მ. ჩ ე ტ ა ლ ი (ტუნისი) ერთადერთი მწვრთნელი იყო, ვინც არ დარდობდა შეჯიბრებიდან თავისი გუნდის გამოთიშვის გამო. „ასეთ შედეგს არც მოველოდით, მაგრამ ჩვენი გუნდი შემტევია და არა დაცვის მოყვარული, როგორც ბევრს ეგონა. შესაძლოა ბევრი გავაოცეთ, მაგრამ თავად ჩვენ არაფერი გაგვკვირვებია. მაგალითად, მე ჟიცოდი, როგორ გვეთამაშა დასავლეთ გერმანიის ნაკრებთან და არც შევმცდარვარ. ჩვენთვის ჩემპიონატი უნდა დამთავრებულიყო და დამთავრდა კიდევ დროზე“.

ხ. რ ო კ ა (მექსიკა). „არ ვიცი, რა დაემართა ჩვენს გუნდს. მე მჯეროდა ახალგაზრდობისა და ჩვენი თამაშის პრინციპებისა. ყველაფერი თავიდან რომ დაიწყებოდა...“

სანამ სხვა მწვრთნელებზე გადავიდოდეთ, გეტყვით, რომ მექსიკის ნაკრებს სამშობლოში დაბრუნებისთანავე დარბევით ემუქრებოდნენ იქაური გულშემატკივრები. სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში ამგვარი შემთხვევა საკმაოდ ხშირია. ჭავჭავსენოთ, თუნდაც, ბრაზილიელი გულშემატკივრების კერპის — ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელის ვისენტე ფოლას ბედი ინგლისის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ, როცა VIII მსოფლიო ჩემპიონატში ბრაზილიელთა მარცხით განრისხებულმა გულშემატკივრებმა საჯაროდ დანვეს ფო-

ლას ფიტული... მაშინ ლონდონის აეროპორტში ვნახეთ ნალ-
ვლიანი ფეოლა, რომელმაც ვერც კი გაბედა რიო-დე-ჟანეი-
როში გაფრენა, იტალიაში მაქვსო საქმე...

მეხიკოს აეროდრომზე არგენტინიდან ჩაფრენილ მექ-
სიკელ ფეხბურთელებსა და მათს ხელმძღვანელებს 250-
მდე პოლიციელი იცავდა. მათ გაფანტეს აეროპორტთან
შეკრებილი ახალგაზრდების ჯგუფები, რომლებიც მექსი-
კის ნაკრებისთვის ობსტრუქციის მონყობას აპირებდნენ.
ყოველ ფეხბურთელს პოლიციელთა ამალა მიაცილებდა.
ასევე ესკორტის თანხლებით გაიარეს მოთამაშეთა ოჯახის
წევრებმა და ხელმძღვანელებმა.

ლ. კ უ ბ ა ლ ა (ესპანეთი). „ამ ჩემპიონატს დავახასია-
თებდი, როგორც მსოფლიო თასის ყველაზე კონსერვატიულ
გათამაშებას. მე, მაგალითად, ჯერჯერობით არავითარი
ახალი ნათელი ტენდენციები არ შემიინიშნავს. სტარტამდე
პირველ ნომრად ბრაზილიის ნაკრებს ვასახელებდი. ახლა
ესაა, უბრალოდ, გუნდი, რომელიც ტყავში ძვრება, რომ
რალაცას მიაღწიოს. არგენტინელებს მეორე ადგილს ვა-
კუთვნებდი, მოთამაშეების ოსტატობისა და კოლექტივის
ძლიერებას ვითვალისწინებდი. მაგრამ მასპინძლებმა ბოლო
მატჩებში გამაზნობილეს. ბევრი მატჩი ვნახე და, ჩემი აზრით,
არგენტინის მსოფლიო ჩემპიონატი ვერ იქცა, ყოველ შემ-
თხვევაში, ჯერჯერობით, ახალი იდეების დემონსტრაციისა
და ახალი ვარსკვლავების აღმაფრენის ხარბიელად“.

გ. ე რ ი კ ს ო ნ ი (შვეცია). „ჩემპიონატმა თქვა ის, რაც
უნდა ეთქვა. დღევანდელ ფეხბურთში პატარა დეტალები
ბევრს განსაზღვრავენ. ზოგჯერ ნამები ნყვეტენ ყველა-
ფერს. ავიღოთ, თუნდაც ესპანელი ასენსის მიერ ჩვენს კარ-
ში გატანილი გოლი“.

ა. მ ა კ ლ ე ო დ ი (შოტლანდია). „თუ იყო შეცდომები,
შეცდომები კი, ცხადია, იყო, ამაში მხოლოდ მე ვარ დამნა-
შავე. მე მთელს პასუხისმგებლობას ვკისრულობ. ძალიან
გვიან, მხოლოდ ბოლო მატჩში გავერკვიეთ, რაშიც იყო
საქმე“.

ჰ. მ ო ჰ ა ჯ ე რ ა ნ ი (ირანი). „ძალიან მაფიქრებს პე-
რუსთან ჩვენს ბოლო მატჩში მსაჯის შეცდომები. ორი პე-

ნალტი ჩვენ არ დაგვიმსახურებია. ორი პენალტიც პოლან-
დიელებმა დაარტყეს, მაინც რამდენი პენალტი შეიძლება
იყოს სამ თამაშში?"

რვა მწვრთნელი — რვა აღსარება. როგორც ხედავთ,
ყოველ ინტერვიუში ჩანს ადამიანის ხასიათი, განცდები,
ეჭვები...

ცხადია, მე ჩემი შეხედულებები მაქვს გამოთქმული
მოსაზრებების შესახებ და მინდა გაგიზიაროთ.

იდალგოს ნათქვამს სავსებით ვეთანხმები და სიტყვას
აღარ გავაგრძელებ.

64 წლის ლაიოშ ბაროტის, ამ გამოცდილი სპეციალის-
ტის, ნაღვლიანი მონოლოგი, რა თქმა უნდა, ერთობ მოკ-
ლეა და არაფერს ამბობს უნგრეთის ფეხბურთელთა კონკ-
რეტულ მარცხზე მსოფლიოს XI ჩემპიონატში. პირველ მატ-
ჩში უნგრელებმა თითქოს არაფერში დაუდეს ტოლი არ-
გენტინელებს. სწორედ ამან ათქმევინა II ტურის წინ, იტა-
ლია — უნგრეთის მატჩამდე „სკუადრა აძურას“ მწვრთნელს
ბეარზოტს:

— ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი სიძნელე გვაქვს დასაძლევია.
უნგრელები და არგენტინელები სულაც არ თამაშობენ
ფრანგებზე სუსტად.

მაგრამ უნგრეთის ნაკრები, მით უმეტეს მას შემდეგ,
რაც მთავარი ძალა გამოაცალეს ორი საუკეთესო ფეხბურ-
თელის სახით, ძალიან შეიფერთხა. უნგრელები, ცუდი გა-
გებით ისედაც „რუსულ ფეხბურთს“ თამაშობდნენ, მერე
კი, როცა მათს რიგებს ტიორიოჩიკი და ნილაში გამოაკლდ-
ნენ, რგოლებს შორის ელემენტარული კავშირიც მოიშალა
და იყო უთავბოლო სირბილი წინ და უკან. უნგრელი ფეხ-
ბურთელები ძალიან დააზარალა თავშეუკავებლობამ, უდის-
ციპლინობამ. ძალაუნებურად მახსენდება უნგრეთის „დი-
დი გუნდი“, რომლის სახელიც ქუხდა მსოფლიოს სტადიო-
ნებზე. სხვათა შორის, სწორედ არგენტინის მსოფლიო ჩემ-
პიონატის დღეებში გარდაიცვალა იმ „დიდი გუნდის“ ერთ-
ერთი საუკეთესო წარმომადგენელი ბოჟიკი და უნგრელი
ფეხბურთელები სამგლოვიარო სამკლაურებით გამოდიოდ-
ნენ საასპარეზოდ.

ყველასთვის მოულოდნელი იყო ტუნისის ნაკრების სავსებით თანამედროვე, შემტევი, მაღალი ტექნიკითა და მოქნილი ტაქტიკით აღჭურვილი თამაში. აფრიკელი ფეხბურთელები მატჩებს ატარებდნენ მწვავე, კომბინაციური სტილით, -სწრაფი, ოსტატური გადაცემებით უტევდნენ მეტოქეს და, დამამთავრებელ ფაზაში მეტი სიზუსტე რომ გამოეჩინათ, უთუოდ უკეთეს შედეგს მიაღწევდნენ. მაგალითად, პოლონელებთანაც და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრებთანაც მათ კარის აღების რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი ვერ გამოიყენეს. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ გფრ-ის მეკარემ მაიერმა ძლიერად ითამაშა. ტუნისელებთან მოგებული მატჩის შემდეგ პოლონეთის გუნდის მწვრთნელმა გამოხმა მეტოქის კარგი თამაშით გამოწვეული აღტაცება ვერ დაფარა და საჯაროდ განაცხადა, პირდაპირ გასაოცარია ტუნისელთა გუნდის ასეთი პროგრესიო.

ესპანეთის გუნდზე გამანადგურებლად იმოქმედა I ტურში თანაბარი თამაშის შემდეგ წაგებულმა მატჩმა ავსტრიის ნაკრებთან. ტრიბუნების მხურვალე მხარდაჭერით კიდევ უფრო გაქეზებულმა ესპანელებმა სამხრეთელთათვის ჩვეული სილაღითა და არტისტიზმით შეუტიეს მეტოქეს, თან ზურგის სიმყარისთვის მაინცდამაინც არ იწუხებდნენ თავს. ეს მცდარი სვლა იყო: ავსტრიელები მშვიდად, საიმედოდ იცავდნენ თავს და მათი მწვავე კონტრიერიშები დიდ არეულობას იწვევდა მეტოქის ბანაკში. ესპანელებმა ვერ მოახერხეს შუა მინდვრის კონტროლი. ამ სივრცეთა სრული ბატონ-პატრონი იყო ავსტრიელი პროჰაზკა, წინ კი მეტისმეტად სახიფათოდ მოქმედებდა კრანკლი.

შემდგომ ესპანელები წელში ველარ გაიმართნენ. წაგებას მოჰყვა ნულოვანი ფრე ბრაზილიის ნაკრებთან და მდგომარეობა პრაქტიკულად უკვე უიმედო შეიქნა. ამრიგად, ესპანეთის ეროვნულმა გუნდმა პირველ ყოვლისა ფსიქოლოგიური მომზადების უკმარობა გამოავლინა და შექმნილი ვითარების შესაბამისად თამაშის გარდაქმნაში სრული უუნარობა გამოიჩინა.

შვეციის ნაკრებმა, ფაქტიურად, მხოლოდ ერთი შეხვედრა ჩაატარა მსოფლიო ჩემპიონატის საკადრის დონეზე.

ეს იყო ამ გუნდის პირველი მატჩი: შვეცია — ბრაზილია. ყველა დანარჩენ თამაშში ჩვენ ვიხილეთ შვედების საკმაოდ მაღალტექნიკური, მოძრავი, მოიერიშე, მაგრამ მაინც ჩვეულებრივი გუნდი.

შოტლანდიის ნაკრები ჩემთვის გამოცანად დარჩა, მაგრამ ერთი რამ უდავოა: გუნდში ერთობ მოიკოჭლებდა წესრიგი, ხშირი იყო რეჟიმის დარღვევის შემთხვევები (საქმე დოპინგამდეც კი მივიდა—ანალიზის შედეგად ვ. ჯონსტონს სისხლში ფენკამფამინი აღმოაჩნდა, რაც ნარკოტიკულ, აღმგზნებ საშუალებათა სიაშია შეტანილი. ალბათ გახსოვთ, ჯონსტონს დისკვალიფიკაცია მისცეს). ცხადია, ყოველივე ამას არ შეეძლო დალი არ დაესვა ამ ძალიან საინტერესო კოლექტივის თამაშისთვის.

ირანის ნაკრები აშკარად სუსტი იყო და პენალტების თვლა ამ გუნდის მწვრთნელს ჰ. მოჰაჯერანის ბევრს ვერაფერს უშველიდა. ბოლოს და ბოლოს, ერთ მატჩში მსაჯი იმდენ პენალტს დანიშნავს, რამდენი საამისო მიზეზიც ექნება.

მთავარი ამბების სტარტი

მაშ ასე, 14 ივნისს დაიწყო XI ჩემპიონატის მთავარი ამბები — სტარტი აილო ფინალურმა ეტაპმა. როგორც ცნობილია, მედლებისთვის უშელავათო პაექრობაში ჩაება რვა გუნდი. აქამდე, წინასწარი ტურნირების დროს, სწორედ ამ რვა საგზურის მისაღებად, გუნდების ერთი ნაწილი აშკარად ტაქტიკურ ბრძოლას ამჯობინებდა, თავის ნამდვილ შესაძლებლობას ნიღბავდა და, შესაძლოა, მომავალი ჭიდილისთვის ინახავდა თავს. ახლა კი, როცა ორ ჯგუფად განაწილებული „ძლიერნი ამა ქვეყნისა“ მინდორზე გამოვიდნენ, ყველას რჩებოდა ერთადერთი მიზანი: გამოეჩინათ მთელი შეძლება და უნარი, ნიჭი და საზრიანობა, ყოველმხრივი მზადყოფნა და შეუპოვრობა.

ჯერ კი ყველაფერი ბურუსით იყო მოცული, სხვათა შორის, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობითაც: „რივერ პლეიტის“ მინდორზე დროდადრო ისეთი ნისლი ჩამოწვე-

ბოდა, რომ მოპირდაპირე კართან, განსაკუთრებით, ჩვენგან შორეული კუთხურის სიახლოვეს, ფეხბურთელების ნაცვლად თითქოს რაღაც სილუეტები მოძრაობდნენ.

მსოფლიო ჩემპიონის — გფრ-ის ნაკრების ფეხბურთელები მატჩის დაწყებამდე საათნახევრით ადრე გამოვიდნენ მინდორზე (ცხადია, ჯერ სათამაშოდ არ იყვნენ გამოწყობილი), გაიარ-გამოიარეს, ბურთითაც შეამოწმეს სარბიელი (მატჩისწინა მოთელვისთვის სათადარიგო მინდორი იყო გამოყოფილი)...

და აი, ერთმანეთის პირისპირ დადგნენ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და იტალიის ნაკრები გუნდები. პირველ ტაიმში იგრძნობოდა გერმანელთა უპირატესობა: გფრ-ის გუნდი ამოქმედდა როგორც კარგად დაზეთილი მანქანა, მაგრამ, როგორც ყოველი სხვა მანქანისა, მისი მოქმედებაც ერთობ მონოტონური იყო. გერმანელებმა იტალიელებს თავს მოახვიეს თავიანთი მანერა, უფრო „დამანგრეველი“, ვინემ „ამშენებელი“. იტალიელები მხოლოდ დროდადრო თამაშობდნენ ჩვეული ქარგით. შესვენების შემდეგ სურათი მკვეთრად შეიცვალა: იტალიელები მწვანე მინდორის სრული ბატონ-პატრონები გახდნენ. თუ პირველ ტაიმში „სკუადრა აძურას“ ნახევარდაცვა შედარებით ნელა მოძრაობდა (ამის გამო ბეარზოტმა ანტონიონი სკამზე დასვა), ახლა, ძაქარელის გამოსვლის შემდეგ, გუნდის ძრავამ თვალსაჩინოდ უმატა მუშაობას და ახლოსაც იყო წარმატებასთან. მაგრამ ბეტეგამ სამჯერ გააცუდა საუცხოო საგოლე მომენტი, მაშინაც კი ვერ გაიტანა ბურთი, როცა მაიერი უხეშად შეცდა და კარი დაუფიქრებლად მიატოვა. გერმანელებს ამგვარი შესაძლებლობა გაცილებით ნაკლები ჰქონდათ. ერთხელ კი ჰოლცენბაინის მიერ 16-17 მეტრიდან საუცხოოდ დარტყმული ბურთი ლამაზი ნახტომით უკუაგდო ძოფმა.

აი, ერთი ჩანანერი ჩემი ბლოკნოტიდან:

„ძალიან ძლიერად ითამაშეს ფლოემ და გერმანელთა დაცვამ, იტალიის მთელმა გუნდმა. სადღაა გფრ-ის ნაკრების ძველი ბრწყინვალეება? გუნდს ძალიან დასტყობია ბენკენბაუერის, ოვერატის, ბრაიტნერის, გერდ მიულერის წახ-

ვლა. ახლა ესაა საიმედოდ, კარგად, მაგრამ ყოველგვარი აღმაფრენისა და იმპროვიზაციის გარეშე მოქმედი მანქანა“.

იტალიის გუნდი ნამდვილ შემტევ ფეხბურთს თამაშობდა, რომელსაც წინ აღუდგა გერმანელთა დაცვითი ბასტიონები — გფრ-ის ნაკრები ამჯერადაც აშკარად დაცვაზე აგებდა თამაშს. და ამან, როგორც ერთხელ უკვე აღვნიშნე, ჩემს თვალში ერთობ დასცა გერმანელთა აქციები — რალა დროს დაცვაზე აქცენტირებაა, როცა მსოფლიოს ყველა მონინავე გუნდი კარგა ხანია ეზიარა შემტევი თამაშის იდეებს და მთავარ იარაღად იერიში გაიხადა!

ძალიან საინტერესო ბრძოლა გაჩაღდა შუა მინდვრის დასაბატრონებლად, მაგრამ გადამწყვეტ უპირატესობას ვერც ერთმა მხარემ ვერ მიაღწია. საკუთარი კარის მისადგომები გერმანელებმა საიმედოდ ჩაკეტეს ცენტრიდანაც და ფლანგებიდანაც. კაუზიო, ბეტეგა და როსი მაინც ახერხებდნენ დაცვითი ზღუდეების გარღვევას, მაგრამ მაიერი ფხიზლად იყო.

შესვენების შემდეგ გერმანელები უმთავრესად კონტრიერიშის იმედზე იყვნენ, მაგრამ ამაოდ. ძალიან ძლიერად თამაშობდნენ იტალიელთა მცველები (განსაკუთრებით, ჯენტილე) და მეკარე ძოფი. მერე, მატჩის მიწურულს, გფრ-ის ნაკრები აშკარად ფრეს დასჯერდა და ერთი ქულითაც ძალიან კმაყოფილი იყო.

ნულოვანი ფრეს მიუხედავად, მატჩი ძალიან საინტერესო და მიმზიდველი გამოდგა, მით უმეტეს, რომ ერთმანეთს შეეჯახა სავსებით საპირისპირო; განსხვავებული სტილის ორი ძლიერი გუნდი.

მთავარი პრესცენტრის მეექვსე სართულზე მდებარე სადემონსტრაციო დარბაზში შესასვლელად ჟურნალისტებს დილაობით საგანგებო საშვებს აძლევდნენ. საშვებზე აღნიშნული იყო მოასპარეზე წყვილები და მატჩის დაწყების დრო. მაგრამ იქ შესასვლელად გაცილებით ადრე ვდგებოდით რიგში, ვინაიდან ყველას ვებერთელა ტელეეკრანის ახლოს სურდა მოკალათება.

„რივერ პლეიტის“ სტადიონიდან ჩქარა დავბრუნდით და ტელევიზორით ვნახეთ ორი მატჩი: ბრაზილია — პერუ და არგენტინა — პოლონეთი.

სამხრეთამერიკული გუნდების შეხვედრა, რომელიც მენდოსაში გაიმართა, სრულიად არ მომეწონა. ეს იყო „დამდგარი“ თამაში, მართალია, ამ კონტინენტის წარმომადგენელთათვის ჩვეული მაღალი, დახვეწილი ტექნიკით, მაგრამ, ვიმეორებ, შეუწყნარებლად ნელი ტემპით, გაუთავებელი გარდიგარდმო გადაცემებით... ეს უფრო საციკო სპექტაკლს ჰგავდა, ვინემ თანამედროვე ფეხბურთის მატჩს. ბრაზილიელთა ქომაგები, ასეთი კი ჟურნალისტთა შორის ბევრი იყო, პირდაპირ საგონებელში ჩავარდნენ — ვერ გაეგოთ, რატომ თამაშობდნენ ასე უნიათოდ და აპათიურად ოდესღაც მრისხანე სამგზის მსოფლიო ჩემპიონები. გუნდს არ ჰყავდა აშკარა ლიდერი. ყველაზე მეტად მაოცებდა ბრაზილიელთა უსუსურობა დამამთავრებელი დარტყმების დროს. რამდენადაც ზუსტად, ოსტატურად და ძლიერად ურტყამდნენ საჯარიმოებს, ესე იგი, სტატიკური მდგომარეობიდან, იმდენად უჭირდათ მოძრავი ბურთის დარტყმა მეტოქის კარში, სრულ უმწეობას იჩენდნენ იერიშის ბოლო ფაზაში. პერუელებთან მატჩშიც ასე გაიტანეს ბურთები: საჯარიმოებით, პენალტით... პერუელებს არაფრით გამოუჩენიათ თავი. ბურთის ფლობის მაღალი ტექნიკა მათ თითქოს თვითმიზნად გაუხდიათ, ამას კი ხეირი არ მოაქვს. ამავ დროს ძალზე უფერულად ითამაშა პერუელთა ლიდერმა კუბილასმა.

სამაგიეროდ, ერთობ საინტერესო გამოდგა როსარიოში გამართული მატჩი: არგენტინა — პოლონეთი. უპირველეს ყოვლისა, ეს შეხვედრა გამოირჩეოდა უაღრესად სწრაფი ტემპით, თანაც ამ სისწრაფეს ფეხბურთელებისთვის ხელი არ შეუშლია მაღალი კლასის დემონსტრირებაში. უნდა ითქვას, რომ არგენტინას ძალიან სწყალობდა ბედი — დიდი აღმავლობით მოთამაშე პოლონელებმა ვერ გამოიყენეს თავიანთი უპირატესობა ძალასა და სისწრაფეში, დეინამ უხეიროდ დაარტყა პენალტი, ლატომ კი ცარიელ კარში ვერ შეაგდო ბურთი.

ეს მატჩი გახლდათ ტოტალური ფეხბურთის საქრეს-ტრომათიო ნიმუში. ხოლო ამ ნიმუშის ერთი უაღრესად და-მხახასიათებელი შტრიხი გახლდათ მარიო კემპესი — დაუ-ლაღავი, დაუცხრომელი, შეუპოვარი, თავდადებული ფეხ-ბურთელი. გასაოცარი იყო კემპესის მოქმედების სფერო. იგი მაქოსავით მიდიმოდიოდა თავისი კარიდან მეტოქის კარამდე. აი, კემპესმა მე-15 წუთზე სწრაფი კომბინაციური გარღვევის შედეგად პოლონელთა კარში უბრწყინვალესი გოლი გაიტანა, აი, მეკარესავით ისკუპა და ხელით მოიგე-რია არგენტინელთა კარში ყუმბარასავით ნასროლი ბურთი (როგორც აღვნიშნეთ, დეინამ პენალტი ვერ შეაგდო). ამგვარ-ი დიაპაზონით მოქმედება კემპესისთვის ჩვეულებრივი ამბავი იყო. და არა მარტო კემპესისთვის: ასე თამაშობდნენ ლუკე, ბერტონი, არდილესი, ტარანტინი (გაიხსენეთ ლა-მაზი გოლი, რომელიც ამ უკანასკნელმა თავური დარტყ-მით გაიტანა პერუელთა კარში)... ისიც განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოს, რომ არგენტინის ფეხბურთელებს ამ მატჩში ერთობ ცოტა შესაძლებლობა ჰქონდათ მეტოქის კარის აღებისა და თითქმის ყველა შესაფერი მომენტი გა-მოიყენეს.

მიუხედავად ამისა, მე არც ამ მატჩის შემდეგ გადავ-სულვარ არგენტინელთა ბანაკში, მაგრამ ფინალური ეტა-პის პირველ დღეს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრებს უკვე „ჩამოვართვი“ მსოფლიო ჩემპიონის წოდება. ამ გუნდს საჩემპიონო პირი არ უჩანდა.

უმალლესი წოდების მაძიებელთა „ბირჟაზე“ ძალიან აინია პოლანდიელთა აქციებმა მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, რომ ამ ქვეყნის ნაკრებმა კორდობაში გამანადგურე-ბელი ანგარიშით დაამარცხა ავსტრიელთა საკმაოდ ძლი-ერი კოლექტივი. თამაშის შემდეგ გამართულ პრესკონფე-რენციაზე ავსტრიის ნაკრების მწვრთნელს ჰ. ზენეკოვიჩს ჰკითხეს, რატომ ითამაშა ასე ცუდად თქვენმა დაცვამო?

ზენეკოვიჩის პასუხი ასეთი იყო:

— დღეს პოლანდიელებმა განსაკუთრებით აგრესიუ-ლად, უაღრესად დისციპლინირებულად ითამაშეს და, ვფიქ-

რობ, მათს მწვავე იერიშებს ვერავითარი დაცვა ვერ გაუმკლავდებოდა.

ასეა თე ისე, პოლანდიის ნაკრები აშკარა ფავორიტი გახდა.

9 ივლისის პროსპექტზე, ობელისკთან...

არგენტინელები ამბობენ, 9 ივლისის პროსპექტი ყველაზე განიერი ქუჩაა დედამიწის ზურგზე. ალბათ ასეა... მე ბევრ ქალაქში ვყოფილვარ და ასეთი ფართო პროსპექტი მართლაც არსად მინახავს. იქ, სადაც 9 ივლისის პროსპექტს კორიენტესის ქუჩა კვეთს, აღმართულია მაღალი, თეთრი ობელისკი — იმ ადგილზე პირველად აფრიალებულა თავისუფალი არგენტინის დროშა.

არგენტინელ ფეხბურთელთა ყოველი გამარჯვების შემდეგ ამ ობელისკისკენ უწყვეტ, ხმაურიან ნაკადად მიედინება ბუნოს-აირესის ალბათ მთელი მოსახლეობა — ვინ ფეხით, ვინ მანქანებით, ვინ ცეკვა-ცეკვით, ვინ სიმღერითა და როკვით, ვინ მამის მხარზე შესკუპებული, ვინ დედის მკლავებზე მოკალათებული... და ყველას მაღლა უჭირავს თავისი სამშობლოს დროშა, უჭირავს ამაყად, იმედიანად, სიყვარულით... ბევრჯერ, ძალიან ბევრჯერ ვნახე ეს თეთრ-ცისფერი დროშები სულ თოთო ბავშვების ფაფუკ ხელებში. რომლებიც ამ საშინელი, ყურთასმენის წამლები ღრიანცულით, ქვაბის ხუფების, ტაშტებისა და საგანგებო სარაჩხუნებლების ხმაურით შეშინებულნი, სასაცილოდ აფახულებდნენ თვალებს. დროშებს კი ხელს არ უშვებდნენ, მაგრად ჩაებლუჯათ.

ობელისკის გარშემო იმართებოდა ზარ-ზეიმი — ცეკვა, სიმღერა, დეკლამაცია... არ გეგონოთ, რომ ამ დღესასწაულში მხოლოდ ახალგაზრდები მონაწილეობდნენ. ზეიმობდა დიდი და პატარა — ქალი და კაცი, დროული, ხნიერი ხალხი. ისინიც ისევე მღეროდნენ და როკავდნენ, ისევე ხმის ჩახლეჩამდე გაჰყვიროდნენ „არ-გენ-ტინა“, „არ-გენ-ტინას“... ისევე ისხდნენ ავტომობილების სახურავზე, ისეთივე გამეტებით არახუნებდნენ ქვაბის ხუფებს და, ცხადია, ისეთივე თავდავინყებით აფრიალებდნენ არგენტინის ალმებს.

ობელისკის ახლო-მახლო გადაკეტილი იყო ქუჩები, წყდებოდა ყოველგვარი ტრანსპორტის მოძრაობა, ქალაქი დიდ საგიჟეთს ემსგავსებოდა. ღრეობა თითქმის დილამდე გრძელდებოდა...

კორიენტესის, სანტა-ფეს და სხვა ქუჩებში ჩამწკრივე-ბულ ფირფიტების მალაზიებში დილიდან შუალამემდე უკრავდნენ საფეხბურთო ჰიმნად ქცეულ ომახიან სიმღერას — „არ-გენ-ტინა“, „არ-გენ-ტინა“. ეს მხნე მელოდია არ წყდებოდა ჩვიულებრივ დღეებშიც კი, როცა ქალაქი თითქოს მიწყნარებული იყო ახალი ქარიშხლის მოლოდინში.

დიდი მოთხოვნილება იყო ჩემპიონატის სუვენირებზე, ემბლემიან მაისურებზე, პატარა ბურთებზე, რომელთაც „ტანგო“ ერქვათ (ამ ფირმის ბურთებით თამაშობდნენ მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილენი. მეკარეები უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ „ტანგოს“ მისამართით, ძალიან სრიალა გარსი აქვს და ძნელი დასატერია, ხელებში მართლაც ცვეკავს). ცხადია, განსაკუთრებით დიდი გასაჯალი ჰქონდა XI ჩემპიონატის სიმბოლოს — გაუჩიტოს. ასევე დიდი ხალისით ყიდულობდნენ საუცხოოდ დაბეჭდილ, ჩემპიონატის ემბლემიან ფერად ღია ბარათებს არგენტინის სტადიონებისა და ქალაქების ხედებით.

კიდევ ერთი ნაბიჯი წინ

18 ივნისს მე და რამდენიმე ჩემი თბილისელი მეგობარი სტადიონზე არ წავედით, ვინაიდან ზუსტად იმ დროს, როცა „რივერ პლეიტზე“ იტალიისა და ავსტრიის გუნდებს უნდა ეთამაშათ, ამ ჩვენს ვებერთელა ტელეეკრანზე ბრძოლას გააჩაღებდნენ გფრ-ისა და პოლანდიის კოლექტივები — წინა ჩემპიონატის ოქროსა და ვერცხლის პრიზიორები.

ჩვენი ვარაუდი გამართლდა: „რივერ პლეიტზე“ გამართული შეხვედრა ერთობ უღიმღამო გამოდგა, გერმანელებისა და პოლანდიელების მატჩი კი ფინალსაც დაამშვენებდა.

რამდენიმეჯერ აღვნიშნე, გფრ-ის გუნდი ძველმოდურ ფეხბურთს თამაშობს-მეთქი — აქცენტი დაცვაზე გადააქვს,

როცა თანამედროვე ტაქტიკის თავიდათავი შეტევითი ოპერაციებია. ყოველად დაუშვებელია, რომ ისეთი გამოცდილი და გამჭრიახი სპეციალისტი, როგორც გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრების მწვრთნელი ჰელმუტ შიონი გახლავთ, ვერ ხვდებოდეს ამას, თანამედროვე ტენდენციებს ვერ აფასებდეს ან, მით უფრო, უგულვებლყოფდეს. ეს დაუფერებელია. უბრალოდ, საუკეთესო მოთამაშეთა მონინავე ბირთვის წასვლით შიონი პირდაპირ გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდა და, ქართული ანდაზისა არ იყოს — როგორც გიჭირდეს, ისე გიღწინდესო — ნაკრების ძალის შესაბამისი ტაქტიკა არჩია. თანაც, მწვრთნელმა თვით შეჯიბრების მსვლელობაშიც ბევრი ინვალა — ზოგმა იმედი ვერ გაამართლა (ფიშერი, ბონჰოფი, ჰ. მიულერი), ზოგი დაშავდა (ფლოე)... ამიტომ იყო, რომ შიონს ჩემპიონატის დღეებში უხდებოდა ახალ-ახალი ტაქტიკური ამოცანების გადაწყვეტა — შემადგენლობაში თუნდაც ერთი ახალი ფეხბურთელის შეყვანა ხომ გუნდის სამოქმედო გეგმას ცვლის. ჰოლანდიელებთან მატჩში გფრ-ის გუნდი უაღრესად ძლიერ, ასე განსაჯეთ, შემტევ კოლექტივად წარმოგვიდგა. საქმე მარტო ის კი არ არის, რომ შიონმა მინდორზე ოთხი თავდამსხმელი გამოიყვანა (აბრამჩიკი, დიტერ მიულერი, რუმენიგე, ჰოლცენბაინი), არამედ მთელი გუნდის ერთობლივი, გამიზნული მოქმედება, თამაშის შინაარსი.

როგორც ხედავთ, შიონმა ამჯერად, ფორმალურად მაინც, თავდამსხმელთა რაოდენობით გადააჭარბა XI ჩემპიონატის მონაწილე გუნდებს — აქამდე, როგორც წესი, მათ სამ-სამი ფორვარდი ჰყავდათ შემადგენლობაში (გამონაკლისი იყო არგენტინის ნაკრები, მაგრამ ამაზე მერე ვილაპარაკოთ). ისიც უნდა ითქვას, რომ ჰოლანდიელებთან შეხვედრაში გერმანელთა შეტევითს ოპერაციებს დიდებულად კვებავდა ნახევარდაცვის ხაზი, სადაც ძალიან ხშირად მოქმედებდნენ რუმენიგე და ჰოლცენბაინი.

სამწუხაროდ, ფლოე წინა თამაშში სერიოზულად დაშავდა და შინ დაბრუნება მოინდომა. შიონმა დარჩენა სთხოვა ფლოეს, ნაკრებში შენი ყოფნა ძალიან საჭიროა

მორალური, თვალსაზრისით. ფლოე, ცხადია, უარს ვერ ეტყოდა. ეს ფეხბურთელი ძალიან აკლდა გუნდს, მაგრამ გფრ-ის ნაკრებმა მაინც ჩინებულად ითამაშა. ახალგაზრდა თავდამსხმელებმა (აბრამჩიკი, დ. მიულერი) პირდაპირ თავი მოიკლეს, დაცვა კი, ტრადიციულად საუცხოოდ მოქმედებდა. მე ისევ გამიჩნდა იმედი...

ასევე ძლიერად ითამაშა ჰოლანდიის ნაკრებმა, რომელიც ორჯერ იყო მდევრის როლში და ორივეჯერ ოსტატური დარტყმებით გაათანაბრა ანგარიში. მეორედ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს მოხდა თამაშის დამთავრებამდე 7 წუთით ადრე. ჰოლანდიელთა მიერ გატანილი გოლები მართლაც ბრწყინვალე იყო, მაგრამ, შიონის აზრით, ამ მომენტებში მაიერმა სიფხიზლე ვერ გამოიჩინა. გფრ-ის ნაკრების მეკარემ, „როგორც იქნა“, გაუშვა ბურთი. საქმე ის არის, რომ მაიერმა მსოფლიო ჩემპიონატის ფარგლებში უკანასკნელად ბურთი 1974 წელს გაუშვა მიუნჰენის სტადიონზე ჰოლანდიელებთან ფინალური შეხვედრის მე-2 წუთზე (ალბათ, გახსოვთ ნეესკენსის პენალტი). არგენტინაში ზედიზედ ოთხი მატჩიდან მაიერი „მშრალად“ გამოვიდა და აი, 18 ივნისს კორდობაში მიმდინარე თამაშის 26-ე წუთზე ჰაანმა (ისევ ჰოლანდიელმა) აიღო მეკარის ციხესიმაგრე. ამრიგად, მსოფლიო ჩემპიონატის მატჩებში ამ შესანიშნავმა ფეხბურთელმა 473 წუთის განმავლობაში ხელუხლებლად შეინახა თავისი კარი. ეს ამ ტურნირების ახალი რეკორდია (ძველი რეკორდი ინგლისის ნაკრების მეკარეს გორდონ ბენქსს ეკუთვნოდა).

ასეა თუ ისე, ჩემპიონატის შემდეგ შიონმა თქვა:

— მაიერმა თითქოს კარგად ითამაშა, ბევრი „ძნელი ბურთიც“ აიღო, მაგრამ კრიტიკულ მომენტებში ერთხელაც ვერ იხსნა გუნდი.

ამ ასაკში უკვე თითქმის შეუძლებელი ხდება „ზებუნებრივი“ ბურთების აღება, რეაქციაც შენელებულია და ნახტომის, ასე ვთქვათ, სასტარტო სისწრაფეც. იგივე შეიძლება ითქვას იტალიის ნაკრების კარის გამოცდილ დარაჯზე

ძოფრე. მაგალითად, ბრაზილიის ეროვნულ გუნდთან შეხვედრაში იტალიელთა კარში ორი გოლი გავიდა და ძოფრი ჩემი აზრით, ორივეჯერ დამნაშავე იყო.

მანამდე, პოლანდიისა და გფრ-ის მატჩამდე, ტელედარბაზში ვნახეთ პერუსა და პოლონეთის ნაკრები კოლექტივების თამაში, რომელიც „ძალიან ცუდი საყურებელი იყო. აშკარა უპირატესობის მიუხედავად, პოლონელთა გუნდი დაბნეული ჩანდა და ბევრს ვერაფერს მიაღწია (შარმახის ერთადერთი მშვენიერი გოლი — თავით). ძალიან სუსტად თამაშობდნენ დეინა, ლატო, კასპერჩაკი... პერუს გუნდი აშკარად სუსტია“ (ჩემი ბლოკნოტიდან).

ასევე უინტერესო გამოდგა არგენტინისა და ბრაზილიის ფეხბურთელთა შეხვედრა. არგენტინელები დაემორჩილნენ ბრაზილიელთა ნება-სურვილს და ითამაშეს ისე, როგორც საერთოდ არ თამაშობენ — მოკლე გადაცემებით, ნელი ტემპით, არაკოლექტიურად.

ბრაზილიელებმა ვერ გამოიყენეს მასპინძელთა კარის აღების სამი ნაღდი შანსი (რობერტო), არგენტინელებმა კი ვერ გაიტანეს უდავო გოლი — ორტისმა რალაც უნიათოდ მოუცაცუნა ფეხი ცარიელი კარის წინ მარჯვენა ფლანგიდან მშვენივრად ჩამონოდებულ ბურთს.

სალამოს კი ბუენოს-აირესის ქუჩებში და მოედნებზე, ბალებსა და ხეივანებში ისევ ატყდა ყურთასმენის წამლები ღრიანცელი, ისევ გაჩაღდა ზეიმი და ცეკვა-თამაში. არგენტინელი გულშემატკივრები დარწმუნებული იყვნენ, რომ საჭიროების შემთხვევაში მათი სათაყვანებელი ფეხბურთელები პერუელთა კარში იმდენ ბურთს გაიტანდნენ, რამდენიც საჭირო იქნებოდა ფინალში გასასვლელად. თურმე ამასვე ფიქრობდნენ მენოტი და მისი ბიჭები...

იმ დღეს, როგორც თავში აღვნიშნეთ, გაიმართა კიდევ ერთი მატჩი — „რივერ პლეიტის“ სტადიონზე ერთმანეთს შეხვდნენ იტალიისა და ავსტრიის ეროვნული გუნდები. მკ-13 წუთზე როსიმ სწრაფად გაითამაშა „კედელი“ კაუზიოსთან და გაიტანა ამ მატჩში ერთადერთი ბურთი.

ახლოვდებოდა გადამწყვეტი ეტაპი. 21 ივნისს გამართულ მატჩებს პასუხი უნდა გაეცა მთავარ საკითხებზე: რომელი გუნდები გაითამაშებდნენ ოქროს მედლებს და რომელი კოლექტივები შეხვდებოდნენ ერთმანეთს III ადგილისთვის.

„რივერ პლეიტის“ სტადიონზე განუზომელი ინტერესი გამოიწვია ჰოლანდიისა და იტალიის ფეხბურთელთა ასპარეზობამ, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს არ იყო მაღალი რანგის მატჩი, თამაში როგორც სანახაობრივად, ისე შინაარსობრივად ნაკლებ მიმზიდველი გახლდათ. ამის უმთავრესი მიზეზი, ჩემი აზრით, მეტოქეთა მეტისმეტი ნერვული დაძაბულობა იყო, რის გამოც ჰოლანდიის ისედაც ტლანქი ნაკრები რალაც „გაქვავებულ“ ფეხბურთს თამაშობდა. „ჰოლანდიელები ძალიან შეშინებული თამაშობენ. რენსენბრინკი დადგა მარცხენა ფლანგზე და არაფერს აკეთებს. ძალიან აბურდული თამაშია“ (ჩემი ბლოკნოტიდან).

პირველ ტაიმში იტალიელთა უპირატესობა იმდენად აშკარა იყო, რომ ბევრს საქმე მოთავებული ერჩვენა. მაგალითად, ტაიმებს შორის შესვენებისას პრესცენტრში ბობი ჩარლტონმა თქვა:

— იტალიელთა ერთი გოლი ფინალში ამ გუნდის გასვლის ნაღდი გარანტიაა. (ჩემს ბლოკნოტში ჩარლტონის ამ სიტყვებისთვის მიმიწერია: „ვერაფერი გულთმისანი ყოფილხარ“. იქვე: „ჩემპიონატი იწურება, ახალი კი არაფერია“).

ჰოლანდიელებმა პერსონალური მეურვეობის ხერხს მიმართეს, მაგრამ, როგორც ჩანს, შესვენებაზე იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ტექნიკურ იტალიელებთან ბრძოლაში ეს სახეიროს ვერაფერს მოუტანდათ. ჰოლანდიელთა არჩეული გზა გამოდგა საცერი, რომლის „ნასვრეტებში“ საკმაოდ თავისუფლად დაძვრებოდნენ კაუზიო, ბეტეგა, როსი და მათი მეგობრები. რამდენიმე გამოუყენებელი საგოლე მომენტის შემდეგ იტალიელებმა ანგარიში გახსნეს, თუმცა ბურთი ბეტეგასთანჭიდილში თავის კარში დაარტყა

ბრანდტსმა. ორთაბრძოლის ადგილისკენ გამოქნებულმა მეკარე შრაივერსმა იმის მეტი ველარაფერი მოახერხა, რომ ნაქცეულ ბრანდტსს დაეჯახა, დაშავდა და მინდვრიდან საკაცით გაიტანეს.

შესვენების შემდეგ სურათი მკვეთრად შეიცვალა. იტალიელები როგორღაც მოეშვნენ, ჰოლანდიელებმა კი, პირიქით, ძირფესვიანად გარდაქმნეს თამაში — პერსონალურ მეურვეობაზე უარი თქვეს და ტემპსაც უმატეს. ისიც უნდა ითქვას, რომ ჰოლანდიის ნაკრებს კომბინაციური თამაშით არ გამოუჩენია თავი — მან უმთავრესად საუცხოო ფიზიკური მომზადების, გამძლეობისა და შეუპოვრობის წყალობით დაჯაბნა უკვე მთლად გასავათებული იტალიელები.

არ შეიძლება დუმილით ავუაროთ გვერდი ჰოლანდიელთა ერთ ყოვლად შეუწყნარებელ თვისებას — უხეშობას. თანაც, ეს ბურთისთვის უშუალო ბრძოლით გამოწვეული უხეშობა როდია, არა, ჰოლანდიელები მოურიდებლად ხმარობენ სარმას, როცა ბრძოლა წაგებულია და ბურთიანი მეტოქე მიზნისკენ მიისწრაფვის. ამ ძალიან „უბრალო“ აკრძალულ ილეთს — ფეხის გამოდებას — ისინი სისტემატურად იყენებდნენ, როცა მეტოქე ლამაზი ფინტით, ოსტატური დრიბლინგით ან სწრაფი „კედლის“ გათამაშებით უსხლტებოდათ ხელიდან. არ ყოფილა შემთხვევა, რომ ჰოლანდიელებს (თავდამსხმელებსაც კი) ამ ბინძური ხერხისთვის არ მიემართოთ, როცა „სხვა გზა არ ჩანდა“. ეს ერთობ აღიზიანებდა მეტოქეებს და, რაც მთავარია, ფეხბურთის არსს შეურაცხყოფდა.

ჰოლანდიელები ძალიან უხეშობდნენ იტალიელებთან მატჩში, არგენტინის ნაკრებთან გადამწყვეტ შეხვედრაში კი მინდორზე ნამდვილი ჭიდაობა გააჩაღეს.

ისიც უნდა ითქვას, რომ მსაჯები რატომღაც მხოლოდ ჩვეულებრივ ჯარიმებს სჯერდებოდნენ.

აფსუს, რა დახვეწილად, ელეგანტურად და, ამავდროს, მრავალფეროვნად თამაშობდა ჰოლანდიის ნაკრები კრუიფის დირიჟორობით! არგენტინაში ამ როლის შესრულება

თითქოს რენსენბრინკს უნდა ეკისრა, მაგრამ ამჯერად იგი ჩრდილში იდგა.

აკი თავადაც ასე უპასუხა ჟურნალისტებს, რომლებმაც „უთხრეს, თქვენ კრუიფის მემკვიდრედ გთვლიანო:

— კრუიფი და მე სხვადასხვა ადამიანები ვართ. გარდა იმისა; რომ ფენომენური ფეხბურთელია, კრუიფი ლიდერადაა გაჩენილი, მე კი ამ როლისთვის არ ვვარგვივარ.

შეხვედრის ბედი გადაწყვიტა ჰოლანდიელთა ორმა შორეულმა საზღაპრო დარტყმამ, თუმცა მეორე შემთხვევაში, ჩემი აზრით, ძოფს აშკარად ჩაეძინა.

პრესცენტრში, საერთოდ, ჟურნალისტთა და სპეციალისტთა წრეებში ყველას აინტერესებდა, რატომ არ ითამაშა კრუიფმა. თავისთავად ცხადია, ასაკზე აქ ლაპარაკიც ზედმეტია. არც სისტემატური, გეგმაზომიერი, მართლაც მეტად მომქანცველი სანვრთნელი რეჟიმი შეიძლება ჩაითვალოს კრუიფის „განდგომის“ უტყუარ მიზეზად, მით უმეტეს, რომ ამ ბრწყინვალე ვარსკვლავს არასდროს ეზარებოდა ვარჯიში და სხვა „შავი სამუშაო“. ჩემი აზრით, საქმე ის გახლავთ, რომ კრუიფი არ მოელოდა ჰოლანდიელთა წარმატებას, არ ეგონა, თუ ეს გუნდი (სხვათა შორის, საკმაოდ „მოხუცი“) ამდენს შეძლებდა. და, როგორც ჩანს, თავის შერცხვენას მოერიდა.

ამ მატჩთან დაკავშირებით კიდევ ერთი მსურს შევნიშნო: ესპანელმა მსაჯმა მარტინესმა სრულიად უსამართლოდ მისცა გაფრთხილება ტარდელისა და ბენეტის. მათ უკვე ჰქონდათ თითო გაფრთხილება მიღებული, რის გამოც ბრაზილიელებთან ძალზე მნიშვნელოვან მატჩში იტალიის ნაკრები ფაქტიურად უხერხემლოდ დარჩა — ორი საყრდენი ნახევარმცველის გარეშე. სწორედ ამიტომ იყო, რომ ბრაზილიის გუნდთან კაუზიოს თამაში არ გამოუვიდა.

ერთობ მონოტონური, მოსაწყენი და უფერული გამოდგა ბრაზილიისა და პოლონეთის გუნდების შეხვედრა. მხოლოდ ერთხელ გამოცოცხლდა მაყურებელი, როცა ბრაზილიელებმა ცეცხლოვანი ტემპით დაიწყეს მეორე ტაიმი, აქაოდა ჩვენც შეგვწვეს ჩვენი წინაპრებივით თამაშის უნარიო. ამ, სამწუხაროდ, ხანმოკლე აღმაფრენაში სამხრეთ-

ამერიკელებმა ტექნიკური ილეთების საოცარი ფიერვერკი და, საერთოდ, თამაშის შეგვრძნების უმაღლესი, ნატიფი ნიუანსები გვიჩვენეს. მათ ზედიზედ სამჯერ მოარტყეს ბურთი პოლონელთა კარის ძელს, სანამ გოლს გაიტანდნენ. ცენტრალურმა თავდამსხმელმა რობერტომ სწორედ ძელზე ასხლეტილი ბურთი გაახვია ბადეში.

მერე ეს დიდებული სპექტაკლი ბრაზილიელებმა რატომღაც შეწყვიტეს და თამაშიც ისევ გაუფერულდა. მხოლოდ დროდადრო, საკმაოდ დიდი ინტერვალებით, ხან სამხრეთამერიკელები შეუნთებდნენ ცეცხლს ჩასაქრობად განწირულ შეტევის ბუხარს, ხანაც — პოლონელები (დენინამ და ლატომ მეტოქის კარის ალების რამდენიმე შესაძლებლობა ვერ გამოიყენეს).

„პოლონელებს სირბილის მეტი არაფერი გამოსდით. არც ბრაზილიის ნაკრები მომწონს — ეს საჩემპიონო გუნდი არ არის“ (ჩემი ბლოკნოტიდან).

არგენტინისა და პერუს ნაკრები კოლექტივების შეხვედრას მთელი არგენტინა (და არა მარტო ეს ქვეყანა!) მოუთმენლად ელოდა. „როსარიო სენტრალის“ ტრიბუნებმა, ცხადია, მატჩის ნახვის ყველა მსურველი ვერ დაიტია. არგენტინელებმა ბრწყინვალედ ითამაშეს, თუმცა მას შემდეგ, რაც კიროგამ მესამე ბურთი გაუშვა, პერუს ნაკრებმა თითქმის შეწყვიტა წინააღმდეგობა და ვადამდე მოაწერა ხელი კაპიტულაციას. საქმე იქამდე მივიდა, რომ პერუელი მცველები თავიანთ საჯარიმო მოედანზე არგენტინელებს თითქმის აღარც კი უშლიდნენ ხელს „კედლის“ გათამაშებაში. და მაინც, არგენტინელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ მთელი სული და გული, მთელი ძალ-ღონე და მონდომება ჩააქსოვეს მიზნისთვის ბრძოლაში და სანადელსაც მიაღწიეს.

ისევე როგორც ოთხი წლის წინათ მიუნჰენის ოლიმპიური სტადიონის მწვანე მინდორზე, პოლანდიის ნაკრები ფინალურ მატჩში ჩემპიონატის მასპინძლებს, ამჯერად არგენტინელებს ხვდება.

შეცდა ფიფა-ს პრეზიდენტი, ბრაზილიელი ფიფა ავე-
ლანჟი. ივნისის დამდეგს მან თქვა, ფინალში ერთმანეთს
არგენტინისა და შოტლანდიის გუნდები შეხვდებიანო;

სამაგიეროდ, ზუსტი გამოდგა ავსტრიის ნაკრების
მწვრთნელის ზენეკოვიჩის პროგნოზი. იტალიის გუნდთან
წაგებული თამაშის შემდეგ გამართულ პრესკონფერენ-
ციაზე მან დაბეჯითებით განაცხადა:

— დასავლეთ გერმანიის ნაკრებთან მატჩში ჩვენ ყვე-
ლაფერს ვილონებთ გამარჯვებისთვის და მიზანსაც მივალ-
ნევთ, ვინაიდან მსოფლიო ჩემპიონის დამარცხება პრესტი-
ჟის საქმეა. თანაც, გვსურს ჩემპიონატის ფარდის დაშვე-
ბის წინ გავახაროთ ჩვენი გულშემატკივრები.

მართლაც, უალრესად დაძაბულ და შეუპოვარ ბრძოლა-
ში, რომელიც ხშირად დაწესებულ ფარგლებს სცილდებო-
და, ავსტრიელებმა ერთი ბურთის სხვაობით სძლიეს გერ-
მანელ ფეხბურთელებს. ბოლო, გადამწყვეტი გოლი მაშინ
გაიტანეს, როცა მატჩის დასასრულამდე 2 წუთი რჩებოდა.

და რაოდენ სასიამოვნო იყო, რომ ამ სამკვდრო-სასი-
ცოცხლო ბრძოლის დამთავრებისთანავე მეტოქეებმა ტრა-
დიციულად გაუცვალეს ერთმანეთს მაისურები, გერმანე-
ლებმა გამარჯვება მიულოცეს თავიანთ მოწინააღმდეგეს,
მერე კი მეტოქეებმა ხელიხელგადახვეულებმა დატოვეს
სარბიელი.

ასეთივე სულისკვეთება სუფევდა სხვა მატჩების შემდე-
გაც. შოტლანდიელებმა გფრ-ის ნაკრებს ფაქტიურად ფინა-
ლის საგზური ჩამოართვეს, მაგრამ ამ ორი გუნდის მატჩის
შემდეგ ფოგთსმა რენსენბრინკი გადაკოცნა, სხეებმაც ჩა-
მოართვეს ხელი ერთმანეთს და მინდორზე დაუცხრომელი
მეტოქეები ერთად გაუჩინარდნენ სტადიონის შენობაში.

კიდევ ერთი ეპიზოდია: ჩემპიონატის დღეებში არგენ-
ტინელ ლუკეს ავტოკატასტროფაში ძმა დაელუპა (იგი არ-
გენტინა — იტალიის მატჩზე მოიჩქაროდა). მატჩის წინ
ტრადიციული წუთიერი დუმილისა და თანაგუნდელთა სამ-
ძიმრის გარდა, ლუკემ ბევრი თანაგრძნობის სიტყვა მოის-
მინა სხვა გუნდების წარმომადგენელთაგან.

ფინალამდე რამდენიმე დღეა და ჩვენც ვათვალისწინებთ არგენტინის დედაქალაქის საინტერესო უბნებს, ქუჩებს, პარკებს, ძეგლებს... ვიცით, რომ არგენტინის, პოლანდიის, ბრაზილიისა და იტალიის გუნდებს არამცთუ ჟურნალისტებს, ნიავსაც არ აკარებენ. მათი ნახვის მსურველი კი ბევრია: კორდობიდან, მენდოსიდან და როსარიოდან ჟურნალისტები მოაწყდნენ ბუენოს-აირესს და მთავარ პრესცენტრში პირდაპირ მეორედ მოსვლა იყო. ცხადია, ყველას სურს ამ ოთხი „მთავარი მოქმედი პირის“ — არგენტინის, პოლანდიის, ბრაზილიისა და იტალიის ნაკრები გუნდები მოინახულოს, მწვრთნელებს ესაუბროს, პროგნოზები გამოსტყუოს, გაიგოს ფეხბურთელთა ჯანმრთელობისა და ფსიქოლოგიური განწყობის ამბავი... მაგრამ გუნდების ადგილსამყოფელს — სასტუმროს თუ სავარჯიშო ბაზას ერთგულად იცავდნენ პოლიციელთა გაძლიერებული რაზმები, ასე განსაჯეთ, უახლესი შორს სალაპარაკო აპარატებით აღჭურვილი მოტორიზებული პოლიციაც კი.

როდრიგეს პენიას ქუჩაზე მივდივართ, ჯაზური მუსიკის კონცერტზე მიგვეჩქარება. ძალიან ლამაზია ლამის ბუენოს-აირესი. უეცრად სირენების გამაყრუებელი ხმა გაისმა. ვიფიქრე, ალბათ ან სახანძრო რაზმის მანქანები მოდიან ან სასწრაფო დახმარებისა-მეთქი. არც ერთი, არც მეორე: სირენების შეუნელებელი ღმუილით ქარბუქივით ჩაგვიქროლა პოლიციის ოთხმა მანქანამ, სახურავებზე „ხანძარი“ რომ ეკიდათ, და მოტოციკლისტთა მთელმა რაზმმა. მათს შუა კი ასეთივე სისწრაფით მიჰქროდა ლამაზი ავტობუსი, რომელსაც გვერდებზე დიდი ასოებით ეწერა: „პოლანდია“.

გამვლელებმა გვითხრეს, პოლანდიელი ფეხბურთელები ვარჯიშის შემდეგ სასტუმროში ბრუნდებიანო...

ბრაზილიის პრესამ ერთი ამბავი ატეხა, პერუსა და არგენტინის გუნდების მატჩი „გაყიდული“ იყო. სხვათა შორის, ამასვე ამტკიცებდა პერუს ზოგიერთი გაზეთიც, ერთმა პერუელმა კორესპონდენტმა კი პირდაპირ დაწერა, კირო-

გამ, ჩუმპიტასმა და მერსომ ქრთამი აიღესო. სინამდვილეში მსგავსიც არაფერი მომხდარა. ფიფა-ს პრეზიდენტმა ჟ. აველანჟმა საჯაროდ დაგმო ეს სიცრუე და, ბოლოს და ბოლოს, ბოდიშიც მოახდევინა ზოგიერთ ცილისმწამებელს. აველანჟმა ვრცელი წერილით მიმართა ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაციას, რომელშიც დამაჯერებლად დაასაბუთა ზოგიერთი თავდავიწყებული ჟურნალისტისა თუ ფეხბურთის მოღვაწის ყოვლად უკადრისი პოზიციის სრული უსაფუძვლობა.

რატომ გაუკვირდათ ზოგიერთებს არგენტინისა და პერუს მატჩის შედეგი? განა უფრო საკვირველი არ იყო პოლანდია — ავსტრიის შეხვედრის ანგარიში 5:1 ან მექსიკელთა კარში გფრ-ის ნაკრების მიერ გატანილი 6 „მშრალი“ გოლი?

არგენტინის ფეხბურთელებმა პერუელებთან ღირსეულად, ვაჟკაცურ ბრძოლაში გაიმარჯვეს და საკვირველი აღბათ ის იყო, მეტი გოლი რომ არ გავიდა კიროგას კარში. ერთი სიტყვით, ამ ყბადალებულ მატჩში უჩვეულო და კრიმინალური არაფერი მომხდარა. არგენტინის ფეხბურთელები იმ დღეს ისე იყვნენ განწყობილი, ისეთი შემართებითა და აღმაფრენით თამაშობდნენ, რომ პერუს სუსტ გუნდს კი არა, ბევრად უფრო ძლიერ ნაკრებსაც ადვილად სძლევენ.

— ბრაზილიელები ორი ფორვარდით თამაშობდნენ და სამჯერ აიღეს პერუელთა კარი. მაშ რვენ რატომ არ შეგვეძლო ამ გუნდის კარში ოთხი და მეტი ბურთი გაგვეტანა, როცა ხუთი თავდამსხმელი გვყავდა? — განუცხადა ჟურნალისტებს მენოტიმ.

დი სტეფანოს აზრით, პერუელებთან შეხვედრაში არგენტინელებმა მწვერვალს მიაღწიეს. მან ძალიან ზუსტად იწინასწარმეტყველა ფინალური მატჩის დონე, როცა თქვა:

— ჩემი აზრით, არგენტინისა და პოლანდიის ფინალური მატჩი მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში შევა, თუ, რა

თქმა უნდა, არგენტინელები შეძლებენ ყოველივე იმის გამოკრებას, რაც პერუს ნაკრებთან ბრძოლაში გვიჩვენეს.

შეძლეს და მეტი არა?!

კამათი სასტუმროს კოლში

სასტუმრო „მილანის“ მესამე სართულის პატარა კოლში ლიფტთან სავარძელში ვსხედვართ ლევ ფილატოვი დამე. ფილატოვი გამოძახებას ელოდება მოსკოვიდან... ლა პარაკი, ცხადია, ფეხბურთს ეხება, უფრო კონკრეტულად — მსოფლიოს XI ჩემპიონატს. ფილატოვი დიდებული, ენაწყლიანი მოსაუბრეა და მასთან კამათიც მუდამ საინტერესოა. მე აზრი გამოვთქვი, არგენტინის ჩემპიონატი ხარისხობრივად ჩამოუვარდება წინა, X პირველობას, ამ გათამაშებაში სულ რამდენიმე მაღალი რანგის, სანახაობრივად მიმზიდველი მატჩი იყო. (იტალია — საფრანგეთი, ჰოლანდია — გერმანია, იტალია — არგენტინა, ბრაზილია — შვეიცარია, არგენტინა — პოლონეთი), დანარჩენი შეხვედრები კი ძალზე ორდინარულია-მეთქი. მთავარ მიზეზად ის დავასახელე, რომ გუნდებში აღარ არიან სუპერვარსკვლავები როგორც იყვნენ ბეკენბაუერი, კრუიფი, ჩვერათი, ტოსტაო, პელეზე რომ აღარაფერი ვთქვათ... უვარსკვლავო გუნდები კი მეტისმეტად ღარიბულად გამოიყურებიან და საერთოდ, თამაშს უწინდებური პენი და მიმზიდველობა აღარ აქვს.

ფილატოვი არ დამეთანხმა: დასკვნების გამოტანას ნიჩქარებ, ორი მთავარი მატჩი (შეხვედრა III ადგილისთვის და ფინალი) ჯერ სანახავი გვაქვსო. რაც შეეხება თამაშის ხარისხს, ფილატოვის აზრით, არგენტინის ჩემპიონატი ამ მხრივ ოდნავადაც არ ჩამოუვარდებოდა წინამორბედებს. მე, მაგალითად, გუნდების თამაშში, როგორც კოლექტივებისა, სწორედ ახლა ვნახეო, — მითხრა და დასძინა: მახსოვს, მიუნჰენში თუ სხვაგან ჰოლანდიის გუნდის თამაშის დროს გამოუძმებით კრუიფს ვეძებდი და თვალს არ ვაშორებდი თუნდაც ბურთი მისგან შორს ყოფილიყო... გამოდიოდა რომ ჰოლანდიის ნაკრების თამაშს ნესიერად ვერც ვნახუ-

ლობდი, ისევე როგორც ბეკენბაუერის გადაშვიდეს გფრ-ის გუნდისთვის მგონი ერთხელაც არ მიყურებია რიგიანადო.

— იმავე ჰოლანდიის ნაკრებში დღეს ყველა ფეხბურთელი თანაბარი ძალისაა და მხოლოდ აქ, ამგვარ ვითარებაში ჩაწვდი ღრმად ამ გუნდის თამაშს, — განაგრძობდა ფილატოვი. — არგენტინის სტადიონებზე ფეხბურთი პირველ ყოვლისა კოლექტიური თამაშის სახით წარმოჩნდა. საქმეს არც მართლაც უმაღლესი რანგის ვარსკვლავი კემპესი აფუჭებს. სოლური ნომრების შესრულების დროსაც კი იგი უაღრესად კოლექტიური სულისკვეთების ფეხბურთელად რჩება და არგენტინის გუნდს ამ საუცხოო თვისების გამოვლენაში დიდად უწყობს ხელს. ასე რომ, უვარსკვლავებოდ თამაშს თავისი პლუსებიც აქვს, — დასძინა ბოლოს ფეხბურთისა და ჟურნალისტიკის ღვანლმოსილმა მუშაკმა.

და მაინც... რაც გინდათ თქვით, მწვანე მინდორსა და ფეხბურთს ძალიან ალამაზებენ პელე, ბეკენბაუერი, გარინა, კრუიფი, გერსონი, ოვერატი, ბობი ჩარლტონი, კოლუნა, ეუსებო...

გადამწყვეტი დღეები

24 ივნისი — მატჩი III ადგილისთვის: ბრაზილია — იტალია;

25 ივნისი — ფინალური მატჩი: არგენტინა — ჰოლანდია.

არ შევეუდგები იმის აღწერას, რაც „რივერ პლეიტის“ სტადიონის ტრიბუნებზე იმ დღეებში ხდებოდა. ამის გამოცემა ყოვლად შეუძლებელია. საბედნიეროდ, ტელევიზიის საშუალებით ყველა მსურველმა ნახა ეს გამაყრუებელი „კონცერტი“, დაგრაგნილი ქალაქებისა და ნაკუნ-ნაკუნად დაჭრილი გაზეთების წვიმა (ერთი შეხედვით, კაცს სტადიონის სარბენი ბილიკები, მძლეოსნური სექტორები და საფეხბურთო სარბიელი დათოვლილი ეგონებოდა).

ისიც უნდა გითხრათ, რომ იმ 25 ათასი ბრაზილიელი ტურისტებიდან უმეტესობა ბუენოს-აირესში აღარც ჩამოსულა.

ბრაზილიელმა ქომაგებმა III ადგილისთვის მატჩი პირად და ეროვნულ შეურაცხყოფად მიიჩნიეს, თავიანთ გუნდს ბოიკოტი გამოუცხადეს და მენდოსიდან პირდაპირ შინ გაემგზავრნენ.

იტალიის შესანიშნავი ნაკრები ჩემპიონატის მიწურულს როგორღაც მოეშვა, ქანცი გამოელია და საბოლოოდ, როგორც ცნობილია, IV ადგილს დასჯერდა. თანაც ბრაზილიელებთან სათამაშოდ „სკუადრა აძურა“, როგორც უკვე აღვნიშნეთ, შესუსტებული შემადგენლობით გამოვიდა — გუნდის შუა ხაზი ამჯერად სულ სხვანაირად იყო შედგენილი. ეს იყო ერთ-ერთი მიზეზი, რომ იტალიელებმა თავიდანვე გადაულოცეს უპირატესობა სამხრეთამერიკელებს, რომლებმაც შუა მინდორში ბურთის ფლობისა და გათამაშების უმაღლესი კლასი გამოავლინეს. მაგრამ ამ ბრწყინვალე გადაცემებსა და კომბინაციებს ბრაზილიელები ლოგიკურ წერტილს ვერ უსვამდნენ, უბრალოდ, ვერ ახერხებდნენ კომბინაციათა მწვავედ, შედეგიანად გაგრძელებას.

ფეხბურთში ხშირად ხდება, რომ უპირატესობა ერთი გუნდის ხელშია, ბურთი კი მეორეს გააქვს. პირველი ტაიმის დამთავრებას 6 წუთი აკლდა, რომ როსიმ ლამაზი ფინტით განზე დატოვა მეტოქეთა მცველი, გავიდა მარჯვენა ფლანგზე და იქიდან რბილად ჩაანოდა ბურთი საჯარიმო მოედანზე შემოჭრილ კაუზიოს, ამ უკანასკნელის გამოზომილმა თავურმა დარტყმამ კი მიზანს მიაღწია. ტაიმის ბოლომდე იმავე როსის შეეძლო ანგარიშის გაზრდა, მაგრამ ლეაოსთან პირისპირ გასულმა, კარში დარტყმის ნაცვლად მეკარის მოტყუება მოინდომა, მოატყუა კიდეც, მაგრამ კუთხე პატარა დარჩა და ბურთი კარს ასცდა.

შესვენების შემდეგ იტალიელები შეეცადნენ მინიმალური ანგარიშის შენარჩუნებას (ბოლო მატჩებში ეს შესამჩნევი იყო), თავიანთი კარის მისადგომებთან დაიხიეს და ამიტომაც ბურთს უმეტესად ისევ ბრაზილიელები ფლობდნენ, რომლებმაც „ტყუპი“ გოლი გაიტანეს — ორივე მარჯვნიდან, დაახლოებით 20 მეტრის მანძილიდან და ბურთმა ირივეჯერ შორეულ ძელთან შეარხია კარის ბადე. ამ ბრწყინვალე „ხმელი ფოთლის“ შემსრულებლები ნელინიო

და დირსეუ იყვნენ, თუმცა, როგორც აღვნიშნე, უდანაშაულოდ არც ძოფი უნდა ჩაითვალოს (აღბათ, გახსოვთ, ძოფმა თქვა, გრუნტი ძალიან რბილია, ბუცები მიწაში ეფლობა და ხტომის დროს ფეხს ვერ ვიკიდებდით).

მატჩის ბოლო ნუთებში იტალიელებმა უკანასკნელი ძალ-ღონე მოიკრიბეს და პირდაპირ ხელიდან გამოჰგლიჯეს მეტოქეს თამაშის სადავეები. ბრძოლა ახალი ძალით გაჩაღდა... 89-ე ნუთზე კაუზიოსგან მიღებული ბურთი ბეტეგამ მაღალ ნახტომში თავით დაარტყა მეტოქის კარისკენ. მაგრამ ბურთი კარში არ შესულა, ზედა ძელს მოხვდა...

აუცილებელია აღვნიშნოს, რომ ბრაზილიის ნაკრები იყო ერთადერთი გუნდი, რომელმაც მთელი ჩემპიონატი წაუგებლად განვლო და მხოლოდ ბურთების უარესი ბალანსის გამო დაკარგა ფინალური მატჩის საგზური.

პრესკონფერენციაზე ბრაზილიის ეროვნული გუნდის მწვრთნელმა კ. კუტინიომ თქვა:

— ბოლო მატჩში ჩვენ ძალიან ძლიერი გუნდი დავამარცხეთ. ამ შეხვედრით საკმაოდ შედეგიანი სეზონი დაჭამთავრეთ. ბრაზილიელებმა დაამტკიცეს, რომ ჩინებულად იციან ფეხბურთის თამაში, აქვთ მაღალი ტექნიკა და კარგი ტაქტიკური დისციპლინა. არ ვიცი, დამეთანხმებიან თუ არა ბრაზილიელი ფეხბურთის მოყვარულები, მაგრამ III ადგილი აქ, ამ ჩემპიონატში, ურიგო შედეგი როდია.

ამასთან დაკავშირებით, ცხადია, საინტერესოა პელეს აზრი, რომელიც „ფეხბურთის მეფემ“ გაზეთ „კლარინის“ ფურცლებზე გამოთქვა (სხვათა შორის, გადამწყვეტი მატჩის წინ პელემ მინიმალური ანგარიშით გამარჯვება პოლანდიელებს უწინასწარმეტყველა): „ბედის წყალობა იყო, რომ ბრაზილიელებმა მცირე ფინალს მიაღწიეს. ამიტომ არ უნდა ჩიოდნენ, ამ ჩემპიონატში იღბალმა ზურგი შეგვაქციაო (გავიხსენოთ მატჩები ესპანელებთან და ავსტრიელებთან). მესამე ადგილი ასე მოთამაშე გუნდისთვის მაქსიმალურად მიმაჩნია. ბრაზილიის ნაკრებმა მაყურებლებზე ნათელი შთაბეჭდილება ვერ მოახდინა“.

ეს ყველაფერი მართლაც საყურადღებოა, მაგრამ ასევე საინტერესოა, რა ხდებოდა 24 ივნისს — ფინალის წინა

დღეს ფინალისტთა ბანაკებში. ჰოლანდიელთა ბანაკში რალაც მანქანებით შეაღწია „დეილი მირორის“ კორესპონდენტმა ფრენკ მაკგიმ, რომელიც შემდეგ წერდა: „ჰოლანდიის ნაკრებს ევროპის ფეხბურთის ყველა საუკეთესო თვისება ახასიათებს — ორგანიზებულობა, გამომგონებლობა, კოლექტიური თამაში და, როცა ეს, მისი აზრით, საჭიროა, საკმაო დაუნდობლობაც. ჰოლანდიელები ამავე დროს ძალზე პრაქტიკულები არიან. იტალიის ნაკრებთან მატჩში მათ არ გამოიყვანეს ერთ-ერთი უძლიერესი თავდამსხმელი ჯონი რეპი, რადგან რისკის განწევა არ სურდათ: ამ ფეხბურთელს მსაჯმა ერთხელ უკვე უჩვენა ყვითელი ბარათი და მეორედაც რომ მიეღო გაფრთხილება; ფინალში ვეღარ ითამაშებდა.

ჰოლანდიელები საოცრად ცივისისხლიანები არიან. მაგალითად, როცა მათს კაპიტანს რუუდ კროლს ვკითხე, რაზე ფიქრობთ-მეთქი, ასე მიპასუხა: „ჩვენი მთავარი საფიქრალი მინდვრის მდგომარეობაა“.

ესე იგი ჰოლანდიელებს არგენტინელთა ბრწყინვალე თამაში კი არ აფიქრებთ, არამედ ის, რომ შესაძლოა მინდორი არ ვარგოდეს.

კროლი ოპტიმისტურად იყო განწყობილი. მან თქვა:

— არგენტინელებს ერთი დიდი უპირატესობა აქვთ — მაყურებელთა მხარდაჭერა. მაგრამ ნუ დაგავინყდებათ, რომ ჩვენ უკვე გვაქვს ფინალში მასპინძლებთან თამაშის გამოცდილება და ყველაფრისთვის მზად ვართ. 1974 წლის ფინალის შეცდომებს არ გავიმეორებთ. ჩვენი ძირითადი გეგმა ასეთია: ორ, ყველაზე შეუპოვარ მცველს — ვილი იანსენსა და იან პოორტვლიტს ევალებათ მარიო კემპესსა და ლეოპოლდო ლუკეს მთელი თამაშის განმავლობაში ისე „მიენებონ“, როგორც არგენტინელთა მაისურებზე ლურჯი და თეთრი ზოლებია „მიწებებული“.

როცა კროლს უთხრეს, რომ ჰოლანდიის ნაკრები ძლივს გავიდა ფინალში და ჯგუფში მისი უფერული თამაშიც გაახსენეს, მან უპასუხა:

— იმ მატჩებმა ძალიან კარგი სამსახური გაგვინია. ჩვენ გავითვალისწინეთ ის გაკვეთილები და თითქმის მთლიანად

გარდაექმენით თამაში. ეს კია, ხვალ ძალიან გაგვიჭირდება ბრძოლა, ვინაიდან თამაში მოგვიხდება თერთმეტის ნაცვლად თორმეტ კაცთან. მეთორმეტე 80 ათასი მათურებელი გახლავთ.

აი, რა თქვა პოლანდიელთა მწვრთნელმა ერნსტ ჰაპელმა:

— არგენტინელებთან თამაში მუდამ ძნელია, მით უმეტეს — მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში. მაგრამ მე არგენტინის ნაკრებს ფინალში გასვლას თავიდანვე ვუწინასწარმეტყველებდი. ასე რომ, მოუმზადებელი არა ვართ. ჯგუფში ჩვენ შესაფერისი შთაბეჭდილება მართლაც ვერ მოვახდინეთ, მაგრამ ახლა თანდათან ვაუმჯობესებთ თამაშს და ვიმედოვნებ, რომ პიკს სწორედ კვირას მივალწევთ.

არგენტინის ნაკრების მწვრთნელი ლუის მენოტი უფრო ფრთხილი და თავდაჭერილი იყო:

— პოლანდიის ნაკრებმა საუკეთესო ფორმას მიაღწია. იგი მტკიცე, კოლექტიური თამაშით გამოირჩევა და მწვენივრადაა მომზადებული ფიზიკურად. ამ გუნდისა უნდა გეშინოდეს, მაგრამ ჩვენ გვეჯერა ჩვენი შესაძლებლობებისა. როგორც ბოლო თამაშებმა გვიჩვენა, ეს შესაძლებლობები საკმაოდ დიდია.

საინტერესოა, რომ ფინალში მენოტის მთავარი იმედი კემპესი კი არ იყო, არამედ ლუკე. მაგრამ ვაპატიოთ ეს ერთი მცდარი ვარაუდი ამ შეუპოვარ, მიზანდასახულ და ნიჭიერ კაცს...

მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიაში ასე არც ერთხელ არ გაჭიანურებულა ფინალური მატჩის არბიტრების არჩევა. არგენტინაში ამ საქმეს მთელი ოთხი საათი მოუნდა, — ამ ხნის განმავლობაში ცხრაკლიტულში „დამწყვედულმა“ ფიფა-სა და ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის მესვეურებმა სამჯერ ჩაატარეს კენჭისყრა. ევროპელები იტალიელ ს. გონელას უჭერდნენ მხარს, სამხრეთამერიკელები — ურუგვაელ რ. ბარეტოს (ამ უკანასკნელმა პოლანდიელი ნანინგა სრულიად უსამართლოდ გააძევა მინდვრიდან). არც ისრაელის წარმომადგენელი ა. კლაინი მოინდომეს არგენტინელებმა, ვინაიდან არავითარ ყურადღებას

არ აქცევს მაცურებელს და მისი გავლენის ქვეშ არ მოექცევა. სამაგიეროდ, ჰოლანდიელებმა ცივი უარი თქვეს კ. პალოტიასა (უნგრეთი) და კ. თომასზე (უელსი), რადგან ისინი სასტიკად ილაშქრებენ უხეში თამაშის წინააღმდეგ.

ბოლოს და ბოლოს ევროპელებს მხარი დაუჭირეს აფრიკელებმა და აზიელებმა. ფინალური შეხვედრის მსაჯად დაინიშნა იტალიის ერთ-ერთი ბანკის დირექტორი, 45 წლის ს. გონელა (იგი ფლობს იტალიურ, გერმანულ, ფრანგულ და ესპანურ ენებს).

მთავარ პრესცენტრში იმ დღეს დიდი გამოცოცხლება სუფევდა, თუმცა აქ არც სხვა დროს ყოფილა მოწყენილობა. გაცვაფრთხილეს, სტადიონზე პირველის ნახევარზე მაინც წადითო (თამაში იწყებოდა 15 საათზე). ჩვენც პირველის ნახევარზე უკვე ავტობუსში ვისხედით, მაგრამ სტადიონზე რომ მივედით, ტრიბუნები უკვე ხალხით იყო გაჭედილი. მაცურებლები უკვე აფრიალებდნენ არგენტინის დროშების ტყეს, რომელთან შედარებითაც ჰოლანდიელთა აღმები და ტრანსპარანტები უკიდევანო აზვირთებულ ოკეანეში გაბნეული პატარ-პატარა კუნძულებივით ჩანდა.

თუ ამას დავუმატებთ, რომ ბუენოს-აირესში დილიდან ხალხმრავალი დემონსტრაციები მიმოდოდა, მღეროდნენ „არ-გენ-ტინას“ და ტრანსპარანტებზე ეწერათ „არგენტინა — ჩემპიონი!“, ცხადი გახდება, მინდორზე გამოსვლის წუთიდანვე რა დღეში იქნებოდნენ ჰოლანდიელები. საინტერესოა ისიც, რომ უკვე პერუელ ფეხბურთელებთან მასპინძელთა გამარჯვების დღესვე, გვიან საღამოს, გაზეთების ჯიხურებში იყიდებოდა ვეებერთელა ფერადი პლაკატები, რომლებზეც აღბეჭდილი იყო არგენტინის ნაკრები და წარწერა: „არგენტინა — მსოფლიო ჩემპიონი“.

ერთი სიტყვით, „საკუთარი კედლების“ ფაქტორი მთელი ძალით ამოქმედდა. წარმომიდგენია რა დაემართებოდათ ჰოლანდიელებს, როცა მეც კი რაღაც უცნაური, უსიამოვნო ყრუანტიელი მივლიდა ტანში ამ გასაოცრად სინქრონული შეძახილებისა და ღრიანცელის გამო.

ცხადია, მატჩის აღწერას აქ არ შევუდგები, მით უმეტეს, რომ ამ წიგნის პირველი ფურცლები სწორედ ფინალურ შეხვედრას ეძღვნება. მაგრამ ჩემს რამდენიმე მოსაზრებას კი მოგახსენებთ. მსოფლიოს XI ჩემპიონატის ფინალური მატჩი ტოტალური ფეხბურთის უბრწყინვალესი დემონსტრაცია გახლდათ. არგენტინელებმა ამ სისტემას ახალი ძალები შთაბერეს და გასაოცარი სისწრაფე შემატეს. სამაგიეროდ, დი სტეფანოს სიტყვებით რომ ვთქვათ, პოლანდიელთა ფეხბურთიც ტოტალური იყო, ოღონდ უფრო დაბალი დონისა ოთხი წლის წინანდელთან შედარებით. აქვე მსურს შევნიშნო, რომ თამაშის კლასით პოლანდიის გუნდი, ჩემი აზრით, სჯობდა არგენტინის ნაკრებს, მაგრამ გამარჯვებისთვის ეს საკმარისი არ აღმოჩნდა.

არგენტინელები თამაშობენ ჩვეული განლაგებით (ეს განლაგება „სოვეტსკი სპორტის“ ფეხბურთის მიმომხილველ ოლეგ კუჩერენკოს ძველ „დუბლ ვეს“ აგონებს და არცთუ უსაფუძვლოდ): წინა ხაზზე სამი ფორვარდია — ბერტონი, ლუკე და ორტისი (ჰაუსმანი), ოდნავ უკან — კემპესი და არდილესი (ლაროსა)... ამ ხუთეულს მაგარი ზურგი აქვს შესანიშნავი დაცვის ხაზის შემწეობით, რომელიც ასევე აქტიურად მონაწილეობს იერიშებში და იმედი აქვს, რომ გასაჭირში ფორვარდები ბედის ანაბარად არ მიატოვებენ.

თუ არ ჩავთვლით ფინალური მატჩის პირველ 25 წუთს, როცა არაადაამიანური ნერვული დაძაბულობის გამო თამაში ვერც ერთმა მხარემ ვერ ააწყო, ეს შეხვედრა უალრესად საინტერესო გამოდგა შინაარსით, ჩანაფიქრის მრავალფეროვნებითა და ჭიდილის სიმძაფრით. ისევე როგორც ჩემპიონატის მატჩების უმეტესობაში, გუნდები ძალიან ცოტა დროს ანდომებდნენ მინდვრის შუა ნაწილის გადალახვას და ამიტომ ორივე კართან ზედიზედ იქმნებოდა მწვავე სიტუაციები. არგენტინის მსოფლიო ჩემპიონატი ამ მხრივაც პროგრესული იდეების მატარებელი იყო.

ობიექტურად რომ ვიმსჯელოთ, არგენტინის მსოფლიო ჩემპიონატში ყველაზე ძლიერი გუნდი მასპინძელი ქვეყნის ნაკრები იყო. როგორც თავში აღვნიშნე, არგენტინელებმა გათამაშება ერთობ უღიმღამოდ დაიწყეს — მეტოქესთან შეჯახებისას მეტისმეტად დიდ დროს უთმობდნენ, თუ შეიძლება ითქვას, თეატრალურ კოტრიალს, მაგრამ შემდგომ თანდათან უმატეს თამაშს, უკლეს ზემოაღნიშნულ „სცენებს“, მთელი გულისყური, მთელი ჟინი, ენერჯია და უნარი ფეხბურთის თამაშზე გადაიტანეს, რის შედეგადაც ბოლოს და ბოლოს ბრწყინვალედ ითამაშეს პერუს ნაკრებთან, განსაკუთრებით კი — პოლანდიის ეროვნულ გუნდთან.

არგენტინის ნაკრები ლათინური ამერიკის ერთადერთი გუნდი იყო, რომელმაც ევროპული და სამხრეთამერიკული ფეხბურთის თავისებური ნაჯვარი წარმოგვიდგინა. იგი იყო ჩემპიონატის ყველაზე სწრაფი გუნდი, რომელიც, ხატოვნად რომ ვთქვათ, ფაქტიურად, კალათბურთს თამაშობდა: ყველა — წინ, ყველა — უკან. მენოტიმ, მაგალითად, ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე თქვა, ჩვენი მიზანი მხოლოდ და მხოლოდ შეტევა, იერიში არისო; ვიცით, რომ ამნაირი ტაქტიკის დროს, როცა უკლებლივ ყველა შეტევაზეა გადასული, ზურგი მოშიშვლებული გვაქვს, რომ მეტოქემ შესაძლოა ისარგებლოს ამით და ჩვენს კარში ბურთი გაიტანოს. მაგრამ ყოველ ასეთ ბურთს ჩვენ ორი გოლით ვუპასუხებთო. ჩვენ შეგნებულად ვთქვით უარი წმინდა ნახევარმცველებზე — ჩვენს გუნდში არიან თავდამსხმელები და მცველები. ცხადია, ზოგიერთი ფორვარდი ცოტა უკან თამაშობს, მაგრამ უკლებლივ ყველას ერთი დევიზი აქვს: ბურთის გატანაო.

საერთოდ, მენოტი ერთობ დიდი პოპულარობით სარგებლობდა. ჟურნალისტებთან საუბარში და პრესკონფერენციებზე იგი თანდათან ზრდიდა თავისი გუნდის აქციებს: ჯერ თქვა, ჩემი აზრით, ჯგუფურ ტურნირში ხელი არ უნდა მოგვეცაროსო, მერე განაცხადა, ჩვენი მიზანი მუწინავე ოთხეულში მოხვედრააო. შემდეგ — კარგია, თუ ფინალ-

ში გავალთო, დაბოლოს — უეჭველად, უდავოდ შოვიგებთ ოქროს მედლებსო. ჩვენი ბიჭები ამ იდეით და მიზნით არიან გამსჭვალული, მათი მიზანსწრაფვა, ტექნიკური, ტაქტიკური და ფიზიკური მომზადების დონე, სამშობლოსთვის თავდადება იმის უტყუარი გარანტიაა, რომ სანუკვარ მიზანს მივაღწევთო.

მენოტი ძალიან უკმაყოფილო იყო ბრაზილიელებთან შეხვედრით (სხვათა შორის, ბრაზილიელები იმ დღესაც უფრო საკუთარი კარის უსაფრთხოებისთვის. ზრუნავდნენ, ვინემ მეტოქის კარის ალებისთვის. როგორ არ ჰგავდა ბრაზილიის „არგენტინული“ ნაკრები თავის „მექსიკურ“ წინამორბედს!).

მენოტიმ პირდაპირ ასე თქვა:

— ბრაზილიელებთან ჩემს ბიჭებს მოგება უნდოდათ და მეტი არაფერი, უბრძოლველად ლამობდნენ გამარჯვებას. ეს კი ყოვლად შეუძლებელია. აბა როგორ შეიძლება არ ითამაშო და მოიგო?!

ბრაზილიის ნაკრებთან მატჩში კი სწორედ ასე გამოვიდა: არგენტინელები აჰყვნენ მეტოქეს ბურთის მონოტონურ, დინჯ გათამაშებაში და ჩვეული ტემპიანი, ცეცხლოვანი ფეხბურთი თითქოს დაივიწყეს. ერთი-ორჯერ გამოცოცხლდნენ და... ერთ მომენტში ბრაზილიელთა კარი ძლივს გადაურჩა აშკარა გოლს...

არგენტინელთა გუნდის სასარგებლოდ კიდევ იმის თქმა შეიძლება, რომ მეკარეთა შორის ყველას სჯობდა ფილოლი, რომელმაც პრაქტიკულად თითქმის უშეცდომოდ ჩაატარა მთელი ჩემპიონატი, ზალხმაც და პრესამაც ფილოლი ეროვნული გმირის რანგამდე აამაღლა. მცველთა შორის საუკეთესოდ აღიარეს ნაკრების კაპიტანი პასარელა. აჯი მართლაც საუცხოოდ თამაშობდა, თუმცა, ჩემი აზრით, გფრ-ის სტოპერები ბევრად არ ჩამოუვარდებოდნენ.

თავდასხმაში უდავოდ ყველას სჯობდა კემპესი — ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი, პირველი ბომბარდირი და, ჩემი აზრით, XI ჩემპიონატის ერთადერთი სუპერვარსკვლავი. „მწვანე მინდვრის რაინდი“ (ეს ეპითეტი პრესაში ერთობ ხშირად გვხვდებოდა) სრულყოფილად

ფლობს ფეხბურთის მთელ ტექნიკურ და ტაქტიკურ არსენალს, უაღრესად სწრაფი, საზრიანი და, ამავე დროს, ძალზე კორექტულია.

საინტერესოა, რომ უცხოეთში მოთამაშე კემპესი არგენტინაში ისე პოპულარული არ გახლავთ, როგორც ამ ქვეყნის ზოგიერთი სხვა ფეხბურთელი (ლუკე, ბერტონი), ზოგჯერ მას მოღალატესაც კი უწოდებენ. ამასთან დაკავშირებით ერთი პატარა ამბავი მახსენდება. გიგლა ფირცხალავამ არგენტინელთა მორიგი წარმატების აღსანიშნავად გამართული ზეიმის დროს ქუჩაში ერთ ათი-თორმეტი წლის ბიჭუნას მხარზე ხელი დაჰკრა და უთხრა, კემპესი ხარო. განრისხებულმა ბიჭუნამ ხელები გაასავსავა და შესძახა:

— ნოო, ნოო, ბერტონი!

ისიც უთუოდ უნდა აღინიშნოს, რომ არგენტინის ნაკრებმა მსოფლიოს XI ჩემპიონატის ყველაზე კორექტული გუნდის პრიზი დაიმსახურა.

სიახლენი თუ იყო?

XI ჩემპიონატს, ჩემი აზრით, ახალი არაფერი უთქვამს, მაგრამ განა სავალდებულოა ყოველმა ახალმა ჩემპიონატმა ახალი იდეები წარმოშვას? ერთადერთი, რაც არგენტინაში გამართული ასპარეზობის შესახებ შეიძლება ითქვას, ის არის, რომ წინა, X ჩემპიონატის მონაპოვარი — ტოტალური ფეხბურთი ახალმა ჩემპიონებმა კიდევ უფრო მაღალ დონეზე წარმოადგინეს და, რაც მთავარია, კაცის გონებისთვის თითქოსდა მიუწვდომელი სისწრაფე შემატეს. უსწრაფესი ტოტალური ფეხბურთი — აი, არგენტინელთა მთავარი, კოზირი, რომლის შემწეობითაც მათ მიაღწიეს კიდევ სანადელს. ამავე დროს XI პირველობამ ერთხელ კიდევ დაადასტურა, რომ წარმატებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება შუა მინდვრის სწრაფად გავლას. და თუ ბრაზილიელებმა მეტ წარმატებას ვერ მიაღწიეს, მიზეზი ისიც იყო, რომ მათი გუნდი მეტისმეტად ნელა, ზო-

ზინითა და გაუთავებელი გადაცემებით გადიოდა მინდვრის ამ მონაკვეთს.

ისე, კაცმა რომ თქვას, უძლიერესის სახელისთვის სამი გუნდი იბრძოდა და, რომელიც უნდა გამხდარიყო ჩემპიონი, ალბათ ალალი იქნებოდა. ეს სამი გუნდი იყო, ჩემი აზრით, არგენტინა, პოლანდია და იტალია.

ბრაზილია?

ბრაზილიის ნაკრებიც ხომ იბრძოდა უძლიერესის სახელისთვის? დიახ, იბრძოდა, მაგრამ, როგორც არაერთხელ აღვნიშნე, ტაქტიკური და ფსიქოლოგიური თვალსაზრისით იგი სრულიად არ იყო მზად ჩემპიონის წოდების მოსახვეჭად. ამ უკმარი, მერყევი მომზადების ნათელ ილუსტრაციად ისიც გამოდგება, რომ ბრაზილიის გუნდმა მსოფლიო რეკორდი დაამყარა... პროტესტების წერაში. უნდა ითქვას, რომ ბრაზილიელთა არც ერთი პროტესტი არ დააკმაყოფილეს — სრული უსაფუძვლოების გამო.

როგორც ვითხარით, დასავლეთ გერმანიის ნაკრებმა ძალიან გამიცრუა იმედი. იგი ყველაზე მეტად ზრუნავდა ჯაცვაზე (სხვათა შორის ბრაზილიელებსაც იგივე სენი სჭირდათ) და, ცხადია, ვერაფერს გახდა, ვინაიდან ეს ჩემპიონატიც, როგორც მისი წინამორბედი, მოიერიშე ფეხბურთის ზეიმი იყო. გერმანელებს მართლაც ჩინებულად ჰქონდათ მოგვარებული დაცვის საქმე, მაგრამ იერიში არ გამოსდიოდათ. შეტევის დამამთავრებელ ფაზაში ისინი ყველაზე მეტად კლაუს ფიშერზე ამყარებდნენ იმედს — კომბინაციებს სწორედ ფიშერის უნარის გათვალისწინებით აგებდნენ. ფიშერს ნაკრების 11 მატჩში 12 გოლი ჰქონდა გატანილი ახლა კი ველარ იცნობდით: თითქოს ფეხები დაუბორკა რალაცამ და თავისებური „რეკორდიც“ დაამყარა: 673 წუთის განმავლობაში გოლი ვერ გაიტანა. მერე ფიშერს აშკარად უმუხთლა ბედმა. პოლანდიელებთან მატჩის წინა ღამეს ძილში კისერი იღრძო და ექიმმა მინდორზე გამოსვლის უფლება არ მისცა.

ყოველივე ზემოთქმულს ისიც უნდა დავუმატოთ, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გუნდი საკმაოდ „ხანდაზმული“ გახლდათ.

სწორედ „ხანდაზმულობის“ მსხვერპლი გახდა პოლონეთის ნაკრებიც, რომელმაც თითქმის მთლიანად ძველი, X ჩემპიონატის მონაწილე შემადგენლობა ჩამოიყვანა არგენტინაში: ტომაშევსკი, გორგონი, ლატო, შარმახი, დეინა, კასპერჩაკი, შიმანოვსკი... ეს იყო სუსტი გუნდი და ვერც მისი ცალკეული სახელოვანი წევრები თამაშობდნენ საკადრის დონეზე. მაგალითად, დეინა უამრავ შეცდომას უშვებდა გადაცემების დროს.

როგორც აღვნიშნე, მე პოლანდიის ნაკრებს ვემხრობოდი — ფინალურ მატჩში ძალიან მსურდა მისი გამარჯვება. უკუდად ნათამაშევი პირველი ტაიმის შემდეგ პოლანდიელებმა ძალზე ძლიერად ჩაატარეს მეორე ტაიმი და ერთ მომენტში ახლოსაც იყვნენ ოქროს მედლებთან, თუმცა თავიდან ეს მომენტი საგოლეს თითქოს არც ჰგავდა.

დამატებით დროში (30 წუთს) მინდორზე ბატონობდნენ არგენტინელები, რომლებმაც პირდაპირ გრიგალი დაატრიალეს „რივერ პლეიტზე“. როგორც თავში ვთქვი, მატჩის შემდეგ ვაღიარე, უსამართლობა იქნებოდა, მეორე ტაიმის მიწურულს არგენტინელებს ის ბურთი რომ გაეშვათ-მეთქი. არგენტინელთა გამარჯვება უდავო და უეჭვო იყო!

კიდევ ზოგი რამ პოლანდიელებზე

მადრიდიდან მოსკოვში მივფრინავთ. დს-9 ნორმალური ზომის თვითმფრინავია და, მიუხედავად საკმაო რყევისა, სალონში სიმშვიდე სუფევს. ჩემგან მარცხნივ სხედან ჩვენი გიდი-თარჯიმნები და ეს-ესაა დარიგებულ ყურნალ-გაზეთებს ათვალეირებენ.

უეცრად ერთმა მათგანმა გაკვირვებით რაღაც ნამოიძახა და ესპანური გაზეთი „ია“ გამოგვიჩინა. პირველ გვერდზე გარკვევით ეწერა: „სუურბიერი და კროლი დაქორწინდნენ“. საყოველთაო გაოცება! იმავე წერილში ისიც ნაწილობით, პოლანდიის ნაკრების მოთამაშეთა უმრავლესობა თავისი ქვეყნის ჰომოსექსუალისტთა კავშირის წევრიან.

ვალერი ვინოკუროვმა ხუმრობით შესძახა:

— კიდევ კარგი, ჰოლანდიელებმა ფინალი წააგეს!

ლიდამ (ასე ერქვა თარჯიმანს) წერილი რომ ჩაათავა, სიცილი ვერ შეიკავა: სტატიის ბოლოს წერილი შრიფტით იყო დაბეჭდილი, რომ ყოველივე ეს არგენტინელი ჟურნალისტის მონაჩმახი ყოფილა. იგი თავის ამასწინანდელ მეტოქეს ზნეობრივი კუთხითაც ანადგურებდა.

ჩემპიონატში ჰოლანდიის გუნდმა ძალიან კარგი შთაბეჭდილება მოახდინა, თუმცა ჩემთვის დღემდე გაუგებარია რენსენბრინკის საშუალო თამაში. იგი რატომღაც განმარტოებით დადგებოდა ხოლმე მარცხენა ფლანგზე, თამაშში, ცხადია, ხშირად ებმებოდა, მაგრამ დისპეტჩერის მოვალეობის შესრულებაზე, რაც მას კლუბში აქვს დაკისრებული, არც ფიქრობდა და არც აპირებდა. ამ როლს ახლა იმავე კლუბში მოთამაშე ჰაანი ასრულებდა. გაუგებარია, რატომ შეიცვალეს ამპლუა.

...„ჰოლანდიის ნაკრები მალე არსებითად ხელახლა ჩამოყალიბდება, რათა საწვრთნელი თამაშების შემდეგ სექტემბერში წარმატებით აიღოს სტარტი ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებში“, — განაცხადა ჰოლანდიელთა ახალმა მწვრთნელმა იან შვარტკრუისმა, რომელმაც არგენტინის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ ამ პოსტზე შეცვალა ავსტრიელი ერნსტ ჰაპელი.

ახალი მწვრთნელის ინტერვიუ ბერლინის გაზეთ „დოიჩეს შპორტეჰომ“ დაბეჭდა.

ამ საუბრიდან ერთი ადგილი განსაკუთრებით საყურადღებოდ მიმაჩნია. შეკითხვა ასეთი იყო:

— არგენტინის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალის შემდეგ ჰოლანდიის ნაკრების რამდენიმე გამოჩენილმა ფეხბურთელმა გამოაცხადა, გუნდს ვტოვებთო. მიგაჩნიათ თუ არა თქვენ, რომ ჰოლანდიის ნაკრებისთვის ეს მნიშვნელოვანი დანაკარგი იქნება?

პასუხი: არა, მე უმეტესად ახალგაზრდობას ვეყრდნობი. ჰოლანდიაში ბევრი ნიჭიერი, პატივმოყვარე ფეხბურთელია, რომელთაც შემოიძლია ადგილი შეეთავაზო. არგენტინაში უკრუიფოდ გავსულიყავი და ვფიქრობ, ევროპის ჩემ-

პიონატშიც როგორმე გადავიტანთ რენსენბრინკის არყოფნას, თუ იგი მართლაც წავა ნაკრებიდან.

რამდენიმე სხვა ცნობა

როგორც ცნობილია, მსოფლიო ჩემპიონატებში ოფიციალურად არ ხდება იმ 12 გუნდის კლასიფიკაცია, რომლებიც უძლიერესთა კვარტეტის მიღმა რჩებიან. არაოფიციალურად მათ განალაგებენ დაგროვილი ქულებისა და ბურთების ბალანსის გათვალისწინებით. მსოფლიოს XI ჩემპიონატში ჩათვლის ამგვარი სისტემის მიხედვით V ადგილზე აღმოჩნდა გფრ-ის ნაკრები. დანარჩენი ადგილები ასეთი თანამიმდევრობით განაწილდა: VI — ავსტრია, VII — პოლონეთი, VIII — პერუ, IX — შოტლანდია, X — ტუნისი, XI — ესპანეთი, XII — საფრანგეთი, XIII — შვეცია, XIV — ირანი, XV — უნგრეთი, XVI — მექსიკა.

ჩემპიონატის დამთავრებისთანავე არგენტინაში აკრედიტებულმა ჟურნალისტებმა შეადგინეს სიმბოლური ნაკრები არა მარტო ფინალური სტადიის, არამედ მთელი პირველობის მიხედვით. შემდეგ გამოიჩვენა, რომ ვარსკვლავთა სიაში 60-ზე მეტი ფეხბურთელი იყო დასახელებული და ამიტომ გადანყდა მეორე ნაკრების შედგენაც.

პირველი ნაკრები: ფილოლი (არგენტინა) — ფოგთსი (გფრ), ამარალი (ბრაზილია), კროლი (პოლანდია), ტარანტიანი (არგენტინა) — კაუზიო (იტალია), დირსეუ (ბრაზილია), რენსენბრინკი (პოლანდია) — როსი (იტალია), კემპესი, ბერტონი (ორივე — არგენტინა).

მეორე ნაკრები: ლეაო — ტონინიო (ორივე — ბრაზილია), პეცაი (ავსტრია), ტრეზორი (საფრანგეთი), დიცი (გფრ) — ბენეტი, ტარდელი (ორივე — იტალია), ჰაანი (პოლანდია) — რობერტო (ბრაზილია), კრანკლი (ავსტრია), ბეტეგა (იტალია).

ნება მომეცით „ჩემი ნაკრები“ შემოგთავაზოთ: ფილოლი (არგენტინა) — ფოგთსი (გფრ), ამარალი (ბრაზილია), პასარელა (არგენტინა), ჯენტილე — ბენეტი, ტარდელი (სა-

მივე — იტალია), დირსეუ (ბრაზილია) — ბერტონი, კემპესი (ორივე — არგენტინა), როსი (იტალია).

ჰორიზონტზეა ესპანეთის სტადიონები

აქეთობას მადრიდში კიდევ ორ დღეს გავერდით. ისევ კარგი სასტუმრო, ისევ უამრავი თავისუფალი დრო, ისევ პრადო, სერვანტესის ძეგლი, სანტიაგო ბერნაბეუს სტადიონი... (ფეხბურთის ცნობილი მეცენატი ბერნაბეუ XI ჩემპიონატის დღეებში გარდაიცვალა).

არგენტინიდან წამოსვლის წინა დღეს პრესცენტრში შემდეგი, XII ჩემპიონატის (1982 წ.) მასპინძლებმა — ესპანელებმა ჟურნალისტებს დიდებული საჩუქარი გვიბოძეს: მომავალი პირველობის საორგანიზაციო კომიტეტის მიერ მშვენივრად გამოცემული, უხვად დასურათებული სქელი ბიულეტენი. მასში მოთხრობილია ესპანეთის ფეხბურთის ისტორია, დახასიათებული არიან ეროვნული გუნდის წევრები, დაბეჭდილია ძალიან საინტერესო საცნობარო და სტატისტიკური მასალები, სტადიონების ფერადი ილუსტრაციები და ამ ბაზების შესაბამისი აღწერილობა. ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციას ჯერ გადანყვეტილი არა აქვს, სად ჩაატარებს XII ჩემპიონატის მატჩებს. მხოლოდ ისაა ცნობილი, რომ ერთი ჯგუფი იასპარეზებს მადრიდში, მეორე — ბარსელონაში. სხვა ჯგუფების (შესაძლოა, მონანილეთა რაოდენობა 16-ზე მეტი იყოს) მასპინძლობა იმ ქალაქებს დაეკისრებათ, სადაც უკეთ მომზადებული და მოვლილი სტადიონები იქნება.

ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციამ, როგორც ხედავთ, ერთობ ჭკვიანურ ხერხს მიმართა — ქვეყნის ყველა პირველხარისხოვანი სტადიონი ჩააბა მომავალი ჩემპიონატისთვის სამზადისში. მოვა დრო და იგი გამოაცხადებს სტადიონების კონკურსს, რაც ძალიან გონივრული და პერსპექტიული გადანყვეტილება იქნება. ჯერჯერობით კი, მადრიდისა და ბარსელონის გარდა, მომავალი ჩემპიონატისთვის ემზადებიან სარაგოსის, ალიკანტეს, მალაგის, ლა

კორუნიის, სევილიის, ვიგოს, ოვიედოს, ვალენსიისა და სხვა ქალაქების სტადიონები.

ბოლოთქმა

მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ პრესაში ხშირად შეხედებით ასეთ კითხვას: „გახდებოდა თუ არა ჩემპიონი არგენტინის ნაკრები, მსოფლიო პირველობა სხვა ქვეყანაში რომ გამართულიყო?“ ან კიდევ: „მართლა ყველაზე ძლიერი გუნდია არგენტინის ნაკრები?“ ერთი გაზეთი კი პირდაპირ წერდა: „არგენტინისა და ჰოლანდიის ნაკრები გუნდების მომავალ მატჩში (ლაპარაკია ფიფა-ს 75-ე წლისთავთან დაკავშირებულ თამაშზე. — მ. კ.) ჰოლანდიელები უთუოდ გაიმარჯვებენ“.

მე ყველა ეს კითხვა და შეხედულება რიტორიკულად და უაზროდ მეჩვენება. როგორ შეიძლება საკითხის ამგვარად დასმა, ეს ხომ ყბადაღებული პროგნოზების სფეროდან აღებული შეკითხვებია. რა პასუხი შეიძლება გაეცეს პირველ ან მეორე კითხვას? ჰოლანდიის ნაკრებმა შესაძლოა მართლაც სძლიოს 1979 წლის აპრილში არგენტინის გუნდს... მერე რა? ამას რა მნიშვნელობა აქვს ან რა კავშირში იქნება ეს ფაქტი მსოფლიოს XI ჩემპიონატთან?

მე უკვე გამოვთქვი შეხედულება მსოფლიოს ახალ ჩემპიონზე. ახლა ჩემი პოზიციის გასამაგრებლად ალფრედო დი სტეფანოს სიტყვებს მოვიშველიებ: „...საუკეთესოა თუ არა არგენტინის ნაკრები მსოფლიოში, ეს სადავო საკითხია. მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ აქ, არგენტინაში, იგი საუკეთესო გუნდია“.

ისიც ნუ დაგავიწყდებათ, რომ, სამწუხაროდ, არგენტინის ნაკრები, ფაქტიურად, აღარ არსებობს და შესაძლოა, ამ შემადგენლობით არც აღარასოდეს შეიკრიბოს.

მაგრამ, როგორც ლეოპოლდო ლუკე ამბობს, „არგენტინაში ბევრი ახალგაზრდა ნიჭიერი ფეხბურთელია. თუ მათთან, როგორც წესი და რიგია, ნაიმუშავებენ, თუ მათაც ისე შეაკავშირებენ, როგორც ჩვენ მენოტიმ შეგვაკავშირა,

შესაძლოა ოთხი წლის შემდეგ არგენტინელებმა სერიოზულად იბრძოლონ მსოფლიო თასის შესანარჩუნებლად“.

ამგვარი ოპტიმისტური ვარაუდის მტკიცე საფუძველია ჩვენს მიერ ნანახი ფეხბურთელი ბიჭების ტექნიკური მომზადებაც, რომელიც ზღაპრულ სიმაღლეზეა აყვანილი...

ისე კი, ჩემი აზრით, 1982 წელს მსოფლიოს XII ჩემპიონატში გამარჯვების დიდი შანსი ექნება მასპინძელი ქვეყნის — ესპანეთის ნაკრებს. ეს გუნდი თავისთავადაც ძალიან ძლიერია, იქ კი ამ ძალას დაემატება მასპინძლისთვის „თანდაყოლილი“ სხვა ფაქტორები: „საკუთარი კედლებისა“ და „მაამებელი მსაჯობის“ ფაქტორები (არგენტინაშიც იგრძნობოდა მსაჯების ერთგვარი კეთილგანწყობილების ტენდენცია მასპინძელი ქვეყნის გუნდის სასარგებლოდ. აქვე უნდა ითქვას, რომ ამ ტენდენციას მატჩების შედეგებზე მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია).

ამავე დროს, თუ რაიმე გაუთვალისწინებელი ამბავი არ მოხდა, ესპანეთის ნაკრებში ვიხილავთ მარხო კემპესს, რომელმაც ესპანეთის მოქალაქეობა მიიღო. ცხადია, ეს შესანიშნავი ფეხბურთელი კიდევ უფრო გააძლიერებს ესპანელთა ისედაც ძლიერ გუნდს.

ბედნიერი იქნება, ვინც 1982 წელს ესპანეთის რომელიმე ქალაქის სტადიონის ტრიბუნაზე დაიკავებს ადგილს. ეს სიხარული გაასკეცდება, თუ საბჭოთა კავშირის ნაკრები ესპანეთის საგზურს მოიპოვებს და სამყაროს დაუმტკიცებს, რომ მასაც ძალუძს ფეხბურთის თამაში.

სტატისტიკოსის გლოკნოტიდან

თართვათივა

გსოფლიო

ჩავიონათის

ფინალურ

ასპარუოგათა

308

მატჩი:

გუნდების

შემაღბენლოგები.

შესვედრათა

შედეგები,

გოლები,

წუთები,

მსაჯები...

I ჩემპიონატი

1930 წელი, ურუბვაი

ყველა მატჩი 13—30 ივლისს გაიმართა მონტევიდეოში.

I ჯგუფი

საფრანგეთი — მექსიკა 4:1 (8:0)

საზრანბმთი: ტეპო, მატლერი, კაპელი, ვიიალანი, პინელი, შანტრელი, ლიბერატი, დელფური, მაშინო (2), ლორანი (1), ლანჯიერი (1).

შეპსნიპა: ბონფილიო, გიტერესი, მ. როსახი, ფ. როსახი, სანჩესი, ამესკუა, პერესი, კარენო (1), მეხია, რუისი, ლოპესი.

მსაჯი: ლომბარდი (ურუგვაი).

არგენტინა — საფრანგეთი 1:0 (0:0)

არბენტინა: ბოსიო, დელა ტორე, შუტისი, სუარესი, მონტი (1), ს. ევარისტო, პერინეტი, ვარაიო, ფერეირა, კერო, მ. ევარისტო.

საზრანბმთი: ტეპო, მატლერი, კაპელი, ვიიალანი, პინელი, შანტრელი, ლიბერატი, დელფური, მაშინო, ლორანი, ლანჯიერი.

მსაჯი: რეგო (ბრაზილი).

ჩილე — მექსიკა 3:0 (1:0)

ჩილე: კორტესი, შორალესი, პუარიე, ა. ტორესი, სავედრა, ელხეტა, ოხედა, სუბიაბრე (2), ვიიალოზოსი, ვიდალი (1), შენერბერგერი.

შეპსნიპა: სოტა, გიტერესი, მ. როსახი, ფ. როსახი, სანჩესი, ამესკუა, პერესი, კარენო, რუისი, გაიონი, ლოპესი.

მსაჯი: კრისტოფი (ბელგია).

არგენტინა — მექსიკა 0:3 (8:0)

არბენტინა: ბოსიო, დელა ტორე, პატერნოსტერი, ჩივიდინი, სუმელსუ (1), ორლანდინი, პესელი, ვარაიო (2), სტაბილე (3), დემარია, სპადარო.

შეპსნიპა: ბონფილიო, რ. გიტერესი, ფ. გიტერესი, მ. როსახი (1), სანჩესი, როდრიგესი, ფ. როსახი (1), ლოპესი (1), გაიონი, კარენო, ოლივარესი.

მსაჯი: საუჩედო (ბოლივია).

ჩილე — საფრანგეთი 1:0 (0:0)

ჩილე: კორტესი, ჩაპარო, შორალესი, ა. ტორესი, სავედრა, ჩ. ტორესი, ოხედა, სუბიაბრე (1), ვიიალოზოსი, ვიდალი, შენერბერგერი.

საზრანბმთი: ტეპო, მატლერი, კაპელი, შანტრელი, დელმერი, ვიიალანი, ლიბერატი, დელფური, პინელი, ვეინანტი, ლანჯიერი.

მსაჯი: ტეხადო (ურუგვაი).

არგენტინა — ჩილე 3:1 (2:1)

არგენტინა: ბოხო, დელა ტორე, პატერნოსტერო, ხ. ევარისტო, მონტა, ორლანდინი, პესელი, ვარაიო, სტაბილე (2), ფერეირა, მ. ევარისტო (1).

ჩილე: კორტესი, ჩაპარო, მორალესი, ა. ტორესი, ხავედრა, ჩ. ტორესი, არეიანე, სუბიაბრე (1). ვილალობსი, ვიდალი, აგილერა.

მსაჯი: ლანუენიუ (ბელგია).

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
1. არგენტინა	3	3	0	0	10:4	0
2. ჩილე	2	2	0	1	6:3	4
3. საფრანგეთი	2	1	0	2	4:2	2
4. მექსიკა	2	0	0	2	4:12	0

II ჯგუფი

იუგოსლავია — ბრაზილია 2:1 (2:0)

იუგოსლავია: იაკსიჩი, ივკოვიჩი, მიხაილოვიჩი, არსენიევიჩი, სტეფანოვიჩი, დოკიჩი, ტირნანაჩი (1), ხ. მარიანოვიჩი, ბეკი (1), ვუიადინოვიჩი, ხეკულიჩი.

ბრაზილია: მონტეირო, კოსტა, ერევასონი, ფონსეკა, ხანტოსი, ჯუდიჩელი, რიბეირო, ბრაგა, პატესკო, ნეტო (1), პერეირა.

მსაჯი: ტეხადა (ურუგვაი).

იუგოსლავია — ბოლივია 4:0 (1:0)

იუგოსლავია: იაკსიჩი, ივკოვიჩი, მიხაილოვიჩი, არსენიევიჩი, სტეფანოვიჩი, დოკიჩი, ტირნანაჩი, მარიანოვიჩი (1), ბეკი (2), ვუიადინოვიჩი (1), ნაიდანოვიჩი.

ბოლივია: ბერმუდესი, დურანდასი, ჩავარია, არგოტე, ლარა, ვალდერამა, გომესი, ბუსტამანტე, მენდესი, ალბორტა, ფერნანდესი.

მსაჯი: მატეუჩი (მექსიკა).

ბრაზილია — ბოლივია 4:0 (1:0)

ბრაზილია: ვეიოსო, ერევასონი, ოლავეირა, ფონსეკა, ხანტოსი, ჯუდიჩელი, მენდესი, კეიროსი, ლეიტე, ნეტო (2), ვიზინტაინერი (2).

ბოლივია: ბერმუდესი, დურანდალი, ჩავარია, ხაინსი, ლარა, ვალდერამა, ორტესი, ბუსტამანტე, მენდესი, ალბორტა, ფერნანდესი.

მსაჯი: ხალვაი (საფრანგეთი).

1. იუგოსლავია	2	2	0	0	6:1	4
2. ბრაზილია	2	1	0	1	5:2	2
3. ბოლივია	2	0	0	2	0:3	0

III ჯგუფი

რუმინეთი — პერუ 1:0 (1:0)

რუმინეთი: ლაუნენაუ, შტანერო, ბურგერი, რაფინსკი, ფოგლი, აიხემბაიზერი, კოვანი, დესუ, ვეცერი, ხტაუჩინი (2), ბარბუ (1).

პერუ: ვალდვიგო, დე ლას კახასი, სორია, გალინდო, გარსბა, ვაიე, ფლორესი, ვიიანუევა, დენებრა, ნეირა, სოუბა (1).

მხაჩი: ვარკენი (ჩილე).

ურუგვაი — პერუ 1:0 (0:0)

ურუგვაი: ბაიესტეროსი, ნაზაცა, ტხერა, ანდრადა, ფერნანდესი, გესტიდო, ურდინარანი, კასტო (1), პეტრონე, ჩეა, ირიარტე.

პერუ: პარდონი, დე ლას კახასი, მაკოიონი, დენებრა, გალინდო, ასტენგო, ლავალი, ფლორესი, ვიიანუევა, ნეირა, სოუბა.

მხაჩი: ლანუენიუ (ბელგია).

ურუგვაი — რუმინეთი 1:0 (4:0)

ურუგვაი: ბაიესტეროსი, ნაზაცა, მახერონი, ანდრადა, ფერნანდესი, გესტიდო, დორადო (1), სკარონე (1), ანხელმო (1), ჩეა (1), ირიარტე.

რუმინეთი: ლაუნენაუ, ბურგერი, ტაჩუ, როზე, ფოგლი, აიხემბაიზერი, კოვანი, დესუ, ვეცერი, რაფინსკი, ბარბუ.

მხაჩი: რეგო (ბრაზილია).

1. ურუგვაი	2	2	0	0	5:0	4
2. რუმინეთი	2	1	0	1	3:5	2
3. პერუ	2	0	0	2	1:4	0

IV ჯგუფი

აშშ — ბელგია 3:0 (2:0)

აშშ: დუგლასი, ვუდი, მურპაუსი, ვალაგერი, ტრეისი, ბრაუნი, გონსალვები, ფლორი, პატენოდი (1), ოულდი, მაკვი (2).

ბელგია: ბადეუ, ნუნესი, პოიდონქსი, ბრენი, პელმანსი, დე კლერკი, დიდენსი, მეშალი, ადამსი, ფოორპოოფი, ფერსიიპი.

მხაჩი: მაჩიახი (არგენტინა).

აშშ — პარაგვაი 3:0 (2:0)

აშშ: დუგლასი, ვუდი, მურპაუსი, ვალაგერი, ტრეისი, ოულდი, ბრაუნი, გონსალვები, პატენოდი (2), ფლორი (1), მაკვი.

პარაგვაი: დენისი, ოლმედო, შირაჩა, ერევერო, დიასი, აგირე, ნესი, დონგეხი, გონსალესი, კაჩერესი, პენია.

მსაჯი: შაჩიახი (არგენტინა).

პარაგვაი — ბელგია 1:0 (1:0)

პარაგვაი: პ. ბენიტესი, ოლმედო, ფლორესი, ს. ბენიტესი, დიასი, გარხეტე, ნესი, რამერო, გონსალესი, კაჩერესი, პენია (1).

ბელგია: ბადუ; დე დიკენი, ჰოიდონჯი, ბრენი, ჰელმანსი, შეშალი, ფერსიანი, დელბეკი, ადამსი, ნუნენი, დიდენი.

მსაჯი: ვაიარინო (ურუგვაი).

1. აშშ	2	2	0	0	6:0	4
2. პარაგვაი	2	1	0	1	1:2	2
3. ბელგია	2	0	0	2	0:4	0

ნახევარფინალები

არგენტინა — აშშ 6:1 (1:0)

26 ივლისი.

არგენტინა: ბოტასო, დელა ტორე, პატერნოსტერი, ს. ევარისტო, მონტი (2), ორლანდინი, პესელი, სკოპელი (2), სტაბილე (2), ფერეირა, შ. ევარისტო.

აშშ: დუგლასი, ეუდი, შურპაუსი, გალაგერი, ტრეისი, ოულდი, ბრაუნი, გონსალესი, პატენოდი, ფლორი (1), შაკო.

მსაჯი: ლანუენი (ბელგია).

ურუგვაი — იუგოსლავია 6:1 (3:1)

27 ივლისი.

ურუგვაი: ბაიხეტეროსი, ნაზაცი, შაშერონი, ანდრადე, ფერნანდესი, გესტილო, დორადო, სკარონე, ანხელმო (2), ჩეა (2), ირიატე (1).

იუგოსლავია: იაკსიჩი, ივკოვიჩი, მიხაილოვიჩი, არხენიევიჩი, სტეფანოვიჩი, დოკიჩი, ტარნანიჩი, შარიანოვიჩი, ბეკი, ვუიადინოვიჩი, სეკულიჩი (1).

მსაჯი: რეგო (ბრაზილია).

ფინალი

ურუგვაი — არგენტინა 4:2 (1:2)

- 20 ივლისი.

ურუგვაი: ბაიხეტეროსი, ნაზაცი, შაშერონი, ანდრადე, ფერნანდესი, გესტილო, დორადო, სკარონე, კასტრო, ჩეა, ირიატე.

არბანტინა: ბოტასო, დელა ტორე, პატერნოსტერი, ხ. ევარისტო, მონტი, სუარესი, პესელი, ვარაიო, სტაბილე, ფერეირა, მ. ევარისტო.

გოლები: 1:0 დორადო, 1:1 პესელი, 1:2 სტაბილე, 2:2 ჩეა, 3:2 ირიატე, 4:2 კასტრო.

მსაჯი: ლანუენიუ (ბელგია).

II ჩ ე მ კ ი ო ნ ა ტ ი

1934 წელი. იტალია

მერვედფინალები

შვეცია — არგენტინა 3:2 (1:1)

ბოლონია, 27 მაისი.

შვეიცია: რიდბერგი, აქსელსონი, ხ. ანდერსონი, კარლსონი, როზენი, ე. ანდერსონი, დუნკერი, გუსტაფსონი, იონასონი (2), კელერი, კრონი (1).

არგენტინა: ფრეში, პედვეია, ბელიხი (1), ნეპინი, სოსა-ურბიეტა, ლოპესი, რუა, ვილდე, დე ვინჩენცი, გალატეო (1), ირანეტა.

მსაჯი: ბრაუნი (ავსტრია).

ესპანეთი — ბრაზილია 3:1 (3:1)

გენუა, 27 მაისი.

ესპანეთი: ზამორა, ჩირიაკო, კინოსხეხი, ხილაურენი, მუგერსა, მარკულეტა, ლაფუენტე, იარაგორი (1), ლანგარა (2), ლეკე, გოროსტინა.

ბრაზილია: პედროსა, მაცი, ლუსი, ტინოკო, მარტიმი, არმანდინო, კანალი, ოლივეირა, დე ბრიტი, ლენიდასი (1), პატესკო.

მსაჯი: ბირლემი (გერმანია).

ჩეხოსლოვაკია — რუმინეთი 2:1 (0:1)

ტრიესტი, 27 მაისი.

ჩეხოსლოვაკია: პლანიჩკა, ვენიშეკი, ჩტიფოკი, კოშტალეკი, ჩამბალი, კრჩილი, იუნეკი, ხილნი, სობოტკა, ნეიედლი (1), პუჩი (1).

რუმინეთი: ზამბორი, ფოგლი, ალბუ, დეელანუ, კოტორმანი, მორავეტი, ბინდუა, კოვაჩი, სეპი, ბოდოლა, დობაი (1).

მსაჯი: ლანუენიუ (ბელგია).

იტალია — აშშ 7:1 (3:0)

რომი, 27 მაისი.

იტალია: კოშბი, როზეტა, ალემანდი, პიცოლო, მონტი, ბერტოლინი, გუარინი, მეაცა (1), სკიაფიო (3), ფერარი (1), ორსი (2).

პშშ: მიუღონა, ჩერკევიზი, შურპაუსი, პეტრაში, გონხალვესი, ფლორი, ჩიანი, ნილხენი, დონელი (1), დიკი, მაკლიანი.

შხაჟი: მერხე (შვეიცარია).

გერმანია — ბელგია 5:2 (1:2)

ფლორენცია, 27 მაისი.

გერმანი: კრეხი, პარინგერი, შვარცი, იანესი, შეპანი, ზელინსკი, ლე-იერი, ჰომანი, კონენი (2), ზიფლინგი (1), კობიერსკი (1).

ბელგია: ვანდევინერი, სმელინკი, იოახიმი, პეერერი, ველკენაიზენი, ლიხენი, დევიტი, ფოორპოოფი (2), კაპელი, გრიშონარე, პელმანნი.

შხაჟი: მატეა (იტალია).

შვეიცარია — ჰოლანდია 3:2 (2:1)

მილანი, 27 მაისი.

შვეიცარია: ხეშეპაიე, მინელი, ვაილერი, ვინშარი, ფაკარი, ჰუფშმიდი, ფონ კენელი, პახელი, კილპოლცი (2), აბეგლანი (1), ბოსი.

ჰოლანდია: ვან დერ მელენი, ვებერი, ვან რუნი, პელიკანი, ანდერი-სენი, ვან პიელი, ვილხი, ფენტე (1), ბაიუსი, შმიტი (1), ვან ნილენი.

შხაჟი: ეკლინდი (შვეიცია).

უნგრეთი — იტალია 4:2 (2:1)

ნეპოლი, 27 მაისი.

უნგრეთი: ა. ხაზო, ფუტო, შტერნბერგი, პალოტაში, ხიჩი, ლაზარი, სარკოში, ვინე (1), ტელიკი (1), ტოლდი (2), ფ. ხაზო.

იტალია: ქეშალი, ალი კაფი, პამიტო, ელ ფარი, რეფათი, ჩაიაბი, ლა-ტიფო, ფაუზი (2), ქუქთარი, მ. ქეშალი, პასანი.

შხაჟი: ბარლახინა (იტალია).

ავსტრია — საფრანგეთი 3:2 (1:1, 1:1) დამატებით დროში

ბუენოს აირესი, 27 მაისი.

ავსტრია: ა. ტერი, კიზარი, ხესტა, ვაგნერი, შმიტიკი, ურბანეკი, ცი-ფიცი, ჰაიხი (1), ანდელარი (1), შალი (1), ფირტილი.

საფრანგეთი: კაპო შერეხი, მატლერი, დელფური, ვერიე (1), ლანსი, კ. დიერი, ჰუაზარი, ნიკოლა (1), რიო, ასტონი.

შხაჟი: ვან შორაშელი (ჰოლანდია).

გეოგრაფიკული

გეოგრაფიკული — შვეიცარია 3:2 (1:1)

ბუენოს აირესი, 27 მაისი.

გეოგრაფიკული: პლანიჩკა, ენისევი, ჩტიფოკი, კოშტალევი, ჩამხალი, კრილი, იუნ ტო, ხეობოლა (1), ხობოკა (1), ნეიელი (1), პური.

შვეიცარიის: ხეშეპაიფ შინელი, ვაილერი, გინშარი, ეაკარი, ზუფშმიდი, ფონ კენელი, ეეგი (1), კილპოლცი (1), აბეგლანი, ეეგი.

მსახი: ბერანეი (ავსტრია).

გერმანია — შვეიცია 2:1 (0:0)

მილანი, 31 მაისი.

პარმანი: კრეხი, მარინგერი, ბუში, გრამლიპი, შეპანი, ზელინსკი, დენერი, პომანი (2), კონენი, ზიფლინგი, კობიერსკი.

შვეიცარიის: რილბერგი, აქსელსონი, ხ. ანდერსონი, კარლსონი, როზენი, ე. ანდერსონი, დუნკერი (1), იონასონი, გუხტაფსონი, კელერი, კრონი.

მსახი: ბარლახინა (იტალია).

ავსტრია — უნგრეთი 2:1 (1:0)

ბოლონია, 31 მაისი.

ავსტრიის: პლაცერი, კიზარი, სესტა, ვაგნერი, შმიხტიკი, ურბანეი, ციშეი (1), ბიკანი, ზინდელარი, მორვატი (1), ფირტილი.

უნგრეთის: ა. ხაბო, ვაგო, შტერნბერგი, პალოტაში, ხიუჩი, ხალი, მარკოში, ავარი, დრ. შაროში (1), ტოლდი, კემენი.

მსახი: მატეა (იტალია).

იტალია — ესპანეთი 1:1 (0:1, 1:1) დამატებით დროში

ფლორენცია, 31 მაისი.

იტალიის: კომბი, მონცელიო, ალემანდი, პიციოლო, მონტი, კასტელაცი, გუაიტა, მეაცა, სკიავიო, ფერარი (1), ორსი.

ესპანეთის: ზამორა, ჩირიაკო, კინჩოსები, სილაურენი, მუგერსა, ფედე, ლაფუენტი, იბარაგორი, რეგეირო (1), ლანგარა, გოროსტისა.

მსახი: ბერი (ბელგია).

იტალია — ესპანეთი (განმეორებითი შეხვედრა) 1:0 (1:0)

ფლორენცია, 1 ივნისი.

იტალიის: კომბი, მონცელიო, ალემანდი, ფერარის IV, მონტი, ბერტოლინი, გუაიტა, მეაცა (1), ბორელ II, დეშარია, ორსი.

ესპანეთის: ნოგესი, ზაბალო, კინჩოსები, სილაურენი, მუგერსა, ლეკვანტოლრა, რეგეირო, კამპანალი, ჩაჩო, პოში.

მსახი: მერსე (შვეიცარია).

ნახევარფინალები

იტალია — ავსტრია 1:0 (1:0)

მილანი, 8 ივნისი. 33.000 მყურებელი.

იტალიის: კომბი, მონცელიო, ალემანდი, ფერარის II, მონტი, ბერტოლინი, გუაიტა, მეაცა, სკიავიო, ფერარი. ორსი.

პვსტრია: პლატერი, კოზარი, ხესტა, ვაგნერი, შმისტიკო, ურბანეკო, ცი-
შეკო, ბიკანი, ზინდელარი, შალი, ფირტლი.

გოლი: გუაიტა (18).

მსაქი: ეკლინდი (შვეცია).

ჩეხოსლოვაკია — გერმანია 3:1 (1:0)

როში, 8 ივნისი. 15.000 მაყურებელი.

ჩეხოსლოვაკია: პლანიჩკა, ბურგერი, ჩტიეკო, კოშტალეკო, ჩამბალი,
კრჩილი, იუნეკო, ხვობოდა, ხობოტკა, ნეიედლი, პუჩი.

გერმანია: კრესი, ბარინგერი, ბუში, ზელინსკი, შეპანი, ბენდერი, ლე-
ნერი, ზიფლინგი, კონენი, ნოკი, კობიერსკი.

გოლები: ნეიედლი (21, 60, 81), ნოკი (50).

მსაქი: ბარლახინა (იტალია).

შატჩი III ადგილისთვის

გერმანია — ავსტრია 3:2 (3:1)

ნეპოლი, 7 ივნისი, 15.000 მაყურებელი.

გერმანია: აკობი, იანესი, ბუში, ზელინსკი, მიუნცენბერგი, ბენდერი,
ლენერი, ზიფლინგი, კონენი, შეპანი, ჰაიდემანი.

ავსტრია: პლატერი, კოზარი, ხესტა, ვაგნერი, შმისტიკო, ურბანეკო, ცი-
შეკო, ბრაუნი, ბიკანი, ჰორვატი, ფირტლი.

გოლები: ლენერი (1, 42), კონენი (20), ჰორვატი (30), ხესტა (55).

მსაქი: კარარო (იტალია).

ფინალში

იტალია — ჩეხოსლოვაკია 2:1 (0:0, 1:1) დამატებით დროში
როში, 10 ივნისი. 50.000 მაყურებელი.

იტალია: კობი, მონციელი, ალემანდი, ფერარის IV, მონტა, ბერტო-
ლინი, გუაიტა, მუადა, სკიაფიო, ფერარი, ორსი.

ჩეხოსლოვაკია: პლანიჩკა, ენეშიეკი, ჩტიეკო, კოშტალეკი, ჩამბალი,
კრჩილი, იუნეკი, ხვობოდა, ხობოტკა, ნეიედლი, პუჩი.

გოლები: პუჩი (69), ორსი (80), სკიაფიო (87).

მსაქი: ეკლინდი (შვეცია).

III ჩემპიონატი

1938 წელი, საფრანგეთი

შერვედფინალები

შვეიცარია — გერმანია 1:1 (1:1, 1:1) დამატებით დროში
პარიზი, 4 ივნისი.

შვეიცარია: მუხერი, მიხელი, ლემანი, შპინგერი, ვერნატი, ლიორჩე-
რი, ამადო, ვალაშეკი, ბიელი, აბეგლანი (1), ები.

ბერმანი: რაფტლი, იანესი, შჰაუსი, კუაფერი, მრკი, კიცინგერი, ლე-
ნერი, ველეში, გაუხელი (1), მანემანი, კესერა.

მსაქი: ლანენიუ (ბელგია).

შვეიცარია — გერმანია (განმეორებითი შეხვედრა) 4:2 (0:2)

პარიზი, 9 ივნისი.

შვეიცარი: ჰუბერი, შინელი, ლემანი, შპინგერი, ვერნატი, ლიორ-
ნერი (1, საკუთარ კარში), ამაღო, აბეგლანი (2), ბიკელი (1), ვალაშეი (1),
ემა.

ბერმანი: რაფტლი, იანესი, შტრაიტლე, კუაფერი, ვოლდბრუნერი,
სკოუმალი, ლენერი, შტრო, მანემანი (1), შებანი, ნოიმერი.

მსაქი: ეკლინდი (შვეიცია).

კუბა — რუმინეთი 8:8 (0:1, 2:2) დამატებით დროში

ტულუზა, 8 ივნისი.

კუბა: კარვახაღესი, ბარკინი, ჩორენსი, არიასი, როდრიგესი, ბერგესი.
მაიანა (1), ფერნანდესი, სოკორო, ტუნახი (1), სოსა (1).

რუმინეთი: პავლოვიჩი, ბურგერი, შირიოუ, ვინტილა, რახინარუ, რა-
ფინსკი, ბინდუა, კოვაჩი (1), ბარატკი (1), ბოდოლა, დობაი (1).

მსაქი: შარაი (იტალია).

კუბა — რუმინეთი (განმეორებითი შეხვედრა) 2:1 (0:1)

ტულუზა, 9 ივნისი.

კუბა: აირა, ბარკინი, ჩორენსი, არიასი, როდრიგესი, ბერგესი, მაი-
ანა (1), ფერნანდესი, სოკორო (1), ტუნახი, სოსა.

რუმინეთი: ხადოვსკი, ბურგერი, ფელეჩანი, ბარბულესკუ, რახინარუ.
რაფინსკი, ბოგდენი, მოლდოვეანუ, ბარატკი, პრანცლერი, დობაი (1).

მსაქი: ბერლემი (გერმანია).

ჩეხოსლოვაკია — პოლანდია 3:0 (0:0, 0:0) დამატებით დროში

პაერი, 8 ივნისი.

ჩეხოსლოვაკია: პლანიჩკა, ბურგერი, დაუჩიკი, კოშტალეი (1), ბოუ-
ჩეი, კოპეცკი, რეიზა, შიმუნეი (1), შემანი, ნეიელი (1), პუჩი.

პოლანდია: ვან მალე, ვიბერი, კალდენბოფე, პააუვე, ანდერიზენი, ვან
პეელი, ველბი, ვან დერ ვეინი, შმიტი, ფენტე, დე პარდერი.

მსაქი: ლეკლერიკი (საფრანგეთი).

საფრანგეთი — ბელგია 8:1 (2:1)

პარიზი, 8 ივნისი.

საფრანგეთი: დი ლორტო, კაზენავე, მატლერი, ბახტიანი, უორდანი,
დიანი, ახტონი, ბეიხერერი, ნიკოლა (2), დელფურა, ვეინანტი (1).

ბელბიბა: ზადუ, პავერიკო, საიე, ვან ალაენი, სტინენი, დე ვინტერი, ვან დენ ვუვერი, ფორბოოფი, ისემბორგხი (1), ბრენი, ბიულე.
მხაჯი: ვიუტრიბი (შვეიცარია).

უნიგრეთი — პოლანდიის ინდოეთი 0:0 (4:0)

რეიზი, 5 ივნისი.

უნბრემი: ჰადა, კორანი, ბარო, ლაზარი, ტურაი, ბალოგი, შაში, ზენ-გელერი (2), დრ. შაროში (2), ტოლდი (1), კობუტი (1).

პოლანდიის ინდოეთი: შო პენი, ჰუ კონი, სამუელხი, ნავირი, მენი, აუვარი, ჰან ჭანი, სოდარმაჯი, ზომერხი, პატიველი, ტაიპუტუ.

მხაჯი: კონრიე (საფრანგეთი).

ბრაზილია — პოლონეთი 0:5 (0:1, 4:4) დამატებით დროში

სტრახბურგი, 5 ივნისი.

ბრაზილია: ბატატაიხი, დომინგოს და გიია, მაჩადო, ზეზე, მარტიმი, აფონსინიო, ლოპეხი, რომეუ (1), ლეონიდახი (4), პერაჩო (1), ერკულესი.

პოლონეთი: მადეისკი, შჩეპანიაკი, გალეცკი, გორა, ნიცი, დიტკო, პე-ჩი, პიონტეკი, შერფკე (1), ვილიშოვსკი (2), ვოდაფი (1).

მხაჯი: ეკლინდი (შვეიცია).

იტალია — ნორვეგია 2:1 (1:0, 1:1) დამატებით დროში

მარხელი, 6 ივნისი.

იტალია: ოლივიერი, მონციელიო, რავა, ხერანტონი, ანდრეოლო, ლოკატელი, პახინატი, მუაუა, პიოლა (1), ფერარი (1), ფერარის II.

ნორვეგია: ჰ. ოპანხენი, რ. ოპანხენი, პოლშუენი, ჰენრიკსენი, ერიკ-ხენი, პოლშუერგი, ფრანცენი, კვამენი, ბრინშოლდხენი, ისაკსენი, ბრუსტა-დი (1).

მხაჯი: ბერანეკი (ავსტრია).

შვეიცია მეოთხედფინალში უბრალოდ ვადა, ვინაიდან მისი მეტოქე — ავსტრიის ნაკრები ძალუღბული შეიქმნა უარი ეთქვა თამაშზე იმის გამო, რომ ავსტრია გერმანიის რაიხის შემადგენლობაში შევიდა.

მეოთხედფინალები

იტალია — საფრანგეთი 0:1 (1:1)

პარიზი, 12 ივნისი.

იტალია: ოლივიერი, ფონი, რავა, ხერანტონი, ანდრეოლო, ლოკატელი, ბიავატი, მუაუა, პიოლა (2), ფერარი, კოლაუხი (1).

საფრანგეთი: დი ლორტო, კაზენავი, მატლერი, ბახტიანი, ეორდანი, დიანი, ახტონი, პეიხერერი (1), ნიკოლა, დილფური, ვეინანტი.

მხაჯი: ბერი (ბელგია).

შვეცია — კუბა 8:0 (4:0)

ანტიბი, 12 ივნისი.

შპმცნი: აბრამშოსონი, ერიკსონი, კელგერნი, აღმგერნი, იაკობსონი, ვენსტრომი, ვეტერსტრომი (4), კელერი (1), მ. ანდერსონი (1), იონახო-ი (1), ნიბერგი (1).

ძუბა: კარვხალეხი, ბარკონი, ჩორენხი, არიასი, როდრიგესი, ბერგესი. ვერერი, ფერნანდესი, სოკორო, ტუნახი, ალონსო.

მსაჯი: კრისტო (ჩეხოსლოვაკია).

უნგრეთი — შვეიცარია 2:0 (1:0)

ლილი, 12 ივნისი.

უნგრეთში: საბო, კორანი, ბირო, ხალი, ტურაი, ლაზარი, შაში, ვინსე, დრ. შაროში, ზენგელერი (2), კოპუტი.

შპმცნი: ბუბერი, შტელცერი, ლემანი, შპრინგერი, ვერნატი, ლიორ-იერი, აშადო, ვალაშეკი, ბიკელი, აბეგლანი, გრასი.

მსაჯი: ბარლახინა (იტალია).

ბრაზილია — ჩეხოსლოვაკია 1:1 (1:0, 1:1)

დამატებით დროში

ბორდო, 12 ივნისი.

ბრაზილია: ვალტერი, დომინგოს და გია, მაჩადო, ზეზე, მარტიმი, აფონსინიო, ლოპესი, როშეუ, ლეონიდასი (1), პერაჩო, ერკულესი.

ჩეხოსლოვაკია: პლანიჩკა, ბურგერი, დაუჩიკი, კოშტალიკი, ბოუჩე-ი, კოპეცკი, რეიშა, შიმუნეკი, ლუდლი, ნიეილდი (1), პუჩი.

მსაჯი: ფონ ჰერცკა (უნგრეთი).

ბრაზილია — ჩეხოსლოვაკია (განმეორებითი

შეხვედრა) 2:1 (0:1)

ბორდო, 14 ივნისი.

ბრაზილია: ვალტერი, ვაუ, დრ. ნარისი, ბრიტო, ბრანდაო, არგემირო, რობერტო (1), ლუზინიო, ლეონიდასი (1), ტიმი, პატეხკო.

ჩეხოსლოვაკია: ბურკერტი, ბურგერი, დაუჩიკი, კოშტალიკი, ბოუ-ჩეკი, ლუდლი, ჰორაკი, ხენეცკი, კროცი, კოპეცკი (1), რუღი.

მსაჯი: კაპდევილი (ხაფრანგეთი).

ნახევარფინალები

უნგრეთი — შვეცია 5:1 (3:1)

პარიზი, 16 ივნისი.

უნგრეთში: საბო, კორანი, ბირო, ხალი, ტურაი, ლაზარი, შაში, ზენგე-ლერი (2), დრ. შაროში (1), ტოლდი, ტიტკოში (1).

შვეციის: აბრაჰამსონი, ერიკსონი, კელგერენი, ალმგერენი, აკოხსონი, ხენსტრიომი, ვეტერსტრიომი, კელერი, იონახსონი, ჰ. ანდერსონი, ნიბერგი (1).
მსაჯი: ლეკლერკი (ხაფრანგეთი).

იტალია — ბრაზილია 2:1 (2:0)

მარხელი, 16 ივნისი.

იტალიის: ოლივიერი, ფონი, რავა, სერანტონი, ანდრეოლო, ლოკატელი, ბიავატი, მეაუა (1), პიოლა (1), ფერარი, კოლაუსი.

ბრაზილიის: ვალტერი, დომინგოს და გიია, მაჩადო, ზეზე, მარტიმი, აფონსინიო, ლოპესი, ლუიზინიო, პერაჩო, რომეუ (1), პატეხკო.

მსაჯი: ვიუტრიში (შვეიცარია).

მატჩი III ადგილისთვის

ბრაზილია — შვეცია 4:2 (1:2)

ბორდო, 19 ივნისი.

ბრაზილიის: ბატაბაისი, დომინგოს და გიია, მაჩადო, ზეზე, ბრანდაო, აფონსინიო, რობერტო, რომეუ (1), ლეონიდასი (2), პერაჩო (1), პატეხკო.

შვეციის: აბრაჰამსონი, ერიკსონი, ნილსონი, ალმგერენი, ლინდერპოლმი, ხენსტრიომი, პერსონი, ჰ. ანდერსონი, იონახსონი (1), ა. ანდერსონი, ნიბერგი (1).

მსაჯი: ლანენიუ (ბელგია).

ფინალი

იტალია — უნგრეთი 4:2 (3:1)

პარიზი, 19 ივნისი. 75.000 მაყურებელი.

იტალიის: ოლივიერი, რავა, ფონი, სერანტონი, ანდრეოლო, ლოკატელი, ბიავატი, მეაუა, პიოლა (2), ფერარი, კოლაუსი (2).

უნგრეთის: ხაბო, კოლგარი, ბირო, ხალაი, ხიუჩი, ლაზარი, შაში, ვინსე, დრ. შაროში (1), ზენგელერი, ტიტკოში (1).

მსაჯი: კადევილი (ხაფრანგეთი).

IV ჩემპიონატი

1950 წელი, ბრაზილია

I ჯგუფი

ბრაზილია — მექსიკა 4:0 (1:0)

რიო-დე-ჟანეირო, 24 ივნისი.

ბრაზილიის: ბარბოზა, აუგუსტო, ვუვენალი, ელი, დანილო, ბიგოდი, მანეკა, ადემირი (2), ბალთაზარი (1), ვაირი (1), ფრიაკა.

მამხიპა: კარბახალი, ხეტერი, მონტეშაირი, რუისი, ოჩოა, როჩა, სეპტი-
ენი, ორტისი, კახარინი, პერესი, ველასკესი.

მსაჯი: რიდერი (ინგლისი).

იუგოსლავია — შვეიცარია 8:0 (8:0)

ბელუ-ორიზონტი, 25 ივნისი.

იუგოსლავია: მრკუშიჩი, პორვატი, სტანკოვიჩი, ზ. ჩაიკოვსკი, იოვანოვიჩი, ჭაიჩი, ოვანიანოვი (1), მიტიჩი (1), ტომაშევიჩი (1), ბობეკი, ვუკაში.

შვეიცარია: შტუბერი, ლუზენტი, კინკე, ბოკე, ეგიმანი, ნერი, ბიკელი, ანტენანი, ტამინი, ბადერი, ფატონი.

მსაჯი: ფალეატი (იტალია).

იუგოსლავია — მექსიკა 4:1 (2:0)

პორტუ ალეგრი, 28 ივნისი.

იუგოსლავია: მრკუშიჩი, პორვატი, სტანკოვიჩი, ზ. ჩაიკოვსკი, იოვანოვიჩი, ჭაიჩი, მიხაილოვიჩი, მიტიჩი, ტომაშევიჩი (1), ბობეკი (1), ჩაიკოვსკი II (2).

მამხიპა: კარბახალი, გუტიერესი, რუისი, გომეხი, ოჩოა, ორტისი, ფლორესი, ნარანიო, კახარინი (1), პერესი, ველასკესი.

მსაჯი: ლიფი (ინგლისი).

ბრაზილია — შვეიცარია 2:2 (2:1)

სან-პაულუ, 28 ივნისი.

ბრაზილია: ბარბოზა, აუგუსტო, ეუვენალი, ბაუერი, რუი, ნორონა, ალფრედო II (1), მანეკა, ბალთაზარი (1), ადემირი, ფრიაკა.

შვეიცარია: შტუბერი, ნერი, ბოკე, ლუზენტი, ეგიმანი, კინკე, ტამინი, ბიკელი, ანტენანი, ბადერი, ფატონი (2).

მსაჯი: ასონი (ესპანეთი).

ბრაზილია — იუგოსლავია 2:0 (1:0)

რიო-დე-ჟანეირო, 1 ივლისი.

ბრაზილია: ბარბოზა, აუგუსტო, ეუვენალი, ბაუერი, დანილო, ბიგოლე. მანეკა, ზიზინიო (1), ადემირი (1), ფაირი, ჩიკა.

იუგოსლავია: მრკუშიჩი, პორვატი, ბოკე, ზ. ჩაიკოვსკი, იოვანოვიჩი, ჭაიჩი, ვუკაში, მიტიჩი, ტომაშევიჩი, ბობეკი, ჩაიკოვსკი II.

მსაჯი: გრიფიტსი (უელსი).

შვეიცარია — მექსიკა 2:1 (2:0)

პორტუ ალეგრი, 2 ივლისი.

შვეიცარია: ჰუგი, ნერი, ბოკე, ლუზენტი, ეგიმანი, კინკე, ტამინი, ანტენანი (1), ფრიდლენდერი, ბადერი (1), ფატონი.

მამხიპა: კარბახალი, გუტიერესი, გომეხი, როჩა, ორტისი, ოჩოა, ფლორესი, გევარა, კახარინი (1), ბორბოლა, ველასკესი.

მსაჯი: ეკლინდი (შვეიცარია).

1. ბრაზილია	5	3	1	0	8:2	5
2. ბუგოსლავია	5	3	0	1	7:3	4
3. შვეიცარია	3	1	1	1	4:2	3
4. მექსიკა	3	0	0	4	2:10	0

II ჯგუფი

ინგლისი — ჩილე 2:0 (1:0)

რიო-დე-ჟანეირო, 28 ივნისი.

